საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№47 (329)
23 დეკემბერი, 2015 - 12 იანვარი, 2016

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## დღეიდან რუსეთის ვიზის აღების წესები გამარტივდება 3

## მაიმუნობის 25 წელიწადი



2

გასაგებად გვითხრეს, რომ MAP-ი სწორედაც წევრობის წინაპირობაა და მის გარეშე არავინ მიგვიღებს. სამაგიეროდ, მიიღებენ ჩერნოგორიას (მედასავლეთეებს სახელწოდება მონტე ნეგრო უფრო მოსწონთ), რომლის მოსახლეობის მხოლოდ ერთ მესამედს უნდა ნატოში გაწევრება. მაშ, დემოკრატია? — იკითხავთ თქვენ. რა დროს დემოკრატიაა, მაიმუნის წელი დგება!




## «რა გითხრათ? რით გაგახაროთ?» 4



მამა ზაქარია:

## იმას, რაც ევროპულ სკოლებში დანერგეს, ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ «საღვთო რჯულის» გაკვეთილები 7

## «თინა ხიდაშელის ინიციატივა სრული ავანტიურაა»



11

## უზნეობა დემოკრატიის სახელით 6

## რას მოუტანს საქართველოს ევროკავშირთან ვიზების ლიბერალიზაცია 8






## როგორი იყო 2015 და რას უნდა ველოდოთ 2016 წელს? 10

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**გასაგებად გვითხრეს, რომ MAP-ი სწორედაც წევრობის წინაპირობაა და მის გარეშე არავინ მიგვიღებს. სამაგიეროდ, მიიღებენ ჩერნოგორიას (მედასავლეთეებს სახელწოდება მონტე ნეგრო უფრო მოსწონთ), რომლის მოსახლეობის მხოლოდ ერთ მესამედს უნდა ნატოში გაწევრება. მაშ, დემოკრატია? — იკითხავთ თქვენ. რა დროს დემოკრატიაა, მაიმუნის წელი დგება!**

# მაიმუნობის 25 წელიწადი

**მაიმუნის წელიწადის დადგომის მოლოდინში ქართული პოლიტიკური ელიტა ისეა აჟიტირებული, თითქოს ბოლო 25 წლის განმავლობაში რომელიმე წელი მაიმუნობით არ ყოფილიყო აღბეჭდილი.**



უკვე მილეულ წელიწადში ერთ-ერთი აქტუალური თემა **„რუსეთის ინტერესების გატარებაში" ეჭვმიტანილი მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების „მხილება" იყო. დედააზრი ასეთია: დემოკრატიის პირობებში ჩვენ მათ ვერ ავკრძალავთ, მაგრამ უნდა ვამხილოთ. ამ „მხილებაში" ისევ ფული იშოვება და უცხოური გრანტებით საზრდოობაში არაერთგზის მხილებული არასამთავრობოები რიგში ჩადგნენ. და დაიწყო დეპეშების ფრენა ვაშინგტონის კრემლში. წლების (ზოგი – ათწლეულების) განმავლობაში დასავლეთიდან მსუყედ დაფინანსებული არასამთავრობოები უკიდურესად შეშფოთდნენ რუსეთის „რბილი ძალის" გააქტიურებისა და „რუსული პროპაგანდის" გაძლიერების გამო.**

წერენ და წერენ **„დანოსებს",** რომელთა შინაარსი ორღობის ჭორაობას უფრო წააგავს, ვიდრე „კვლევებს", რომლის პრეტენზიითაც აღნუსხავენ, ვინ ვისთან მეგობრობს, ვის უფრო ძალიან არ უყვარს დასავლეთი და ვინ უფრო შორს მიდის რუსეთის სიყვარულში. მართალია, ამ სუბიექტური დამოკიდებულებების გაზომვის რაიმე სარწმუნო შკალა ბუნებაში არ არსებობს, მაგრამ მთავარი ხომ ეს არ არის! მთავარია გაგება და გაგებულის წაღმაუკუღმა გადაწერა. **ორი უცნობი (გვარ-სახელი კი ცნობილია, მაგრამ საზოგადოებას არაფერს ეუბნება) ავტორის მიერ შედგენილი „კვლევა" ტირაჟირდება ქართულ-რუსულ-ინგლისურ ენებზე ისე, რომ სათაურის შეცვლაზეც იშვიათად იწუხებენ თავს. არადა, ჯერ არ დამდგარა მაიმუნის წელი...**

ივნისში ვერეს ხეობაში დატრიალებულმა უბედურებამ ნათლად აჩვენა, რომ ქვეყანაში საგანგებო ვითარებისთვის მზადყოფნა არ არის. არ არსებობს სამსახური, რომელიც ოპერატიულად და წინმსწრებად მიიღებს ზომებს. როგორც ყოველთვის, ტრაგედიის დატრიალების შემდეგ, საზოგადოების სოლიდარობის და ურთიერთთანდგომის ხილვამ გული აგვიჩუყა. ექვსი თვე გავიდა, გარდაცვლილები დავიტირეთ, გადარჩენილებს კომპენსაცია მთავრობამ მისცა, მათ შორის, იმათაც, ვინც „რუსთავი 2"-ის ეთერში საწინააღმდეგოს ამტკიცებდა, მაგრამ **არც წინასწარი შეტყობინების სისტემა შეუქმნია ვინმეს და არც სხვა სისტემური მიდგომები გამოუმუშავებია. ალბათ, მაიმუნის წელს ელიან!**

ზაფხულში **ნატოს საწვრთნელი ბაზა** გაიხსნა, რასაც „ნატოენთუზიასტები" ლტაცებით შეხვდნენ, რადგან ამას ნატოში გაწევრების წინაპირობად მიიჩნევდნენ. ორიოდე თვით ადრე პარლამენტის თავმჯდომარემ **დავით უსუფაშვილმა** განაცხადა, რომ საქართველო ახლა ისევეა მზად ნატოს წევრობისთვის, როგორც ზოგიერთი წევრი იყო მაშინ, როცა ალიანსში მიიწვიეს და ვარშავის 2016 წლის სამიტის დროს ნატომ ან წევრობის სამოქმედო გეგმა (MAP) უნდა მისცეს ქვეყანას, ან განაცხადოს, რომ MAP-ი აღარ არის წევრობის წინაპირობა. **კიდევ ორიოდე თვის შემდეგ კი გასაგებად გვითხრეს, რომ MAP-ი სწორედაც წევრობის წინაპირობაა და მის გარეშე არავინ მიგვიღებს. სამაგიეროდ, მიიღებენ ჩერნოგორიას (მედასავლეთეებს სახელწოდება მონტე ნეგრო უფრო მოსწონთ), რომლის მოსახლეობის მხოლოდ ერთ მესამედს უნდა ნატოში გაწევრება. მაშ, დემოკრატია? — იკითხავთ თქვენ. რა დროს დემოკრატიაა — მაიმუნის წელი დგება!**

**ვიზალიბერალიზაციის** საკითხმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ეგზისტენციალური ხასიათი შეიძინა და ევროკომისიის დადებით დასკვნას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. მილოცვებში ილვრებიან ძველი და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები. ეს არც არის გასაკვირი — **მათთვის ვიზალიბერალიზაცია შემდგარი ფაქტია, ამას დანარჩენ მოსახლეობაზე ვერ იტყვი.** მაშ ასე, რას გვაძლევს ევროკომისიის დადებითი დასკვნა? — შესაძლებლობას, საქართველოში შენგენის ვიზის წინასწარ გაფორმების გარეშე გაემგზავრო ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში. რა პირობებით? **აუცილებელია ბიომეტრიული პასპორტი, რომელიც მოსახლეობის ერთი ნაწილისთვის მიუღებელია. საზღვარზე იმიგრაციული სამსახურის მუშაკს შეუძლია მოითხოვოს ყველა ის საბუთი, რომლებსაც ვიზის გასაფორმებლად ევროკავშირის წევრი ქვეყნის საკონსულო ითხოვდა: მიწვევა ნათესავის ან ნაცნობისგან (ამ მოთხოვნის გამო რუსეთის საკონსულოს მუდმივად აკრიტიკებდნენ) მისამართებითა და ტელეფონებით, სასტუმროს ჯავშანი, ნაღდი ვალუტა და თანხა საკრედიტო ბარათზე, სამედიცინო დაზღვევა და, რაც მთავარია, უნარი, დაარწმუნო მოხელე, თუ რა მიზნით შედიხარ ევროკავშირის ტერიტორიაზე. თუ ვერ დაარწმუნებ, მას სრული უფლება აქვს, უკან გამოგაბრუნოს. ერთი სიტყვით, საკონსულოში შესაძლო უარის მიღება საზღვარზე უარის მიღებით იცვლება.** ამას გარდა, გულზე ხელი დაიდეთ და თქვით: რამდენს გაქვთ იმის საშუალება, რომ ევროკავშირში ფულის დასახარჯად იაროთ, რადგან ეს ვიზალიბერალიზაცია იქ არც მუშაობის და არც სწავლის უფლებას არ იძლევა?

ზაფხულში ევროკავშირის საბჭოს ოფიციალურ საიტზე გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ **ეკონომიკურ სანქციებს** შეუერთდა. ეს ინფორმაცია მალევე გაქრა, რადგან ქართულმა მხარემ მხოლოდ სევასტოპოლიდან და ყირიმიდან შემოტანილ საქონელზე ადრე დაწესებული სანქციები დაადასტურა. ორი თვით ადრე პრეზიდენტმა **მარგველაშვილმა** განაცხადა, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები აუცილებელია მეზობელი ქვეყნების მიმართ მისი პოლიტიკური ქმედებების მიუღებლობის დემონსტრირებისთვის. ერთი წლით ადრე თვით **მაია ფანჯიკიძე**, იმჟამად საგარეო საქმეთა მინისტრი, აცხადებდა, რომ დასავლეთის სანქციები რუსეთის წინააღმდეგ უკრაინული კრიზისიდან გამოსვლას ხელს ვერ შეუწყობს. არადა, მაშინ მაიმუნის წელი არ ყოფილა! უბრალოდ, მინისტრის პორტფელის დაკარგვის შემდეგ საღი აზრი იმ პორტფელში რჩება, ხოლო ნამინისტრალები „დასავლური კურსიდან გადახვევას" ერჩიან ყოფილ კოლეგებს.

სავაჭრო-ეკონომიკურ ჭრილს მივუბრუნდეთ. ბოლო მონაცემებით, **რუსეთი რიგით მეოთხე პარტნიორია თურქეთის, აზერბაიჯანისა და ჩინეთის შემდეგ. ორი წლით ადრე რუსეთი მეექვსე ადგილს იკავებდა. 2014 წელს ქართული ექსპორტი რუსეთში 44 პროცენტით გაიზარდა და 275 მილიონი დოლარი შეადგინა. 2012-2014 წლებში ექსპორტი ექვსჯერ გაიზარდა. ყველაზე მეტად ეს ნატურალურ ღვინოებს შეეხო. თუ მინერალური წყლების ექსპორტი 4 მილიონ დოლარს შეადგენდა, ღვინისა 113 მილიონ დოლარზე ავიდა.**

„ნაციონალების" მომხრე ექსპერტთა საყვარელი არგუმენტი ასეთია: **„ღვინოსა და მანდარინზე ყიდით საქართველოს ისტორიულ არჩევანს"?** ამ „ისტორიულ არჩევანს" კიდევ მივუბრუნდებით, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტის კონტრარგუმენტი თურქეთის მისამართით ნათლად ასახავს მოცემულ პარადიგმას: „თუ თურქეთს ჰგონია, რომ ჩამოგდებული თვითმფრინავის საპასუხოდ პომიდორს დავჯერდებით, მწარედ ცდება". საუბარია რუსეთის მიერ თურქეთისთვის დაწესებულ სანქციებზე, რომლის გამოც, ექსპერტების გათვლით, თურქეთი წელიწადში 11 მილიარდ დოლარს იზარალებს. ერთი სიტყვით, ამ დაპატარავებულ სამყაროში ყველაფერი ერთმანეთზეა მიბმული. არ იციან ეს „ნაციონალების" მომხრე ექსპერტებმა? იციან, ცხადია, მაგრამ რუსეთ-თურქეთს შორის გამწვავებულ ვითარებაში თურქეთის ერთმნიშვნელოვან მხარდაჭერას მოითხოვენ ხელისუფლებისგან. მართალია, ისე ომახიანად ველარ, რადგან თვით უფროსმა პარტნიორმა არ გამოიდო მაინცდამაინც თავი, მაგრამ – მაინც. ერთგულების დემონსტრირება არასოდეს არის ზედმეტი.

არადა, მაიმუნის წელი ჯერ არ დამდგარა...

**ნოემბრის ბოლოს პარლამენტის თავმჯდომარემ მრავალპარტიული არჩევნების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი მიღება გამარ-** ►

**უკვე მილეულ წელიწადში ერთ-ერთი აქტუალური თემა «რუსეთის ინტერესების გატარებაში» ეჭვმიტანილი მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების «მხილება» იყო. დედააზრი ასეთია: დემოკრატიის პირობებში ჩვენ მათ ვერ ავკრძალავთ, მაგრამ უნდა ვამხილოთ. ამ «მხილებაში» ისევ ფული იშოვება და უცხოური გრანტებით საზრდოობაში არაერთგზის მხილებული არასამთავრობოები რიგში ჩადგნენ. და დაიწყო დეპეშების ფრენა ვაშინგტონის კრემლში. წლების (ზოგი — ათწლეულების) განმავლობაში დასავლეთიდან მსუყედ დაფინანსებული არასამთავრობოები უკიდურესად შეშფოთდნენ რუსეთის «რბილი ძალის» გააქტიურებისა და «რუსული პროპაგანდის» გაძლიერების გამო**

მსოფლიო

## დონალდ ტრამპი: პუტინი თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი ლიდერია

**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ქვეყანას ხელმძღვანელობს და ჭეშმარიტი ლიდერია, განსხვავებით აშშ-ის დღევანდელი ხელისუფლებისაგან, — განაცხადა ამერიკელმა მილიარდერმა დონალდ ტრამპმა.**

ტრამპმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისთვის პატივია შეფასებები, რომელიც მის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან განაცხადა. ვლადიმერ პუტინმა დიდი პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მიესალმება ამ პოლიტიკოსის მხრიდან რუსეთთან ურთიერთობების გაღრმავებისთვის მზადყოფნას. „ჩვენი საქმე არ არის ტრამპის ღირსებაზე საუბარი, მაგრამ ის საპრეზიდენტო მარათონის აბსოლუტური ლიდერია", — განუცხადა ჟურნალისტებს ვლადიმერ პუტინმა. მოგვიანებით დონალდ ტრამპმა განაცხადა: „ყოველთვის დიდი პატივია მიიღო ასეთი სასიამოვნო კომპლიმენტი ადამიანისაგან, რომელსაც დიდ პატივს სცემენ როგორც სამშობლოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ".



**რუსეთი რიგით მეოთხე პარტნიორია თურქეთის, აზერბაიჯანისა და ჩინეთის შემდეგ. ორი წლით ადრე რუსეთი მეექვსე ადგილს იკავებდა. 2014 წელს ქართული ექსპორტი რუსეთში 44 პროცენტით გაიზარდა და 275 მილიონი დოლარი შეადგინა. 2012–2014 წლებში ექსპორტი ექვსჯერ გაიზარდა. ყველაზე მეტად ეს ნატურალურ ღვინოებს შეეხო. თუ მინერალური წყლების ექსპორტი 4 მილიონ დოლარს შეადგენდა, ღვინისა — 113 მილიონ დოლარზე ავიდა.**

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თა.** 1990 წლიდან მოყოლებული დღემდე, ყველა ცოცხალი დეპუტატი დაპატიჟა და სცადა, ერთგვარი ეროვნული თანხმობის დემონსტრირება. პოლიტიკური განსხვავებების გარდა, ამ მიღებამ კიდევ ერთი, ფუნდამენტური წინააღმდეგობა წარმოაჩინა. დარბაზი ორ ნაწილად გაიყო: საკუთარი ხალხივით უქონელი დეპუტატები და კმაყოფილები, რომელთა გამომეტყველებას სრულიად აპოლიტიკური **გურამ დოჩანაშვილი** სიტყვა „გავძეხით“ ახასიათებდა.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი შვიდივე პარლამენტის ამსახველი მოკლე ვიდეოკლიპით წარმოჩინდა. „ვარდების რევოლუციიდან“ 12 წლისთავზე ამ კლიპში სააკაშვილის მიერ პარლამენტის ძლევამოსილი აღება და შევარდნაძის ჩაის დალევა ვერ მოხვდა. 1999 წლიდან ისე ნარნარად გადავინაცვლეთ 2004-ში, თითქოს „რევოლუცია“ არც მომხდარიყო. რატომ? მარტივი მიზეზით: საკონსტიტუციო სივრციდან გასულმა სააკაშვილმა 2003 წლის 2 ნოემბერს არჩეული მაჟორიტარები 2004 წელს არჩეული „პროპორციულ“ დეპუტატებთან დააწყვილა და მანამდე არნახული კონფიგურაცია შექმნა. არ გაიკვირვოთ, **იმხანად სწორედაც მაიმუნის წელი იდგა.**

რუსეთს სანქციებით ვერაფერს რომ ვერ დააკლებდნენ, ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა შეერთებული შტატების მშვიდობის ინსტიტუტში განაცხადა: **„ეს არის ქვეყანა, სადაც ხალხი ჭამდა ვირთხებს და კატებს 900 დღე, ლენინგრადის ბლოკადის დროს“.** მან აუდიტორიას შეახსენა, რომ ერთი წლის წინათ ყველა ენთუზიაზმით უყურებდა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს, რომ ეს შეზღუდვები ქვეყანაში გამოიწვევდა ეკონომიკის ვარდნას და ხალხი გავიდოდა გარეთ და რუსეთის მმართველობა გამოფხიზლდებოდა, თუმცა თინა ხიდაშელის თქმით, კრიზისი იყო მეორე მსოფლიო ომის დროსაც, მაგრამ ისინი გადარჩნენ და გაიმარჯვეს. „სწორედ ამ ქვეყანასთან გვაქვს ჩვენ საქმე. ცნება სიდუხჭირისა და ბედნიერების, რაც აქ ამერიკაში გვაქვს, ან საფრანგეთში, ან იტალიაში, არის სრულიად შეუსაბამო და სწორედ ეს არის შეცდომა, რომელსაც ყველა ვუშვებთ“, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

**კარგა ხნის შემდეგ ამ განცხადების გამო აღშფოთება რუსეთშიც გამოითქვა და საქართველოშიც, მაგრამ ხიდაშელის პოზიცია გამოფხიზლებას უფრო ნიშნავს, ვიდრე შეურაცხყოფას. რაც შეეხება ვირთხებისა და კატების ჭამას, დასავლეთში ამას შეურაცხყოფად არავინ აღიქვამს, რადგან ევროპის ისტორიაში ამ გზით გადარჩენის არაერთი შემთხვევა ახსოვთ.** ხიდაშელის განცხადებაში ფასეული სწორედ ის იყო, რომ რუსეთს ანანასისა თუ ფრანგული ყველის შეტანის აკრძალვა ვერ დააჩოქებს და **ამაში მაინც დაუჯერეთ ხიდაშელს.**

**დაუჯერეთ, თორემ ვინც იმ მთავარსარდალს დაუჯერა, რომელიც გაიძახოდა, „რუსეთს დაჟანგული ტანკები ჰყავსო“, იმის დაჯერება მოგიწევთ და შერცხვებით.** კასპიის აკვატორიიდან გაშვებულმა რუსულმა რაკეტებმა ისე გადაუფრინეს ორ ქვეყანას და „ისლამური სახელმწიფოს“ ობიექტები ისე ზუსტად გაანადგურეს, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ვაშინგტონის კრემლიდან სულ ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები გაისმოდა. არადა, ჯერ არ დამდგარა მაიმუნის წელი!

„რუსეთთან ლაპარაკი არ შეიძლება“ — ამ „ნაციონალური“ თეზის საწინააღმდეგოდ, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი, საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერები სულ უფრო ხშირად მართავენ კონსულტაციებს მოსკოვთან და, როგორც ადრე ვწერდი, იძულებით აქტიურდებიან სირიაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი რუსეთის უპირობო გამარჯვებას უნდა შეეგუონ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ, ამას კი დასავლეთში არც ერთი ჭკუათმყოფელი არ დათანხმდება. **მართლა მაიმუნის წელიწადი კი არ უდგათ!**

წლის ბოლოს შევარდნაძის მიერ ოცი წლის წინათ ანონსირებული **„აბრეშუმის გზის“ პირველი სარკინიგზო შემადგენლობა** შემოვიდა საქართველოში. ამან დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია ხელისუფლებაში, თუმცა ოპონენტები მიუთითებენ, რომ ეს პროექტი საქართველოს პორტებს მილიონობით შემოსავალს დააკარგვინებს. ცოტა უფრო ღრმად თუ ჩავიხედავთ საქმეში, ზარალს, მაგალითად, ყაზახი ინვესტორები ნახავენ, რომლებსაც ბათუმის პორტი 49-წლიანი იჯარით აქვთ აღებული. სამაგიეროდ, „აბრეშუმის გზით“ მოიგებს **ნურსულთან ნაზარბაევი,** რომელმაც შარშან ჩინეთის საზღვარზე, ხორგოსში ჰაბი შექმნა და აქტაუს პორტის მოდერნიზაცია მოახდინა. მისმა ტვირთბრუნვამ 14 მილიარდი ტონა შეადგინა, რაც კასპიის რუსული პორტების ჯამურ ტვირთბრუნვას ორჯერ აჭარბებს. ყაზახეთმა ასევე განავითარა რკინიგზა და, კონკურენციის ამაღლების მიუხედავად, მჭიდროდ თანამშრომლობს რუსეთთან.

რუსეთის პრეზიდენტმა დეკემბრის დასაწყისში პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მზად არის, **საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გასაუქმებლად.** მართალია, ეს ევროკომისიის დადებით დასკვნამდე ითქვა, მაგრამ ურაპატრიოტებმა იმის ნიშნად აღიქვეს, რომ პუტინი იძულებული შეიქნა, საპასუხო ზომისთვის მიემართა. მაიმუნის წელია ნამდვილად! **უკვე თვეებია, ამის შესახებ აბაშიძე და კარასინი ლაპარაკობენ, მაგრამ ვისთვისაც მზე დასავლეთიდან ამოდის, მათ შესაძლო ვიზალიბერალიზაცია ურჩევნიათ რუსეთთან უვიზო რეჟიმს.** ახლა იმ ქართველებს ჰკითხეთ, რომლებიც ფიზიკურად რუსეთიდან ოჯახის წევრების მიერ გადმოგზავნილი თანხებით ირჩენენ თავს და არა შემწეობით, რომელსაც ჩვენში რატომღაც პენსიას უწოდებენ! **ამბობენ, მაიმუნის წელს პენსია გაიზრდებაო, მაგრამ წინა მთავრობა ამასაც მაიმუნობას უწოდებს!**

ამასობაში ოდესის ოლქის ადმინისტრაციის უფროსს („ნაციონალები“ ჯიუტად რომ გუბერნატორს უწოდებენ) შინაგან საქმეთა მინისტრი ისევე ამაიმუნებს, როგორც ოცი წლის წინათ ჩვენი პარლამენტარები — ერთმანეთს და წყლით სავსე ჭიქას ესვრის. ამას ტიპური კავკასიური გარჩევა მოჰყვება — ვინ უფრო უკრაინელია — **ავაქოვი თუ სააკაშვილი.** „კორუფციასთან მებრძოლ“ **ეკა ზღულაძეს** (აქაც და იქაც შს მინისტრის მოადგილეს) ბორისპოლის აეროპორტში 4 მილიონი დოლარით აკავებენ. ზღულაძის განმარტებით, მას ეს თანხა საფრანგეთში მშობიარობისთვის მოუგროვებია! **ასე ძვირი მშობიარობა თვით „ქალაქის სიამაყეს“ — გიგი უგულავას არ დაჯდომია ევროპაში, როცა, ცოლის გარდა, ახლობელმეგობრების ამალა ჩაიყვანა და ყველაზე ფეშენებელურ აპარტამენტებში აცხოვრა. არადა, არც მაშინ იყო მაიმუნის წელი და არც მერე, როცა პარლამენტარები — ირმა ნადირაშვილი და ზურაბ ჯაფარიძე დააკავეს მილიონებით სავსე ჩანთით ბაქოს აეროპორტში.**

სააკაშვილის გზას ახლა **ალეკო ელისაშვილი** აგრძელებს. როგორც ოპოზიციაში მყოფი მინისტრი აფრიალებდა მთავრობის სხდომაზე „კორუმპირებული მინისტრების სასახლეების ფოტოებს“, ისე ახლა ელისაშვილი უეცრად იხსენებს, რომ წელიწად-ნახევრის წინათ მასზე, როგორც შეწყალების კომისიის თავმჯდომარეზე, ზემოქმედებდნენ. პრუკურატურისკენ მიმავალ ელისაშვილს სხვადასხვა რაკურსში აჩვენებს „რუსთავი 2“, რომლის ეთერში მანამდე მის მიერვე მარგინალებად გამოცხადებული პერსონაჟები მომრავლდნენ. მათი რიტორიკა ერთი ერთში იმეორებს „ნაციონალებისას“, გინდ „გირჩა“ დაარქვი და გინდ — კაკალი! არადა, ჯერ არ დამდგარა მაიმუნის წელი!

„რუსთავი 2“-ის „პოლიტიკური ნიშნით დევნის“ მოდელირებულ ქრონიკაზე ნულარ შევჩერდებით, თორემ მისი რეალური მფლობელისა და აქეთ დარჩენილი „ნაციონალების“ ფარული ჩანაწერების კიდევ ერთხელ გადაკითხვა მოგვიწევს. „სისხლიანი სცენარი“ ვერ განხორციელდა, რაც, ალბათ, „არაკორუმპირებული“ სააკაშვილის უსახსრობას უნდა დავაბრალოთ.

ბე-ბე-ბე-ბე-ბე! „ასე ჩემთან ჯერ არავის ულაპარაკია“! — ცხარობს ოდესის ოლქის ადმინისტრაციის უფროსი.

ჯერ სად ხართ, მაიმუნის წელი მოდის!

მაიმუნის გარდა, საპარლამენტო არჩევნების წელიც დგება. ჯერ **პაატა ბურჭულაძის** პოლიტიკაში მოსვლის თემა გახმიანდა, შემდეგ კიევის ყოფილი მერი **ჩერნოვეცკი** გამოჩნდა, ახლახან კი „ქართული ოცნების“ სახეებმა გვამცნეს, რომ წინასაარჩევნო პროცესში კვლავ ჩაერთვება **ბიძინა ივანიშვილი.** ამაზე მე კარგა ხნის წინათ ვწერდი, მაგრამ მაშინ ყველა უარყოფდა მსგავს სცენარს. რა ქნას იმ პატიოსანმა კაცმა, თუკი მის გარეშე მაინც არაფერი გამოვიდა?! სავარაუდოდ, „ოცნების“ შემადგენლობა (უფრო — საპარლამენტო სია) სერიოზულად გადახალისდება და ეს როტაცია სწორედ მაიმუნის წელს მოხდება.

ამას ოთხი წლის წინაც ვამბობდი, მაგრამ სიმართლისთვის თვალის გასწორება, როგორც ჩანს, მხოლოდ მაიმუნის წელს მოხერხდება, არადა, საქართველოში, უკვე 25 წელია, სულ მაიმუნის წელიწადი დგას!

**საზღვარზე იმიგრაციული სამსახურის მუშაკს შეუძლია მოითხოვოს ყველა ის საბუთი, რომლებსაც ვიზის გასაფორმებლად ევროკავშირის წევრი ქვეყნის საკონსულო ითხოვდა: მიწვევა ნათესავის ან ნაცნობისგან (ამ მოთხოვნის გამო რუსეთის საკონსულოს მუდმივად აკრიტიკებდნენ) მისამართებით და ტელეფონებით, სასტუმროს ჯავშანი, ნაღდი ვალუტა და თანხა საკრედიტო ბარათზე, სამედიცინო დაზღვევა და, რაც მთავარია, უნარი, დაარწმუნო მოხელე, თუ რა მიზნით შედიხარ ევროკავშირის ტერიტორიაზე. თუ ვერ დაარწმუნებ, მას სრული უფლება აქვს, უკან გამოგაბრუნოს. ერთი სიტყვით, საკონსულოში შესაძლო უარის მიღება საზღვარზე უარის მიღებით იცვლება**



**უკვე თვეებია, ამის შესახებ აბაშიძე და კარასინი ლაპარაკობენ, მაგრამ ვისთვისაც მზე დასავლეთიდან ამოდის, მათ შესაძლო ვიზალიბერალიზაცია ურჩევნიათ რუსეთთან უვიზო რეჟიმს**

ამბავი

## დღეიდან რუსეთის ვიზის აღების წესები გამარტივდება

**2015 წლის 23 დეკემბრიდან რუსეთი საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზის აღების წესებს ამარტივებს. ეს ინფორმაცია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა. უწყებაში უვიზო რეჟიმის დაწესებასაც არ გამორიცხავენ.**

„რუსულ-ქართული ურთიერთობის ნორმალიზების მიმდინარე პროცესის კონტექსტში და ჩვენს ქვეყნებს შორის პოზიტიური ტენდენციების სტიმულირების ინტერესებიდან გამომდინარე, 2015 წლის 23 დეკემბრიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის გაფორმდება მრავალჯერადი საქმიანი, სამუშაო, სასწავლო და ჰუმანიტარული, აგრეთვე, კერძო ვიზები, იმის მიუხედავად, არსებობს თუ არა ნათესაური კავშირი მოწვეულსა და მომწვევს შორის მოქმედი მოწვევის ფარგლებში, რომელიც გაცემულია რუსეთის ფედერალური მიგრაციული სამსახურის ორგანოების მიერ დადგენილი წესით.

რუსული მხარე მტკიცედაა განწყობილი, მომავალშიც გადადგას ნაბიჯები, რომელიც ორი ქვეყნის მოქალაქეების ურთიერთობის პირობების გამარტივებისკენაა მიმართული და არ გამორიცხავს შემდგომში, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე უვიზო რეჟიმის შემოღებას“, — ნათქვამია საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მთავარი მტრები მამულისა არიან თავისუფლების ინსტიტუტი და მის ბაზაზე დაჩეკილი გველის წიწილები, ოკეანის გაღმიდან თუ ევროპიდან უხვად დაფინანსებული ასოები და მათი სკოლაგამოვლილი ლიბერასტი პოლიტიკოსები, რომლებმაც რუსეთს ლამის საშვილიშვილოდ გადაგვკიდეს, რომლებიც ყოველგვარ ქართულს, მართლმადიდებლურსა და ტრადიციულს უკვე აშკარად ებრძვიან და სწორედ ისინი უნდა „მივცეთ მახვილსა ლესულსა“ და არა რუსეთი და მისი პრეზიდენტი.**

# «რა გითხრათ? რით გაგახაროთ?»

**„აჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი...
რა მოვულოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო?
რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვებოთ
და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი,
რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ?
უკან მივიხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი
არა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ ან ნანვითა
ვთქვათ: „ჰოი, წამო სიხარულისავ, ესე სწრაფად
სად წახვედი!“ წინ ვიყურებით და ხვალინდელის
ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული
გულის ადგილსავე დაგვრჩეს, ან ნატვრით
ვთქვათ: „მოვიდინ, დღეო სიხარულისაო!“
რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“**

ეს არის პირველი აბზაცი დიდი ილიას მიერ 1887 წლის 31 დეკემბრს შექმნილი ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილიდან „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“, რომელიც ამ საახალწლოდ კიდევ ერთხელ გადავიკითხე და თითქოს დღევანდელობაზე ლაპარაკობსო ქართველთა ფიქრთამპყრობელი — მას შემდეგ საუკუნეზე მეტი გავიდა და დღესაც „ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილსავე დაგვრჩეს“...

თუმცა ასე არ ფიქრობენ ნაცებ-ქოცების ხელისუფლებაში (დიახ, ნაც-ქოცების ხელისუფლებაში და არა, პოზიცია-ოპოზიციაში, რადგან დიდი ხანია, ყველა მეტ-ნაკლებად მოაზროვნე ქართველისთვის, ერთიმეორის ჩალხანა-ალხანები არიან) და ნატოს სანაცვლოდ, ახლა ე. წ. ვიზალიბერალიზაციის ქიმერის დევნას გვთავაზობენ...

გასულ ბარბარობას რუსეთის პრეზიდენტის წინასაახალწლო გრანდიოზული პრესკონფერენცია გაიმართა, რომელმაც ყველა წინა რეკორდი მოხსნა — მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან 1500-მდე ჟურნალისტი, პოლიტოლოგი თუ ექსპერტი დაესწრო ამ ბრიფინგს, რომლის მიმდინარეობისას სამ საათ-ნახევრის განმავლობაში 45 კითხვას უპასუხა ვლადიმერ პუტინმა...

ასეთ ღონისძიებებზე შემთხვევით არაფერი ხდება, ყოველი წვრილმან-მსხვილმანი მესიჯებს შეიცავს მავანი სახელმწიფოების მიმართ.

მავანებმა თავის თავს მიხედონ და ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ...

**ჩვენდამი კეთილგანწყობის წვრილმან დეტალად აღიქვა ყველამ, ვისაც საქართველოში თვალი და ყური აქვს, ის, რომ დამსწრეთა გასამასპინძლებელი ე.წ. ალა-ფურშეტი იმერულ-მეგრული ხაჭაპურებით იყო გაწყობილი.**

ხოლო იმას, რომ მილეთის მედიაწარმომადგენლებიდან ტელეკომპანია „მაესტროს“ ჟურნალისტსაც ერგო პატივი კითხვის დასმისა, პუტინის „მსხვილმანი“ პასუხი იქით იყოს, წვრილმანს ნამდვილად ვერ უწოდებ!

პასუხი კი მოკლედ და, „კოტ ლეოპოლდის“ ენით თუ ვიტყვით, უკვე მერამდენედ იყო: „რებიატა, დავაიტე ჟიტ დრუჟნო!“, ხოლო უფრო ვრცლად, რუსეთის პრეზიდენტმა — „უვიზო რეჟიმის აღსადგენად მზად ვართ, ხოლო ტერიტორიული მთლიანობის შესახებ აფხაზებსა და ოსებს თვითონ დაელაპარაკეთ, მათთან იმუშავეთ, რუსეთისთვის ამ მოლაპარაკებების ნებისმიერი შედეგი მისაღები იქნებაო...

ერთ რამეში არ ვეთანხმები პუტინს — **ოდესის გუბერნატორად სააკაშვილის დანიშვნა არა მხოლოდ უკრაინელებისთვის იყო „პლევოკ ვ ლიცო“, არამედ, ამ და სისხლის სამართლის დამნაშავე სხვა ქართველების მაღალ პოსტებზე დანიშვნით უკრაინამ (წაიკითხე — აშშ), პირველ რიგში, ქართველებს ჩაგვაფურთხა სულში.**

ისე კი, საქართველოსთვის ამაზე მეტად იმედის მომცემი რა უნდა ეთქვა ვლადიმერ პუტინს? მაგრამ არა, პასუხად იმავე დღეს აღნავლდნენ სულგაყიდული ქართველი პოლიტიკოსები თუ ამერიკიდან ფინანსირებული ასოები (არასამთავრობოები) — ხვალ ევროპა ვიზალიბერაციას მიანიჭებს საქართველოს, ზეგ ევროკავშირში მიგვიღებენ და ამით შეშინებული პუტინი ამიტომ ალაპარაკდა საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმებაზეო(?!).

ამაზე მეტი უგუნურება გაგონილა?

თუმცა არა, ეს უგუნურება კი არა, გონიერი მტრობაა საქართველოსი.

ვის ვისი ეშინია, კარგად ვხედავთ — **რადგან რუსეთში ვერაფრით მოახერხეს ფერადი რევოლუციის მოწყობა, რადგან პუტინის ხელისუფლებამ დროულად მოთოკა მეხუთე კოლონა საკუთარი „ასოების“ სახით, ქვეყნიდან უბოდიშოდ გააძევა ამ „ასოთა“ დამფინანსებელი სოროსის ფონდი, შარშან რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციების იმედად, არიქა, რუსები ქუჩაში გამოვლენ და თავად დაამხობენ პუტინის „დიქტატურასო“, აშშ-მა საკუთარი სატელიტი ევროპის ლიდერებს პუტინისთვის ხელის ჩამორთმევაც კი აუკრძალა, მაგრამ დღეს, მას შემდეგ, რაც რუსეთმა ამერიკის დაუკითხავად დაიწყო სირიაში ტერორიზმთან რეალური ბრძოლა ხმელეთიდან, წყლიდან, წყალქვეშიდან თუ ჰაერიდან გაშვებული ფრთოსანი რაკეტებით, დასავლეთის დაზაფრული ლიდერები ერთმანეთს ასწრებენ კრემლში მისვლას.**

თვით აშშ-ის სახმდივანმა **ჯონ კერიმ** ისე შეიკუნტრუშა, ადგილზე ისე შემობზრიალდა, მგონი, პუტინი შემოვიდაო, რომ მსგავსი სისხარტე სუხიშვილების ანსამბლის „ტრიუკაჩებსაც“ კი შეშურდებოდათ.

როდესაც პუტინი მართლაც შემოვიდა, მოლაპარაკებების შემდეგ, ჯონ კერი ბავშვივით იყო გახარებული, პუტინს რომ შევჩივლე, თქვენი ავიაცია ასადის ოპოზიციასაც ბომბავსო, ეს „საჩივარი“ რუსეთის პრეზიდენტმა უბის წიგნაკში ჩაიწერაო.



**ოდესის გუბერნატორად სააკაშვილის დანიშვნა არა მხოლოდ უკრაინელებისთვის იყო «პლევოკ ვ ლიცო», არამედ ამ და სისხლის სამართლის დამნაშავე სხვა ქართველების მაღალ პოსტებზე დანიშვნით უკრაინამ (წაიკითხე აშშ), პირველ რიგში, ქართველებს ჩაგვაფურთხა სულში**

მეორე დღეს ხომ საერთოდ — არიქა, ევროპამ გვითხრა, საქართველო იმსახურებს უვიზო მიმოსვლასო და ერთი ვაი-ვიში ატყდა ქოც-ნაცების ხელისუფლებაში:

პრემიერმა ღარიბაშვილმა, სააკაშვილის საუკეთესო ტრადიციების დაცვით (ერთი პატარა სხვაობით, სააკაშვილი „რუსთავი 2“-ს „უმიზნებდა“), ზუსტად 5 საათზე, ტელეიმედის „ქრონიკის“ დაწყების დროს დანიშნულ ბრიფინგზე განაცხადა, — ასრულდა წინაპართა ოცნებაო (ჰო, რა, ჩვენს მამა-პაპებს ვიზალიბერალიზაციის ჯავრი ჩაჰყვათ საფლავში), და მას შემდეგ გრძელდება ეს უგვანი მილოცვები...

არადა, რას გვილოცავენ ჩვენ, რიგით ქართველებს?

ისინი, ვინც გვილოცავდნენ, აქამდეც მშვენივრად დასეირნობდნენ ევროპა-ამერიკაში, უბრალო ქართველები კი უცხოეთში ვიზით თუ უვიზოდ ევროპელი თუ ამერიკელი, უკაცრავად და, მარაზმში ჩავარდნილი ბებრების უკანალების საწმენდად თუ წავლენ.

ეგეც არ იყოს, **ევროპაში უვიზო მიმოსვლამდე კიდევ ბევრი „საშინაო დავალებაა“ შესასრულებელიო და ვეჭვობ, რომ ეს დავალება გეიპარადების ჩატარება და ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონება იქნება...**

თუმცა, ამას თუ ავცდით, ნატოს ზღაპრისა არ იყოს, ახლა უვიზო რეჟიმზე დაიწყება — დღეს არა, ხვალ, ხვალ არა — ზეგ, ანუ, როგორც ნატოში მიგვიღებენ როდინობის კვირის შვიდშაბათს, ასევე იქნება ვიზალიბერალიზაციის საქმეც. რაც შეეხება ევროკავშირს, ამაზე ლაპარაკიც კი უნამუსობაა!

**რომელ ევროკავშირში გაწევრებით გვაბოლებენ, რომელიც, პრაქტიკულად, დაშლის პირასაა მისული? სხვა რა ჰქვია იმას, რომ შენგენის სივრცეშიც კი, არათუ ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების მოქალაქეებისთვის, თვით შენგენის ქვეყნების მოქალაქეთათვისაც შეზღუდულია გადაადგილება?!**

**თუმცა, ეგეც რომ არ იყოს, ტერორიზმის შიშით აკანკალებული ევროპა პანკისის პატრონი საქართველოთი აიტკივებს ისედაც შაკიკიან თავს?**

რუსეთი კი უახლოეს პერიოდში პუტინის კალმის ერთი მოსმით გააუქმებს საქართველოსთან სავიზო რეჟიმს და დავუშვათ, რომ ჩემი სკეფსისი არ გამართლდა და ევროპამაც რუსეთის პარალელურად მოგვცა უვიზო რეჟიმი, **სად უფრო მეტი ქართველი წავა — რუსეთში თუ ევროპაში?**

ამ კითხვის პასუხად ქვემოთ ვრცელ ისტორიულ ექსკურსს შემოგთავაზებთ, რომელსაც ასე დავაქვესათაურებ:

„ჟამი არს, მტერი მამულის მივცეთ ლახვარსა ლესულსა!“

ზუსტად ასეა ნათქვამი **გივი ამილახვრის** აღსარებაში, რომელიც **გრიგოლ ორბელიანმა** ჟურნალში **„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებანი“** დასაბეჭდად დაწერა და რომელიც შეთქმულების აჯანყებაში გადაზრდის შემთხვევაში აჯანყებულთა დევიზი, გნებავთ, მთავარი ლოზუნგი გახდებოდა.

ჟურნალი, რომელიც 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა ბეჭდვითი ორგანო იყო, შეთქმულებთან ერთად „დააპატიმრეს“. რედაქციის არქივში, რომელიც დაპატიმრებისას **სოლომონ დოდაშვილს** ჩამოართვეს, ერთი ანონიმური ლექსიც აღმოჩნდა, რომელსაც მკვლევარნი იოანე ბატონიშვილს მიაწერენ. ამ ლექსში იმდროინდელი საქართველოს ვითარება ასეა დახატული:

**„სკვით წაგვართვეს მთლად ქვეყანა, არც კი მოგვცეს კაცი ერთი; ქართლ-კახეთსა არ დაჰჯერდნენ, ზედ დაიდვეს იმერეთი. მწიროზაში დავგლახავდით, შემწე არ გვყავს არცა ერთი, შევთხოვთ ზენას სამართალსა, ვნახოთ, ვითა განსჯის ღმერთი“.**

ზენამ კი ისე განსაჯა, რომ შეთქმულება იესე ფალავანდიშვილის ღალატით გამოაშკარავდა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეამ დროებით, მაგრამ კაი ხნით ადგილი დაუთმო რუსეთის იმპერიაში ქართველი ერის ფიზიკურად გამრავლების, განათლების, კულტურის აღორძინების, იმდროინდელი მოწინავე ტექნოლოგიების ათვისების და სხვა, ერისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ამოცანებს!

მართლაც, რუსულ ხიშტებზე შეწყდომაზე გონივრული უარის სანაცვლოდ, ქართველმა ერმა, ელემენტარულად, წერა-კითხვა ისწავლა, ხოლო მისი უკეთესი შვილები პეტერბურგ-მოსკოვ-კიევ-ოდესის გავლით ევროპის სხვა ქალაქების უნივერსიტეტებშიც ეზიარნენ უმაღლეს განათლებას.

**მიხეილ ვორონცოვის რუდუნებით დაარსდა პირველი ქართული გაზეთები, თეატრი, ოპერა; სწორედ პეტერბურგიდან მობრუნებულმა ე.წ. თერგდალეულებმა, დიდი ილიას მეთაურობით, შექმნეს ახალი ქართული მწერლობა; განვითარდა ვაჭრობა, მრეწველობა, ტფილისი გახდა სრულიად კავკასიის უმთავრესი ქალაქი და, რაც მთავარია, ქართველი ერი ფიზიკური განადგურების საფრთხეს გადაურჩა — XIX საუკუნის დამდეგს, ანუ, რუსეთთან შეერთებისას აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა, სულ რაღაც, 70 ათას (!) ოჯახს (დემოგრაფ ანზორ თოთაძის მონაცემებით) ითვლიდა, ხოლო XIX საუკუნის მიწურულს რუსეთის იმპერიაში ჩატარებული აღწერის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობამ 1.5 მილიონს გადააჭარბა.**

„სწრაფად განვითარდა ხელოსნობა, გაჩნდნენ კაპიტალისტური ტიპის მანუფაქტურები: აბრეშუმის, შაქრის, მინის, ტყავის, საპნის, აგურის საწარმოები. 1852 წლისთვის მხოლოდ ტფილისის გუბერნიაში 154 საწარმო არსებობდა, ხოლო 10 წლის შემდეგ მათმა რაოდენობამ 400-ს(!) გადააჭარბა.

თბილისში წარმოიშვა კომერციული სახლები, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაჩნდა ბაზრობები, ე.წ. იარმარკები; თბილისელი ვაჭრები მომრავლდნენ ნიჟნი ნოვგოროდის ბაზრობაზე, საიდანაც უპირატესად შემოჰქონდათ ბამბის, სელის, შალის, აბრეშუმის ქსოვილები, რკინისა და ფაიფურის ნაწარმი, შაქარი, პურის ფქვილი და სხვ. თბილისელ ვაჭრებს ნაირ-ნაირი საქონელი გაჰქონდათ რუსეთში და იმპერიის საზღვარგარეთ. ნოვგოროდის 1850 წლის იარმარკაზე თბილისელ ▶

# ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი მსოფლიოში ლგბტ-პედერასტების უფლებების დაცვააო, — განაცხადეს ჰილარი კლინტონმა და ბარაკ ობამამ და ამაზე მეტი რაღა გინდათ, ხელისუფლებაში თუ მის გარეთ მოვასვასე ამერიკის „შნირებო“?!

ავი მესაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

...ვაჭრებს 1.195019 მანეთის საქონელი ჩაუტანიათ. დასავლეთ საქართველოდან სიმინდის დიდი რაოდენობა გაჰქონდათ ინგლისში და ირლანდიაშიც კი“.

ეს ყველაფერი აკაკი და პაატა სურგულაძეების ავტორობით გამოცემულ, 1783-1990 წლების „საქართველოს ისტორიიდან“ ამოვიწერე და ევროპასთან ასოცირების და ახლა უკვე ე.წ. ვიზალიბერალიზაციის ცრუპერსპექტივებით გონდაბნელებულთა საყურადღებოდ რამდენიმე კითხვას დავსვამ:

**იცით კი, რამდენი ევროს ეკვივალენტია დღეს მაშინდელი „მილიონ სჩემტო“ ოქროს რუსული რუბლი, რომლის ღირებულების საქონელიც საქართველოს რუსეთთან „ძალით“ შეერთებიდან, სულ რაღაც, 50 წლის შემდეგ შეუტანიათ თბილისელ ვაჭრებს ნოვგოროდის ბაზრობაზე და როდის, ევროპის ასოცირებასთან „ნებაყოფლობით“ მიერთებიდან რამდენი წლის შემდეგ გაიტანს საქართველო მილიარდობით ევროს ღირებულების საქონელს ევროკავშირის ქვეყნებში?!**

ეს ისე, მცირე ლირიკულ-რიტორიკული გადახვევა...

ახლა მავანი დამამუნათებს, რუსეთმა გააუქმა ბაგრატოვანთა სამეფო ტახტი და ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, კირით შეგვითეთრეს ფრესკები, ქართველთა გარუსება მოინდომეს და ა.შ. სხვა მრავალი ვნება მოგვაყენეს ჯერ რომანოვებისა და შემდეგ სტალინის იმპერიაში 200 წლის განმავლობაშიო... და მერე რა?

ეს ყველაფერი ჩემს შესაძლო ოპონენტებზე კარგად იცოდნენ საქართველოს იმხანად მოღვაწე გამორჩეულმა შვილებმა, მაგრამ...

პირუთვნელმა ისტორიკოსებმა მე-19 საუკუნის დასაწყისი მაინც უმნიშვნელოვანეს მომენტად მიიჩნიეს ქართველი ხალხის ისტორიულ განვითარებაში, რადგან ამ დროიდან იწყება ახალი პერიოდი ქართველი ხალხის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ქართველი ხალხის ბედი მტკიცედ დაუკავშირდა რუსი ხალხის ბედს.

ქართველი ხალხის ფიქრთამპყრობელმა **ილია ჭავჭავაძემ** ბრწყინვალე პუბლიცისტურ წერილში **„ასის წლის წინათ“**, რომელიც 1899 წლის 26 ნოემბერს დაწერა და საქართველოში რუსის ჯარის პირველად შემოსვლის 100 წლისთავს მიუძღვნა, რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიული მნიშვნელობა შემდეგი სიტყვებით გადმოსცა:

**„დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრის სახელით მოღერებულისა ჩვენ ზედა ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-ღადაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანამოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მის თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწედ, უნუგეშ, ყველასაგან შორს, მარტოდ-მარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიდვა საზღვარი მშვიდობისმყოფელ ცხოვრებისა. ის დღე და ეს დღე, ველარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს, კვლავ სასოება-გაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავის მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული“...**

ნიშანდობლივი და, ერთი შეხედვით, პარადოქსული ფაქტია, რომ **მთიულეთის, კახეთის, იმერეთის აჯანყებების თუ იმავე 1832 წლის შეთქმულთა საბოლოო მიზანი იყო არაოკუპანტ რუსეთთან ყველანაირი კავშირის გაწყვეტა, არამედ გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე აღდგენა სამეფო ტახტისა და ზოგადად შიდაავტონომიური მმართველობისა, რადგანაც კარგად ხედავდნენ, რომ ლამის ალექსანდრე პირველის მანიფესტის გამოცხადებისთანავე საქართველოში აილაგმა ლეკიანობა და ისლამის ოკეანეში კვლავ აღმოჩენის პერსპექტივა არავის ხიბლავდა...**

**XX საუკუნის დასაწყისში კი რუსეთის დუმის დეპუტატი, თავადი ილია ჭავჭავაძე რუსეთის იმპერიის შიგნით ითხოვდა საქართველოს კულტურულ ავტონომიას. ეგ იყო და ეგ, რადგანაც ილია მართალსაც კარგად ესმოდა, რომ საქართველოს ძლიერი შემწე-მფარველის გარეშე გაუჭირდებოდა დამოუკიდებლად არსებობა, საკუთარი ისტორიული მეს შენარჩუნება!**

დიდი ილიას შიში უსაფუძვლო რომ არ იყო, დღეს გამოჩნდა — ვითომ დამოუკიდებელი სახელმწიფო გვაქვს, მაგრამ სამშობლოს გვართმევენ.

**რუსეთის იმპერიაში სახელმწიფო არ გვქონდა, მაგრამ გვქონდა სამშობლო...**

პარადოქსია ისიც, რომ ქვეყნის „მთავარი ოპოზიციური ძალა“ — ნაცბანდა ნიადაგ ამუნათებს მეოცნებე ხელისუფლებას, რომ ისინი პრორუსულები არიან, პუტინის თამაშს თამაშობენ და ა.შ. „ოცნების“ წარმომადგენლები კი ხელებს ავსავებენ, ლამის ბარაკ ობამას დედის სულს იფიცებენ — რის რუსეთი, რა პუტინი, პირდაპირ ევროკავშირ-ნატოსკენ გვიჭირავს გეზიო!

ჰოდა, **ნაცებ-ქოცების ამ შეხმატკბილებულ, კოჰაბიტაციიდან შობილ ვასალ ქვეყანა თავზე გვექცევა — აგერ თითქმის 3 წელიწადია, საქართველო-რუსეთის „ახალი ურთიერთობები“ კარასინ-აბაშიძის ფორმატსა და რუსეთის ბაზარზე „ორიოდე“ ბოთლი ქართული ღვინო-ბორჯომის შეტანას ვერ გასცილებია.** ამიტომაც არის, რომ კონფლიქტის ზონაში რუსეთის მხრიდან ე.წ. მცოცავი ანექსია გრძელდება და, თუ ამჯერად ვიზალიბერალიზაციით დაბოლილები, უილაჯო არა-არას არ მოვიშლით, ცოცვა ხტუნვაში გადაიზრდება და მავთულხლართებს იქით — ქუთაისთან, ხოლო აქეთ — თბილისთან გადმოიტანენ!

ამ რეალობაში ქართველი ურაპატრიოტები „რკინისებური არგუმენტებით“ გვიპირისპირდებიან პრაგმატულად მოაზროვნეებს — თუ ერთმორწმუნეები არიან და ჩვენთან მეგობრობა უნდათ, დაგვიბრუნონ ჩვენი ტერიტორიების 22 % და ა.შ. სხვა მრავალი ლირიკული გადახვევა, რომლებსაც საერთო არაფერი აქვს მკაცრ პოლიტიკურ რეალობასთან.

**თუ რუსეთმა ჩვენი მიწის 22 % მიითვისა, რატომ არავინ ითვლის მიწის იმ პროცენტებს, რომლებიც მართლაც ჩვენმა მარადიულმა მტერმა თურქეთმა მიისაკუთრა?**

**რუსეთს, რომელსაც დროებით აქვს ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული, მხოლოდ მტრად განვიხილავთ, ხოლო მართლაც ისტორიულ მტერს, თურქეთს, რომელსაც სამუდამოდ აქვს მიტაცებული ჩვენი ტერიტორიები — უპირველეს მეგობრად, ქვეყანას, რომლის ეკონომიკური ანექსია უკვე თბილისშიც და განსაკუთრებით აჭარაში თვალნათელია.**

ეს არის სახელმწიფო, რომლის პრემიერმინისტრი დავიდოღლუ პირდაპირ აცხადებს, რომ თურქეთის საბოლოო მიზანი ე.წ. დიდი თურანის იმპერიის აღდგენაა სტამბოლიდან ბათუმ-სარაევომდე, რომლისთვისაც გლობალიზაციის პირობებში სულაც არ არის საჭირო ტანკები და ბომბები. ეკონომიკურ ექსპანსიაზე უკვე მოგახსენეთ და საქართველოს ტელევიზიებში საეჭვოდ მომრავლებული თურქული სერიალები ამ პროცესის პროპაგანდისტული შემადგენელია.

**რა თქმა უნდა, რუსეთს ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიები, მაგრამ თურქების მიერ ანექსირებულისგან განსხვავებით, რუსეთის მიერ ოკუპირებულის დაბრუნების შანსი ჯერ კიდევ არსებობს და თუნდაც ამიტომ არ ვუწოდებ მას ოკუპანტს.**

ეგეც არ იყოს, იქნებ ისიც დაგვეთვალა, რამდენი ტერიტორია დააბრუნა XIX საუკუნეში რუსულმა იარაღმა და ირან-ოსმალეთთან ომებში დაღვრილმა რუსულმა სისხლმა ფორმალურად რუსეთის იმპერიის ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებში, რეალურად კი ერთიან ქართულენოვან კულტურულ სივრცეში. დამოუკიდებლობისა და იმ ტერიტორიების დაკარგვა, რომლებიც XX საუკუნეში რომანოვების იმპერიის დამხობის შემდეგ უკვე ფორმალურადაც საქართველოს იურისდიქციაში მოექცა, სტალინ-ორჯონიკიძეზე მეტად უნიათო მენშევიკების ბრალი იყო.

**იქნებ ისიც გაგვეხსენებინა, როგორ განუცხადა მოკავშირეებს სტალინმა 1945 წლის იალტის კონფერენციაზე, თურქეთმა საქართველოს წართმეული ტერიტორიები უნდა დაუბრუნოსო — სიტყვას საქმეც მოაყოლა დიდმა ბელადმა და სარფიდან, ვიდრე ტრაპიზონამდე, უკვე რაიკომის მდივნობის კანდიდატებსაც კი განიხილავდნენ პოლიტბიუროში.**

და რომ არა ჩვენი დღევანდელი „მეგობარი“ აშშ, რომელმაც სტალინის მადის მოსათოკად, მის დასაშინებლად უკვე დამარცხებულ იაპონიას ატომური გენოციდი მოუწყო, დღეს ტრაპიზონში იქნებოდა საქართველოს საზღვარი...

მაშ, ვინ არის „მტერი მამულის“ და ვინ უნდა „მივცეთ მახვილსა ლესულსა“?

სწორი, თანმიმდევრული და, რაც მთავარია, გულწრფელი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, მით უმეტეს, ერთმორწმუნის მოყვრად ქცევა ადვილია!

**უმადურობა დიდი ცოდვაა, ხოლო ისტორიული უმადურობის ცოდვისთვის პასუხს მთელი ერი აგებს, ამიტომ, როდესაც რუსეთის მხრიდან ქართველებისთვის მიყენებულ ზიანზე ვლაპარაკობთ, არც რუსეთთან თანაცხოვრების სიკეთე უნდა დავივიწყოთ.**

მთავარი მტრები მამულისა არიან თავისუფლების ინსტიტუტი და მის ბაზაზე დაჩეკილი გველის წიწილები, ოკეანის გაღმიდან თუ ევროპიდან უხვად დაფინანსებული ასოები და მათი სკოლაგამოვლილი ლიბერასტი პოლიტიკოსები, რომლებმაც რუსეთს ლამის საშვილიშვილოდ გადაგვკიდეს, რომლებიც ყოველგვარ ქართულს, მართლმადიდებლურსა და ტრადიციულს უკვე აშკარად ებრძვიან. სწორედ ისინი უნდა „მივცეთ მახვილსა ლესულსა“ და არა რუსეთი და მისი პრეზიდენტი.

ამ ომში საქართველოს ბედიც წყდება, მაგრამ არა ნაცური, არამედ კაცური გაგებით. საბოლოო ჯამში, დღეს ულმერთობა ებრძვის ღმერთს, უზნეობა — ზნეობას, პედერასტობა — ვაჟკაცობას, ნორმალურობა — არანორმალურობას და ყველა ნორმალური ადამიანის სიმპათია რუსეთის მხარეს იხრება.

ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი მსოფლიოში ლგბტ-პედერასტების უფლებების დაცვააო, — განაცხადეს ჰილარი კლინტონმა და ბარაკ ობამამ და ამაზე მეტი რაღა გინდათ ხელისუფლებაში თუ მის გარეთ მოვასვასე ამერიკის „შნირებო“?!

მიუხედავად ამისა, საქართველოში დღემდე არ არსებობს ძლიერი, ე.წ. რუსული ლობი და ეს, უწინარესად, რუსეთის ბრალია, რომელიც სერიოზულ კაპიტალს არ დებს ქართულ პოლიტიკაში და, რასაც დებს, ისეთ ოდიოზურ პიროვნებებზე გავლით, რომ პრორუსულობის იდეა თავშივე დისკრედიტებულია.

ამიტომაა, რომ **ქართულ პოლიტიკაში შესასვლელი საშვი იმაზე გადის, როგორ გაალმერთებ ამერიკას და, შესაბამისად, როგორ აგინებ რუსეთს!**

არადა, თუნდაც მხოლოდ იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთთან ერთ სახლში 2 საუკუნე ვიცხოვრეთ, ნორმალურია, რომ საქართველოში არსებობდეს პრორუსული, უფრო სწორად, პროქართული პარტია, რომელიც საქართველოს მომავალს რუსეთს დაუკავშირებდა და ამის გამო მოღალატედ არ შერაცხავდნენ.

აი, ეს კი იმის ბრალია, რომ საქართველოში დღემდე არ აღმოჩნდა პოლიტიკოსი, რომელიც პირდაპირ, ყოველგვარი რევერანსის გარეშე დასავლეთის თუ ადგილობრივი ლიბერასტების მიმართ გაბედავდა და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევდა...

ჰოდა, მე ვბედავ: **მხოლოდ რუსეთთან ერთად ვხედავ საქართველოს მომავალ განვითარებას, მხოლოდ რუსეთთან ერთად ვხედავ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, მხოლოდ რუსეთთან ერთად ვხედავ მართლმადიდებლობის გამარჯვებას და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ რუსეთთან ერთად ვხედავ საკუთარი იდენტობის გადარჩენას — სახელმწიფოც რომ მქონდეს და სამშობლოც!**

**დავით მხეიძე**




## ქართულ პოლიტიკაში შესასვლელი საშვი იმაზე გადის, როგორ გაალმერთებ ამერიკას და, შესაბამისად, როგორ აგინებ რუსეთს!

## მხოლოდ რუსეთთან ერთად ვხედავ საქართველოს მომავალ განვითარებას, მხოლოდ რუსეთთან ერთად ვხედავ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, მხოლოდ რუსეთთან ერთად ვხედავ მართლმადიდებლობის გამარჯვებას და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ რუსეთთან ერთად ვხედავ საკუთარი იდენტობის გადარჩენას — სახელმწიფოც რომ მქონდეს და სამშობლოც!

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სექსუალური ორიენტაცია“ — ეს ტერმინი ჰომოსექსუალების მოგონილია, რომლებიც ცდილობენ, თავი კარგ ასპექტში წარმოადგინონ. მათი მიზანია, იმისგან, რასაც სჩადიან, საზოგადოების ყურადღების გადატანა სხვა რამეზე. სურთ, თავი წარმოაჩინონ უბედურ ადამიანებად, რომლებსაც ცუდად ექცევიან, თითქოს ღმერთისგან აკრძალული საქმით არ არიან დაკავებულნი. ამ ლოგიკით, ჯანმრთელ და უბიწო ქმედებად უნდა ჩაითვალოს ზოოფილია, პედოფილია, ნეკროფილია, მაზოხიზმი, სადიზმი, ტრანსვესტიზმი, ვუაიერიზმი, ფეტიშიზმი. თუ ამ „არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის“ მიმდევრების მიმართ დისკრიმინაციას გამოიჩენთ, ესე იგი, თქვენ ფარისეველი ხართ.**

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში —კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

**საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.**

**რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...**

## ცისფრის 50 ელფერი

**ისინი საუბრობენ ტოლერანტობაზე, ამბობენ, „ჩვენც გვაქვს უფლება“; უჩივიან მათ წინააღმდეგ მოქმედ „ჰომოფობებს“. მიუხედავად ამისა, ყველგან არიან. შეიძლება ხელი ჩაიქნიო და თქვა, — ყველა ადამიანს აქვს უფლება, ისე გამოიყენოს თავისი უკანალი, როგორც სურს, მაგრამ ფაქტები, რომლებიც გამოამზეურა ამერიკულმა ორგანიზაციამ „საერთაშორისო კათოლიკური პოლოგეტები“ ბევრს შეაშფოთებს. „ბელარმინის მოხსენება“ (The Bellarmin Report), რომელიც დაწვრილებით აღწერს აშშ-ში გეების პოზიციებს, შოკს იწვევს, რადგან ეს მხოლოდ ერთი ქვეყნის მოვლენა არ არის. დასავლეთში ჰომოსექსუალების მიმართ დამოკიდებულება შემწყნარებლურია, ამიტომ მკვლევართა მიერ მოყვანილ ფაქტებში ეჭვის შეტანას აზრი არ აქვს. ამასთანავე, თითოეულ ფაქტზე მითითებულია ავტორიტეტული წყარო. ასე რომ, დასკვნები თვითონ გამოიტანეთ.**

### მანკიერებები, რომელთა გამოც არ უყვართ ჰომოსექსუალები

**1. გარყვნილება**

* ჰომოსექსუალთა შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ მათ 43 პროცენტს 500-ზე მეტი პარტნიორი ჰყავდა. 79 პროცენტმა აღიარა, რომ პარტნიორების ნახევარი მისთვის უცნობი ადამიანი იყო, ინტიმური კონტაქტების 70 პროცენტი კი იყო სექსი ერთი ღამით. ლგბტ-თემის წარმომადგენელთა საყვარელი გართობაა „კრუიზინგის ადგილების“ სტუმრობა ანონიმური სექსისთვის.

* ჰომოსექსუალი წელიწადში საშუალოდ 20-დან 106 პარტნიორს იცვლის, ჰეტეროსექსუალი კი — მთელი ცხოვრების განმავლობაში 8-ს.

**2. მავნე ჩვევები**

* ჰომოსექსუალური შეხვედრები ხშირად ეწყობა ნარკოტიკების ან ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ, ჰომოსექსუალების 25-30% ალკოჰოლიკია.

**3. „ცუდი“ სნეულებები**

* ჰომოსექსუალები ეწევიან არაჯანსაღ ცხოვრებას, რაც ხელს უწყობს ისეთი დაავადებების გავრცელებას, როგორიცაა სიფილისი, გონორეა, B ჰეპატიტი, „ნაწლავური გეისინდრომი“, ტუბერკულოზი, აგრეთვე, ჰერპესის ჯგუფის ციტომეგალიის ვირუსით დაავადება.

* ჰომოსექსუალთა 78 პროცენტი დაავადებულია ისეთი დაავადებებით, რომლებიც სქესობრივი გზით გადადის.

* ჰომოსექსუალებზე მოდის შიდსით დაავადებულთა 50%-ზე მეტი.

* შიდსით დაავადებულების მკურნალობაზე დაახლოებით 300 ათასი დოლარი იხარჯება, რის გამოც სამედიცინო დაზღვევის ფასმა ყველასთვის მოიმატა.

**4. მკვლელობები და ნარკოტიკები**

* ჰომოსექსუალებზე მოდის თვითმკვლელობების 50%.

* არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენელთა 37 პროცენტი სადომაზოხიზმითაა დაკავებული, რომელიც ხშირად იწვევს სიკვდილს.

* ჰომოსექსუალთა 41% ამბობს, რომ უცნობ ადამიანებთან სქესობრივი კონტაქტი ჰქონდა საპირფარეშოში, 60%-ს — აბანოში. ამ შეხვედრების 64 პროცენტი ნარკოტიკების გავლენის ქვეშ მიმდინარეობდა.

* „ცხელ ხაზზე“ ზარების 50% — ეს არის შეტყობინება ჰომოსექსუალების ცემის შესახებ.

* სიკვდილმისჯილი ქალების 50% ლესბოსელი იყო.

**5. პედოფილია**

* სექსუმცირესობის წარმომადგენელთა 33 პროცენტს დასაშვებად მიაჩნია სექსი არასრულწლოვანთან.

* არსებობს ჰომოსექსუალთა ჯგუფი, რომელშიც ათასობით წევრია გაერთიანებული და ცნობილია, როგორც სიყვარულის ამერიკული ასოციაცია „მამაკაცი და ბიჭი“ (NAMBLA). ამ ორგანიზაციის ლოზუნგია „სექსი რვამდე, ვიდრე ძალიან გვიანი არ არის“. ეს ჯგუფი აშშ-ში არსებული ყველა ჰომოსექსუალური ადგილის ხშირი სტუმარია.

* იმის გამო, რომ ჰომოსექსუალები ბუნებრივი გზით ვერ მრავლდებიან, ცდილობენ, ბავშვები გადაიბირონ. წევრები ჯგუფისა „შურისმაძიებელი ლესბოსელები“ ამაყობენ, რომ თავიანთ რიგებში უამრავ გოგონას იბირებენ. ბევრი გეი ცდილობს ისეთ ადგილებში შეღწევას, სადაც ურთიერთობა ექნება ბავშვებთან და მოზრდილებთან (სკოლებში, ბოისკაუტების ორგანიზაციებში, სასულიერო აკადემიებში და ა.შ.).

* აშშ-ში რეგისტრირებული ბავშვების გარყვნის შემთხვევათა 33 პროცენტი გეებზე მოდის. იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ის მოსახლეობის 2 პროცენტი სექსუმცირესობაა, გამოდის, რომ 20-დან ერთი ჰომოსექსუალი ბავშვის გამრყვნელია. ჰეტეროსექსუალებში კი ასეთ დანაშაულში 490-დან ერთია შემჩნეული.

* ჰომოსექსუალების 73 პროცენტს სქესობრივი კონტაქტი ჰქონდათ 19 წლამდე მოზარდებთან.



**ელტონ ჯონმა და მისმა ქმარმა დევიდ ფერნიშმა ორი ბიჭუნა იშვილეს. ბავშვებს წარმოდგენაც კი არ აქვთ, რა ელით მომავალში**

### როგორ ინგრევა მითები «სხვებისგან განსხვავებულების» შევიწროების შესახებ

**ახალგაზრდული ცოდვები**

* ჰომოსექსუალების საშუალო წლოვანება 42 წელია (მხოლოდ 9 პროცენტი ცოცხლობს 65 წლამდე). დაქორწინებული ჰეტეროსექსუალი მამაკაცის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 70 წელზე მეტია.

* ლესბოსელების საშუალო წლოვანება 45 წელია, დაქორწინებული ჰეტეროსექსუალი ქალის — 79 წელი.

**მათ არავის დაცვა არ სჭირდებათ**

* ჰომოსექსუალის საშუალო შემოსავალი წელიწადში 55,4 ათასი დოლარია (უდიდესი ნაწილი მათ განკარგულებაშია, რადგან არ სჭირდებათ შვილებზე ზრუნვა) მოსახლეობის სხვა ფენების წარმომადგენელთა საშუალო შემოსავალი წელიწადში 32,1 ათასი დოლარია, აფროამერიკელების — 12,1 ათასი.

* ცისფერთა 59,6% კოლეჯს ამთავრებს, სხვა ჯგუფების წარმომადგენლებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 18%-ია.

* ჰომოსექსუალების 49% ხელმძღვანელ თანამდებობაზეა, მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის მხოლოდ 15,9 %-ს აქვს მაღალი თანამდებობა.

**სამწუხარო დასასრული**

* ფსიქიატრთა უმრავლესობა ამტკიცებს, რომ ჰომოსექსუალთა შორის გაცილებით ნაკლებია ბედნიერი, ვიდრე ჰეტეროსექსუალთა შორის. ექიმ **დანიელ კაპრონის** აზრით, „ჰომოსექსუალიზმი არ არის ჯანმრთელი და სასარგებლო მოვლენა. ჰომოსექსუალი საუკეთესო შემთხვევაში იქნება უბედური და უფრო დაუკმაყოფილებელი, ვიდრე სექსუალურად ნორმალური ადამიანი“.

**ლოგიკური იქნება, თუ მათ ზოოფილებს შევადარებთ**

* „სექსუალური ორიენტაცია“ — ეს ტერმინი ჰომოსექსუალების მოგონილია, რომლებიც ცდილობენ, თავი კარგ ასპექტში წარმოადგინონ. მათი მიზანია საზოგადოების ყურადღების გადატანა იმისგან, რასაც სჩადიან. სურთ, თავი წარმოაჩინონ უბედურ ადამიანებად, რომლებსაც ცუდად ექცევიან, თითქოს ღმერთისგან აკრძალული საქმით არ არიან დაკავებულნი. ამ ლოგიკით, ჯანმრთელ და უბიწო ქმედებად უნდა ჩაითვალოს ზოოფილია, პედოფილია, ნეკროფილია, მაზოხიზმი, სადიზმი, ტრანსვესტიზმი, ვუაიერიზმი, ფეტიშიზმი. თუ ამ „არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის“ მიმდევრების მიმართ დისკრიმინაციას გამოიჩენთ, ესე იგი, თქვენ ფარისეველი ხართ.

ზემოჩამოთვლილი „სექსუალური ორიენტაციები“, ცნობილი როგორც „პარაფილიები“, ფსიქიკურ აშლილობად ითვლება ისევე, როგორც ადრე ითვლებოდა ჰომოსექსუალიზმი.

* გასული საუკუნის 70-იან წლებში გეიაქტივისტებმა აიძულეს ფსიქიატრების ამერიკული ასოციაცია (APA) ფსიქიკური დაავადებების სიიდან ამოეღოთ ჰომოსექსუალიზმი. მოგვიანებით ამავე სიიდან ამოიღეს პედოფილიაც.

**ისინი იმდენი არ არიან, რამდენიც სურთ, იყვნენ**

* ამჟამინდელი მონაცემებით, ჰომოსექსუალისტების რაოდენობა მოსახლეობის 1-2%-ის დიაპაზონშია.

**ამორალური ასპექტი**

* სექსუმცირესობის წარმომადგენელთა მთავარი მიზანია საზოგადოების ყურადღების შემცირება ჰომოსექსუალისტების მიმართ. „მთავარია, რომ ჩვენ მიმართ გულგრილი დამოკიდებულება ჰქონდეთ და არ გვკიცხავდნენ“. — ოცნებობენ გეიაქტივისტები. იდეალურ შემთხვევაში “ნორმალური სექსორიენტაციის” ადამიანებმა სექსუალური მისწრაფებები ისე უნდა შეადარონ ერთმანეთს, როგორც, მაგალითად, სხვადასხვა სახეობის ნაყინს ადარებენ, ან — სპორტის სახეობებს.

* სექსუმცირესობის პროგრამის ნაწილი საზოგადოებრიობის მიერ მათი ცხოვრების წესის აღიარებაა.

* ჰომოსექსუალების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, ადამიანებს ზიზღი გაუღვიონ ქრისტიანობის მიმართ.

**ციტატები:**

**უილიამ რიდლი, ლოს ანჯელესის პოლიციის კაპიტანი:**

— ლოს ანჯელესში ჰომოსექსუალების ძალადობის მსხვერპლი 30 ათასი ბავშვი შეიქნა.

**ჯონ მარტაუგი, ნიუ იორკის კრიმინალური სასამართლოს მთავარი მოსამართლე:**

— დიდ ქალაქებში მკვლელობების ნახევარს ჰომოსექსუალები სჩადიან.

**ნიკა კორინთელი**

**მომზადებულია უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით.**

ამ „სექსუალური აღზრდის“ გაკვეთილებით ბავშვს ფსიქიკას უნგრევენ! რას გამოიწვევს ეს?
— ნაადრევ სქესობრივ ცხოვრებას, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება ფსიქიკური გადახრები, უნაყოფობა, ცხოვრების საზრისის დაკარგვა, სულიერი დეგრადაცია და, ბოლოს, ნაადრევი ფიზიკური სიკვდილი. აქ აშკარად ეშმაკის მანქანებია ჩართული; და თუ ეს საზიზღრობა დემოკრატიის ნაყოფია, მე არ მინდა ასეთი დემოკრატია, არც ასეთი დემოკრატიული ქვეყანა, არც ასეთი დემოკრატიული ადამიანი, მეზობელი და შვილიც კი. დღეს დემოკრატიის პრინციპია: ათასი სულელი მირჩევნია ერთ ბრძენს, ჩემთვის კი ერთი ბრძენი უფრო ღირებულია, ვიდრე ათი ათასი სულელი!

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მამა ზაქარია:

# იმას, რაც ევროპულ სკოლებში დანერგეს, ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ «საღვთო რჯულის» გაკვეთილები

**რამდენიმე დღის წინათ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა წერილი: „დემონტრაკია ევროპულად, ანუ ევროპაში ჰეროდე აღსდგა“, რომელმაც მშობლების ვნებათაღელვა გამოიწვია. წერილში მოთხრობილი იყო, „სექსუალური აღზრდის“ ნიღბით რა საზიზღრობას ასწავლიან ბავშვებს არა მხოლოდ სკოლებში, არამედ საბავშვო ბაღებშიც კი. რამ მიიყვანა კეთილმოწყობილი, განათლებული და ა.შ. ევროპა ამ სულიერ სილატაკემდე? — ამ შეკითხვით მივმართეთ წმინდა სამების საკათედრო ტაძრის დეკანოზს, მამა ზაქარია ძინძიბაძეს.**



— ეს უბედურება, — ამბობს **მამა ზაქარია**, — ევროპას თავს დაატყდა არა XX საუკუნეში, არამედ გაცილებით ადრე — დაახლოებით 1054-56 წლებში, როდესაც ერთიან მართლმადიდებელ ეკლესიას გამოეყო რომის კათოლიკური ეკლესია. განკაცებულმა ღმერთმა — უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ დაგვიწესა კანონები, რომლებსაც უნდა დავემორჩილოთ, ასევე, დაგვიწესა წესები შესასრულებლად. კათოლიკური ეკლესია კი ისე გაკადნიერდა, რომ ადამიანისთვის იმაზე მეტი უფლებების მიცემა გადაწყვიტა, ვიდრე ღმერთმა უბოძა. ჩვენ **ვიციით, რომ მამა, ძე და სულიწმინდა ერთარსებაა და მამიდან გამოდის ძეც და სულიწმინდაც. კათოლიკებმა კი ბრძანეს: სულიწმინდა გამოდის მამიდანაც და ძიდანაცო; მერე თქვეს, რომ ღვთისმშობელი დაიბადა სულიწმინდითო. გამოდის, ქრისტე კი არ იყო მთავარი გარდამქმნელი, არამედ — ღვთისმშობელი, რომელიც აყვანილი ჰყავთ სამების დონეზე, რაც ყოვლად დაუშვებელია.** კიდევ — კათოლიკებმა რომის პაპს მიანიჭეს „შეუცდომლობა და უცოდველობა“. არადა, შეუცდომელი და უცოდველი მხოლოდ და მხოლოდ ღმერთია და არავითარ შემთხვევაში — ადამიანი. დაშვებულ მწვალებლობებს, როგორც წესი, მოჰყვება სხვა მწვალებლობები. ასეთი რამ აღმოჩნდა **ინდულგენცია**; ანუ ამ ინდულგენციის მყიდველს ღმერთი აპატიებდა ნებისმიერ ცოდვას. ხომ ხედავთ, რა ადვილი ყოფილა ცხოვრება?! **შეგეძლო, ყოფილიყავი მკვლელი, მეძავი, სოდომური ცოდვით შეპყრობილი ადამიანი და, მიუხედავად ამისა, აღსარებისა და გულწრფელი მონანიების გარეშე, ოღონდაც ფული გადაგეხადა, გახდებოდი უცოდველი.** ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც სინამდვილეში მოხდა: სირიის უდაბნოში ინდულგენციით მოვაჭრე მღვდელი შეხვდა მოხეტიალე ჯვაროსან რაინდს და შესთავაზა მას, ეყიდა ისეთი ინდულგენცია, რომელიც „ჩამოუწერდა“ არა მხოლოდ ადრე ჩადენილ ცოდვებს, არამედ მომავალ ცოდვებსაც. ინდულგენციის შეძენისთანავე, რაინდმა პირწმინდად გაძარცვა გამყიდველი. დაუწყო ამ სასულიერო პირმა ჯვაროსან რაინდს წყევლა.

— რატომ მწყევლიო, — გაუკვირდა „ჯვაროსანს“, — მე ხომ გადაგიხადე ფული ჩემი მომავალი ცოდვების გასაუქმებლადო?! აი, ასეთ ანეკდოტურ ვითარებამდეც მიდიოდა ინდულგენციით ვაჭრობის საქმე. **ამგვარმა დაშვებებმა და ადამიანისთვის გადამეტებული უფლებების მინიჭებამ, დროის განმავლობაში, ევროპაში გამოიწვია ისეთი აღვირახსნილობა, რომ კათოლიკურმა ეკლესიამ შექმნა ინკვიზიცია. კოცონები აგიზგიზდა ევროპის მრავალ ქალაქში, მაგრამ ასეთმა სასტიკმა ზომებმაც კი სასურველი შედეგი ვერ მოიტანა.**

ეკლესიის განხეთქილებიდან დაახლოებით ხუთასი წლის შემდეგ კათოლიკური ეკლესიის ამ თვითნებური დაშვებების საწინააღმდეგოდ გერმანიაში გაჩნდა პროტესტი. გერმანელებმა მოინდომეს მართლმადიდებლობისკენ დაბრუნება. სამწუხაროდ, ეს მათ ვერ შეძლეს და წარმოიშვა პროტესტანტიზმი. მისგან კიდევ სხვა „შეხედულებები“ გაჩნდა ქრისტიანობაზე და ა.შ. ახლა, როგორც იცით, უამრავი სექტაა.

**— რატომ „აირია მონასტერი“?**

— იმიტომ, რომ **თითოეულმა ევროპულმა ერმა ქრისტიანული რელიგია საკუთარ თავზე მოირგო, გამომდინარე პოლიტიკური, სოციალური ან ეკონომიკური კონიუნქტურიდან...** თავის დროზე ვასწავლიდი სკოლაში და, როდესაც ვუხსნიდი ბავშვებს, რა იყო მოსეს რჯულის ათი მცნება, მერე კი შევადარე ის თანამედროვე კანონებს, კონსტიტუციას, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო კოდექსებს, შრომის კოდექსს, ერთმა ბავშვმა მითხრა, რაც, უთუოდ, იყო სულიწმინდით ნაკარნახევი, რადგან ამას არათუ ბავშვი, დიდად განსწავლული ადამიანიც ვერ იტყოდა და მეც გაოცებული დავრჩი.

**— რა გითხრათ ასეთი?**

— მითხრა: **მამაო, ათი მცნების შესრულება არ გვინდა და ათასს როგორღა შევასრულებთო?!** მართლაც, ახლა ისე დაიქსაქსა და იმდენი კანონია, რომ თვით იურისტებიც დაიბნენ კანონთა სიმრავლითა და ხშირად მათი გაუგებრობითაც კი. საქართველოში არის კანონი, რომელიც განსაზღვრავს ცხვრების, ბატებისა და ინდაურების საკვების მიღების რაოდენობას და, აქედან გამომდინარე, გადასახადს. როდესაც კანონი ადამიანის სულის უკვდავებას ეხება და ზნეობას, ფრთხილად უნდა ვიყოთ. **ის, რაც თქვენ გაზეთში გამოქვეყნდა ევროპელ ბავშვებზე, შოკისმომგვრელია. დაუშვებელია, ადამიანმა ამ უბედურებას აუღელვებლად შეხედოს. წარმოიდგინეთ, ცხოველებშიც კი, რომლებსაც არ აქვთ არც ინტელექტი, არც აზროვნება, პატარა არსება ხელშეუხებელია! უსუსურს და უმწეოს ჟამითაც არ ჭამენ, პირიქით, დაობლებულს მშობელს უცვლიან!**

რა თქმა უნდა, სტატიაში ხსენებული გადახრები ევროპის კერძო სკოლებში ადრეც იყო, მაგრამ მათ არ ჰქონდათ კანონის ძალა. ქართველი კაცი ამგვარ უმსგავსობას არასდროს შეეგუება. გავიხსენოთ, უახლოეს წარსულში რა მდგომარეობაში ვიყავით, როდესაც შევიტყვეთ, თუ რა ხდებოდა გლდანის საპყრობილეში, როგორ შეურაცხყოფდა „ნაციონალური“ ხელისუფლება ბრგე ვაჟკაცებს... ახლა წარმოიდგინეთ, ასეთი რამ გაუკეთონ ბავშვებს.

**— მამაო, გერმანელი და შვეიცარიელი ბავშვები ციხეში არ იმყოფებიან.**

**— რა განსხვავებაა სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილ გაუგონარ დანაშაულსა და იმ „ექსპერიმენტს“ შორის, რომელსაც ატარებენ ევროპაში ბავშვებზე?**

**— არავითარი!**

**— ამ „სექსუალური აღზრდის“ გაკვეთილებით ბავშვს ფსიქიკას უნგრევენ. რას გამოიწვევს ეს?**

**— ნაადრევ სქესობრივ ცხოვრებას, რასაც აუცილებლად მოჰყვება ფსიქიკური გადახრები, უნაყოფობა, ცხოვრების საზრისის დაკარგვა, სულიერი დეგრადაცია და, ბოლოს, ნაადრევი ფიზიკური სიკვდილი. აქ აშკარად ეშმაკის მანქანებია ჩართული; და თუ ეს საზიზღრობა დემოკრატიის ნაყოფია, მე არ მინდა ასეთი დემოკრატია, არც ასეთი დემოკრატიული ქვეყანა, არც ასეთი დემოკრატიული ადამიანი, მეზობელი და არც ასეთი დემოკრატიული შვილიც კი! დღეს დემოკრატიის პრინციპია: ათასი სულელი მირჩევნია ერთ ბრძენს, ჩემთვის კი ერთი ბრძენი უფრო ღირებულია, ვიდრე ათი ათასი სულელი.**

**— „სექსუალური“ ცდებისთვის ბავშვები რატომ აირჩიეს?**

— იმიტომ, რომ ყველაზე უსუსურები არიან და არ აქვთ თავის დაცვის საშუალება. სამწუხაროდ, **იმრავლა გაუნათლებელი, უსულგულო და უტვინო მშობელთა რაოდენობამ, რომლებისთვის შვილი უკვე არა აღსაზრდელი, არამედ მოხმარების საგანია!** და კიდევ — ამ სატანური „პროგრამების“ ავტორებს ამოეწურათ გასარყვნელი ადამიანები, ყველა ზრდასრული გარყვნეს.

**— რა უნდა დაუპირისპიროს ქართველმა საზოგადოებამ ჯოჯოხეთურ მანქანას, რომელიც გვიახლოვდება თუნდაც „სექსუალური აღზრდის“ სასკოლო პროგრამით?**

— ევროპიდან ყველაფერს ბრმად ვიღებთ. არადა, ბაზარში რომ მივდივართ, პროდუქტს დაკვირვებით ვარჩევთ. ვირჩევთ საუკეთესოს, ხომ ასეა? მაგალითად, საფრანგეთში ბაყაყის ხორცი ეროვნული სამზარეულოს მშვენებაა და ღმერთმა შეარგოს ფრანგებს, მაგრამ მე, სულ მშიერი რომ დავრჩე, ბაყაყის ხორცს არ შევჭამ. ახლა, **ფრანგს რომ დავემსგავსო, აუცილებლად ბაყაყის ხორცი უნდა მივირთვა?** ან სკანდინავიის ქვეყნებში ერთ აბანოში ბანაობენ ქალებიც და კაცებიც. ეს მათი ტრადიცია ჩამოაყალიბა მკაცრმა ბუნებამ. იქ ძალიან ცივა. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, საქართველოში რომ დავნერგოთ ეს ტრადიცია. ვფიქრობ, რომ **ამ საზიზღრობას, რომელიც დანერგეს ევროპულ სკოლებში, ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ „საღვთო რჯულის“ გაკვეთილები, რომელიც გააუქმა სააკაშვილის დანაშაულებრივი ხელისუფლების „თვალსაჩინო“ მოღვაწემ კახა ლომაიამ და „ნაციონალების“ იდეოლოგმა გიგა ბოკერიამ. საზოგადოებამ კატეგორიულად უნდა მოითხოვოს ახლანდელი ხელისუფლებისგან, რომ სკოლებში დააბრუნონ „საღვთო რჯული“.** ეს იქნება კეთილი თესლი, რომელსაც დავთესავთ ჩვენი ბავშვების სულში.

**— ეკლესიურად რა სასჯელი ელოდება იმ ადამიანებს, რომლებიც ბავშვებს რყვნიან?**

— 54-ე ფსალმუნში ამაზე პირდაპირ არის ნათქვამი: **„დაატყდეს მათ სიკვდილი, ცოცხლად ჩავიდნენ ჯოჯოხეთში, რამეთუ ბოროტებაა მათ სადგომში, მათ შიგნით“.** თქვენს საგაზეთო წერილში არის ფრაზა: **„ქრისტემ ევროპა დატოვა“,** რომელიც ეკუთვნის დიდ იტალიელ რეჟისორ **ფედერიკო ფელინის** და, თუ არ ვცდები, მან ეს გასული საუკუნის 70-იან წლებში თქვა.

საინტერესოა, რას იტყოდა მაესტრო დღევანდელ ევროპაზე.

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

**«რა განსხვავებაა სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილ გაუგონარ დანაშაულსა და იმ «ექსპერიმენტს» შორის, რომელსაც ატარებენ ევროპაში ბავშვებზე?»**

**«ამ საზიზღრობას, რომელიც დანერგეს ევროპულ სკოლებში, ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ «საღვთო რჯულის» გაკვეთილები, რომელიც გააუქმა სააკაშვილის დანაშაულებრივი ხელისუფლების «თვალსაჩინო» მოღვაწე კახა ლომაიამ და «ნაციონალების» იდეოლოგმა გიგა ბოკერიამ. საზოგადოებამ კატეგორიულად უნდა მოითხოვოს ახლანდელი ხელისუფლებისგან, რომ სკოლებში დააბრუნონ «საღვთო რჯული»**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რუსეთისკენ გახსნილი გზა გაცილებით მეტი შეღავათია საქართველოს მოსახლეობისთვის, ვიდრე ევროპის ვიზების ლიბერალიზაცია, რადგან მილიონზე მეტი ქართველი რუსეთში ცხოვრობს, თანაც უკვე დიდი ხანია“.**

# რას მოუტანს საქართველოს ევროკავშირთან ვიზების ლიბერალიზაცია



**რამდენიმე დღის წინათ ევროკავშირის ლურჯ-ყვითელ ფერებში განათდა მთავრობის კანცელარია, ანძა, მშვიდობის ხიდი, თბილისის სხვადასხვა შენობაზე კი ევროკავშირის დროშები იყო გადმოფენილი. საქართველომ ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ევროკომისიის დადებითი ანგარიში იზეიმა. სპეციალურად ამ დღის აღსანიშნავად მთავრობამ ბიუჯეტიდან 220 450 ლარი გამოყო. შეგახსენებთ, რომ ევროკომისიამ საქართველოს მიერ უვიზო მიმოსვლის სამოქმედო გეგმის შესრულებაზე დადებითი ანგარიში გამოაქვეყნა. მასში ნათქვამია, რომ საქართველომ აღებული ვალდებულებები სრულად შეასრულა და საქართველოს მოქალაქეები შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლას რამდენიმე თვეში შეძლებენ. ევროკავშირის ამ გადაწყვეტილებას უმალ მოჰყვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის — ვლადიმერ პუტინის განცხადება, რომ რუსეთი მზადაა, საქართველოსთან უვიზო მიმოსვლა აამოქმედოს. რას მოგვიტანს ვიზების ლიბერალიზაცია, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს მას — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე პოლიტოლოგებს — ჰამლეტ ჭიპაშვილს, ვახტანგ მაისაიას, ვასილ ჭიჭინაძესა და თამარ კიკნაძეს ვესაუბრეთ.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი:**

— ჩვენ არ ვიცით, რა არის ჩადებული ვიზალიბერალიზაციის დოკუმენტში. ყურმოკვრით ვიცით, რომ არის 90-დღიანი გასვლა, რაც მოლდოვამ საქართველოზე გაცილებით ადრე მიიღო. ვიცით, რომ ეს ვიზა არ არის სამუშაო და განკუთვნილია ხანმოკლე ვიზიტებისთვის (90 დღის განმავლობაში). რა რეგულაციებია მასში ჩადებული, არ ვიცით და ეს მარტივი პროცესი არ არის. დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ შეგვიძლია ან აღვფრთოვანდეთ, ან შევშფოთდეთ. მანამდე კი მინდა ვთქვა: **ვიზების ლიბერალიზაცია კარგია მათთვის, ვინც აპირებს ევროპაში გამგზავრებას ხანმოკლე ვიზიტით. იმისათვის, რომ გაემგზავრო ევროკავშირის ქვეყნებში, აუცილებელია, აიღო ბიომეტრიული პასპორტი, უნდა დადო პირად ანგარიშზე რაღაც თანხა, თანხის ოდენობა ჯერ გარკვეული არ არის, აუცილებლად უნდა დაჯავშნო სასტუმრო. ქვეყანამ, რომელიც თავის ტერიტორიაზე გიშვებს, ზუსტად უნდა იცოდეს, რომ სასტუმრო დაჯავშნული გაქვს. არის ასეთი ნიუანსიც, აუცილებლად უნდა გქონდეს ბილეთი იქით-აქეთ წასასვლელ-წამოსასვლელი.** ახალი ხელშეკრულებით ისარგებლებს ის, ვინც არალეგარულად დადიოდა უცხოეთში, ანუ ადამიანები, რომლებიც საელჩოებთან ფულით აგვარებდნენ პრობლემას — აღარ მოუწევთ ქართველებს ჩემოდნებში ჩასხდომა და ისე გაპარვა. მიუხედავად იმისა, რომ **ქვეყნიდან ოფიციალურად გახვალ, დასაქმება მაინც არალეგალური იქნება, რადგან დადგენილი რეგულაციები სამუშაო ვიზას არ ითვალისწინებს.** მოკლედ, **ქართველი ევროპის ქვეყანაში ოფიციალურად მაინც ვერ იმუშავებს.**

**— საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის შესახებ განცხადება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმაც გააკეთა. ეს ყველაფერი დროში ერთმანეთს დაემთხვა...**

— შესაძლებელია, უბრალოდ, დამთხვევაა მართლაც, რადგან არა მგონია, რომ პუტინი გულისფანცქალით ელოდა პასუხს, რას მიიღებდა საქართველო ევროკავშირისგან. რუსეთში საქართველოსთან ვიზების გაუქმების თემა, დიდი ხანია, ტრიალებს — ეს ახალი ამბავი არ არის.

არც რუსეთის პრეზიდენტის და არც ევროკავშირის განცხადება საქართველოს ხელისუფლების დამსახურება არ არის. **რუსეთისკენ გახსნილი გზა გაცილებით მეტი შეღავათია საქართველოს მოსახლეობისთვის, ვიდრე ევროპის ვიზების ლიბერალიზაცია, რადგან მილიონზე მეტი ქართველი რუსეთში ცხოვრობს, თანაც უკვე დიდი ხანია. ამით ორ ქვეყანას შორის კავშირები აღდგება, რაც აუცილებელია.**

**— როგორი იქნება მომავალი წელი ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის?**

— არ ვიცი, თვითონ რას ელოდებიან, მაგრამ, თუ უნდათ, ვიზების ლიბერალიზაცია პლუსად ჩაიწერონ, ცდებიან. **ტაშფანდურა, რომელიც ვიზების ლიბარალიზაციას მოჰყვა, ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრაა.** ეს არაფერი არ არის, ასეთივე „საჩუქარი“ უკრაინასა და კოსოვოსაც მისცეს.

ევროკავშირის მხრიდან ვიზების ლიბერალიზაციის არმოცემა მოლდოვასთან ერთად „პოზაში“ ჩადგომა იყო, მათ მაშინ თავი დაიფასეს. ვიზების ლიბარალიზაცია, დიდი ხანია, დაგეგმილი იყო და თანაც ეს გაკეთდა რუსეთის წინააღმდეგ. რომ არ ყოფილიყო დღეს ეს ვითარება, ვნახავდით, რა ევროასოცირება და ვიზალიბერალიზაცია იქნებოდა. ყველაფერი რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული.

**— როგორ შეაფასებთ „საქართველო და მსოფლიოს“ ბოლო ერთწლიან მუშაობას?**

— „საქართველო და მსოფლიოს“ გამოსვლას ყოველ ოთხშაბათს ყველა ჩემი ახლობელი და მეგობარი ელოდება. მან უკვე დაიკავა საპატიო ადგილი ქართულ მასმედიაში. გაზეთი პოპულარულია მაშინ, როდესაც მართალია, ობიექტურია. „საქართველო და მსოფლიოს“ ვუსურვებ მეტ მკითხველს და დიდ ტირაჟს.



**ვახტანგ მაისაია:**

— ევროკავშირმა, ბოლოს და ბოლოს, აღიარა საქართველო და საზღვარი გაგვიხსნა. საქართველოს მოქალაქეებს პრობლემების გარეშე შეუძლიათ შენგენის ვიზის მიღება, რაც ყველა ქართველისთვის სასიხარულო იყო. მათ აღარ დასჭირდებათ სახლების გაყიდვა და საელჩოებშიც აღარ იქნება კორუფცია. შევსწრებივარ ვითარებას საელჩოში, როდესაც 50 ადამიანიდან ვიზას მხოლოდ ორი იღებდა და დანარჩენები შურიანი თვალებით უყურებდნენ. გარდა ამისა, ბევრ ადამიანს საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასვლა ესაჭიროებოდა, რაც თანხებს ზრდიდა და ისედაც მწირი დაფინანსებიდან ნახევარი ვიზაში უნდა გადაეხადათ, ეს პროცესები გამარტივდება.

**მართალია, კიდევ ბევრი ბარიერია და პროცესი ბოლომდე არ არის დასრულებული, მაგრამ წინ გადადგმული ნაბიჯია,** თუმცა ამ ყველაფერს თავისი უარყოფითი მხარეც აქვს. **საქართველოში უმუშევრობაა, ქვეყნიდან წასვლის სურვილი ბევრს აქვს, რაც ჩვენი დემოგრაფიული ფონდისთვის სერიოზული დარტყმა იქნება.** თავის დროზე, როდესაც ბალტიისპირეთის ქვეყნებს მოუხსნეს ვიზები, ლატვიიდან მოსახლეობის 40% წავიდა. ასე მოხდა ბევრ ქვეყანაში.

**— ამ ყველაფრის პარალელურად რუსეთმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ ორ ქვეყანას შორის ვიზები გაუქმდეს.**

— რუსეთისა და ევროპის ამ გადაწყვეტილებებს აქვს პოლიტიკური დატვირთვა. საქართველოს კარგი გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს, ახალმა ცივმა ომმა ახალი რეალობა შექმნა საქართველოში. პროცესები ორივე მხარემ დააჩქარა. საქართველო ეპიცენტრშია. ეს კარგია თუ ცუდი, მომავალში ვნახავთ.

**— როგორი იქნება 2016 წელი?**

— ამჟამად ძალიან გაურკვეველი ვითარებაა, მაგრამ ფაქტია, რომ 2016 საარჩევნო წელია და დაძაბულობაც იქნება. პოლიტიკური ტემპერატურა აპრილ-მაისში აიწევს.

**— „საქართველო და მსოფლიოს“ მუშაობას როგორ შეაფასებთ?**

— ძალიან კარგი გაზეთია. ყოველთვის რეალობას ასახავს, ობიექტურია, თავისუფალი. ყველა იმ პარამეტრს აკმაყოფილებს, რომლებიც თანამედროვე გაზეთს უნდა ჰქონდეს. „საქართველო და მსოფლიო“ თავისუფალი გაზეთია.



**თამარ კიკნაძე:**

— ყველაფერს აქვს თავისი უარყოფითი და დადებითი მხარე, ასეა ვიზალიბარალიზაციის შემთხვევაშიც. აღსანიშნავია, რომ რუსეთმაც განაცხადა ვიზების გაუქმების შესახებ. ეს ყველაფერი ძალიან კარგია, თუმცა ბეწვის ხიდზე გავლას ჰგავს.

ვიზალიბერალიზაციის დადებითი მხარე არის ის, რომ ჩვენი თანამემამულეები ბინებს აღარ გაყიდიან, რათა საზღვარგარეთ პურის ფული იშოვონ. ვიცით, ვიზის მიღება რამდენიმე ათასი ევრო ღირდა, ახლა თავისუფლად შეეძლებათ გადაადგილება, რაც კარგია ვაჭრობისთვის, სწავლის მიღებისთვის და ა.შ.

პირადად, მე **მერჩივნა, ჯერ ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო ქვეყანაში და ვიზების ლიბერალიზაცია მერე მომხდარიყო, რადგან დემოგრაფიული კატასტროფაა და ხელისუფლებას დიდი ძალისხმევა სჭირდება, რათა მოსახლეობის მასობრივი გადინება არ მოხდეს.**

რუსეთ-თურქეთს შორის დაძაბული ვითარებით უნდა ვისარგებლოთ და როგორღაც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პროდუქცია რუსეთის ბაზარს ვერ შეავსებს, გამოთავისუფლებული სეგმენტი მაინც ქართულმა პროდუქციამ უნდა დაიკავოს. სამწუხაროდ, საქართველოში საკმარისი პროდუქტი არ არის, სააკაშვილმა სოფლის მეურნეობა მთლიანად გაანადგურა.

ქვეყანას ვინ დატოვებს? — ჭკვიანი, პერსპექტიული ახალგაზრდა, რაც დიდი დარტყმა იქნება ჩვენთვის. ევროპასთან ვიზების ლიბერალიზაცია შემთხვევითი არ არის. ევროპას ძალიან უჭირს მუშახელი, პრობლემა აქვს დემოგრაფიული თვალსაზრისითაც. **ახალგაზრდებს, რომლებიც დასავლეთში მიდიან, არავინ ელოდება მაღალანაზღაურებად სამსახურებში, ქართველები იქ დამლაგებლები, ძიძები, მომვლელები არიან. შესაბამისად, ევროპაში ქართველთა კვალიფიკაცია არ მაღლდება, პირიქით...** რაც იმას ნიშნავს, რომ ხორციელდება პროგრამა — ქართველები მომსახურე პერსონალად უნდა იქცნენ.

მოკლედ, ხელისუფლებას დაფიქრება მართებს.

**— როგორი იქნება 2016 წელი?**

— 2016 წელი ჯერ არ დამდგარა და უკვე ხომ ხედავთ, როგორი კატაკლიზმებია საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. **მომავალი წელი იქნება დაძაბული, უნდა ველოდოთ ახალი პოლიტიკური ძალების გამოჩენას. რთული, ძალიან რთული წელი იქნება.**

**— როგორ შეაფასებთ „საქართველო და მსოფლიოს“ მუშაობას?**

— კარგი გაზეთია. შეზღუდულები არ ხართ. ძალიან მომწონს, რომ ყველა წერილი რუსულ ენაზე ითარგმნება. გაზეთი ადამიანების თავისუფალ აზრს გამოხატავს, რაც თქვენი საქმიანობის ყველაზე მთავარი სეგმენტია.



**ვასილ ჭიჭინაძე:**

**— „პრაგმატული პოლიტიკის შედეგად მიღებული დიდი გამარჯვება“ — ასე შეაფასეს ვიზების ლიბერალიზაცია საქართველოსთვის. რა სარგებლობის მომტანია ეს ყველაფერი ჩვენთვის?**

— ვიზების ლიბერალიზაციის პროცესი დასრულებული არ არის. ექვსი თვე კიდევ სჭირდება მის დამტკიცებას. ამ ექვს თვეში კარგად უნდა მოვიქცეთ, რომ „აუზში წყალი“ ჩაგვისხან. რაც შეეხება სარგებელს, ამიერიდან ვიზის მისაღებად რიგში დგომა არ იქნება საჭირო, მაგრამ **საზღვარგარეთ წამსვლელთა რაოდენობა რომ მოიმატებს,** საქართველოსთვის, არა მგონია, დადებითი იყოს. **ის, ვინც არალეგალურად მიდიოდა, უფრო ადვილად წავა და 90 დღის შემდეგ უკან არ დაბრუნდება.**

**— რუსეთმაც გადაწყვიტა, რომ საქართველოსთან უვიზო მიმოსვლა ჰქონდეს. ეს კი დროში დაემთხვა ევროპის გადაწყვეტილებას...**

— ძალიან საინტერესოა ჩვენი პოლიტიკოსების ქმედება. „რუსეთმა დაამთხვია“... „ნეტავ, ამით რის თქმა უნდა“... ამ მკითხაობასა და „ყავის ფინჯანში ჩახედვას“ არ სჯობია, თვითონ რუსეთის პრეზიდენტს ჰკითხონ, რა უნდა და რისთვის აკეთებს ამ ყველაფერს.

თუ რუსეთი გზას გაგვიხსნის, უკეთესია. მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს მეზობელ ქვეყანაში და მათ მიმოსვლის საშუალება ექნებათ. ქართველი გლეხი თავისი პროდუქციის გატანას შეძლებს. გარდა ამისა, **ვლადიმერ პუტინმა დიპლომატიური ენით გვითხრა, რომ, რასაც მოლაპარაკებით გადაწყვეტთ აფხაზებთან და ოსებთან, ჩვენთვის ყველაფერი მისაღები იქნებაო...**

**— 2016 საარჩევნო წელია. როგორ ფიქრობთ, მშვიდად ჩაივლის?**

— ხელისუფლებას წინ დიდი გამოცდა ელის, არჩევნები ზეწოლისა და გაყალბების გარეშე უნდა ჩაატაროს. და, თუკი ეს ასე მოხდა, საქართველოს მრავალპარტიული პარლამენტი ეყოლება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **ხელისუფლება არ ცდილობს საარჩევნო კანონის შეცვლას და წინააღმდეგობას უწევს დანარჩენი პარტიების მოთხოვნას, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერს გააკეთებენ, ხელისუფლებაში უმრავლესობით მოსასვლელად. კანონს საკუთარ თავზე ირგებენ, ისევე, როგორც ამას „ნაცები“ აკეთებდნენ.**

არეულობას ველოდები იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო კანონი არ შეიცვალა. საქართველოში არიან ძალები, რომლებსაც ხელს აძლევთ არეულობა და ამისათვის ყველა გზას გამოიყენებენ. კანონის არშეცვლა „ნაცებს“ ქუჩაში გამოსვლის მიზეზს მისცემს, მიუხედავად იმისა, რომ არსებული კანონი მათი მიღებულია. ვერ გეტყვით, ისევ ვარდებით ხელში დადგებიან თუ რას იზამენ, მაგრამ არჩევნების გაყალბების მიზეზით არეულობას რომ შეეცდებიან, ცხადია.

მთავრობა ვალდებულია, ქართველ ხალხს არეულობა თავიდან აარიდოს.

**— შეგვიფასეთ „საქართველო და მსოფლიო“.**

— ბრწყინვალე გაზეთი გაქვთ, წარმატებული. ოთხშაბათს, შუადღის შემდეგ, „საქართველო და მსოფლიოს“ ყიდვა შეუძლებელია. ვისურვებდი, რომ ტირაჟი მეტი ჰქონდეს და ხელმისაწვდომი იყოს მკითხველისთვის.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**„მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ პრაქტიკულად განადგურებული აგრარული სექტორი პრიორიტეტულად გამოაცხადა და მასშტაბური პროექტების განხორციელება დაიწყო, სოფლის მეურნეობა მიმზიდველი გახდა როგორც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის, ასევე, უცხოელი ინვესტორებისთვის“.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ოთარ დანელია:**

# სახელმწიფო პროგრამა «ქართული ჩაი» მომავალი წლიდან ამოქმედდება

**„საქართველო და მსოფლიო“ მკითხველს სთავაზობს ინტერვიუს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ დანელიასთან.**

**— ბატონო ოთარ, ვიფიქრე, რომ თქვენთვის ინტერვიუს ჩამოსართმევად მომეწვია არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის დარგის პრაქტიკული მართვის თვალსაჩინო მოღვაწეები. პირველად ბატონ ბაკურ გულუას მივმართე, აღიარებულ საზოგადო მოღვაწეს, რომელსაც 40 წლის განმავლობაში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე უმუშავნია, მათ შორის, სოფლის მეურნეობის მინისტრად. აღმოჩნდა, რომ ამ დღეებში მას თვითონ წარუმართავს თქვენთან საუბარი საპატრიარქოს რადიოს ეთერში. „ჩემს ყველა შეკითხვას მინისტრმა უპასუხა და შესაკითხი აღარაფერი დამრჩაო“, — მითხრა და განაგრძო:**

— ახლახან ერთ-ერთ ტელეარხზე სტუმრად ჰყავდათ მიწვეული ლაგოდეხის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს, რომელსაც მაშინ აგროსამრეწველო გაერთიანება ერქვა, ყოფილი უფროსი. ვუსმენდი ამ გადაცემას და, როცა რესპონდენტმა განაცხადა, რომ გულუას შემდეგ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი არ ჰყოლიაო, დაუყოვნებლივ მივმართე ამ კაცს: რატომ არაფერი თქვით სოფლის მეურნეობის დღევანდელ მინისტრ ოთარ დანელიაზე, რომელიც სანიმუშო ხელმძღვანელია-მეთქი? პასუხი არ მიმიღია.

დეკემბრის პირველ დღეებში მივლინებით ვიყავი თელავის რაიონში და კახეთის გუბერნატორ ირაკლი შიოლაშვილს ვთხოვე, შეეფასებინა მინისტრის მოღვაწეობა რეგიონის გადასახედიდან.

— დიდი მინისტრია და დიდ საქმეს გვიკეთებსო, — იყო მისი პასუხი.

**— რა საქმეებს გულისხმობდა გუბერნატორი? — ამას მე შეგეკითხებით.**

— სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებას და დიდი საქმეების კეთებას ერთი ადამიანი ნამდვილად ვერ შეძლებს. ამ გამოწვევას ერთიანი გუნდის (სოფლის მეურნეობის სამინისტრო, დარგის სპეციალისტები, ექსპერტები, მეწარმეები, ფერმერები და გლეხები) ერთობლივი ძალისხმევით ნამდვილად დავძლევთ.

ჩვენმა დარგმა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს. **მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ პრაქტიკულად განადგურებული აგრარული სექტორი პრიორიტეტულად გამოაცხადა და მასშტაბური პროექტების განხორციელება დაიწყო, სოფლის მეურნეობა მიმზიდველი გახდა როგორც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის, ისე უცხოელი ინვესტორებისთვის.**

დღეს სახელმწიფო რეალურად ზრუნავს სოფლის აღორძინებაზე, გლეხის, ფერმერის, მეწარმის ხელშეწყობასა და კეთილდღეობაზე.

ბოლო სამი წლის განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელდა, რომელთა პოზიტიურ შედეგებზე უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ. მხოლოდ რამდენიმე მაგალითს დაგისახელებთ.

**2013 წლიდან დავიწყეთ მცირემიწიან ფერმერთა დახმარების პროექტის განხორციელება. შედეგად, მიტოვებულ, ყამირად ქცეულ მიწებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულება დაუბრუნდა. მოსახლეობამ იგრძნო თანადგომა, იმედი მიეცა, მოტივაცია გაუჩნდა, სოფლის მეურნეობას გამოცოცხლების პროცესი დაიწყო.**

მთავრობის ხელშეწყობით შევიმუშავეთ პროექტები, რომლითაც შესაძლებელი შეიქნა აგრო-სასურსათო სექტორში დასაქმებულთათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო იაფი ფინანსური რესურსი. სწორედ ამ პროექტების ფარგლებში დაფინანსდა 139 ახალი საწარმოს შექმნა და 665 საწარმოს გაფართოება-გადაიარაღება.

ჩვენი მიზანია ბიზნესზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის განვითარება. ამისათვის აქტიურად მიმდინარეობს დანაწევრებული მიწების კონსოლიდაციის ხელშეწყობა. ფერმერთა ძლიერი ფენის ჩამოყალიბების, კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ეფექტიანობის გაზრდას, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას ყოველ მხრივ ვუჭერთ მხარს.

საქართველოს კლიმატური პირობებიდან და რელიეფიდან გამომდინარე, ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის აუცილებელია გამართული სამელიორაციო სისტემების არსებობა. ბოლო 25-30 წლის განმავლობაში სამელიორაციო სისტემები ჩვენთან მთლიანად იყო მოშლილი. ორი წელიწადია, რაც აღნიშნული მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ. **შეიძლება დანამდვილებით ვთქვა, რომ სამელიორაციო სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს ყველა რეგიონში ინტენსიურად მიმდინარეობს.**

წარმატებით ხორციელდება სოფლის მეურნეობის სამინისტროს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი — აგროდაზღვევის პროგრამა. **ბენეფიციარებს მინიმუმამდე აქვთ დაყვანილი სტიქიის შედეგად მოსალოდნელი ზარალის რისკი.**

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ ჩვენი ქვეყანა ახალი გამოწვევების წინაშე დადგა, რომელთა მნიშვნელოვანი წილი აგრარულ სექტორზე მოდის. სამინისტრო ამ მიმართულებითაც აქტიურად მუშაობს. შევიმუშავეთ რეგლამენტები, რომლებიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას და ქართული პროდუქციის ექსპორტის ზრდას.

დარგის განვითარებისთვის აუცილებელია სოფლის-მეურნეობის ექსტენციის განვითარება. სწორედ ამ მიზნით საქართველოში შევქმენით რეგიონული და მუნიციპალური საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები, რომლებშიც მეწარმეებს, ფერმერებსა და გლეხებს ახალი ტექნოლოგიების დასანერგად უტარდებათ სპეციალური კონსულტაციები. ამ გზით მიღებული ცოდნა მათ შესაძლებლობას აძლევს, გააუმჯობესონ საკუთარი საქმიანობა, აწარმოონ ხარისხიანი პროდუქტი, ფეხი მოიკიდონ გასაღების ახალ ბაზრებზე. ეს კი, შესაბამისად, გაზრდის მათ შემოსავლებს.

**ევროკავშირთან ერთად დავიწყეთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტის „სოფლის განვითარების პროგრამა“ განხორციელება, რომელიც არამხოლოდ სოფლის მეურნეობის, არამედ საერთოდ სოფლის განვითარებას ისახავს მიზნად.**

ეტყობა, ჩვენ მიერ განხორციელებული პროგრამების სიკეთე დაეტყო კახეთსაც და ბატონ ირაკლი შიოლაშვილს ეს ჰქონდა მხედველობაში, როცა ჩვენი საქმიანობა დადებითად შეაფასა.

**— შემდეგი შეკითხვით, ბატონო ოთარ, მოგმართავთ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე:**

**— ბატონო ოთარ, ნება მიბოძეთ, დაგიდასტუროთ ჩვენი აკადემიის თანადგომა და ღრმა პატივისცემა, ამასთანავე, დაგისვათ ერთი შეკითხვა:**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მთავარ დარგად დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა მეჩაიეობა, რომლის მზა პროდუქციის მაღალ ხარისხს განაპირობებდა ის ფაქტორიც, რომ ჩვენთან ჩაის ბუჩქის ვეგეტაცია გრძელდებოდა 6 თვე, რაც პლანტაციას აძლევდა რეაბილიტაციის კარგ საშუალებას: გროვდებოდა საჭირო ენერგია მაღალხარისხოვანი პროდუქციის მისაღებად.**

**ამჟამად მსოფლიო ბაზარზე ჩაის პროდუქციაზე მოთხოვნილება არა მხოლოდ იზრდება, არამედ მისი ფასიც მატულობს. მაინტერესებს, არსებობს თუ არა მეჩაიეობის განვითარების დეტალური, მეცნიერულად დამუშავებული გეგმა?**

— დიახ, არის: სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა შეიმუშავა. **სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“ მომავალი წლიდან ამოქმედდება. მინდა აღვნიშნო, რომ პროგრამის განხორციელების უმთავრესი მიზანი საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, მაღალი ხარისხის ჩაის, მათ შორის, ბიო ჩაის წარმოების ხელშეწყობაა.** პროგრამის ფარგლებში როგორც კერძო, ასევე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია განხორციელდება და ჩაის პირველადი გადამამუშავებელი თანამედროვე საწარმოები შეიქმნება. მოგეხსენებათ, ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს საქართველოში წარმოებული ჩაის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას, ასევე, მოსახლეობის დასაქმებას და მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის ფარგლებში სოფლის მეურნეობის სამინისტრო დონორ ორგანიზაციებთან ერთად, ბენეფიციარებს დავეხმარებით ჩაის სწორად დამუშავების ტექნოლოგიების შესწავლის, სერტიფიცირების, მარკეტინგის, სარეალიზაციო არხების შექმნის და ა.შ. საქმეში. იმასაც გეტყვით, რომ პროგრამის განხორციელების კვალად დაინერგება ისეთი სტანდარტები, რომლებიც აუცილებელია ქართული ჩაის ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტზე გასატანად. ამასთანავე, განსაკუთრებული შეღავათებია გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის, რაც, თავის მხრივ, საქართველოში კოოპერაციის განვითარებას შეუწყობს ხელს.

**— ცნობილი ეკონომისტის, მეცნიერებათა დოქტორისა და სრული პროფესორის — დავით იაკობიძის შეკითხვა ლაკონურია:**

**— როგორ ფიქრობთ, ბატონო ოთარ, როდის შეძლებს საქართველო თავისი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას ადგილობრივი წარმოებული ხორბლის მოსავლით?**

— ბატონო დავით, ამ ეტაპზე კონკრეტული დროის დასახელება გამიჭირდება, ამისთვის არაერთი წელიწადია საჭირო, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ უახლოეს მომავალში ქვეყანაში აღარ იქნება ხარისხიან, მაღალპროდუქტიულ სათესლე მასალაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა. როგორც იცით, **სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიქმნა ახალი უწყება — სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელშიც დასაქმებულია სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სპეციალისტები, ამ საქმის პროფესიონალები. სწორედ ეს ცენტრი აწარმოებს ხორბლის, ქერის, შვრიის, ჭვავის, სიმინდის, ბოსტნეულ-ბაღჩეულის, კარტოფილის, პარკოსნებისა და ტექნიკური კულტურების ჯიშთა გამოცდას.** ჯიშთა გამოცდის მთავარი მიზანი საქართველოს სხვადასხვა აგროკლიმატურ ზონებში კონკრეტული რეგიონისთვის ყველაზე უკეთ ადაპტირებული და მავნებელ დაავადებათა მიმართ გამძლე მაღალპროდუქტიული ჯიშების შერჩევა და დანერგვაა. ხარისხიანი სათესლე მასალის არსებობა კი ერთ-ერთი წინაპირობაა ხარისხიანი, უხვი მოსავლის მისაღებად. ღონისძიებათა ეს კომპლექსი საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს იმას, რომ ქვეყანამ საკუთარი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება ადგილობრივი პროდუქციით შეძლოს.

**— ვისარგებლებ ავტორის უფლებით და ორიოდე შეკითხვით მეც მოგმართავთ:**

**— რუსეთთან სოფლის მეურნეობის პროდუქციით ვაჭრობას რა პერსპექტივა აქვს? ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ამ საქმის ფეხზე დაყენება ევროპული ფასეულობების ღალატი იქნება. თქვენც ასე ფიქრობთ?**

— საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებით, ხაზი გაუსვა ევროპულ არჩევანს. „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით“ (DCFTA) ქართული პროდუქციისთვის გაიხსნა მსოფლიოს უდიდესი საექსპორტო ბაზარი — 500-მილიონიანი ევროპის ბაზარი. ქართულ პროდუქციას ნამდვილად აქვს პოტენციალი ევროპის ბაზარზე დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი. როგორც აღვნიშნე, ამ მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ.

**დღეს არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ავირჩიოთ საექსპორტო ბაზრები. ყველა ბაზარი, სადაც ჩვენს ფერმერებს პროდუქციის გატანა შეუძლიათ, მნიშვნელოვანია. რუსეთის ბაზარი საქართველოსთვის ტრადიციული ბაზარია. წლების განმავლობაში ქართულ პროდუქციას რუსულ ბაზარზე თავის ნიშა ჰქონდა. შესაბამისად, ქართულ პროდუქციას იქ დასამკვიდრებლად განსაკუთრებული ძალისხმევა არ სჭირდება.**

მთავრობა აქტიურად მუშაობს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის მიმართულებით და მნიშვნელოვანი შეგედებიც უკვე გვაქვს. ქართული პროდუქცია ექსპორტზე გადის ისეთ ბაზრებზე, როგორიცაა ჩინეთი, იაპონია, აშშ, შუა აზიის ქვეყნები, პოლონეთი, უკრაინა და ა.შ.

**— კადრების პრობლემა. ადვილი წარმოსადგენლია, რა დონეზე იდგა პროფესიონალი კადრების შერჩევის საკითხი სამინისტროში, როდესაც ერთ-ერთ ყოფილ მინისტრს ხარი მამალი ძროხა ეგონა(!). გადაახალისეთ სამინისტროს აპარატი, თუ ხელი არავისთვის გიხლიათ ყბადაღებული კოაბიტაციის პრინციპიდან გამომდინარე?**

— ბოლო 15-20 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის დარგი მივიწყებული, არაპრესტიჟული იყო. შესაბამისად, ამ მიმართულებით განათლების მიღება ბევრს არ სურდა. ამან განაპირობა ის, რომ **დღეს სოფლის მეურნეობის დარგში ახალგაზრდა პროფესიონალი კადრების დეფიციტია.** მისასალმებელია, რომ დღეს აგრარული მიმართულების არაერთი სასწავლებელი ამოქმედდა და ვიმედოვნებ, რამდენიმე წელიწადში ახალგაზრდა პროფესიონალი კადრების პრობლემა გადაწყდება.

**— სადაცაა დადგება ახალი 2016 წელი. 2015-ში თქვენი სამინისტროს ყველაზე დიდ მიღწევად რა მიგაჩნიათ? რა დარჩა გასაკეთებელი?**

— რომელიმე ერთის გამოყოფა გამიჭირდება, რადგან ბოლო ორი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ბევრი სამუშაო განახორციელა. ჩვენთვის ყველა პროექტი მნიშვნელოვანია, ყველა პროექტს კონკრეტული მიმართულება აქვს. ზოგი დარგის გრძელვადიანი განვითარებისკენ არის მიმართული, ზოგი დარგის სტიმულირებას უწყობს ხელს. ფაქტობრივად, ყველა იმ პროექტის განხორციელება აუცილებელი იყო, რათა სოფლის მეურნეობის სექტორი გამოცოცხლებულიყო და ინვესტორთათვის მიმზიდველი გამხდარიყო.

მომავალ წელს სამინისტრო აქტიურ მუშაობას ყველა მიმართულებით განაგრძობს. კვლავ გაგრძელდება შეღავათიან ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელი ინსტიტუციური განვითარების, სოფლად ინფრასტრუქტურისა და თანმდევი საქმიანობების განვითარების ხელშეწყობა.

გაგრძელდება მიზნობრივი პროგრამების განხორციელება, დაიწყება ჩაის რეაბილიტაციის, შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების, სანაშენე მეურნეობების თანადაფინანსების პროექტები, აგროსასურსათო სექტორის საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენებისთვის ხელშეწყობა.

დაგეგმილია ღვინის ეროვნული სააგენტოს ბაზაზე ეროვნული მარკეტინგული სააგენტოს შექმნა. მუშაობა მიმდინარეობს აგროდაზღვევის მდგრადი განთარებისთვის აუცილებელი გრძელვადიანი მოდელის შესაქმნელად, შეიქმნება ახალი ინსტიტუცია, რომელიც უზრუნველყოფს აგროდაზღვევისა და ზარალის შეფასებების საერთო სტანდარტების შემუშავებას, რისკის დაზღვევის ერთიანი სისტემის შექმნას, გააქტიურდება ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების ხელშეწყობა.

**რა დაგვრჩა გასაკეთებელი? — ყველა იმ პროექტის წარმატებით გაგრძელება, რომელთა განხორციელებასაც ხელი მოვკიდეთ.**

**ესაუბრა**
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. რედაქცია მადლობას უხდის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს — ნანა ჩინჩილაკაშვილს ინტერვიუს ორგანიზებაში გაწეული დახმარებისთვის.**

საზოგადოებრივი აზრი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ფინიასავით სხვებს იმიტომ ვართ მიჩერებული, დახმარება რომ არ შეგვიწყვიტონ, ჩვენი თუ არ გავაკეთეთ, პირში ჩალაგამოვლებულები დავრჩებით. ჩვენმა ხელისუფლებამ იმდენი კი იცის, რომ უშნოდ არ აუხირდეს დიდ იმპერიებს, ცარიელზე დარჩენის შიშით. ჩვენი რომ გაგვაკეთებინა, ამისათვის უნდა გვქონოდა კონცეფცია — ვინ ვართ, სად არის ჩვენი ადგილი დღევანდელ მსოფლიოში, ანუ გვეპოვა ჩვენი ნიშა პოლიტიკურიც და ეკონომიკურიც“.

# როგორი იყო 2015 და რას უნდა ველოდოთ 2016 წელს?

**ისინი „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს ხშირად უზიარებდნენ თავიანთ კომპეტენტურ აზრს ქვეყნის წინაშე მდგარ პრობლემებზე. გაზეთის დღევანდელ ნომერში დასრულების პირზე მიმდგარ 2015 წელს შეგვიფასებენ და ორიოდ სიტყვას ჩვენს გაზეთზეც იტყვიან გამოჩენილი ადამიანები. „ვისაც ყურნი აქვს სასმენად, ისმინოს“.**

**(მარკ. 4,9).**



**ანზორ მაისურაძე, უშიშროების გენერალ-მაიორი:**

— ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც მკვეთრად შეცვალა მოვლენების განვითარება მსოფლიოში, ხაზგასმით ვამბობ, **რუსეთის მიერ ე.წ. ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული საავიაციო და სარაკეტო დარტყმებია.**

ამ მოვლენას განსაკუთრებით იმიტომ გამოვყოფ, რომ მან საერთოდ შეცვალა მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების დამოკიდებულება და, რაც მთავარია, პრაქტიკული ქმედება ტერორიზმის ამ ბუდის წინააღმდეგ, რომელიც ცივილიზაციას განადგურებით ემუქრება. **ის, რაც ცოტა ხნის წინათ წარმოუდგენელი იყო, კერძოდ, რუსეთისა და აშშ-ის პოზიციების დაახლოება „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში, დღეს რეალობად იქცა.** თქვენი მკითხველები უთუოდ მიაქცევდნენ ყურადღებას, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ ეს-ესაა მიიღო რუსეთისა და შეერთებული შტატების მიერ ერთობლივად შემუშავებული რეზოლუცია „ისლამური სახელმწიფოსთვის“ ფინანსური დახმარების წინააღმდეგ — ეს ერთი. და მეორე — 18 დეკემბერს — რეზოლუცია სირიის პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის თაობაზე.

აქ ერთი მომენტია გასათვალისწინებელი: როცა „ისლამურ სახელმწიფოს“ ბომბავ, გინდა-არ გინდა, მუსლიმურ სამყაროს შენ წინააღმდეგ განაწყობ, რაც პირდაპირ ან ფარულად ვლინდება. რვა წლის განმავლობაში ვმუშაობდი იმ რეალობაში და ვიცი მათი სოლიდარული დამოკიდებულება ერთმანეთის თუ, საერთოდ, მაჰმადიანური ქვეყნების მიმართ. **ისინი „თავიანთი მუსლიმი ძმების“ წინააღმდეგ ძალადობრივი ზემოქმედების — დაბომბვის, დახოცვის — წინააღმდეგნი არიან, მიუხედავად იმისა, მხარს უჭერენ თუ მიუღებლად მიიჩნევენ ისლამურ რადიკალიზმსა და ტერორიზმს.**

თავისთავად ის, რომ რუსეთი „ისლამურ სახელმწიფოს“ ბომბავს, დადებითი მოვლენა და ყოველმხრივ გამართლებული ქმედებაა, მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ მოვეშვათ, მოვდუნდეთ. ამას ახლახან განხორციელებული ტერორისტული აქტები მოწმობს (რუსული სამგზავრო თვითმფრინავის აფეთქება, ტერაქტები პარიზში, ალკვეთილი ტერაქტები ევროპაში, აშშ-ში ტერორისტი ცოლ-ქმრის მიერ მშვიდობიანი მოქალაქეების დახოცვა და ა.შ.).

ეს ნიშნავს, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალური ფრონტი აუცილებლად უნდა გაიშალოს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს ბრძოლა ხანმოკლე არ იქნება. ხომ **ფაქტია, რომ, ინტენსიური დაბომბვების მიუხედავად, „ისლამურ სახელმწიფოში“ ტერორისტების რაოდენობა არ მცირდება: მათი რიგები ივსება როგორც მაჰმადიანური ქვეყნებიდან, მათ შორის, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, ასევე საფრანგეთიდან, ბელგიიდან, შოტლანდიიდან და ნიდერლანდის სამეფოდან.** თუმცა ისიც უეჭველია, რომ ეს ძალისმიერი დაპირისპირება, ბოლოს და ბოლოს, მშვიდობიანი, დიპლომატიური გზით შეიცვლება. იმედი ვიქონიოთ, რომ იგი წარმატებული იქნება.

სხვათა შორის, ამაზე ვლადიმერ პუტინმაც ილაპარაკა 17 დეკემბრის დიდ პრესკონფერენციაზე, რომელიც მოსკოვში გაიმართა...

ერთსაც ვიტყვი: 20 დეკემბერს რუსეთის ტელეარხ РТР-ზე დემონსტრირებულ დოკუმენტურ ფილმ-დიალოგში ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი მზადაა, ითანამშრომლოს ევროპულ სტრუქტურებთან. ბევრის მანიშნებელი ფაქტია!

ახლა — „საქართველო და მსოფლიოს“ შესახებ. მე ვამბობ, და ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის, არამედ ბევრი ადამიანის, ვისთანაც ვურთიერთობ, რომ **„საქართველო და მსოფლიო“ ერთ-ერთი თვალსაჩინო გაზეთია შინაარსობრივად, პრობლემების მრავალმხრივი გაშუქებისა და მაქსიმალურად ობიექტური პოზიციით.**

გისურვებთ, გაისადაც ამ გზით გევლოთ, წარმატებით და შეუცდომლად!



**გიორგი შენგელაია, კინორეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი:**

— ხალხის ცხოვრების დაცემა, ეს ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიო გადანაწილებამ გამოიწვია. **ჩვენ აღმოვჩნდით დაახლოებით ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიც გიორგი XII მეფობის ხანაში ვიყავით, როცა საქართველოს მეფე შუა ბაზარში ჩადიოდა და სომხებისგან ფულს სესხულობდა.**

ჩვენი უბედურება არის ის, რომ დღეს სახელმწიფო ფასობს იმით, აქვს თუ არა გაზი და ნავთობი. ჩვენ არც ერთი არ გვაქვს, რადგან სოფლის მეურნეობის ქვეყანა ვართ. გვქონდა დიდი ბაზარი — რუსეთი და დავკარგეთ.

იმედი მაქვს, რომ, ბოლოს და ბოლოს, დამთავრდება დაპირისპირება დასავლეთსა და რუსეთს შორის, კონფლიქტები სირიაში და სხვაგან, და ჩვენ მაინც რუსეთზე გავალთ, რადგან იმ ჩაკეტილ სისტემაში, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნების არსებობის პირობებში, ჩვენზე მორგებული ფუნქცია გვქონდა დაკისრებული და ამით ვარსებობდით. არა მგონია, რომ მაინცდამაინც დღევანდელ პირობებში მოხდება ასე, მაგრამ **გაივლის დრო, შეიცვლებიან ხელმძღვანელები, შეიცვლება სიტუაციაც და ყველაფერი მოგვარდება. ჩემი და შენი თაობა ამას შეიძლება ვერ მოესწროს, მაგრამ ასე მოხდება უეჭველად.**

**საყოველთაოდ ცნობილია, რომ კაცობრიობა გადარჩა და განვითარდა იმიტომ, რომ ოჯახში იყო კანონი, პატივისცემა, სიყვარული.**

ასეა ახლა?!

ჩვენს ნაკლოვანებებს მივხედოთ და ქრისტეს მცნებანი გავიხსენოთ, სახარებაში ჩავიხედოთ ხშირად: „გიყვარდეს მოყვასი, ვითარცა თავი შენი“. და არა — სააკაშვილი და მისი ხალხი და ეს, უცხოეთიდან გადმოღებული კოაბიტაცია. ეგ ხალხი — ნაციონალები — არ ვარგა. აი, ხომ ნახეთ, გუშინ თუ გუშინწინ უკრაინაში როგორც იქცეოდა ეგ კაცი — სააკაშვილი?!

ნაცებმა არჩევნებში შეიძლება ხმების რაღაც ნაწილი მიიღონ, რადგან ჰყავთ თავიანთი კაცები, რომლებიც იმ დროს ფულს აკეთებდნენ და ახლა ვერ აკეთებენ, მაგრამ მაგათი დრო წასულია.

საზოგადოდ, ეს წელიწადი მძიმე იყო. მომავალიც იოლი არ ჩანს. ევროკავშირში ჩვენი შესვლა ხანგრძლივი პროცესია, უნდა შევასრულოთ ყველა ის პირობა, რომელსაც გვიყენებენ, რაც ორ-სამ დღეში, რა თქმა უნდა, ვერ შესრულდება. ჯერ კიდევ კონფუცი ამბობდა, ყველაზე ცუდი სახელმწიფო არის ღარიბი სახელმწიფოო...

ჩვენთან ყველანი ადგილებისთვის იბრძვიან, ეს ხომ ჩანს. ამ მთავრობის მიკვირს: რამდენჯერ ვთქვი და დავწერე გაზეთში — გააუქმეთ ეს პრემიები, კაცო, აჩვენეთ, რომ მართლა ხალხის მთავრობა ხართ, მაგრამ ერთი გრაფიდან მეორეში გადააქვთ და ყველაფერი უცვლელად რჩება.

**ღარიბაშვილმა უნდა დაარტყას მუშტი და თქვას: არავითარი პრემიები და არავითარი დანამატები!**



**ნაპოლეონ ქარქაშაძე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი:**

— უწინარეს ყოვლისა, მინდა, ვთქვა, რომ თქვენმა გაზეთმა სერიოზული სეგმენტი დაიკავა ქართულ მედიასივრცეში, გახდა პოპულარული. რაც მთავარია, თქვენ იწვევთ ისეთ მოღვაწეებს გაზეთთან სათანამშრომლოდ, რომლებსაც აქვთ დიდი ავტორიტეტი ჩვენს საზოგადოებაში. იმ წრეში, რომელშიც მე ვტრიალებ, ამ გამოცემას კითხულობს ყველა.

მომწონს ზომიერი კრიტიკა, ხოლო როცა საჭიროა, არც მძაფრ კრიტიკას ერიდებით, მიუხედავად ადრესატის თანამდებობისა.

ეს, რაც შეეხება გაზეთს.

ახლა — იმ ვითარებაზე, რომელიც ქვეყანაშია შექმნილი.

გულწრფელად გეტყვით, რომ არა მხოლოდ მე, არამედ, როგორც ვიცი, საზოგადოებაც უკეთესს ელოდა. მხოლოდ ის, რომ არავისი და არაფრის შიში აღარ გვაქვს და ქუჩაში არავინ გვაპატიმრებს, მაინცდამაინც დიდი მონაპოვარი არ არის. ყოფილმა ხელისუფლებამ დაარღვია ის, რასაც ჩვეულებრივი, სამოქალაქო ურთიერთობა ითვალისწინებს და ახალმა აღადგინა ის, რაც უნდა ყოფილიყო ყოველთვის. ე.ი. ეს დიდი წინსვლა და განვითარება კი არ არის, არამედ წონასწორობისა და სიმშვიდის დაბრუნებაა.

მოგეხსენებათ, ეკონომიკა განსაზღვრავს ქვეყნის მდგომარეობას სახელმწიფოს საზღვრებს შიგნითაც და საერთაშორისო ასპარეზზეც. თუ ხელისუფლებას თავისი ხალხი დაკმაყოფილებული ჰყავს ძირითადი საკვები პროდუქტებით, ახორციელებს უსაფრთხო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკას, მაშინ ამ ქვეყანას და ამ ხალხს თავში იოლად ვერავინ წამოარტყამს.

**ფინიასავით სხვებს იმიტომ ვართ მიჩერებული, დახმარება რომ არ შეგვიწყვიტონ, ჩვენი თუ არ გავაკეთეთ, პირში ჩალაგამოვლებულები დავრჩებით. ჩვენმა ხელისუფლებამ იმდენი კი იცის, რომ უშნოდ არ აუხირდეს დიდ იმპერიებს, ცარიელზე დარჩენის შიშით.**

ჩვენი რომ გაგვეკეთებინა, ამისათვის უნდა გვქონოდა კონცეფცია — ვინ ვართ, სად არის ჩვენი ადგილი დღევანდელ მსოფლიოში, ანუ გვეპოვა ჩვენი ნიშა — პოლიტიკურიც და ეკონომიკურიც.

იმაზე მეტი არ უნდა ვთქვათ, რისი თქმის უფლებაც გვაქვს. თუ ზედმეტს ვიტყვით, უწინარესად, ჩვენვე დავზარალდებით, ქვეყნის იმიჯს ვგულისხმობ. დიდი პოლიტიკა კატათაგვობანას თამაში არ არის, შეიძლება ისე დაგარტყან თათი, რომ შენგან არაფერი დარჩეს.

არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ ორი ურთიერთდაპირისპირებული იმპერიის შუაში ვართ, რომელთა მთლიანი შიდა პროდუქტი ათასჯერ აღემატება შენსას, ამიტომ, ძალიანაც რომ მოინდომო, ამ სივრციდან ვერ გახვალ.

**ნიუტონის მიზიდულობის კანონი ეკონომიკურ ურთიერთობებშიც მოქმედებს. შენი მეზობლის — რუსეთის ეკონომიკის მიზიდულობის გავლენიდან გასვლა გამორიცხულია. ეს არ ნიშნავს, დავუჩოქოთ რუსეთს, არამედ უნდა ვაჩვენოთ ჩვენი წონა და მნიშვნელობა, რომელიც საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარეობს. საქართველო სჭირდება რუსეთსაც და აშშ-საც და ამიტომ უნდა შევეძლოს მათთან „ვაჭრობა“ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.**

ერთი უცხოელი მეცნიერი მეწვია ახლახან და, როცა ვსაუბრობდით, მითხრა: რა დაბალი განათლება უნდა გქონდეთ, რომ თქვენი გეოგრაფიული მდგომარეობა არ გამოიყენოთო. თქვენ შეგიძლიათ საერთოდ არ იმუშაოთ ფიზიკურად და იცხოვროთ ღმერთებივითო. მართალი იყო ის კაცი...

მოდი, დავაფასოთ ადამიანები იმით, ვის რისი გაკეთება შეუძლია. ამას ჩვენს ხელისუფალთ ვეუბნები, რომელთაც სრულად იგნორირებული ჰყავთ დიდი გამოცდილების მქონე, დიდი პროფესიონალების უფროსი თაობა. მათგან არც ერთი თანამდებობას არ ითხოვს, მხოლოდ დაიყენეთ გვერდით, რჩევა ჰკითხეთ, თქვენთვისა და ქვეყნისთვის იქნება სასარგებლო. ან, რასაც ისინი წერენ, ის მაინც წაიკითხეთ, ბატონებო!..

მინდა, რომ 2016 წელი უკეთესი იყოს!



**ზარბეგ ბერიაშვილი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, ოლიმპიადის პრიზიორი:**

— 2015 წელი საქართველოს სპორტსმენების გამარჯვების წელიწადი იყო. უწინარეს ყოვლისა, ეს ქართველ მოჭიდავეებზე ითქმის. თვალს ვერ დავხუჭავთ ჩავარდნებზეც, რომელთა გამოსწორებაზე სპორტის მესვეურებმა აუცილებლად უნდა იზრუნონ 2016-ში. ამის პოტენციალი საქართველოში არსებობს. ნაკლოვანებებზე საუბარი წინასაახალწლო დღეებში არ მსურს. მთავარია, იმათ არ დაივიწყონ, ვისაც ქართული სპორტის ესა თუ ის დარგი აბარია.

მიმდინარე წლის ბოლო დღეები განსაკუთრებით სასიხარულო აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისთვის და ქართველი ხალხისთვის: 18 დეკემბერს ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის საფუძველზე ევროპაში ჩვენი მოქალაქეების უვიზო მიმოსვლა პრაქტიკულ რელსებზე დადგა. ეს მნიშვნელოვანი მონაპოვარი და პრაქტიკული საქმეა, რომელიც ჩვენი ხელისუფლების მოღვაწეობის შედეგია.

ვისურვებდი, ასეთივე შედეგები მოეპოვებინოს ქვეყანაში უფრო მეტი დემოკრატიის დასამყარებლად, ადამიანის უფლებების უფრო მეტად დასაცავად, ჩვენი ეკონომიკის ფეხზე დასაყენებლად.

ამასთანავე, დარწმუნებული ვარ, რომ უვიზო მიმოსვლაზე არც რუსეთთან უნდა ვთქვათ უარი. ამა- ▶

**„ჩვენც და აზერბაიჯანსაც ტერიტორიული პრობლემები გვაქვს, ამიტომ ორივე ქვეყანასთან კარგი ურთიერთობა უნდა გვქონდეს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება რუსეთ-სომხეთის ურთიერთობა. რუსული ბაზები სომხეთის ტერიტორიაზეა და, ხაზს ვუსვამ, ამ ვითარებაში, ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველოს სახელმწიფოს პოზიცია იყოს აბსოლუტურად ნეიტრალური“.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ზე ვლადიმერ პუტინმა პირდაპირ მიგვანიშნა ამ დღეებში გამართულ პრეს-კონფერენციაზე. ეს, ჩემი აზრით, აუცილებელია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისთვის, პერსპექტივაში კი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. მიხარია, რომ ამ კონცეფციის მხარდასაჭერად გაზეთმა „საქართველო და მსოფლიომ“, რომელთანაც წლების განმავლობაში თანამშრომლობა ჩემთვის დიდი პატივია, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

კვლავაც წარმატებებს გისურვებთ, ჩემო მეგობრებო!



**თემო გოცაძე, საქართველოს სახალხო მხატვარი:**

— თუ პირად ჭრილში განვიხილავ 2015 წელს, შემიძლია ვთქვა, რომ, რასაც ველოდი, შესრულდა: ვემზადებოდი პერსონალური გამოფენისთვის, რომელიც დაიგეგმა, მოვასწარი ნამუშევრების შექმნა, დაიბეჭდა კატალოგი.

ეს — პირად ჭრილში, ჩემი შემოქმედების კუთხით.

ახლა — საზოგადო მნიშვნელობის საქმეზეც ვიტყვი. **ძალიან დიდი სურვილი მქონდა, აკადემიასთან აღმდგარიყო აბიტურიენტების მოსამზადებელი ფორმატი, რომელშიც ჩართული ვიყავი და რომელიც ყოფილმა რექტორმა ბუღაძემ გააუქმა.**

ამ ფორმატის აღდგენას ჯერჯერობით პირი არ უჩანს.

ქვეყნის მასშტაბით თუ შემეკითხებით, გიპასუხებთ, რომ ძალიან გულნაკლული ვარ: **ფაქტობრივად, არ მოხდა დამნაშავე რეჟიმის მსახურების ნორმალური კონტინგენტით ჩანაცვლება. აქედან გამომდინარე, მთელ ქვეყანაში არის საბოტაჟი, თითქმის ყველა სამინისტროსა და უწყებაში ასეა. საშუალო ფენაში და უფრო ქვევით მოქმედებენ ის ადამიანები, რომლებიც ემსახურებოდნენ ძველ რეჟიმს და ახლაც მას ერთგულებენ.**

პიროვნულად არავის ვეხები... მე სხვა რამ მაწუხებს — ქვეყნისთვის სამსახურს გარეთ არიან დარჩენილი იდეებით გატენილი, საოცრად ენერგიული ადამიანები, რომლებმაც იციან საქმე და ქვეყანას წაადგებოდნენ, ვინმეს მათ გამოყენებაზე რომ ეფიქრა.

**ამ ყბადაღებულმა კოაბიტაციამ და რაღაც ცირკულარების ერთგულებამ მოიტანა ის შედეგი, რომ მთელი რიგი პრობლემებისა ვერა და ვერ დავძლიეთ.** თქვენმა გაზეთმა ამ საქმეში თავისი ფხიანი სიტყვა უნდა თქვას, რადგან ყოველთვის ობიექტურობას ერთგულებდა, რაც ასე სჭირდებოდა და სჭირდება ჩვენს საზოგადოებრიობას. **გაზეთი გამოირჩევა იმით, რომ აქვს თავისი პოზიცია, რომელიც გარკვეულწილად აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს, რაც ძალიან კარგია.**



**გიგა ბათიაშვილი, არქიტექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი, თბილისის საპატიო მოქალაქე:**

— ამ წელიწადს ჩვენს სფეროში გადაიდგა მთავარი ნაბიჯი — სახელმწიფომ აუცილებლობად ჩათვალა თბილისის გენერალური გეგმის შედგენა. გარკვეული ღონისძიებები უკვე განხორციელდა და პირველ ანგარიშს დეკემბრის ბოლოს მოვისმენთ.

ეს მიმაჩნია უმნიშვნელოვანესად, რადგან არაერთი წელიწადია, ყველა ჩემს გამოსვლასა თუ პუბლიკაციაში მოვითხოვდი დედაქალაქისთვის გენგეგმის შედგენას, რადგან **გენგეგმა არის ქალაქის კონსტიტუცია და ქვეყნის თუ ქალაქის ხელმძღვანელობა ვალდებულია, დაიცვას იგი.**

პირველი ნაბიჯი გადაიდგა. ახლა მთავარია, ეს გეგმა იყოს მაღალი დონის, ისეთი, როგორიც ეკადრება საქართველოს დედაქალაქს და ესადაგება ჩვენ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ პერსპექტივას. მოგეხსენებათ, რომ ასეთი გეგმა დღეს განსახორციელებელი კი არ არის, არამედ პესპექტივისთვისაა გათვლილი და სამომავლო პროგნოზებზეა დაფუძნებული.

ეს ერთი.

მეორე. **დიდ ნაკლად მიმაჩნია, რომ ის უმსგავსობა, როგორიც რიყეზე დაყრილი „გულივერის ბოტები“ და „ოლვეის ულტრა“ ხიდია, ხელუხლებელია. ვერა და ვერ გადაიტანეს შესაფერის ადგილზე.**

**— ველოსიპედი?**

— არა! *(ხმას უწევს)* **ველოსიპედისთვის ხელის ხლება არ შეიძლება! პირიქით, მე ვითხოვ, რომ ველოსიპედი, როგორც ძეგლი იმ სისულელის, იმ სიგიჟის, რომელმაც უკან დახია ჩვენი ეროვნული ღირებულებანი, უნდა დარჩეს.**

ამაზე თქვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუშიც მაქვს ნათქვამი. რადგან სიტყვამ მოიტანა, ბარემ ვიტყვი, რომ „საქართველო და მსოფლიო“ კარგი გაზეთია. ამას ხაზგასმით ვამბობ, რადგან, ასე რომ არ იყოს, არც ეს ინტერვიუ შედგებოდა და ვერც ის საქმიანი, შემოქმედებითი ურთიერთობა დამყარდებოდა ჩვენ შორის, რომლის შედეგიცაა თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული ჩვენი ერთობლივი არაერთი მასალა.

მიმაჩნია, რომ ის ხედვა, განწყობა, ის დამოკიდებულება, რომელიც რედაქციას აქვს მიმდინარე პროცესების მიმართ, უნდა შეინარჩუნოთ 2016 წელსაც, რომლის დადგომასაც, შობა-ახალ წელს გულწრფელად გილოცავთ!

ესაუბრა **არმაზ სანებლიძე**

## ჯუმბერ კირვალიძე:

# თინა ხიდაშელის ინიციატივა სრული ავანტიურაა



**საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი თურქეთის ქალაქ სტამბოლში თურქ კოლეგას — ისმეთ ილმაზს შეხვდა. თურქეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა რუსეთ-თურქეთს შორის ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების გამო ქართულ მხარეს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და მხარეები აქტიურ და შედეგზე ორიენტირებულ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. გადაწყდა, რომ საქართველოსა და თურქეთის თავდაცვის სამინისტროები ერთობლივ წვრთნებსა და სასწავლო პროგრამებზე იმუშავებენ. „შევთანხმდით, რომ დადგა დრო, ჩვენს ქვეყნებს შორის ორმხრივი თანამშრომლობა განსაკუთრებულ, აქტიურ და შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობის ფაზაში გადავიდეს“, — განაცხადა თინა ხიდაშელმა. ამას გარდა, საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის სამმხრივ შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქართველომ, თურქეთმა და აზერბაიჯანმა თავდაცვის სფეროში ერთობლივ დეკლარაციასაც მოაწერონ ხელი.**

**ამ ინფორმაციამ საზოგადოების ნაწილი შეაშფოთა, ვინაიდან, თუ რუსეთ-თურქეთსა და სომხეთ-აზერბაიჯანს შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობას გავითვალისწინებთ, საქართველოს მხრიდან მსგავსი ქმედებები შეიძლება უსაფრთხო არ აღმოჩნდეს ჩვენი ქვეყნისთვის. ამ ვითარებაში ადეკვატურია თუ არა საქართველოს თავდაცვის მინისტრის განცხადება და რა შედეგს მოუტანს ჩვენს ქვეყანას მსგავსი ხელშეკრულებების გაფორმება — ამ საკითხზე „საქართველო და მსოფლიოს“ პოლიტოლოგი ჯუმბერ კირვალიძე ესაუბრება.**



**— საქართველოს თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელისა და თურქეთის თავდაცვის მინისტრ ისმეთ ილმაზის შეხვედრის შემდეგ, მხარეების გადაწყვეტილებით, საქართველოსა და თურქეთის თავდაცვის სამინისტროები ერთობლივ წვრთნებსა და სასწავლო პროგრამებზე იმუშავებენ. როგორ აისახება ეს ყველაფერი ჩვენს ქვეყანაზე?**

— თუ არსებულ ვითარებას გავითვალისწინებთ, თინა ხიდაშელის ინიციატივა სრული ავანტიურაა, თორემ რუსეთ-თურქეთს შორის ეს ბოლო ინციდენტი რომ არ მომხდარიყო და თურქებს რუსული თვითმფრინავი არ ჩამოეგდოთ, სულ სხვა სიტუაცია იქნებოდა. ახლა კი ვითარება ძალიან დაძაბულია. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს დასავლეთი და რუსეთი ერთ საქმეს აკეთებენ და ანტიტერორისტულ კოალიციაში ერთად ებრძვიან „ისლამურ სახელმწიფოს“, უამრავ საკითხზე მაინც ვერ თანხმდებიან. მაგალითად, **ახლახან გამართულ ნატოს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ტერორისტული ორგანიზაციების სიაზეც კი ვერ შეთანხმდნენ და ამ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ასეთი ინიციატივები ქვეყნისთვის ძალიან საშიშია.**

**— ვის და რისთვის სჭირდება ეს ყველაფერი? ხელისუფლება ხომ უნდა აცნობიერებდეს, რა საფრთხეების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყანა?**

— არ ვიცი, ქალბატონ მინისტრს, ალბათ, თავის გამოჩენა სურს. მას უნდა, ყველას აჩვენოს, რომ ანტირუსული რიტორიკა აქვს, მაგრამ ფაქტია, რომ **არანაირი განსხვავება თინა ხიდაშელისა და მიხეილ სააკაშვილის რიტორიკას ან საქციელს შორის არ არის.** ასევე იქცეოდნენ სააკაშვილი და მისი თავდაცვის მინისტრებიც. ასე რომ, ამ შემთხვევაში ხიდაშელი არ არის ორიგინალური.

**— გავრცელებული ინფორმაციით, გადაწყდა, რომ საქართველო, თურქეთი და აზერბაიჯანი აპირებენ, თავდაცვის სფეროში ერთობლივ დეკლარაციას მოაწერონ ხელი, რაც, ბუნებრივია, კონფლიქტის შემთხვევაში სამხედრო მხარდაჭერასაც ითვალისწინებს. ახლა, როდესაც ასეთი დაძაბული ურთიერთობა აქვთ როგორც რუსეთსა და თურქეთს, ასევე სომხეთსა და აზერბაიჯანს, ადეკვატურია საქართველოს მხრიდან ასეთი ხელშეკრულების გაფორმება?**

— მიმაჩნია, რომ **ასეთ ინიციატივებში მონაწილეობა საქართველოსთვის დიდი რისკის შემცველია.** გასაგებია, რომ თურქეთი ნატოს წევრი და ჩვენი უმთავრესი სავაჭრო პარტნიორია, ის ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს, რაც ასევე დასაფასებელია, მაგრამ, ამას გარდა, **ჩვენც და აზერბაიჯანსაც ტერიტორიული პრობლემები გვაქვს, ამიტომ ორივე ქვეყანასთან კარგი ურთიერთობა უნდა გვქონდეს, ნუ დაგვავიწყდება რუსეთ-სომხეთის ურთიერთობა. რუსული ბაზები სომხეთის ტერიტორიაზეა და (ხაზს ვუსვამ) ამ ვითარებაში, ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველოს სახელმწიფოს პოზიცია იყოს აბსოლუტურად ნეიტრალური.** ჯერ ისიც გაურკვეველია, როგორ წარიმართება რუსულ-თურქული ურთიერთობები. რუსეთსა და თურქეთს შორის ეს ინციდენტი არ ამოწურულა. სხვათა შორის, თურქეთის რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად თურქულ პორტებში ნატოს რამდენიმე სამხედრო გემიც შევიდა, ამიტომ **რეგიონში დღეს არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ კონტექსტში, ასეთი ხელშეკრულების ინიცირება, სულ მცირე, ავანტიურის მატარებელია.**

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ყველაფერი ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას უქმნის საფრთხეს.

მართალია, თურქეთის ხელმძღვანელობას ბოდიში არ მოუხდია, მაგრამ თურქეთის მხრიდან უამრავი თავის მართლება მოვისმინეთ. თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბევრჯერ განაცხადეს, რომ მათ არ იცოდნენ, თუ ის რუსული სამხედრო თვითმფრინავი იყო, თორემ არ ჩამოაგდებდნენ. **მრავალრიცხოვანი არმია ჰყავს თურქებს, ისინი ერიდებიან რუსეთთან კონფლიქტს და ჩვენ რისი იმედი გვაქვს?! გავითვალისწინოთ 2008 წლის აგვისტოს შეთანხმებაც, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთთან საომარი ვითარება გვაქვს. არც სამშვიდობო ხელშეკრულება და არც ქვეყნის დეოკუპაცია არ განხორციელებულა და ამ ვითარებაში, ასეთ პროცესებში მონაწილეობა ჩვენთვის დიდი საფრთხის შემცველია.**

სხვა სიტუაცია აქვს აზერბაიჯანს, მისი ტერიტორია არ არის ოკუპირებული და იქ რუსეთის ჯარი არ იმყოფება, თურქეთი კი ნატოს წევრია და მის უკან ნატოს 27 წევრი სახელმწიფო დგას.

**— ყარაბაღის საკითხის გამო დაძაბული ურთიერთობაა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, მათი სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში საქართველო ავტომატურად აზერბაიჯანის მხარეს აღმოჩნდება? და, თუ გავითვალისწინებთ, რომ დაახლოებით 450 ათასი სომეხი ცხოვრობს საქართველოში და გარკვეული მიზეზების გამო, სამცხე-ჯავახეთის რეგიონი კვლავ პრობლემურ კერად რჩება, სერიოზული საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყანა?**

— რა თქმა უნდა. ამიტომ აქტიურად უნდა მივიღოთ მონაწილეობა ჩვენს ორ მეზობელ ერს შორის დაძაბულობის განმუხტვაში. ყოფილა შემთხვევები, როდესაც სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის დაძაბულობა ქართველებს განუმუხტავთ. **რაც შეეხება რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებას, ეს როგორც პოლიტიკური და სამხედრო, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით, ყველა შემთხვევაში გვავნებს.**

ვინაიდან ჩვენ დაინტერესებულნი ვართ რეგიონში მშვიდობით, შეგვიძლია, ამ მიმართულებით ნეიტრალური, მაგრამ აქტიური პოლიტიკა გავატაროთ.

ესაუბრა **შორენა ციჯქარაშვილი**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნისკარტმოუცვეთლების ბრალდებების საპასუხოდ, „საჯაროდ ტანჯულნი“ არა მხოლოდ ამ ბრალდებებს უარყოფენ, არამედ აქით გვაყვედრიან კიდეც თავიანთ თავს — „ჩვენ თქვენთვის ვეწამებით და ვიტანჯებით ამ კაბინეტებში, ჯიპებსა და სავარძლებში, თქვენ კი ასე უმადურებივით მოგვდგებით და გვაკრიტიკებთ, არ გრცხვენიათო“?**



# «თოვლის ბაკურას» საახალწლო «ფიფ-ქ-რ-ები»

# ანუ რა ვერ გვასწავლა განვლილმა წელმა

**წინამდებარე გაზეთი 2015 წლის ბოლო ნომერიაო, — შემატყობინეს რედაქციიდან. 30 დეკემბერს რედაქცია დაისვენებს და მოდევნო ნომერი უკვე 2016 წელს გამოვა. ამან ცოტა გადამახვევინა საგაზეთო პუბლიკაციის წინასწარ ჩაფიქრებული კურსიდან და, თუმცა ბანალურია, მაინც მომინდა გააზრება, ერთგვარი შეჯამება, რა გვასწავლა გასულმა 2015 წელმა და რას გავაკეთებთ ახლებურად, უკვე ჭკუანასწავლები, 2016 წელს?**

აი, სწორედ ამაზე დაფიქრებამ მომცა ის იდეა, რომლითაც ნაკარნახევი იქნება ჩემი ეს წერილი. კერძოდ, რაც მეტი ვიფიქრე, მით უფრო დავრწმუნდი, რომ ჩვენმა საზოგადოებამ ვერც ვერაფერი ისწავლა თხის 2015 წელს და ისეთი პირი უჩანს, მაიმუნის 2016-საც ისევ „ხბოებად“, ანუ ყველაფრით აღტაცებულები შევხვდებით!

მოკლედ, **მინდოდა, დამეწერა ის 4 ძირითადი რამ, რაც გვასწავლა განვლილმა 2015 წელმა, მაგრამ რეალურად ისე გამოდის, რომ ვწერ პირიქით — რა ვერ გვასწავლა ვერც გასულმა, ვერც იმის წინ გასულმა, ვერც იმის წინის წინ გასულმა წელმა, ვერც გასულმა 25-მა წელმა და... სავარაუდოდ, ეს თვისებები ისე მყარად არის საზოგადოებაში გამჯდარი, რომ, სამწუხაროდ, ვერც მომავალი 25 წელი გვასწავლის ვერაფერს, ალბათ...**

აქვე აუცილებლად მინდა, ხაზი გავუსვა: „საზოგადოება“ ნამდვილად არ ნიშნავს იმას, რომ ამ საზოგადოების ყოველ წევრს განვიხილავ გონებაჩლუნგად. არა, მთელი საზოგადოების, ერისა და ხალხის გალანძღვა არც მიფიქრია. უბრალოდ, ფაქტია, **როდესაც საზოგადოების თუნდაც 10-15 პროცენტი მაინც ელემენტარულ აქსიომებს ვერ აცნობიერებს და ჭკუას ვერ სწავლობს, როდესაც საზოგადოების თუნდაც 10-15 პროცენტი ჯერაც ძალიან მძიმე იდიოტური „კლიშეებით“ აზროვნებს, ეს, სამწუხაროდ, მთელ საზოგადოებაზე აისახება და ამ მძიმედ კრეტინი 10-15 პროცენტის სიკრეტინის გამო მთელი საზოგადოება მწარედ აგებს ხოლმე პასუხს...**

ასე რომ, სადაც სიტყვა „საზოგადოებას“ გამოვიყენებ, იგულისხმეთ, რომ, აი, იმ 10-15 პროცენტს ვგულისხმობ, ვისი გონების ერთ ადგილზე უიმედოდ გაყინვის გამოც, ჩვენ — მთელი ქართველი საზოგადოება, უკვე 25 წელიწადია, „წისქვილის ქვის“ ქვეშ ვცხოვრობთ და, როგორც ჩანს, ეს „ქვა“ ჩვენს თავზე კიდევ არაერთ წელიწადს იბრუნებს!

## 1. ნისკარტ-მოუცვეთელნი

ამით იმიტომ ვიწყებ, რომ ეს „გასართობი“, როგორც ჩანს, საზოგადოებას ყველაზე მეტად იზიდავს. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც „წყაროს“ პირას სხედან და „ჩიტების“ ჭიკჭიკს უსმენენ. შემდეგ სხვადასხვა მედიასაშუალებით ჭიკჭიკებენ, რაც „ნისკარტზე“ მოადგებათ და მთელ ქვეყანას ჟრჟოლას, ძრწოლას, ზანზარსა და დგანდგარს ჰგვრიან. უფრო რომ გავამარტივოთ, მთელი წლის განმავლობაშიც და ამ ახალი წლის მიჯნაზეც „ნისკარტმოუცვეთლობაში“ ტოლი არავის დაუდო ორმა „მოჟურნალისტო“ არსებამ — **ელისო კილაძემ** და **ალეკო ელისაშვილმა.**

მთელი წლის განმავლობაში მათი „ნისკარტები“ არ დადუმებულა და გამუდმებით ყურადღების ცენტრში იყვნენ ქართული მედიისა თუ პროკურატურის მხრიდან. თემა? — რა გინდა, სულო და გულო! დაწყებული ჩვეულებრივი შიდაკულუარული „სკანდალებითა“ და კონკრეტული ჩინიანი პირების კონკრეტულ სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებებით.

საზოგადოება? სწორედ ეგაა მთავარი! **საზოგადოება შესამჩნევად რომ იყოს გაზრდილი და 2015 წელს ან წინა წლებში ოდნავ მაინც ესწავლა რამე, მსგავსი სამარცხვინო ჭორაობები ე.წ. სერიოზული მედიის მთავარ გამოშვებებში ვერ მოხვდებოდა. საზოგადოებას ჯერაც იზიდავს სრულიად ამაზრზენი და არასერიოზული პერსონები და შესაბამისად — მედიაც უხვად აწვდის მათ ამ საზოგადოებას...**

დამამტკიცებელი რაიმე საბუთი? — რა საჭიროა! მთავრია, უხვად იყოს სიტყვები „ზეწოლა“, „კორუფცია“, „ქრთამი“ და მისთანანი. და, რაც მთავრია, „ჯადოსნური“ ფრაზა: **„მე მაქვს უფლება, არ დავასახელო წყარო“** — და მორჩა! შეგიძლია, ვინმეს ბავშვების დახოცვაში, დანაწევრებასა და მათ შეჭმაში დასდო ბრალი? — „მამხილებლის“, „გმირის“, „სიმართლისთვის მებრძოლის“ სახელი გარანტირებული გაქვს!

ქართული ფილმის, „ნატვრის ხის“, პერსონაჟი პატარა ბიჭისა არ იყოს, „ილაპარაკოს! ნისკარტი მოუცვდება თუ რა?!“ — აი, ასეა დღეს საქართველოში გინდ პოლიტიკური და გინდ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ამბავი.

**დასკვნა: ნისკარტმოუცვეთელთა გარეშე არც 2016 წელი ჩაივლის! პირიქით — შეიძლება მათი რაოდენობა ერთიორად გაიზარდოს კიდეც!**

## 2. საჯარო ტანჯულნი

თუკი ნისკარტმოუცვეთელნი, ძირითადად, მედიის წარმომადგენლები ანდა ჯერაც სასურველ თანამდებობაზე ვერწამოსკუპებული პოლიტიკოსები არიან ხოლმე, საჯარო ტანჯულთა კატეგორიას უკვე კარგად მომჯდარი, თვითკმაყოფილი, საკუთარ თავს რომ წარმატებულებს უწოდებენ, აი, ისეთი ადამიანები მიეკუთვნებიან.

საუბარია უმაღლესი და მაღალი ჩინის საჯარო მოხელეებზე. უკვე კარგა ხანია, „მოდაშია“ მათ მიერ „ხალხზე ამაგდარის“ და „ხალხისთვის წამებულის“ ტიტულის მითვისება და ამ მხრივ არც „ოცნების“ ხელისუფლებაა გამონაკლისი. ქვეყნის სათავეში მოსვლისთანავე დაწყებული მოთქმა-გოდება 2015 წელსაც შეუჩერებელი ინერციით გაგრძელდა. რა აღარ მოვისმინეთ:

**„ჩვენ მინიმალური ანაზღაურებით საშვილიშვილო საქმეს ვუკეთებთ ქვეყანას!“, „თქვენ რომ გგონიათ, კაბინეტებში კომფორტულად ვზივართ, სინამდვილეში აქ ჯდომა ძალიან დიდი სასჯელია!“, „ნურავის გეგონებათ თანამდებობრივი სავარძელი რბილი და თბილი! ის მძიმე და ეკლიანია!“** და კიდევ სხვა მსგავსი სისულელეები, რომლებიც, უკვე 25 წელიწადია, გვესმის და, მიუხედავად მათი წარმომთქმელების ცვლილებისა, შთაბეჭდილება ისეთია, რომ ეს ადამიანები მხოლოდ სხეულებს იცვლიან ხოლმე, კონკრეტულ თანამდებობებზე კი სულ ერთი და იგივე რჩება და ის, უბრალოდ, ერთი სხეულიდან მეორეში გადადის.

მოკლედ, **ნისკარტმოუცვეთლების ბრალდებების საპასუხოდ, „საჯაროდ ტანჯულნი“ არა მხოლოდ ამ ბრალდებებს უარყოფენ, არამედ აქით გვაყვედრიან კიდეც თავიანთ თავს — „ჩვენ თქვენთვის ვეწამებით და ვიტანჯებით ამ კაბინეტებში, ჯიპებსა და სავარძლებში, თქვენ კი ასე უმადურებივით მოგვდგებით და გვაკრიტიკებთ, არ გრცხვენიათო“?**

ფრიად საწყენია, რომ საჯაროდ ტანჯულნი ისე გადაყოლილნი არიან საქვეყნო საქმეს, რომ მათ გაგონებაც კი არ უნდათ ხალხის ხმისა — თუკი ასე ძალიან იტანჯებით, ძალით ხომ არავინ შეგრეკათ მაგ სულიუსშემხუთავ კაბინეტებში, ძალით ხომ არავინ ჩაგსვათ მაგ ეკლებიან სავარძლებში და ძალით ხომ არავინ დაგატარებთ მაგ საშინელი ბოლო მოდელის ჯიპებით, — წადით სახლებში და სხვებს დაუთმეთ ასპარეზიო!

არა! ამ ადამიანებს თავი საწამებლად აქვთ გადადებული და ბოლომდე უნდა შეეწირონ ხალხის კეთილდღეობას! არც იმის პირი უჩანს საქმეს, რომ ვინმე მადლიანი მათ ძალით აადღლიზავს ეკლიან სავარძლებს, გამოათრევს ამ სულისშემხუთავი კაბინეტებიდან და გადმოიყვანს იმ საშინელი ჯიპებიდან...

ამიტომ **2016 წელსაც არ მოგვაკლდებიან საჯაროდ წამებულნი! და მათივე „სახელფასო დანამატების“ კიდევ უფრო გაზრდის კვალდაკვალ, ვეცადოთ, ვინძლო სატანჯველი მაინც შევუმსუბუქოთ.**

## 3. საყოველთაოდ მოზეიმენი

კიდევ რა დაგვჩემდა ამ 25 წელიწადის განმავლობაში? აჰ, ჰო — ყველაფრის ზეიმი! თანაც ისე, ჩვენთვის, ვიწრო წრეში ზეიმი კი არა, არამედ ზეიმი პომპეზური, დიდი, დაუსრულებელი, „საყოველთაოს“ რომ ვუწოდებთ ხოლმე, ეგეთი!

რა არ ვიზეიმეთ ამ 25 წლის განმავლობაში: მოსკოვში რომ „9 აპრილის მომწყობ გორბაჩოვს დედა უტირეს“, ჯერ ეგ ვიზეიმეთ; მერე მალევე რომ „საბჭოთა კავშირის დამანგრეველი და ნობელის პრემიიის ლაურეატი“ გორბაჩოვი გაათავისუფლეს და პუტჩისტ იანაევს რომ „დემოკრატმა“ ელცინმა მოუგო, ეგ ვიზეიმეთ; მერე ეროვნული ხელისუფლების ზარბაზნებით გაგდება ვიზეიმეთ; მერე „მსოფლიო წონის პოლიტიკოსის“ ჩამოსვლა ვიზეიმეთ; „ფსოუზე წყლის დალევა“ ვიზეიმეთ; „ეს-ენ-გე-ში“ არშესვლა ვიზეიმეთ; მერე მაინც შესვლა ვიზეიმეთ; მერე მსოფლიო დონის პოლიტიკოსისთვის გამზადებული ჩაის ვარდებიანი ბიჭის მიერ „შეხვრეპა“ ვიზეიმეთ; „რუსეთის აგენტების“ დაპატიმრებებიც ვიზეიმეთ; რუსეთში ჩვენი გლეხებისთვის სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გაყიდვის აკრძალვაც ვიზეიმეთ და სოხუმ-ცხინვალის „სახელოვანი“ დაკარგვაც სულ ტაშ-ფანდურით აღვნიშნეთ; მერე, აი, იმ „ჩაიხვრეპია ვარდებიანის“ მოშორება-გაგდებაც ვიზეიმეთ და მილიარდერ-„უჭკვიანეს-ყველაფერშიკის“ მოსვლაც; მერე ის ვიზეიმეთ, რომ მეოთხე მესამეს უნდა ჯობდეს თუ მესამე მეორეს თუ პირიქით... და ახლაც ვზეიმობთ!

**რას ვზეიმობთ?**

**გახსოვთ, ადრე „მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელი“ რომ ვიზეიმეთ? ჰოდა, აი, მაგის გაგრძელებას ვზეიმობთ ახლა! უფრო კონკრეტულად — „მე ვარ ქართველი, მაშასადამე სუ ფეხებზე მკიდია უკვე ვიზა“-ს ვზეიმობთ! კიდევ უფრო ზუსტად — „90 დღე არ მინდა ვიზა, თორემ 90 დღის მერე ზუსტად ისე გამომაპანღურებენ ევროპიდან, როგორც აქამდე მაპანღურებდნენ, არც მუშაობის უფლებას მომცემს ვინმე და არც სწავლის“ — აი, ამას ვზეიმობთ და თან როგორ პომპეზურად, თავისი განათებებით, შეხტომა-შეკუნტრუშებებით, წინ მკერდი უკან გავა გაჯგიმვებით, აი, „საყოველთაოს“ რომ ვეძახით ხოლმე, ეგრე ვზეიმობთ ზუსტად!**

2016-ში რაღას ვიზეიმებთ? — რა საკითხავია?! ახლა ხომ ვზეიმობთ იმას, რაც 6 თვის მერე ან იქნება ან არა? ეგ ხო სწორედ 2016 წელს უწევს? ჰოდა, მაგას ვიზეიმებთ ახლაც!

თუ არ გამოვიდა, აი, რომ არ გამოვიდა ჯერ და მალე რომ მაინც გამოვა, იმას ვიზეიმებთ! რა, ჯერაც არ გვიზეიმია მსგავსი და უარესი იდიოტობები თუ რა?!

აკი, იმასაც ვზეიმობთ, პუტინს რომ უთქვამს, — საქართველოსთან უვიზო მიმოსვლისთვის მზად არის რუსეთიო. იქითაც გაილო, აქეთაც გაილო და გაგვიარა ფერდებში და ეგაა!

**მოკლედ, დასკვნა აქაც ერთია: 2016 წელსაც ბლომად რამე გვექნება საზეიმო!**

## 4. ყველაზე ფულიანი – ყველაზე ჭკვიანი

უნდა დამეთანხმოთ, ისევე, როგორც 2012 წლიდან მოყოლებული ყოველ წელს — ამ ერთ კაცს ამ 2015 წელსაც ეკუთვნის თუნდაც მომცრო, მაგრამ მაინც ცალკე ქვეთავი. თუნდაც მხოლოდ იმიტომ ეკუთვნის, რომ ისევე, როგორც ბოლო 3 წელიწადია, მიმდინარე წლის ბოლოსაც, ანუ სულ ორიოდე დღის წინათ, „სი-ენ-ენის“ საიტმა ისევ დადო გასართობი საახალწლო აპლიკაცია, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია ეხუმროს მეგობარს. ხუმრობა შემდეგში მდგომარეობს: თქვენ შეგიძლიათ, შეადგინოთ წლის „მსოფლიოს ყველაზე ჭკვიან“ ადამიანთა სია და გამოაქვეყნოთ. პირველ ნომრად, თუ გნებავთ, თქვენი რომელიმე „ჭკუით დაპენტილი“ მეზობელი ჩაწერეთ ან ცხონებული ბებიათქვენი, ეს, უბრალოდ, საახალწლო გართობაა და სხვა არაფერი.

თუმცა, უკვე მესამე წელია, „სი-ენ-ენის“ ამ უწყინარი საახალწლო გართობით ბოროტად სარგებლობს ვიღაც ანცი და ონავარი, თავისი ფანტაზიით შედგენილ ასეთ სიაში პირველ ნომრად წერს ბიძინა ივანიშვილს და მას შემდეგ, მომდევნო ნომრებად მსოფლიოს აღიარებულ „უდიდეს ტვინებს“, მაგალითად, მეორე ადგილზე — **სტივენ ჰოუკინგს**, მესამეზე — **ბილ გეიტსს** და ა. შ.

რა თქმა უნდა, აქ ბიძინა არაფერ შუაშია და ის „ცუღლუტობას“ ვერავის მოაშლევინებს, მაგრამ სამწუხარო ფაქტია, რომ „ბელადომანიით“ შეპყრობილი საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილს უაპელაციოდ, მარტივად სჯერა ამ დონის სისულელე და სოციალური ქსელები, **უკვე მესამე წელია, ახალი წლის მოახლოებასთან ერთად გადავსებულია „გაზიარებებით“ ამ „სენსაციური“ ინფორმაციისა, რომ „სი-ენ-ენმა“ ბიძინა ივანიშვილი მსოფლიოს ყველაზე ჭკვიანთა ათეულში შეიყვანა და მეტიც — ნომერ პირველად დაასახელა!**

უბედურება ისაა, რომ მსგავსი ჩლუნგობების დაჯერება ჯერ კიდევ იოლია ამ საზოგადოებისთვის. ეს ხომ ის საზოგადოებაა, რომელსაც უკვე წლებია, უტარებენ პროპაგანდას სათაურით „ჭკვიანი რომ არ იყოს, ამხელა ფულს ვერ იშოვიდა!“.

ანუ, **მიუხედავად ბოლო სამი წლის განმავლობაში დაშვებული უამრავი ტუტუცური შეცდომისა, „ყველაზე მილიარდერი“ მაინც „ყველაზე ჭკვიანია“ ჩვენი საზოგადოების თვალში...**

მე თუ მკითხავთ, ამას შეცდომების დაშვების დალოდებაც არ სჭირდება და **საზოგადოება, რომელიც ცხოვრობს ასეთი კლიშეთი — „ვისაც მეტი ფული აქვს, ის უფრო ჭკვიანია“, დასაღუპად არის განწირული. მაგრამ მე ვინ მეკითხება?! აკი, უკვე ვთქვი, შეცდომების დაუშვებლად კი არა, უამრავი მიუტევებელი და ყოვლად უტვინო შეცდომის შემდეგაც კი, ამ საზოგადოებაში „ჭკუა“ და „ფული“ მაინც იდენტური ცნებებია.**

ამას ვერ უშველა განვლილმა 2015-მა წელმა და დიდად ვერ დაგპირდებით, რომ 2016 წელი შეცვლის რაიმეს ამ მხრივ ჩვენი საზოგადოების გაყინულ ტვინში...

ამიტომაც, რადგან აზრს ვერ ვხედავ, ახალ 2016 წელს ჩვენს საზოგადოებას „ჭკუის მომატება“ ვუსურვო, ისევ ავდგები და ამ საახალწლოდ ბანალურად „ბევრ ფულს“ გისურვებთ!

დღევანდელ სიტუაციას, ანუ უჭკუობასა და უფულობას ერთად, თუნდაც იგივე უჭკუობა, მაგრამ ფულიანობა სჯობდეს ეგებ...

**მრავალ ახალ წელს, მრავალტანჯულო ქართველო საზოგადოებავ!**

**მართალია, ეკა შეჰპირდა ალეკოს, რომ ვალებს გაუსტუმრებდა, მაგრამ, როცა ბიძინასთან მისულა, მას ხელ-ფეხი გაუსავსავებია, ელისაშვილის ვალების გადამხდელი არ ვარო და, ნებსით თუ უნებლიეთ, ეკას დაპირება ტყუილად ქცეულა.**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახალი 2016 წელი ბევრ სიახლეს გვპირდება, თუმცა ჩვენი ნაკლებად სანდო წყაროები ბევრ რამეს წინასწარ გვატყობინებენ. როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, ახალი წლის ერთ-ერთი უმთავრესი სიახლე არის ის, რომ გიორგი მარგველაშვილი და ალეკო ელისაშვილი სამსახურს იცვლიან და სამუშაოდ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში გადადიან.**

# «რუსთავი 2» ახალ შოუს იწყებს «იღბლიანი მესიჯი» ეთერში ახალი წლიდან გავა

**შოუს „იღბლიანი ბორბალი“ ნაცვლად გაკეთდება ახალი შოუ — „იღბლიანი მესიჯი“. პრეზიდენტი მარგველაშვილი ჩაანაცვლებს შოუს წამყვან ვანიკო თარხნიშვილს, ხოლო ალეკო ელისაშვილი შორენა ბეგაშვილის ნაცვლად „ასოების გამხსნელად“ იმუშავებს.**

ინკოგნიტო რესპონდენტი, რომელიც ყოველთვის ყველაფრის საქმის „ყურშია“, ჩვენთან მოკლე კომენტარს აკეთებს ამ თემაზე:

— ისედაც ნათელია, რომ ალეკო ელისაშვილს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი კარნახობს, რა და როგორ გააკეთოს. ელისაშვილი კი, ლამის ორი თვეა, ისედაც გვეთამაშება — ტელეფონზე მოსული მესიჯის ავტორის ნომრის ამდენ ციფრს ამ კვირაში ვიტყვი, იმდენ ციფრს — იმ კვირაშიო. მესიჯების ავტორების სახელებს ორშაბათს ვიტყვი და გვარებს — პარასკევსო და ა. შ. ამიტომ გადაწყვეტილება მიღებულია და ახალი წლიდან ხსენებულ შოუში დახურული კუბების მიღმა დაიშიფრება არა რაიმე კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული სიტყვები, როგორც ეს აქამდე ხდებოდა, არამედ ალეკო ელისაშვილის მობილურზე წლის განმავლობაში მოსული მესიჯების ავტორთა სახელები და გვარები. ყველა კვლევა აჩვენებს, რომ ამ სახელებისა და გვარების გამოცნობა მოსახლეობაში გაცილებით დიდ ინტერსს იწვევს, ვიდრე ნებისმიერი სხვა თემა. ამასთანავე, გაგიმხელთ იმასაც, რომ შორენას პოპულარობის გამო, მაყურებელი რომ იოლად შეეგუოს, ელისაშვილს, ალეკოს კი არა, შმალეკოს დავუძახებთ“, — განაცხადა ჩვენმა ინკოგნიტო რესპონდენტმა.

აქვე დავძენთ, რომ უკვე დაწყებულია ე.წ. საპილოტო გადაღებები. ჩვენ მოვიპოვეთ ვიზუალური მასალაც ერთ-ერთი „საპილოტო“ გადაღებიდან, რომელსაც აქვე გთავაზობთ.




**ალიო მესიჯია**

**სკანდალი გრძელდება. გასულ კვირაში ალეკო ელისაშვილმა განაცხადა, რომ ტელეფონში აგრესიული ტონის მესიჯები ჰქონდა შენახული, მაგრამ საგამოძიებო უწყებამ თქვა, რომ მსგავსი შეტყობინებები დეპუტატის ტელეფონში არ აღმოჩნდა. ჩვენმა ტრადიციულად არცთუ ისე სანდო წყარომ ელისაშვილის მესიჯები იმ დროს აღმოაჩინა, როდესაც ისინი სერვერის გადაკვეთას ცდილობდნენ. მაშ ასე, მოამზადეთ თვალები, გონება და შეშფოთების დონე აწიეთ უმაღლეს ნიშნულზე.**
**მიმოწერაში ფიგურირებენ: „თეთრჩექმებიანი ეკა“ და „პრიჩოსკიანი მანანა“. მიმოწერის ადრესატი, როგორც მას პოეტმა რეზო ამაშუკელმა შეარქვა, „თრიალეთის კოდალა“, იგივე ალეკო ელისაშვილია.**

# სკანდალი — ეკას და მანანას საიდუმლო ვიზიტი ალეკოსთან

დილა, 10 საათი, ალეკო იღვიძებს, ისხამს ცხელ ყავას, ქოშებში ყოფს ფეხებს და ამ მომენტში — ტელეფონზე შეტყობინების ხმა, **გამომგზავნი — „თეთრჩექმებიანი ეკა“.**

**ეკა:** — „დილა მშვიდობის, ალეკო, ხომ არ გაგაღვიძე?

**ალეკო:** — დილა მშვიდობის, არა, ეკა, ახლახან ვეზიარე დილის მადლს.

**ეკა:** — დილის მადლი შეგეწიოს, რა ხდება, აბა, იმ საქმეზე?

**ალეკო**: — რომელს გულისმხმობ?

**ეკა:** — წუხელ რომ ვისაუბრეთ, იმაზე.

**ალეკო:** — აა, არაფერი... რა ვიცი...

**ეკა:** — რას ჰქვია, არაფერი, ალეკო, არ გადამრიო!

**ალეკო:** — რატომ უნდა გადაგრიო, მაგ საქმიდან არაფერი გამოვა.

**ეკა:** — ალბათ, მეხუმრები.

**ალეკო:** — მე ვიყო ქინძი, თუ გეხუმრებოდე.

**ეკა:** — ოკ.

ობიექტებს შორის გაურკვეველი პერსპექტივის ურთიერთობა ჩამოწვა, ალეკო აბაზანაში შედის და მოწესრიგებას იწყებს. ის-ის არის, კბილის ჯაგრისი მარცხენა ყბაში უნდა გამოისვას, რომ ტელეფონზე კვლავ შეტყობინება მიიღო.

ალეკო უმალ ხსნის ტელეფონს, ამჯერად გამომგზავნია „პრიჩოსკიანი მანანა“.

**მანანა:** — პრივეტ!

**ალეკო:** — გაუმარჯოს!

**მანანა:** — როგორ მიდის საქმე?

**ალეკო:** — რა ვიცი, ნარმალნა, ბესელკა მწერდა ეხლა და უთხარი მოისვენოს, რაღაც ტონი არ მომეწონა მაგისი.

**მანანა:** — რაო, რა ხდება? რას აწვალებ?

**ალეკო:** — რას ვაწვალებ, მანო, შენ ხომ მაინც იცი, რომ ასე არ გამოვა ეგ საქმე.

**მანანა:** — მომისმინე, მგონი, ზედმეტები მოგდის და სჯობს, გააკეთო ისე, როგორც გეტყვიან.

**ალეკო:** — ბატონო?

**მანანა:** — ბატონო არ უნდა მაგას, რკინის ქალამნებს ნუ ჩაგვაცმევინებ!

**ალეკო:** — ზომებში არ შეცდეთ, კარგად შეარჩიეთ.

**მანანა:** — კაი კაი.

„პრიჩოსკიანი მანანაც“ საეჭვოდ ასრულებს „ეს-ემ-ეს“ დიალოგს ალეკოსთან.

ალეკო ისევ აბაზანაშია და მოწესრიგების პროცედურებს განაგრძობს.

გამოდის, ჯდება ტელევიზორთან და 12-საათიან კურიერს რთავს, პაატა იაკობაშვილის მისალმება და კარზე ზარის ხმა ერთი იყო.

ალეკო მიდის კართან, აღებს. მანანა და ეკა ამჯერად შინ ესტუმრნენ.

**ეკა:** — ხო არ შეგეშინდა, გენაცვალე? — გაუღიმა ეკამ და თავზე გადაუსვა ხელი.

ეკას თეთრი ჩექმები, თეთრი კატის ბეწვის „შუბა“ და ბუმბულიანი ქუდი ეხურა.

— ყავა გაქვს? — იკითხა მანანამ და სამზარეულსკენ გაიწია.

**ალეკო:** — რა ხდება?

**ეკა:** — როგორც ჩანს, ჩემი გამოცდა გადაგიწყვეტია, ცუნცულ!

**ალეკო**: — მორჩი, საქმეზე გადადი.

ეკამ იქვე მდგარი სერვანტიდან არყის ჭიქა გამოიღო, ცოტა კონიაკი ჩამოასხა, გადაუშვა და ალეკოს მოუტრიალდა.

**ეკა:** — რა გინდა, პირდაპირ თქვი.

ამ დროს მანანამ თმა შეისწორა.

**ალეკო:** — ვერ გავიგე?

**ეკა:** — იმ ბარკლების საქმე უნდა მოგვარდეს, სხვანაირად არ გამოვა, ნუ ცდილობ ჩემში მიძინებული კატის გაღვიძებას, თქვი პირდაპირ, რა გინდა, ოღონდ რეალური.

**მანანა:** — პატარა ბავშვები არ ვართ, კარგად იცი, არ გვინდა რებუსებით ლაპარაკი. რომ მოვდიოდით, მაღაზიის გამყიდველმა გიკითხა, ბევრი გაქვს ვალი?

**ალეკო:** — არც ისე.

**ეკა:** —კაროჩე, მომისმინე, ალეკო, კაი ხანია, ვიცნობთ ერთმანეთს, არ მინდა, ცუდად დაგვიმთავრდეს ურთიერთობა. დამთავრდეს საქმე, როგორც გვინდა და არც შენ დარჩები უკმაყოფილო, გარანტიას გაძლევ, მაღაზიის გამყიდველი აღარ მოგთხოვს ბარკლების ვალს! მეტი რა ვუთხრა, მანო?

ეკამ მანანას გადახედა, რომელმაც მხრები აიჩეჩა და მზერით თქვა სათქმელი.

**ალეკო:** — რა გარანტია მაქვს, რომ მაღაზიის ვალს გამისტუმრებთ?

**მანანა:** — კაი ეხლა, ალეკო, არ გინდა ეგეთები, სერიოზული ბიჭი მგონიხარ.

**ეკა:** — მოაწერე ხელი, გენაცვალე, მოაწერე.

ალეკომ გადახედა ორივეს, კალამი ხელში მოიმარჯვა და მოაწერა ხელი

**ეკა:** — კარგი, ჩამოწერე ნისიები, რაც გაქვს და სადაც გაქვს და მაილით გადმომიგზავნე.

ეს ვიზიტი ასე დამთავრებულა, მაგრამ საქმეს „ჰეფი ენდი“ მაინც არ ეწერა.

როგორც არცთუ სანდო წყარო გვიყვება, მართალია, ეკა შეჰპირდა ალეკოს, რომ ვალებს გაუსტუმრებდა, მაგრამ, როცა ბიძინასთან მისულა, მას ხელ-ფეხი გაუსავსავებია, ელისაშვილის ვალების გადამხდელი არ ვარო და, ნებსით თუ უნებლიეთ, ეკას დაპირება ტყუილად ქცეულა.

ამაზე გადარეულ ალეკოს უთქვამს, ვინც ეგ გაპატიოსნო და ისევ ფეხით, ოღონდ სულ ფურთხებით წასულა საკრებულოს სხდომაზე.

**კაროჩე, მომისმინე, ალეკო, კაი ხანია, ვიცნობთ ერთმანეთს, არ მინდა, ცუდად დაგვიმთავრდეს ურთიერთობა. დამთავრდეს საქმე, როგორც გვინდა და არც შენ დარჩები უკმაყოფილო, გარანტიას გაძლევ, მაღაზიის გამყიდველი აღარ მოგთხოვს ბარკლების ვალს! მეტი რა ვუთხრა, მანო? — გადახედა ეკამ მანანას, რომელმაც მხრები აიჩეჩა და მზერით თქვა სათქმელი**

**ელიკო სილაძე**

ჰკა მაგათა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წარსულში ბატონი ვანო წარმოდგება, როგორც საშუალო დონის მათემატიკოსი, რომელიც თავისი ნიჭიერებით ვერ ბრწყინავდა, ყოველ შემთხვევაში, ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუას, გიორგი ჭოლოშვილის, ანდრია ბიწაძის მეცნიერულ დონემდე, როგორ არ ეცადა, მაინც ვერ ამაღლდა. მაგრამ თავი დიდ, ნიუტონის დარ მეცნიერად წარმოედგინა და ვეება ჩანთამხარდამშვენებული აკადემიის ტალანებში განუწყვეტლივ ბზუოდა. რატომ ბზუითო, რომ ჰკითხავდნენ, პასუხობდა: როცა ჩუმად ვარ, ჩემი მადლიერი ვერავინ ვნახეო. ბევრს კი ბზუოდა, მაგრამ ვერ ხვდებოდა, რომ ფუტკართან ტყუოდა...**



# იოვანეს ალგორითმი

## აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე არჩევნების გაყალბების სისტემის ავტორს — ივანე კილურაძეს ამხელს

## «ინდექსმა ხომ არ გავნო, ვანო?»



# «რა ენა წახდეს — ერიც დაეცეს»

დასასრული. დასაწყისი იხ. №46 (328)

**დღეს ამ მანქურთთაგან უნდა გამოვყო და რამდენიმე სიტყვა გითხრათ მათ თავკაცზე, ბატონ ვანო კილურაძეზე, რომელიც ამ სისტემის დამკვიდრების ერთ-ერთი პიონერია და ყირაზე დამდგარი იცავს მას. საერთოდ, ერის, ბერის და, გნებავთ, ადამიანის ანატომია სამ განზომილებაში — წარსულში, აწმყოსა და მყობადში განიხილება. მოკლედ, უნდა გავიაზროთ, როგორი იყო, როგორი არის და როგორი იქნება.**

**წარსულში ბატონი ვანო წარმოდგება, როგორც საშუალო დონის მათემატიკოსი, რომელიც თავისი ნიჭიერებით ვერ ბრწყინავდა, ყოველ შემთხვევაში, ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუას, გიორგი ჭოლოშვილის, ანდრია ბიწაძის მეცნიერულ დონემდე, როგორ არ ეცადა, მაინც ვერ ამაღლდა. მაგრამ თავი დიდ, ნიუტონის დარ მეცნიერად წარმოედგინა და ვეება ჩანთამხარდამშვენებული აკადემიის ტალანებში განუწყვეტლივ ბზუოდა. რატომ ბზუითო, რომ ჰკითხავდნენ, პასუხობდა: როცა ჩუმად ვარ, ჩემი მადლიერი ვერავინ ვნახეო. ბევრს კი ბზუოდა, მაგრამ ვერ ხვდებოდა, რომ ფუტკართან ტყუოდა...** ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ისიც მითხრეს, რომ იგი ხშირად უჩიოდა ერთ თვისებას — ყოყმანს, რასაც ხსნიდა შემდეგი მიზეზით: ჩემი ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო არც ისე იშვიათად არ ეთანხმება მარცხენა ნახევარსფეროს, ამიტომაც ყოყმანი და ჭოჭმანი მიპყრობსო. ამის შესახებ, აბა, მე რა მოგახსენოთ?! ამ ვითარების ახსნა უეჭველად მოითხოვს გამოცდილი ფსიქიატრის დიაგნოზს! მაგრამ გავკადნიერდები, ამის თაობაზე ჩემ თვალთახედვას მოგახსენებთ: **ბატონი ვანო თავს იკატუნებს, როცა რაიმე პრინციპული საკითხის გადაჭრა არ სურს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ ავხსნათ მისი ჯორივით გაჯიუტება და შეუვალობა იმპაქტ ფაქტორის გამო?!**

თუმცა ობიექტურობა მოითხოვს, ისიც ალვნიშნოთ, რომ იგი არ უნდა ყოფილიყო თავისი დარგის ურიგო სპეციალისტი — წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ აირჩევდნენ 1979 წელს წევრ-კორად, ხოლო 1993 წელს — ნამდვილ წევრად!.. მაგრამ აქვე მინდა, მკითხველს შევახსენო, **როცა ბატონი ივანე აკადემიკოსის მანტიით შემოსეს, დაუნდობლად იდევნებოდნენ, აპატიმრებდნენ და ქვეყნიდან დევნიდნენ სამშობლოსათვის თავდადებულ ჭეშმარიტ მამულიშვილებს, ხოლო ქვეყნის მოძულე ანტიეროვნულ ძალებს ფიანდაზად ეგებოდნენ... ამიტომაც არ გამკვირვებია ის მოარული ხმა, რომელიც გვამცნობდა, ბატონ ივანეს გააკადემიკოსებაში შევარდნაძეს მიუძღვის წვლილიო.** ეს მითქმა-მოთქმა რამდენად შეიცავდა ჭეშმარიტების მარცვალს, გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. მაგრამ ფაქტია და ამას ვერსად ვერ გავექცევით: **როცა წევრ-კორი ვანო კილურაძე აკადემიკოსად აკურთხეს, მაშინ წევრ-კორი ელიზბარ ჯაველიძე შევარდნაძის უშუალო მითითებით სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გააძევეს იმ ერთადერთი მიზეზის გამო, რომ მან ღია მამხილებელი წერილი მისწერა ე.წ. შევოს. ამ გაძევებას როდი დასჯერდნენ, დასაჭერად დასდევდნენ და იძულებული გახადეს, სამალავი ეძებნა. აი, მაშინ, როცა ამ უბრალო ადამიანის დაჭერას ლამობდნენ, ბატონი ვანო კილურაძე ნებიერად იყო მოკალათებული აკადემიკოსის სავარძელში, ნეტარად იღიმებოდა, კრიალოსანს მარცვლავდა და უსაქმურობისაგან ერთ სარცხვინელ ადგილს იფხანდა.** ვანოს მფარველი და მეგობარი ე. შევარდნაძე ამით როდი დაკმაყოფილდა და ჩემი აკადემიიდან გაძევებაც მოინდომა, მაგრამ ბატონ **თამაზ გამყრელიძის** მედგარი წინააღმდეგობის გამო ამ მოთხოვნაზე ხელი აილო.... რა გაეწყობა?! ასეთი იყო საერთოდ შევარდნაძის ჟამიანობის ჟამს სიმართლისათვის მებრძოლი და ვერაგი, ფარისეველი მოღვაწის ბედი!..



**ბატონო ვანო, იმ პატიოსან კაცს, სახელად ბიძინას რომ უხმობენ და რომელმაც ყურებით შეგათრიათ პარლამენტში, სახელს რატომ უტეხავთ? რატომ დადიხართ და როშავთ, რომ ბიძინა ივანიშვილს რასაც ვეტყვი, იმას იქმსო? გიორგი კვესიტაძის თავი ვთხოვე და მალე ფერხთ გამიგორებსო... და აკადემიის წევრებს იმით აშინებთ კიდეც, თუ ჩემ ნებას არ დაჰყვებით, შეწევნას და დანამატს შეგიწყვეტთო...**

ახლა იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ სწორედ ამ პერიოდში შევარდნაძემ ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ შეუდრეკელი მებრძოლი და მისი უერთგულესი ყმა — აკადემიკოსი ივანე კილურაძე საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ წამოასკუპა და იმასაც არ დავივიწყებთ, რომ ეს უბანი იმ ხანად ფრონტის ყველაზე ცეცხლოვან წერტილად მიიჩნეოდა, და მას პრეზიდენტად ხმობილი ედუარდი მხოლოდ ბრმად მორჩილ ადამიანებს ანდობდა, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ძალით იყვნენ ისინი ურთიერთში გადაბმულ-ჩაგვირისტებულნი.

**აკადემიკოს ივანე კილურაძეს ერთგულებამ, კავკასიური ნაგაზის თავისი პატრონის სიყვარულს რომ აღემატებოდა, მალე იჩინა თავი, კერძოდ, 1995 წლის არჩევნებში, რომელშიც, საუბედუროდ, მეც ვმონაწილეობდი „კონსტანტინე გამსახურდიას, XXI საუკუნის" საზოგადოების სიით.** სინამდვილეში ჩვენ ამ არჩევნებში გავიმარჯვეთ — 14% ხმებისა ავიღეთ და საარჩევნო კომისიის წევრები კიდევაც გვირეკავდნენ და გვილოცავდნენ. მაგრამ **ისრაელიდან დაბრუნებულმა შევარდნაძემ ეს რომ შეიტყო, პირკატა ეცა, იხმო თავისი მორჩილი ყმა და უბრძანა, გამოესწორებინა ეს მიუტევებელი „ცოდვა"! აკად. ვანოც რის მეცნიერი იქნებოდა, რომ არ გამოეყენებინა თავისი „განტოლებათა მთხზველობა" და არჩევნების „თამასა" არ გაემრუდებინა.** სწორედ მაღალი „მათემატიკური ნიჭის" წყალობით აღმოვჩნდით ჩვენი საზოგადოება და კიდევ სხვა პარტიები პარლამენტის მიღმა. ასე და ამგვარად, **„წმინდანად შერაცხილმა" იოანემ დაუდო სათავე არჩევნების გაყალბების მოძღვრებას და უნდა ვაღიაროთ, რომ ის პირმშვენიერ და ლერწამივით მონარნარე ხათუნა გოგორიშვილთან (უკაცრავად, ბაღდასაროვასთან) ერთად გვევლინება გაყალბების სისტემის პიონერად, ჩვენ სახელმწიფოს და ქვეყანას რომ ანგრევდა და ანგრევს დღესაც.** ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი გახლავთ, რომლის შესახებ წერდნენ და დღესაც წერენ (იხ. მაგ. პროფესორების — დ. ბახტაძის და ბ. ბერულავას წერილები: „ასავალ-დასავალი", 2015, №45, 46 და სხვ.). მაგრამ მთავარი ის არის, ამ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისა გამო **„პატიოსანი" ვანო სინდისის ქენჯნას არ შეუწუხებია. შეუწუხებია კი არა, აკადემიის ტალანებში თავაწეული დადიოდა და სიამაყით უზნობდა: „ისღა მაკლდა, პარლამენტში ზვიადისტები შემეყვანაო", რითაც აცხადებდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის და ეროვნულობის უსაზღვრო სიძულვილს. ამასთანავე, მისთვის ჩვეული ფარისევლობითა და ვირეშმაკობით ამართლებდა, ვიტყოდი, ავაზაკურ ნაბიჯს, სისხლის სამართლის დანაშაული რომ იყო და არის.**

სხვათა შორის, იმ სისხლის წვიმების დროს, ქვეყანა თავზე რომ გვენგრეოდა, ხანდახან ფიქრი გამკრავდა, თუ რატომ შეარჩია შევარდნაძემ ივანე კილურაძე? შევარდნაძის ხასიათისა გამო ამისათვის გურულობა და ერთგულება არ კმაროდა. მერე **ერთმა მეცნიერმა ადამიანმა შემახსენა, მას ვანიჩკა, ე.ი. აკად. ვანო ყურებით ჰყავს დაჭერილიო, როცა ვკითხე,— ეს როგორ-მეთქი, ღიმილით მიპასუხა: განა არ გსმენია, რომ ჩვენ წმიდა ივანეს საზღვარზე ფული გადაჰქონდა და მესაზღვრეებმა ნიფხავიდან ამოაძრესო. ეს კი მაშინ დიდ დანაშაულად და თავისმომჭრელ სირცხვილად ითვლებოდა. ეს ჭორი მეც მსმენოდა და მეგობრის არგუმენტაცია გავიზიარე კიდეც.**

ყოველივე ზემორე თქმული იმიტომ გავიხსენე, რომ ამას მოჰყვა ჩემი ცხოვრების გაუკუღმართება: ჯერ იყო და **ჟურნალისტებთან გამართულ კონფერენციაზე ჩემი გამოსვლა ხელისუფლების დამხობად მონათლა მაშინაც და დღესაც უმეცარმა ჟურნალისტმა ელისო ჩაფიძემ, მერე ამ შეფასებას გამოეხმაურა თავად ე.წ. პრეზიდენტი, რასაც მოჰყვა ჩემი დაპატიმრება... ცოტა მოგვიანებით კი მაიძულეს, საქართველო დამეტოვებინა და ემიგრაცი-** ▶

# თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დღევანდელ სავალალო ვითარებაზე რომ არაფერი ვთქვათ, რა ხდება ე.წ. ილიაუნის (SIC!) უმაღლეს სასწავლებელში?! მამალი „ნაცებისგან“ შემდგარი ხუთკაციანი საბჭო თავის ხუშტურზე განაგებს მას და, რაც მოეპრიანება, იმას იქმს. ეს ე.წ. სასწავლო-სამეცნიერო კერა იქცა თავისუფლების ინსტიტუტის ნაშიერთა სამშობიარო სახლად და თავშესაფრად.

ჭკა მაგათა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ აში წავსულიყავი.

ღმერთმა დამიფაროს, ბატონი ვანო იმაში დავადანაშაულო, რომ ერთ სამშობლოს მოყვარულ ადამიანს ცხოვრების გზა აურია, ეს პიროვნული წყენის და შურისძიების იერს შეიძენდა! არა, **ბატონო ვანო, თქვენი დანაშაული დიდზე დიდია და არის ის, რომ თქვენ ამ გაყალბებით საქართველოს უკუსვლასა და დაქცევას შეუწყვეთ ხელი. ეს ყოველივე კი მოიმოქმედეთ პირადი კეთილდღეობის გამო და სულ არ გაწუხებდათ, ამას რა უკუშედეგი მოჰყვებოდა ერის, ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხისათვის.** ამას მაფიქრებინებს ისიც, რომ დღესაც ისევ ამ ანტიეროვნულ, ანტისახელმწიფოებრივ გზას ადგახართ და გველაძუობას არ იშლით. ეტყობა, ეს თქვენი თანდაყოლილი ბუნება-ხასიათია. სწორედ ამგვარი ხასიათის ადამიანზე უთქვამთ ჩვენ წინაპრებს, რომ ძაღლი ძაღლობას და გველი გველობას არ მოიშლისო. შესაბამისად, **დღეს უკვე განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის სავარძელში წამოსკუპებული, ნაცვლად იმისა, რომ ამ დარგების განვითარებას ემსახურებოდეთ, პირად ხუშტურს აყოლილნი, ათასგვარი ხრიკებით ებრძვით ეროვნულ აკადემიას და, საერთოდ, განათლების სისტემას:** ჯერ იყო, გსურდათ, შეგექმნათ აკადემიის საპირისპიროდ მეცნიერების წარმმართველი ახალი ცენტრი, არ გამოგივიდათ! მერე იყო, წევრ-კორესპონდენტების მნიშვნელოვანი ინსტიტუტის დამარხვა მოინდომეთ და მის სანაცვლოდ ასოცირებული წევრობის შემოღება გწადდათ, რაც საბოლოოდ მეცნიერებათა აკადემიას დაასამარებდა. ამგვარად, ჩირთიფირთობთ, **აგერ უკვე მეოთხე წელია, ვერ მიიღეთ ერთი ნორმალური კანონი, რომლის მეშვეობითაც უმაღლესი სასწავლებლები და უნივერსიტეტები გაიწმინდებოდა სააკაშვილის მიერ წარმოქმნილი ჭაობისა და მოდებული ხავსისგან, რასაც მოჰყვებოდა სამართლიანობის აღდგენა.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დღევანდელ სავალალო ვითარებაზე რომ არაფერი ვთქვათ, რა ხდება ე.წ. ილიაუნის **(sic!)** უმაღლეს სასწავლებელში?! მამალი „ნაცებისგან“ შემდგარი ხუთკაციანი საბჭო თავის ხუშტურზე განაგებს მას და რაც მოეპრიანება, იმას იქმს. **ეს ე.წ. სასწავლო-სამეცნიერო კერა იქცა თავისუფლების ინსტიტუტის ნაშიერთა სამშობიარო სახლად და თავშესაფრად. მიხუინებმა მათ უკანონოდ მიაკუთვნეს მრავალი შენობა-ნაგებობა, უზომოდ გაუზარდეს დაფინანსება და ესენიც, ერის და რწმენის მოძულენი, ისე გაზულუქდნენ, რომ "მერსედესებს" აღარ სჯერდებიან, ცხენების რემა შეიძინეს და ბედაურებით დაჯირითობენ ჩვენი წინაპრების სისხლით გაპოხილ მიწაზე, ხოლო ზღვაზე ნავს აღარ კადრულობენ, — ნიავმა არ დაგვიბეროსო და საკუთარი გემებით დაგრიალებენ!..**

ახლა რა ხდება კარიერისტი ნაცისტების და დაუნდობელი ზონდერების საკრებულოდ ქცეულ **პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში?** აქაც თვითნებობის ბაკქანალია სუფევს! ერთობ საეჭვო პრინციპით შეკოწიწებული აკადემიური საბჭო და მათი მართული „ზონდერჯგუფები“, უმაღლეს სასწავლებელში დიდი ხანია, რომ ბოგინობენ და წარმატებით განაგრძობენ დათა ახალაიასა და მეგის ქარდავას მიერ დამკვიდრებულ ტრადიციებს, სჩადიან ყოველგვარ უსამართლობას მართვისა თუ ფინანსურ სფეროში. ავიღოთ თუნდაც კარს მომდგარი რექტორის არჩევნები. ესენი უმაღლესი განათლების კანონის დებულების გაუგონარი მანიპულირებით, **რაღაც გამოგონილი სამართლებრივი კაზუისტიკის მოშველიებით ყოველნაირად ცდილობენ, რომ დღევანდელმა ხელმძღვანელობამ, განსაკუთრებით კი მათმა მამა-მარჩენალმა რექტორმა ფრანგიშვილმა შეინარჩუნოს სავარძელი და ისე მიამიტურად იქცევიან, თითქოს არ არსებობდეს და არც სმენიათ ორი ვადით არჩევის ნორმების შესახებ. ამგვარი მიზანმიმართული ქმედებით ისინი არღვევენ სახელმწიფო კანონს, ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა — ქალამნად, რადგანაც დღემდე არაერთი ცოდვა და დანაშაული შერჩათ!..**

**ბატონო ვანო, გეკითხებით, ვითარცა პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეს: ჩვენ სახელმწიფო გვაქვს თუ, თქვენი თანამოაზრის გიორგი მარგველაშვილის არ იყოს, სახელმწიფობანას ვთამაშობთ? პირადად თქვენ რატომ არ იმაღლებთ ხმას და მხოლოდ ბზუით. როგორ გგონიათ, ბზუილი გვიშველის ახლა ჩვენ?!** თქვენ არც იმაზე შეწუხებულხართ, სკოლებში არსებული ცოდნის დაბალი დონე როგორმე აგემაღლებინათ. თავი მხოლოდ იმით გამოიჩინეთ, რომ ხელებდაკაპიწებული ებრძვით ეროვნულ აკადემიას, მეცნიერების უკანასკნელ სავანეს, ყოველგვარი ამორალური, უპრეცედენტო მეთოდებით. **თქვენი სიშლეგე იქამდე მიდის, რომ ანტისახელმწიფოებრივ გამოხდომებსაც არ ერიდებით და იმ ქვეყნის, რომლის 400 მილიონზე მეტი ვალი აქვს ისედაც ვალებში ჩამხრჩვალ ჩვენ ქვეყანას, პრეზიდენტის აკადემიის საპატიო წევრად არჩევას აპროტესტებთ და ვაიუშველებელს ტეხთ, ეს რა**

## «წმინდანად შერაცხილმა» იოანემ დაუდო სათავე არჩევნების გაყალბების მოძღვრებას და უნდა ვაღიაროთ, რომ ის პირმშვენიერ და ლერწამივით მონარნარე ხათუნა გოგორიშვილთან ერთად გვევლინება გაყალბების სისტემის პიონერად, ჩვენს სახელმწიფოსა და ქვეყანას რომ ანგრევდა და ანგრევს დღესაც

**ქნეს, არჩევის წესი დაარღვიეს, ყველა უნდა დაისაჯოს, უპირველესად კი, მისი პრეზიდენტიო...**

ბატონო ვანო თუ ვანიჩკა, ვიცით, რა მუცლის გვრემა გჭირთ, ძალზე ნუ გაიჭინთებით, ემანდ რამე არ გაგეპაროთ!.. გასაოცარია თქვენი თავხედობა, ბატონო ჩემო, უფრო სწორად, კადნიერება — ტანიდან ძვრებით, რომ ეროვნული აკადემია როგორმე დაიმორჩილოთ და საკუთარ დაკრულზე აცეკვოთ. თურმე ამგვარი ქმედება ბუნებრივია და კანონიერიც, ხოლო უცხო ქვეყნის პრეზიდენტის საპატიო წევრად არჩევისას უმნიშვნელო დარღვევას გამოუსწორებელ დანაშაულად მიიჩნევთ. მართლაც ვაი ამისთანა სამართალს!..

ახლა ყური დამიგდეთ, **უსამართლობის ჭაობიდან ამოზრდილო ქმნილებავ, დიახ, თქვენ, თქვენ მოგმართავთ, დოღრიალა ბატონო ვანო, და კარგად მისმინეთ:** ირკვევა, სინდისნამუსი დაგიჩლუნგდათ, კადრულობთ უკადრებელს! რამ აგიმღვრიათ ისედაც მწიკვლი და ცოდვილი სული, რატომ არ ისვენებთ, ჯერ იყო, ლამის პერანგი შემოიხიეთ, როცა აკადემიის კრებამ თქვენი ნების წინააღმდეგ ვიცე-პრეზიდენტად აირჩია ქართველი ერის ისტორიის მკვლევარი, გამორჩეული ორგანიზატორი, უმძიმეს წლებში რომ უნივერსიტეტის სიმძიმე საკუთარი მხრებით ზიდა და სულიერება შეუნარჩუნა — **როინ მეტრეველი.** სწორედ ამის გამო გადაეკიდეთ აკადემიის პრეზიდენტს **გიორგი კვესიტაძეს**, რომელიც გამოირჩევა მაღალი ნიჭიერებით, პატრიოტობით, წესიერებით, პრინციპულობით და თქვენს დაკრულზე არ ცეკვავს.

თქვენი უბედურების ერთი მიზეზიც ის არის, საკუთარ თვალთა შიგან დირესაც ვერ ამჩნევთ, სხვების თვალებში კი ბეწვს ეძიებთ. არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ იძულებულს მხდით, გაგახსენოთ, რომ **თქვენი ვირეშმაკურობით გაახერხეთ და კონკურსი გამოაცხადებინეთ, მანამდე არგაგონილი ვიწრო განხრით — ექსპერიმენტული ნეიროფსიქოლოგია, რათა თქვენი რჩეულისათვის, თ. ნანეიშვილისათვის კონკურენცია არავის გაეწია და აკადემიის ნამდვილ წევრად აარჩევინეთ ის ადამიანი, რომლის, როგორც მეცნიერის სახელი მანამდე არავის სმენოდა. მისი არჩევისას რატომღაც არ გაგხსენებიათ ციტირების ინდექსი, მეცნიერების დონის შეფასების უმთავრეს საზომად რომ მიგაჩნიათ და დღედაღამ პირზე გაკერიათ,** სამწუხაროდ, თქვენ მოქმედებდით საყოველთაოდ ცნობილი პრინციპით: მართალია, „ძაღლისშვილია“, მაგრამ მაინც ჩემი ერთგულია. სწორედ ამ პრინციპით მოქმედებდით თქვენ, როცა თემურ ნანეიშვილი ვიცე-პრეზიდენტად გახადეთ! ისიც კარგად შეისწავლეთ, რომ მას აქვს მიდრეკილება და სწრაფვა პირველკაცობისაკენ. და მართლაც, მას შემდეგ, რაც მეხსიერების ნეიროფიზიოლოგიის შემსწავლელი ლაბორატორიის ხელმძღვანელობა იგდო ხელთ, ყოველგვარი ხერხით ცდილობდა ინსტიტუტის დირექტორების, ჩინებული მეცნიერების **მ. ხახანაშვილისა** და **ვ. მოსიძის** სახელთა დისკრედიტაციას და დიდი ჩალიჩის მერე სასურველ მიზანს მიაღწია — **დირექტორის სავარძელზე მოკალათდა და იმთავითვე, ისე, რომ წამიც არ დაუკარგავს, ძირითად საქმედ გაიხადა ინსტიტუტის პირველ სართულზე რესტორნის გახსნა,** მაგრამ მიზეზთა გამო კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. უკვე აღვნიშნე, რომ თ. ნანეიშვილს მეცნიერის სული და სახელი არ ამშვენებს, რასაც მისი მეცნიერული ნაღვაწიც მოწმობს: მისი სტატიები ბატონ ვანოს მიერ გაფეტიშებულ ტომსონ როიტერის ინდექსირებულ ჟურნალში კი არა, ქართულ ჟურნალებშიც ძნელი საპოვნელია. ერთადერთი, მისი ასე თუ ისე ცნობილი ნაშრომია: „ქცევის ფსიქოფიზიოლოგია“, რომელიც არის სახელმძღვანელო და კომპილაციურ ხასიათს ატარებს. შეიძლება ითქვას, რომ თ. ნანეიშვილი ამ შრომის ავტორი კი არ გახლავთ, არამედ შემდგენელი. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამგვარ წიგნს უნდა ამშვენებდეს გამოყენებული შრომების სია, რასაც წიგნის ავტორი თუ შემდგენელი არ ურთავს, ან შეგნებულად მალავს, რათა თავი ორიგინალური შრომის ავტორად წარმოაჩინოს. თუმცა ქვეყნად არაფერია დამალული, რაც არ გაცხადდება. და, **თუკი თვალს შევავლებთ მსოფლიოში აღიარებულ ნ. კარლსონის სახელმძღვანელოს „ქცევის ფიზიოლოგიას“, აღმოვაჩენთ, რომ თ. ნანეიშვილის I თავი — კარლსონის V თავიდან, II თავი — კარლსონის II და III თავებიდან, VI თავი — კარლსონის IX თავიდან და ა.შ. არის შექმნილ-გადმომღერებული.**

ერთი სიტყვით, როგორც ერთმა ფიზიოლოგიის დარგის საუკეთესო მცოდნემ მითხრა: **თ. ნანეიშვილი „როგორც პიროვნება, ჩამოყალიბებული ინტრიგანია, ხოლო როგორც მეცნიერი, საშუალო დონის ჩამოუყალიბებელი მეცნიერი“. რაოდენ სამწუხაროა, თ. ნანეიშვილი კაცადაც ვერ შედგა, დადის ახლა და გაუთხოვარი ქალივით ჭორებს ავრცელებს, და რას არ იქმს, რომ თავის მამა-მარჩენალს ივანეს ასიამოვნოს! განა არ გაგიგია, თეიმურაზ ბატონო, კაცის კაცი არაკაციაო!**

ახლა კვლავ ვანო კიღურაძეს მივუბრუნდეთ, ავხსნათ, რამ აუშალა ასე ძლიერ კუჭი?! ამის მიზეზიც არ არის ძნელი დასადგენი. ბატონი ვანოს ნებიერ ყოფას პარლამენტში ვადა ეწურება. მან ისიც კარგად უწყის, რომ ახალ პარლამენტში ცხვირს არავინ შეაყოფინებს. ამიტომაც შიშობს, პარლამენტის სავარძელში გამთბარი საჯდომი ჰაერში გამოკიდებული არ დარჩეს და არ გაეყინოს. მისი ეს წუხილი და შფოთი ბუნებრივია და არ არის გასაკვირი. მაგრამ როგორ აპირებს თავისი საჯდომის გადარჩენას, რა გზას ადგება, ესაა მთავარი! აი, ამ შემთხვევაში კი მის უზნეობას არა აქვს საზღვარი, **იგი ყველაფერს კადრულობს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის სავარძელი ხელში ჩაიგდოს და ცილისწამების, ჭორების, სიცრუის გავრცელებას არ ერიდება. მისი ბუნებისა და ცხოვრების წესით მოარული კაცისგან არაფერი უნდა გაგიკვირდეს,** მაგრამ მაინც გაოცებული ვრჩები და მინდა, ვკითხო მას:

ბატონო ვანო, **იმ პატიოსან კაცს, სახელად ბიძინას რომ უხმობენ და რომელმაც ყურებით შეგათრიათ პარლამენტში, სახელს რატომ უტეხავთ?!** რატომ დადიხართ და როშავთ, რომ ბიძინა ივანიშვილს რასაც ვეტყვი, იმას იქმსო; გიორგი კვესიტაძის თავი ვთხოვე და მალე ფერხთ გამიგორებსო... და აკადემიის წევრებს იმითი აშინებთ კიდეც, თუ ჩემ ნებას არ დაჰყვებით, შეწევნას და დანამატს შეგიწყვეტთო... მსგავს სისულელეებს ავრცელებინებთ თქვენ ყმადქცეულ დამქაშებსაც... ვინც ბიძინა ივანიშვილის ხასიათს იცნობს, თქვენ ლაყბობებზე ეცინებათ, მაგრამ ამ უბრალო ადამიანს ნაციონალების ცილისწამებები არ ეყოფა, თქვენც რომ მარილი არ მოაყაროთ?! ეს ქრისტეს ფეხის მკვნეტელები რას არ როშავენ და რაღას არ უგონებენ: მიწის ქვესკნელში და ზეციურ სამყაროში ყველაფერს ის განაგებსო; ყველას ის ნიშნავს, ყველას ის იჭერს და ათავისუფლებსო; სიმართლის აღდგენას ის ეწინააღმდეგებაო, ხალხს ის აშიმშილებსო. თურმე ნუ იტყვით, „ვერა რეჩკა“ რომ ადიდდა და წალეკა თბილისი, მისი ბრალი ყოფილა; ზეცაში მზის აფეთქებებს და მიწისძვრებს ის წარმართავსო. გაბეზრდა ეს კაცი!.. ახლა თქვენც ამოიღეთ ხმა, ბატონო ვანო, თქვენი სისინი „ნაციონალების“ ყიყინზე უფრორე მწარედ მოხვდება გულში და ეტკინება ამ კეთილშობილ, უდიდეს ქველმოქმედ ადამიანს. ამაზე არ გიფიქრია, თუ ტვინის მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფეროები ისევ წაეკიდნენ ერთმანეთს და აზროვნების უნარი სავსებით წაგგვარეს?!

თავი მოითოკეთ, თუკი კიდევ შემოგრჩენიათ სინდისის ნატამალი, თქვე გურიისა და მთელი საქართველოს „ფშუკურა სოკოვ“!..

რაც შეეხება თქვენს მომავალს, ვერაფრით დაგაიმედებთ, ვარსკვლავნი აუგს გიწინასწარმეტყველებენ. ვარსკვლავთ მესაიდუმლე არ ვარ, მაგრამ მწამს გაცხადებული სიბრძნისა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“

**ვიცი, ბატონო ვანო, არ დამიჯერებთ, მაგრამ მაინც გირჩევთ, დარჩენილი წლები სიმშვიდეში გაატაროთ და ენის სარსალს შეეშვათ! ერეკლე მეფის ავი მუსაიფივით ნუ იქნევთ ენის წამახულ მახათს, დაუკრეფავში ნუ გადადიხართ, თორემ შეიძლება რაღაცა შეგეშალოთ, უადგილო ადგილას შეირჭოთ და თავად დაზიანდეთ!**

**ღმერთმანი, ასე აჯობებს თქვენთვისაც და ქვეყნისთვისაც.**

**ელიზბარ ჯაველიძე**

## ბატონო ვანო, თქვენი დანაშაული დიდზე დიდია და არის ის, რომ თქვენ ამ გაყალბებით საქართველოს უკუსვლასა და დაქცევას შეუწყვეთ ხელი. ეს ყოველივე კი მოიმოქმედეთ პირადი კეთილდღეობის გამო და სულ არ გაწუხებდათ, ამას რა უკუშედეგი მოჰყვებოდა ერის, ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხისთვის. ამას მაფიქრებინებს ისიც, რომ დღესაც ისევ ამ ანტიეროვნულ, ანტისახელმწიფოებრივ გზას ადგახართ და გველაძუობას არ იშლით

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინის სიკვდილის შემდეგ, ხრუშჩოვმა, როდესაც მეოცე ყრილობაზე გამოსასვლელად მოხსენებას ამზადებდა, მარშალ როკოსოვსკის სთხოვა, სტალინზე უარყოფითი მასალები გამოექვეყნებინა. როკოსოვსკიმ უპასუხა: — ამას ვერ გავაკეთებ, სტალინი ჩემთვის წმინდაა!**

# შეხვედრები სტალინთან

**ნიკოლოზ გერასიმეს ძე კუზნეცოვი 1904 წელს დაიბადა არხანგელსკის ოლქის სოფელ მედვედკიში. Dდაბადების მოწმობაში დაბადების თარიღი შეცვალა და 1902 წელს დაბადებულად წარადგინა საბუთები საზღვაო სასწავლებელში მისაღებად. ტანმაღალი და ნიჭიერი ახალგაზრდა სრულად აკმაყოფილებდა მინიშნებულ წლოვანებას. მან წარჩინებით დაამთავრა აღნიშნული სასწავლებელი და სამსახური კრეისერ „ჩერვონა უკრაინაზე“ დაიწყო. ბეჯითმა ახალგაზრდამ თავი აქაც მალე გამოიჩინა და ხომალდის მეთაური გახდა.**



„1929 წლის ივნისში ჩვენი კრეისერი ზღვაში შეცურდა, — იგონებს **კუზნეცოვი,** — სროლაში გასავარჯიშებლად. ხომალდის მთელი შემადგენლობა თეთრ ტანსაცმელში ვიყავით გამოწყობილი.

შორს მდგომი საშტაბო გემი გამოემართა და ჩვენი გემის გვერდით დადგა. შემადგენლობა გემბანის ერთ სწორ ხაზზე დაეწყო. დავინახეთ, რომ გემბანზე **სტალინი** და **ორჯონიკიძე** ამოვიდნენ თანხმლებ პირებთან ერთად. ისინი ჯერ კიდევ ახალგაზრდულად გამოიყურებოდნენ ლამაზად შეკერილ თეთრ ხალათებში. ხანმოკლე მისალმების შემდეგ გემმა სვლა დაიწყო და ზღვის ნაპირს მივყვებოდით. მახსოვს, ორჯონიკიძესთან ერთად იყო მისი 18 წლის ქალიშვილი, რომელსაც, ეტყობოდა, ძალიან უყვარდა გემი და ზღვაზე მოგზაურობა. სტალინი და ორჯონიკიძე გემბანის განაპირა ადგილზე იდგნენ. ორჯონიკიძე სტალინს ხელების მოძრაობით ესაუბრებოდა, სტალინი კი მშვიდად აბოლებდა ჩიბუხს და ზღვას გაჰყურებდა.

მცირე მანძილის გავლის შემდეგ გემი შეჩერდა მუხალატკასთან, სადაც თურმე ვოროშილოვი ისვენებდა. გაჩერებისთანავე კრეისერს ნავი მოადგა და ვოროშილოვი გემბანზე ამოვიდა.

თავდაცვის მინისტრი **ვოროშილოვი** და სტალინი განმარტოვდნენ და მცირეხნიანი საუბრის შემდეგ გემის ეკიპაჟთან სურათის გადაღება გადაწყვიტეს. ჩვენც დიდი ხალისითა და სიხარულით შემოვეხვიეთ გარშემო სტუმრებს და სამახსოვრო სურათიც გადავიღეთ. ვოროშილოვი კრეისერიდან მალევე ჩავიდა, ჩვენ კი ზღვის სანაპირო ზოლს ნელი სვლით გავუყევით. სტალინი და ორჯონიკიძე დეტალურად იხილავდნენ საზღვაო ფლოტის განვითარებისა და მშენებლობის უახლოეს პერიოდში გადასაწყვეტ საკითხებს. ორჯონიკიძე კარგად ერკვეოდა ფლოტის მშენებლობაში და მის სიტყვას დიდი ყურადღებით უსმენდა თვითონ ბელადიც. საღამოს გემზე დიდი თვითშემოქმედებითი კონცერტი გავმართეთ არა მხოლოდ ჩვენი, არამედ სხვა გემებიდან მოწვეული ძალებითაც. სტალინი და ორჯონიკიძე კონცერტითა და გემზე არსებული მდგომარეობით კმაყოფილი დარჩნენ. სტალინმა კი გემის სამახსოვრო წიგნში ჩაწერა: „ვიყავი გემ „ჩერვონა უკრაინაზე“, დავესწარი კონცერტს, საუკეთესო ადამიანები არიან, კულტურულები, თავდადებულები ჩვენი სამშობლოს საერთო საქმისათვის. ი. სტალინი“.

სასიამოვნო პერიოდი მალე დასრულდა. გემი სოჭის ნავსადგურს მიუახლოვდა და ღუზა ჩაუშვა. სტალინი და ორჯონიკიძე გულთბილად დაგვემშვიდობნენ და გემიდან ჩავიდნენ, ჩასვლის წინ სტალინმა ხომალდის ახალგაზრდა მეთაური კიდევ ერთხელ შეათვალიერა და ხელის ჩამორთმევით დაშორდა.

გავიდა ცოტა დრო და ნიკოლოზ კუზნეცოვი წყნარი ოკეანის ფლოტის ადმირალად გადაიყვანეს. მალე ის მოსკოვში სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო საბჭოზე მიიწვიეს, სადაც სიტყვით გამოსვლაც მოუწია. სტალინი განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდა კუზნეცოვის გამოსვლას და ბევრ შეკითხვასაც აძლევდა. სტალინმა გააკრიტიკა საზღვაო ფლოტის დოქტრინაში დასმული „რთული ბრძოლების“ საკითხი და კუზნეცოვს მიუთითა, რომ „რთული ბრძოლებისათვის“ საზღვაო ფლოტი ჯერ მომზადებული არ არის, რადგან „რთულ ბრძოლას“ სჭირდება ლინკორები, კრეისერები და სხვა მძიმე ხომალდები, რომლებიც ჩვენ ჯერ არ გვყავს. ამიტომ „რთული ბრძოლების“ საწარმოებლად ცალკე უნდა ჩამოყალიბდეს კონცეფცია, რომელიც უსწრაფესად შექმნის მძიმე ფლოტს“.

სტალინი სიტყვებს ჰაერში არასოდეს ისროდა. თათბირის შემდეგ დაიწყო მოსამზადებელი და საპროექტო სამუშაოები, რომელთაც უშუალოდ სტალინი ამოწმებდა.

— ხომალდებზე უნდა გვყავდეს ჯანმრთელი, კარგად ჩაცმული და კარგად გამოკვებილი მეზღვაურები. ფლოტში გაწვეულები ხანმოკლე სამსახურს გადიან გემებზე, ისინი მაშინ ტოვებენ ხომალდებს, როდესაც უკვე ათვისებული აქვთ მეზღვაურის ცხოვრება, ხომ არ იქნება მისაღები, გავაგრძელოთ მათი სამსახურის ვადა გარკვეული ხნით? — იკითხა სტალინმა.

— ამხანაგო სტალინ, სამსახურის ვადა, შესაძლებელია, გავზარდოთ 5 წლამდე, — თქვა კუზნეცოვმა.

— იქნებ ექვსამდე?! — რეპლიკა ესროლა სტალინმა.

**«ჩემთვის უდავოა, რომ სტალინი არათუ გამორიცხავდა გერმანიის თავდასხმას საბჭოთა კავშირზე, არამედ თვალნათლივ ხედავდა მას, და 1939 წელს დადებულ ხელშეკრულებას განიხილავდა, როგორც ომის შეყოვნებას ხანმოკლე ვადით»**

— ამხანაგო სტალინ, ექვსი წელი მეტისმეტად დიდი დროა, — უპასუხა კუზნეცოვმა.

— თანახმა ვარ, — მიუგო სტალინმა

„1939 წლის 20 მარტს მოსკოვში გამომიძახეს, როგორც მეთვრამეტე ყრილობის დელეგატე, — წერს ნიკოლოზ კუზნეცოვი. — ყრილობათა სასახლეში ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა კუთხიდან ჩამოსული ადამიანები უდიდეს სიამოვნებას და აღფრთოვანებას გამოთქვამდნენ ქვეყნაში დაწყებული გიგანტური მშენებლობების გამო. ყრილობის დაწყებამდე უზარმაზარ ვესტიბიულში სხვადასხვა პროფესიისა და სხვადასხვა კუთხის შვილები ერთმანეთს ეცნობოდნენ, დიდ სიხარულსა და ბედნიერებას გამოხატავდნენ.

დელეგატთა შორის სტალინი გამოჩნდა, მან თავიდან ბოლომდე გადაკვეთა ხალხით სავსე ვესტიბიული. ყველა მას ვუყურებდით. ყრილობამ მუშაობა დაიწყო. მთავრობის წევრებმა თავიანთი ადგილები დაიკავეს. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ჩემი მინისტრი ყრილობის პრეზიდიუმში ვერ დავინახე. ბოლოს, როდესაც გულდასმით დავაკვირდი, სადღაც უკან მეთერთმეტე თუ მეთორმეტე რიგში შევამჩნიე, რაც, რა თქმა უნდა, არ მესიამოვნა. არ მესიამოვნა იმიტომ, რომ ეს სამხედრო საზღვაო ფლოტის შეუფასებლობად მივიჩნიე. მოვისმინე ჭორი, რომ **ფრინოვსკი** მალე სამხედრო საზღვაო ფლოტის მინისტრი აღარ იქნებოდა. ისედაც, მის მაგივრად პირველი მოადგილე სმირნოვ-სვეტლოვსკი საქმიანობდა.

ყრილობის ბოლო დღეებში შესვენებისას ჩემთან მოვიდა **მოლოტოვი** და მკითხა:

— სიტყვით გამოსასვლელად ხომ არ ემზადებით?

უარის ნიშნად თავი გადავაქნიე და განვუცხადე, რომ ჩემი მინისტრის გამოსვლას ველოდებოდი.

— მგონი, ის გამოსვლას არ აპირებს, ყოველ შემთხვევაში თქვენ მაინც მოემზადეთ, — გამაფრთხილა მოლოტოვმა.

მოლოტოვთან საუბარი საღამოს ჩვენი სამინისტროს ყველაზე გამოცდილ და ჭკუასაკითხავ კაცს — **შტერნს** მოვუყევი. მან მოლოტოვთან საუბარს სხვა შეფასება მისცა და ორივემ გამოსვლის ტექსტის შედგენა დავიწყეთ.

მეორე დღეს ყრილობის მიმდინარეობის ერთ-ერთ შესვენებაზე ჩვენთან ახლოს გაიარა სტალინმა, რომელსაც ხელში ფურცელი ეჭირა. უცებ ის უკან მობრუნდა, ჩემ წინ გაჩერდა და ფურცელი მომაწოდა:

— წაიკითხეთ!

ფრინოვსკის სტალინისთვის თხოვნა გაუგზავნია, რადგან საზღვაო საქმეს ნაკლებად ვიცნობ, თანამდებობიდან გამათავისუფლეთ და სხვა, უფრო მსუბუქ სამუშაოზე გადამიყვანეთო.

— თქვენთვის გასაგებია? — მითხრა სტალინმა.

ის ცოტა ხნით კვლავ ჩემ გვერდით იდგა, შემდეგ კი ნელა გაემართა თავისი გზით.

დაიწყო სხდომა, რომელსაც მოლოტოვი თავმჯდომარეობდა. კარგად მახსოვს, მოლოტოვმა რომ გამოაცხადა:

„სიტყვა ეძლევა ამხანაგ შოლოხოვს, მოემზადება ამხანაგი კუზნეცოვი“.

ჩემი გამოსვლის დრო რომ დადგა, ისე დავიბენი, ტრიბუნამდე ძლივს მივაღწიე. თავს ვინუგეშებდი, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. როგორც იქნა, დავმშვიდდი და ჩემი სათქმელი ყრილობას მოვახსენე.

ყრილობის ბოლო სხდომის შემდეგ გამართულ პლენუმზე მოულოდნელად მეც მიმიწვიეს, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური კომიტეტის არც წევრი ვიყავი და არც წევრობის კანდიდატი.

პლენუმზე სტალინი ძალზე მკაცრი და მომთხოვნი იყო. რიგი ამხანაგებისა გაწვეული იქნა ცეკას შემადგენლობიდან, ხოლო გამოთავისუფლებულ ადგილებზე დასანიშნთა სიაში ჩემი გვარიც დასახელდა. ყრილობის შემდეგ მოსკოვში დარჩენა არ მიფიქრია და, როდესაც გასამგზავრებლად ვემზადებოდი, მინისტრის პირველმა მოადგილემ, რომელიც მინისტრის მოვალეობას ასრულებდა, გამაფრთხილა, მოსკოვში რამდენიმე ხნით დავრჩენილიყავი“.

**სასტუმროში დაბინავებული და ჩაძინებული ნიკოლოზ კუზნეცოვი ღამის 2 საათზე ტელეფონის ზარმა გააღვიძა. უბრძანეს, სასწრაფოდ ჩასულიყო ვესტიბიულში, — შენობის გარეთ მანქანა გელოდებათო. დამფრთხალმა კუზნეცოვმა სასწრაფოდ ჩაიცვა და, როდესაც შენობის გარეთ გავიდა, მისთვის განკუთვნილი მანქანის კარი უკვე გამოღებული იყო, რათა კრემლისკენ სასწრაფოდ აელო გეზი.**

იმ შენობაში, რომელთანაც ავტომანქანა გაჩერდა, არასოდეს ყოფილა ნიკოლოზ კუზნეცოვი. მეორე სართულზე სასწრაფოდ ასულს, შეეგება დაბალი, მელოტი კაცი, რომელსაც არ იცნობდა, მაგრამ, როგორც კი მან ხმა ამოიღო, მიხვდა, რომ სტალინის მდივანი და მარჯვენა ხელი პოსკრებიშევი იყო.

„სტალინთან შევედი. დავინახე მწვანე მაუდგადაფარებულ გრძელი მაგიდის თავთან მდგომი სტალინი. ისე გამოიყურებოდა, როგორიც პორტრეტებსა და კინოფილმებში მყავდა ნანახი. მაგიდას პოლიტბიუროს წევრები უსხდნენ. სტალინის წინ რაღაც ქაღალდები ეწყო, რომლებზეც, ეტყობა, პოლიტბიუროს წევრები მუშაობდნენ. სტალინმა ხელი გასწია, წითელი ფანქარი აიღო, ფეხზე მდგომმა ფურცელზე რაღაც დაწერა, შემდეგ ხელში აიღო და დამანახვა. „დაბრძანდით“, — ეწერა ფურცელზე. მეც მორიდებით ჩამოვჯექი სკამზე და ყურადღებით ვაკვირდებოდი, რას მიპირებდნენ იქ მსხდომნი.

სტალინმა დაწვრილებით გამომკითხა წყნარი ოკეანის ფლოტის ამბები. პაუზის შემდეგ მკითხა, რას ფიქრობ მოსკოვში სამუშაოდ გადმოსვლაზეო. ვუპასუხე, რომ ამ საკითხზე არ მიფიქრია, იმ ადგილზე, სადაც ვმუშაობ, უამრავი გეგმა და მიზანი მაქვს დასახული და გასაკეთებელიმეთქი.

—კეთილი. თავისუფალი ხართ, — მითხრა სტალინმა და მეც გარეთ გამოვედი.

მეორე დღეს სამინისტროში ჩატარდა თათბირი, რომელსაც ჟდანოვი დაესწრო. თათბირის გახსნისთანავე ჟდანოვმა მოულოდნელი კითხვა დასვა — შეეფერებოდა თუ არა მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობას **სმირნოვ-სვეტლოვსკი?** სმირნოვ-სვეტლოვსკიმ, რომელიც კრებას თავმჯდომარეობდა, თავი დახარა. კითხვა ისეთი მოულოდნელი იყო, რომ პასუხი ვერავინ გასცა და ჟდანოვს თვითონვე მოუწია თავის კითხვაზე პასუხის გაცემა:

— ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობაზე დაინიშნოს ნიკოლოზ კუზნეცოვი.

იმავე დღეს მივიღე წითელი კონვერტი, რომელშიც ჩადებული იყო დადგენილება მინისტრის პირველ მოადგილედ ჩემი დანიშვნის შესახებ“.

კუზნეცოვი გაოგნებული იყო ასეთი სწრაფი დაწინაურებით, მაგრამ ეს სტალინისათვის არ იყო ნაჩქარევი გადაწყვეტილება, რა- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სასტუმროში დაბინავებული და ჩაძინებული ნიკოლოზ კუზნეცოვი ღამის 2 საათზე ტელეფონის ზარმა გააღვიძა. უბრძანეს, სასწრაფოდ ჩასულიყო ვესტიბიულში, — შენობის გარეთ მანქანა გელოდებათო. დამფრთხალმა კუზნეცოვმა სასწრაფოდ ჩაიცვა და, როდესაც შენობიდან გავიდა, მისთვის განკუთვნილი მანქანის კარი უკვე გამოღებული იყო, რათა კრემლისკენ სასწრაფოდ აეღო გეზი.

დგან კარზე მომდგარ მტერს დახვედრა სჭირდებოდა, რისთვისაც ფლოტის გაძლიერება უპირველეს ამოცანად მიაჩნდა.

მიუხედავად მრავალგზის დაკვირვებისა, სტალინი ბოლომდე არ იყო დარწმუნებული, შეძლებდა თუ არა ეს ახალგაზრდა კაცი გიგანტური სიმძიმის აწევას. სტალინმა კიდევ ერთხელ გადაწყვიტა კუზნეცოვის შემოწმება და ჟდანოვს დაავალა, შორეულ აღმოსავლეთში გამგზავრებულიყო კუზნეცოვთან ერთად და შეემოწმებინა წყნარი ოკეანის საზღვაო ფლოტი.

მეორე დილით ჟდანოვი და კუზნეცოვი შორეულ აღმოსავლეთში გაფრინდნენ.

„მოსკოვში დაბრუნებისთანავე სამინისტროში გავეშურე, რათა დრო მომეგო და რამდენიმე საკითხი მაინც გადამეწყვიტა. კრემლიდან ტელეფონმა დარეკა, — სასწრაფოდ სტალინთან მიხმობდნენ“.

სტალინის კაბინეტში პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა ყურადღებით უსმენდა ჟდანოვის მოხსენებას შორეულ აღმოსავლეთში საზღვაო ფლოტის მდგომარეობის შესახებ. ჟდანოვმა გაწეული მუშაობა შეაფასა, როგორც შესანიშნავი, ხოლო ნიკოლოზ კუზნეცოვზე განაცხადა: „ის ჩვენთვის მონაპოვარია“. გადაწყდა, ხაბაროვსკში აშენებულიყო უდიდესი სავაჭრო პორტი.

— ჩვენ, მგონი, გადავწყვიტეთ საზღვაო ფლოტის საქმე, — კმაყოფილებით წამოიძახა სტალინმა.

„კრემლიდან შინ წამოვედი, — იხსენებს კუზნეცოვი, — შესვენების შემდეგ ისევ სამსახურში მივედი. როცა ჩემს სამუშაო მაგიდასთან დავჯექი, ჩემ წინ წითელი კონვერტი დავინახე, გავხსენი და ამოვიღე საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება სამხედრო საზღვაო ფლოტის მინისტრად ჩემი დანიშვნის თაობაზე. იმხანად 35 წელიც არ მქონდა შესრულებული. დავყურებდი დადგენილებას და ვფიქრობდი, საიდან უნდა დამეწყო და რა როგორ გამეკეთებინა. ასე ვიჯექი დიდხანს, ვიდრე ტელეფონის ზარის ხმა არ გაისმა.

— ნება დამრთეთ, მოგახსენოთ, — გაისმა ყურმილში ჩემი აღმზრდელისა და დამრიგებლის — **გალერის** ხმა.

ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ.

— ახლა „თაფლობის თვე“ გაქვს და სტალინთან ყველაზე რთული და გადაუჭრელი საკითხების განხილვა და გადაწყვეტა უნდა სცადო და მოასწრო. „თაფლობის თვის“ შემდეგ იოლი არ გეგონოს სტალინთან შეხვედრა...

სტალინი დიდ დროს ხარჯავდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის განვითარებაზე, განსაკუთრებით ზრუნავდა დიდი ხომალდების მშენებლობაზე, რომელსაც მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა, მათ შორის, მეც.

ერთ-ერთი თათბირის დასრულების შემდეგ, როდესაც მე კრეისერების მშენებლობა გავაკრიტიკე, გემთმშენებლობის მინისტრმა **რედკინმა** გამაფრთხილა:

— იცოდეთ, სხვა დროს არ გაბედოთ ასეთი გამოსვლა, სტალინი კრეისერების, ლინკორებისა და ხომალდების მშენებლობის შეფერხებას არავის აპატიებს.

მახსოვს, ერთხელ, როცა ტალინიდან დაბრუნდნენ მერეცკოვი და ისაკოვი, მათთან ერთად სტალინის აგარაკზე მეც ვიყავი. საქმიანი საუბრის შემდეგ სადილად მიგვიწვია. საუბარი მძიმე ხომალდების მშენებლობაზე ჩამოვარდა. მე კვლავ ეჭვი შევიტანე ბალტიის მცირეწყლიან ზღვაში მძიმე გემების ჩაშვების საკითხში და, საერთოდ, მათი აგების მიზანშეწონილობაში. გაბრაზებული სტალინი წამოდგა, გაიარ-გამოიარა, აიღო ორი ცალი პაპიროსი, დაფშვნა და ჩიბუხში ჩატენა. მშვიდად მოუკიდა და თავჩაღუნული წითელ ხალიჩას გაუყვა.

**— კაპიკ-კაპიკ შევაგროვებთ ფულს და მაინც ავაგებთ!**

**გამოკვეთილი სიტყვები და ულმობელი მზერა მაგრძნობინებდა, რომ სტალინს სხვა რამ ჰქონდა ჩაფიქრებული და, მის გარდა, სხვას არ უნდა სცოდნოდა“.**

დიდი გემების მშენებლობა 1937 წელს დაიწყო. მშენებლობა და დაპროექტება სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. ტემპმა კიდევ უფრო იმატა 1939 წელს. ასობით ქარხანა მუშაობდა, როგორც გემთმშენებლობაზე, ისე მის შეიარაღებაზე. სტალინმა კარგად იცოდა, რატომ და რისთვის ჩქარობდა ასე სამხედრო საზღვაო ფლოტის გასაძლიერებლად.

ნიკოლოზ კუზნეცოვი მემუარებში წერს:

**„ჩემთვის უდავოა, რომ სტალინი არათუ გამორიცხავდა გერმანიის თავდასხმას საბჭოთა კავშირზე, არამედ თვალნათლივ ხედავდა მას და 1939 წელს დადებულ ხელშეკრულებას განიხილავდა, როგორც ომის შეყოვნებას ხანმოკლე ვადით.**

ომის დაწყების წინა დღეს, 1941 წლის 21 ივნისს, სტალინმა კუზნეცოვი ორჯერ მიიღო კაბინეტში. სწორედ სტალინთან ყოფნის 2 საათის შემდეგ გასცა კუზნეცოვმა ფლოტის საბრძოლო მზადყოფნის დირექტივა, რითაც აშკარად გადარჩა სამხედრო საზღვაო ფლოტი ისეთ მარცხს, როგორიც მოღალატე გენერლის — პავლოვის არმიამ და მის დაქვემდებარებაში მყოფმა ავიაციამ განიცადა დასავლეთის ფრონტზე.

კუზნეცოვმა ომის დაწყებისთანავე შესთავაზა სტალინს, დაებომბათ ბერლინი, რისი თანხმობაც მიიღო. როდესაც საბჭოთა ბომბდამშენებმა ბერლინს ყუმბარები დაუშინეს, გაოგნებულმა ჰიტლერმა ეს დაბომბვა, თვალის ახვევის მიზნით, ბრიტანეთის ავიაციას დააბრალა.

ხოლო როდესაც მტერი მოსკოვს მოადგა, სტალინმა კუზნეცოვი გამოიძახა და უბრძანა, შეექმნა სახმელეთო შენაერთები მეზღვაურებისაგან და შებრძოლებოდა ჰიტლერელებს.

შორეულ აღმოსავლეთზე უდიდესი ზრუნვის თვალსაჩინო მაგალითია სტალინის შეხვედრა წყნარი ოკეანის ფლოტის ადმირალ **იუმაშევთან,** შორეული აღმოსავლეთის არმიის სარდალთან, გენერალ **აპანასენკოსა** და სამხედრო საბჭოს წევრ **ზახაროვთან.** სტალინი დაწვრილებით ესაუბრა მათ მოსკოვთან მიმდინარე ბრძოლებზე და აუხსნა ის რთული მდგომარეობა, რომელიც საბჭოთა ქვეყანას და, კერძოდ, მის დედაქალაქს შეექმნა. ჩვენ, რა თქმა უნდა, გერმანელებს მოსკოვში არ შემოვუშვებთ, მაგრამ შეიძლება რომელიმე კუთხეში მოწინააღმდეგის რამდენიმე ტანკმა შემოაღწიოს, რასაც ხალხში პანიკა მოჰყვება. ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების საქმე კი ჯერჯერობით ცუდად გვაქვს. სტალინი ახლოს მივიდა აპანასენკოსთან, წინ გაუჩერდა და თითქოს ევედრებაო, უთხრა:

— ამხანაგო აპანასენკო, მოგვეცი 150 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, მათ მალევე დაგიბრუნებთ.

გენერალი არც კი დაფიქრებულა, ხელი აუღო სამხედრო წესით და მოახსენა:

— ამხანაგო უმაღლესო მთავარსარდალო, მე ეს არ შემიძლია.

სტალინმა ოთახში გაიარ-გამოიარა, ისევ მიუახლოვდა სამეულს და კვლავ მოსკოვის დაცვაზე განაგრძო საუბარი. რით იყო გამოწვეული სტალინის ასეთი მუდარანარევი ტონი?

სტალინს შეეძლო, ყოველგვარი ნებართვის გარეშე მოეხსნა ყველგან ყველაფერი და გადმოესროლა მოსკოვისაკენ, და, როგორც შემდეგ გაირკვა, უკვე გაცემული ჰქონდა განკარგულება და ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებიც გზაში იყო, მაგრამ უნდოდა, გენერალს თავი არ ეგრძნო დამცირებულად, მოსკოვი რომ თავის სურვილისამებრ ხსნიდა „პოსტებიდან“ შეიარაღებას.

სტლინმა კიდევ ერთხელ სთხოვა გენერალს 150 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და, როდესაც კვლავ უარყოფითი პასუხი მოისმინა, სწრაფად შებრუნდა, კაბინეტის შორეულ კუთხეში გაღიზიანებული დადგა და მკაცრად მიმართა იუმაშევს:

— ამხანაგო იუმაშევ, იაპონელები რომ დაგესხან მოულოდნელად თავს, რას მოიმოქმედებთ?

— შევებრძოლებით სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, — უპასუხა იუმაშევმა.

— შეცდომაა. თქვენი ძალებით მძლავრ იაპონურ ფლოტილიას ვერ მოერევით, ამ შემთხვევაში თქვენ სანაპირო დაცვის იმედი უნდა გქონდეთ და კარგად ორგანიზირებული პარტიზანული ჯგუფების, ვიდრე ომში ჩვენ ჩავებმებით.

სტალინს მეტი კითხვა აღარ დაუსვამს, გარდა ერთისა: როდის აპირებთ შორეულ აღმოსავლეთში გამგზავრებას?

— სასტუმროში მივალთ, ბარგს ავიღებთ, ვისადილებთ და საღამოს მატარებლით წავალთ.

— თქვენი მატარებელი უკვე სადგურში დგას, ბარგიც და სადილიც უკვე მატარებელშია მიტანილი. გთხოვთ, დაუყოვნებლივ გაემგზავროთ აღმოსავლეთში.

**ასეთი იყო სტალინის მუშაობის სტილი და მეთოდი. სტალინის სიკვდილის შემდეგ ხრუშჩოვმა, როდესაც მეოცე ყრილობაზე გამოსასვლელად მოხსენებას ამზადებდა, მარშალ როკოსოვსკის სთხოვა, სტალინზე უარყოფითი მასალები გამოექვეყნებინა. როკოსოვსკიმ უპასუხა:**

**— ამას ვერ გავაკეთებ, სტალინი ჩემთვის წმინდაა!**

მოლოტოვის მეუღლე **პოლინა ჟემჩუჟინა,** რომელიც გადასახლებული იყო ციმბირში, სტალინის სიკვდილისთანავე გაათავისუფლა ხრუშჩოვმა, სანაცვლოდ მეოცე ყრილობაზე სტალინის წინააღმდეგ გამოსვლა სთხოვა. ხრუშჩოვს თავისივე კაბინეტში ასეთი პასუხი გასცა ყოფილმა პატიმარმა ქალბატონმა: „ვის სახელს ახსენებთ, ლორო, სტალინის ჩექმის ლანჩის ტოლადაც არ მიმაჩნიხართ!“ და კარი გაიხურა.

ნიკოლოზ კუზნეცოვი კი ხრუშჩოვს მხარში ამოუდგა სიცრუის გავრცელებაში, თითქოს სტალინი ომის გამოცხადების დღიდან კუნცევოს აგარაკზე იყო ჩაკეტილი, ლოთობდა და დაჭერას ელოდებოდა. სინამდვილეში კი, მსოფლიოში ცნობილია საარქივო მასალები, რომელთა მიხედვითაც, დასტურდება, რომ ხრუშჩოვი, კუზნეცოვი და მიქოიანი ცილს სწამებდნენ სტალინს. ამ მასალების მიხედვით, ნიკოლოზ გერასიმეს ძე კუზნეცოვი 22 ივნისიდან, ომის დაწყების დღიდან, 27 ივნისამდე სტალინთან იმყოფებოდა 14-ჯერ.

**მიუხედავად ამ ცილისწამებისა და სხვა უამრავი თავლაფდასხმისა, რომელშიც უშუალოდ მონაწილეობდა ნიკოლოზ კუზნეცოვი, ხრუშჩოვმა იგი 54 წლისა გაათავისუფლა თანამდებობიდან და მოუხსნა ადმირალის წოდება, რომელიც გათანაბრებული იყო მარშლის წოდებასთან და გაუშვა პენსიაში. ნიკოლოზ კუზნეცოვი 1974 წელს გარდაიცვალა. მას მხოლოდ 1988 წლის 26 ივლისს, მთავრობის ბრძანებულებით, სიკვდილის შემდეგ აღუდგინეს სტალინური წოდება და ხარისხი.**



ნიკოლაი კუზნეცოვი

**მოლოტოვის მეუღლე პოლინა ჟემჩუჟინა, რომელიც გადასახლებული იყო ციმბირში, სტალინის სიკვდილისთანავე გაათავისუფლა ხრუშჩოვმა, სანაცვლოდ მეოცე ყრილობაზე სტალინის წინააღმდეგ გამოსვლა სთხოვა. ხრუშჩოვს თავისივე კაბინეტში ასეთი პასუხი გასცა ყოფილმა პატიმარმა ქალბატონმა: «ვის სახელს ახსენებთ, ლორო, სტალინის ჩექმის ლანჩის ტოლადაც არ მიმაჩნიხართ!» და კარი გაიხურა**



**სტალინი დიდ დროს ხარჯავდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის განვითარებაზე, განსაკუთრებით ზრუნავდა დიდი ხომალდების მშენებლობაზე**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს ამერიკელებმა არა მხოლოდ ინტერნეტში ადამიანების თვალთვალის შესაძლებლობის თაობაზე გამოაცხადეს, მათ ამ შესაძლებლობის ლეგალიზება მოახერხეს. დღეს მოხდა ის, რის შესახებაც ფანტასტები გვაფრთხილებდნენ. ადამიანმა ფაქტობრივად დაკარგა თვალთვალისგან თავის დაღწევის შესაძლებლობა.**

# ინტერნეტი, როგორც აშშ-ის უსაფრთხოებისთვის ბრძოლის საშუალება

**დიდი ხანია, სპეცსამსახურები ინტერნეტს საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ. განსაკუთრებული ამაში არაფერია. პირიქით — იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში რადიკალურად განწყობილი ელემენტებისთვის კავშირის უმთავრესი საშუალება სწორედ სოციალური ქსელებია, ეს აუცილებელიც კია. მიუხედავად ამისა, სპეცამსახურების წარმომადგენლებს, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების, თვალები უფართოვდებოდათ ინტერნეტის თაობაზე კითხვებზე პასუხის გაცემისას.**




ისინი ვითომ მხოლოდ ტერორისტებს უთვალთვალებენ, მთლიანად სისტემა კი არ აინტერესებთ, რას წერენ, რა საიდუმლოებებს გათქვამენ საეჭვო პოპულარობისთვის, მათი საქმე არ არის. პირადი ინფორმაცია მათთვის სრულად ტაბუდადებულია.

მაგრამ **მათრახის ქნევისას დადგება მომენტი, როდესაც ამავე მათრახის ბოლო ალიყურს გითავაზებს, თანაც ისე, რომ ნაიარევი ცხოვრების განმავლობაში დაგრჩება. სწორედ ამგვარი ნაიარევი მიიღო მრავალმა ადამიანმა, რომლებიც სოციალურ ქსელებში გმირსა და ყოვლისმცოდნეს თამაშობდნენ.**

„უცხოელი მოქალაქეებისაგან აშშ-ის ვიზის მისაღებად შეტანილი განცხადებების განხილვისას ამერიკული სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომლები, თუკი აუცილებლად მიიჩნევენ, სოციალურ ქსელებში განმცხადებელთა ექაუნთებს შეამოწმებენ“. ეს დაადასტურა სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა **ჯონ კირბიმ** 14 დეკემბერს გამართულ ბრიფინგზე.

ასე რომ, **ახლა ამერიკული სპეცსამსახურების თვალთვალს ყველა ექვემდებარება უკვე ოფიციალურად. თამაში დასრულდა. დასრულდა ისიც, რასაც ადრე უწოდებდნენ დემოკრატიის მიღწევას. ნებისმიერი ადამიანი, მიუხედავად მისი ამა თუ იმ ქვეყნის ქვეშევრდომობისა, ახლა შეიძლება ზედმიწევნით შემოწმების ობიექტი გახდეს მისი მიმოწერითა და ინტერნეტში მის შესახებ განთავსებული ინფორმაციით.**

უფრო მეტიც: თუკი ადამიანი იყენებს სპეციალურ დაცვას, რომელიც მისი პირადი ინფორმაციის შემოწმების საშუალებას არ აძლევს აშშ-ის უშიშროების დეპარტამენტის მაღალჩინოსნებს, ამის გამო მას, შესაძლოა, აშშ-ში შესვლაზე უარი უთხრან, მაგრამ არსებობს ადამიანთა გარკვეული, საკმაოდ მონოლითური ნაწილი, რომლებიც გარემოებათა გამო, იძულებულნი არიან, გადაკვეთონ ამ ქვეყნის საზღვარი. არტისტები, ბიზნესმენები, პოლიტიკოსები, მეცნიერთა გარკვეული ნაწილი, სტუდენტები და ა. შ.

მაგრამ ვინ თქვა, რომ აშშ-ის სპეცსამსახურები ახლა ოფიციალურად შეამოწმებენ ქსელს მათთვის, ვისაც აშშ-ში გასეირნება უნდა? რატომ უნდა იყოს გამონაკლისები პოტენციური მსურველებისთვის? და არც იქნება. ყველა დაექვემდებარება ტოტალურ კონტროლს!

საინტერესო რამ გამოდის. **აშშ დიდად არ ჩქარობს სირიის ტერიტორიაზე ტერორისტების განადგურებას, მათ ტერორისტებად აღიარებასაც კი არ ჩქარობს. სამაგიეროდ, მზადაა, სასწრაფოდ დაიწყოს პოტენციური ტერორისტების ძებნა.**

დღეს ამერიკელებმა არა მხოლოდ ინტერნეტში ადამიანების თვალთვალის შესაძლებლობის თაობაზე გამოაცხადეს, მათ ამ შესაძლებლობის ლეგალიზება მოახერხეს. დღეს მოხდა ის, რის შესახებაც ფანტასტები გვაფრთხილებდნენ. ადამიანმა ფაქტობრივად დაკარგა თვალთვალისგან თავის დაღწევის შესაძლებლობა.

ჩვენ გვითვალთვალებენ ვიდეოკამერები, ჩვენ გვისმენენ თანამედროვე სმარტფონების საშუალებით. ჩვენ ლამის ყავის საფქვავებიც გვაკონტროლებენ. ახლა ამ ყველაფერს მიმოწერის სრული კონტროლიც დაემატა.

ახლა ველით ანალოგიურ განცხადებებს სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების მხრიდანაც. დასაბამი ამერიკელებმა მისცეს, სხვები რით არიან უარესები? მით უფრო, რომ ძალზე კარგი მიზეზი არსებობს. ტერორისტები გაპარპაშდნენ იქაც კი, საიდანაც მათი შესანახი ფულის დიდი ნაწილი მოდის.

**topwar.ru**



# ევროპის თურქული ნარკოტიზაცია

**რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოაშკარავებულ, სირიასა და ერაყში მოპარული ნავთობის თურქულ ტრანზიტს კიდევ ერთი საინფორმაციო „აფეთქება“ მოჰყვა: „ნარკოტიკების ტრანზიტს ანკარისთვის წელიწადში დაახლოებით 150 მილიარდი დოლარი მოაქვს“.**

„ავღანური ჰეროინის მსხვილი მოცულობები თურქეთის გავლით მიდის ბალკანეთში და შემდგომ — ევროკავშირში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს „ისლამური სახელმწიფოს“ ნავთობის კონტრაბანდას თურქეთის პრეზიდენტის — **რეჯეფ თაიფ ერდოღანის** დახმარებით“, — განაცხადა რუსეთის ნარკოპოლიციის ხელმძღვანელმა **ვიქტორ ივანოვმა.**

მისი თქმით, ავღანურ ნარკოტიკებს ყოველწლიურად მოაქვს 150 მილიარდი შემოსავალი.

„თურქეთი არის ავღანური ჰეროინის ტრანზიტის ქვეყანა, სწორედ ამის გამო მიედინება მისკენ კრიმინალური ნავთობიც“, — აღნიშნა რუსეთის ნარკოტიკების ბრუნვის კონტროლის ფედერალურმა სამსახურმა.

მძიმე ბრალდებაა. **ევროპისა და მისი კანონმორჩილი მოსახლეობისათვის, კანონის, როგორც უმაღლესი ღირებულების პატივისმცემელი ხალხისათვის, ნავთობის მოპარვასა და ნარკოვაჭრობაში მონაწილეობის ბრალდებები ზემკაცრი არგუმენტია ევროპულ ცხოვრებაში თურქეთის როლის გადაფასების სასარგებლოდ.**

**cont.ws**

# 6 მიზეზი იმისათვის, რომ ლე პენი დამარცხებულად არ ჩაითვალოს

**პატარა ნაბიჯი რეგიონული არჩევნებისთვის, მაგრამ უზარმაზარი ნახტომი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ უკიდურესმა მემარჯვენეებმა საფრანგეთში არჩევნების მეორე ტურის მიხედვით ვერც ერთი რეგიონი ვერ მოიგეს, არ შეიძლება, რომ მარინ ლე პენი და მისი პარტია „ნაცფრონტი“ წაგებულად ჩაითვალოს.**



რეგიონული არჩევნების მეორე ტურში უკიდურესმა მემარჯვენე პარტიამ მოხსნა საკუთარი რეკორდი, რომელიც 2012 წლის საპრეზიდენტო მარათონისას დაამყარა — 6,47 მილიონი ხმა. ამჯერად უკიდურესი მემარჯვენეებს მხარი 6,8 მილიონმა ფრანგმა დაუჭირა.

„ნაციონალურმა ფრონტმა“ სამჯერ გაზარდა ხმების რაოდენობა 2010 წლის იმ რეგიონალური არჩევნების შემდეგ, რომლის დროსაც უკიდურესმა მემარჯვენეებმა ძლივს შეაგროვეს ხმათა 10%. 2015-ში მათ საშუალოდ 30% დააგროვეს. ეს მაშინ, როდესაც, როგორც უკიდურესი მემარჯვენეების სპეციალისტი პოლიტოლოგი **ჟან-ივ კამიუ** აღნიშნავდა, „ნაციონალური ფრონტი რჩება პარტიად, რომელსაც ყველაზე მეტად ვერ იტანენ. რამდენს დააგროვებენ ისინი ხვალ? — 40%-ს?“.

ის, რომ „ნაცფრონტმა“ ვერ მოიგო ვერც ერთი ფრანგული რეგიონი არჩევნებზე, აიხსნება ორი მიზეზით: ამომრჩეველთა მობილიზაციითა და იკიდურესი მემარჯვენეების ბლოკადის მხრივ სოციალისტების სტრატეგიით. ეს ფრონტელებს საშუალებას აძლევს, თქვან, რომ მათ არაკეთილსინდისიერ ბრძოლაში წააგეს. მარიონ მარეშალ-ლე პენი, პარტიის ლიდერის ახლო ნათესავი, რომელმაც საფრანგეთის სამხრეთით განიცადა მარცხი, რამდენიმე დღის წინ ამბობდა: „არსებობს გამარჯვებები, რომლებიც სამარცხვინოა გამარჯვებულისთვის“. „ჩვენ მარტონი ვართ ყველას წინააღმდეგ“, — განაცხადა მარინ ლე პენის მარჯვენა ხელმა **ფლორიან ფილიპომ.**

რეგიონებში „ნაცფრონტმა“ შეძლო დამატებითი ხმების მიღება ორ ტურს შორის, ზოგ ადგილებში — 25%-მდეც.

„ნაცფრონტი“ არის პარტია, რომელსაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მარგინალად მიიჩნევდნენ და რომელიც განაგრძობს წინსვლას: ევროპარლამენტის არჩევნები 2014 წელს, დეპარტამენტთა საბჭოების არჩევნები 2015 წლის მარტში, რეგიონული არჩევნები 2015 წლის დეკემბერში და 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მზადება.



პარტია ნელნელა ექაჩება თავისკენ ელექტორატს არა მხოლოდ მემარჯვენეთა მომხრეებიდან, არამედ სოციალისტებისაც. სავსებით **მოსალოდნელია, რომ 2017 წლის არჩევნების პირველ ტურში მარინ ლე პენი უფრო მეტ ხმას მიიღებს, ვიდრე სხვები.**

თუკი შევაჯამებთ, **„ნაცფრონტს“ ჰყავს 11 მერი, ორი სენატორი, ორი დეპუტატი, 24 ევროდეპუტატი და 62 მრჩეველი დეპარტამენტებში. მეორე ტურის შედეგების წყალობით, რეგიონულ საბჭოებში 118 ადგილის ნაცვლად ისინი 358 ადგილს დაიკავებენ.**

დასასრულ, „ნაციონალური ფრონტი“ ახალგაზრდავდება. მისი კანდიდატების უმეტესობა 30 წლისაა.

**RFI**

**საუდის არაბეთი ყოველმხრივ განასახიერებს იმ კრიზისს, რომელშიც ამჟამად იმყოფება ისლამური სამყარო და მისი მხარდაჭერით დასავლელი ლიდერები არსებულ პრობლემებს კიდევ უფრო გააღრმავებენ.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჯიჰადისტური ორგანიზაციები ლეგიტიმური გახდება...

**საუდის არაბეთმა „ისლამური ანტიტერორისტული კოალიციის“ შექმნის თაობაზე გამოაცხადა. მასში მსოფლიოს 34 ქვეყანა, მათ შორის, თურქეთიც შევა. ამ სამხედრო კავშირში გაერთიანებულ ქვეყნებს შორის არიან ეგვიპტე, იორდანია, ყატარი, პაკისტანი და სხვები.**

## რა შეიძლება მისცეს მსოფლიოს ამ კორუფციაში ჩაძირულმა სამეფომ?



**არარეალურია ვარაუდი, რომ საუდის არაბეთი, რომელსაც ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება ავღანეთში, სირიაში, ერაყსა და ლიბიაში სამოქალაქო ომების გაჩაღებაზე, ახლა მის მიერ შექმნილი პრობლემების გადაწყვეტას შეუდგება**



საუდის არაბეთის განცხადების თანახმად, ამ ნაბიჯის მიზანი განსაზღვრულ იქნა, როგორც „ისლამისტი მოსახლეობის დაცვა ბოროტების ყველა გამოვლინებისგან“, რომელიც მომდინარეობს ტერორისტული ორგანიზაციებისგან, მიუხედავად მათი სახეობებისა და სახელწოდებებისა. ამ ალიანსის შემადგენლობაში ირანის არყოფნას ექსპერტები ხსნიან აშშ-ის მხრიდან მხარდაჭერით მოსარგებლე რეგიონული ძალების მისწრაფებით, დაიცვან „ზომიერი ჯიჰადისტების“ ჯგუფები.

რა ფონზე ქმნიან ამ ახალ ალიანსს? თუკი რეგიონში განვითარებულ მოვლენებს გადავხედავთ, ნათელი გახდება, რომ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა საუდის არაბეთი, ყატარი და თურქეთი, ჯიჰადისტებთან პრობლემები არ აქვთ. კოალიციის სახელწოდებაც ამჟღავნებს ამ საკითხის საზღვრებს: „ისლამური ანტიტერორისტული კოალიცია“.

ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლის **გიოკსუ უგურლუს** განმარტებით, რეგიონში სპარსეთის ყურის ქვეყნების აქტიური მხარდაჭერით უზრუნველყოფილ იქნება იმ დაჯგუფებების ზრდისა და გაძლიერების ხელშეწყობა, რომლებსაც „ზომიერ ჯიჰადისტებად“ მოიხსენიებენ. „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში ამ სტრუქტურებს ყოველმხრივ მხარდაჭერას აღმოუჩენენ.

„საუდის არაბეთის ხელმძღვანელობით მოქმედ „ისლამურ ანტიტერორისტულ კოალიციასთან“ თურქეთის მიერთება მნიშვნელოვანი მოვლენაა, თუკი გავითვალისწინებთ იმ დავებს, რომლებიც ბოლო დროს გაცხარდა. კოალიციის შესახებ ამბავი მას შემდეგ გაისმა, რაც პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ აშშ რეგიონის ქვეყნებისგან სერიოზულ მხარდაჭერას (მათ შორის, სამხედრო მხარდაჭერასაც) ელის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. სავსებით შესაძლებელია, რომ ობამას განცხადებამდეც რეგიონის ქვეყნები (და პირველ რიგში სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს წევრები) გრძნობდნენ ამ ზეწოლას.

ობამას გამოსვლისას შესამჩნევი იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. ის მუქარა იყო იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც, საყოველთაო აზრის თანახმად, რეგიონში ტერორისტულ დაჯგუფებებს უჭერენ მხარს. ცხადია, რეგიონულ ძალებს ადრეც ეუბნებოდნენ, რომ დასავლური კოალიციის ძალები აღარ იწონებენ სირიაში ჯიჰადისტური დაჯგუფებების მხარდაჭერას. კოალიციის შექმნას რეგიონის ქვეყნები, შესაძლოა, დათანხმებოდნენ აშშ-ის ადმინისტრაციის ბრძანებითა და ზეწოლითაც, მაგრამ, ეს მართლაც ბრძანება რომ ყოფილიყო, შედეგი ისეთი ვერ იქნება, როგორიც ამერიკას სურს“.

უგურლუს აზრით, ამ კოალიციის წყალობით „ზომიერი ჯიჰადისტები“ შეძლებენ „ლეგიტიმურ ოპოზიციად“ ქცევას, ხოლო, თუკი გავითვალისწინებთ ჯიჰადისტური დაჯგუფებების მხარდაჭერას კოალიციაში წარმოდგენილი ქვეყნების მხრიდან (პირველ რიგში საუბარია სპარსეთის ყურის ქვეყნებსა და თურქეთზე), ნათელი სურათი დაიხატება:

„საუდის არაბეთის ხელმძღვანელობით, კოალიციის შექმნას შესაძლოა შემდეგი მიზანი ჰქონდეს: არ დაუშვას, რომ „ზომიერი ჯიჰადისტები“, რომლებიც აქამდე სარგებლობენ სპარსეთის ყურის ქვეყნებისა და თურქეთის ხელისუფლებისაგან მნიშვნელოვანი მხარდაჭერით, მოხვდნენ რუსეთისა და დასავლური იმპერიალისტური ქვეყნების „ტერორისტთა“ სიაში. უწოდებენ რა ამას „ისლამური მსოფლიოს“ პროტექციას, ისინი აცხადებენ, რომ სურთ, დაიცვან ისლამისტი მოსახლეობა ბოროტების ნებისმიერი გამოვლინებისგან. თუკი ამ ქვეყნებისთვის სირიაში ომის არსი არის ხელი შეუშალონ მათ წინააღმდეგ მიმართულ პროცესს, შესაძლებელია, რომ იქ არსებული ისლამური დაჯგუფებები ლეგიტიმურ ოპოზიციად წარმოადგინონ. ამგვარი „ზომიერი ჯიჰადისტების“ მაგალითს წარმოადგენენ სირიელი თურქმენები, რომლებზეც თურქეთი ამყარებს იმედს.

სწორედ ამის გამო შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ამჟამად ხორციელდება მცდელობა, მოცემულ პროცესში ისლამის დროშით ჩავერთოთ და დასავლეთისაგან დამოუკიდებლად, იდეოლოგიურ და რელიგიურ განსხვავებულობაზე აქცენტებით ვიქონიოთ გავლენა რეგიონის რეკონსტრუქციაზე“.

კიდევ ერთი ექსპერტი, მარმარას უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების დოცენტი **ბეჰლიულ ოზკანი** ახლოაღმოსავლურ თემატიკაზე მრავალი ნაშრომის ავტორია. კოალიციის შექმნასთან დაკავშირებით მისი კომენტარი ასეთია:

„ბოლო ხანს დასავლურ მასმედიაში გაჩნდა უკიდურესად სკეპტიკური სტატიები საუდის არაბეთთან მიმართებაში. მათში ხაზგასმულია, რომ საუდის არაბეთი არაფრით განსხვავდება „ისლამური სახელმწიფოსგან“. აშშ-სა და ევროპაში სულ უფრო ხშირად ისმება კითხვა, თუ რა განსხვავებაა „ისლამურ სახელმწიფოსა“ და ელ-რიადის რეჟიმს შორის, რომელიც ვაჰაბისტური იდეოლოგიის საფუძველზე მართავს ქვეყანას, იდეოლოგიისა, რომელიც ცნობილია თავების მოკვეთით, ქალების მეორეხარისხოვან ადამიანებად აღქმითა და შუასაუკუნოვანი ობსკურანტიზმით. ამ ყველაფრის მიმართ დაპირისპირების მცდელობისას საუდის არაბეთს სურს, შეიქმნას ისლამური მსოფლიოს ლიდერის იმიჯი, ლიდერის, რომელიც 33 სხვა ქვეყანასთან ერთად ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად კავშირს ქმნის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კოალიციის შექმნის ინიციატივა იყო რეაქცია მზარდ კრიტიკაზე დასავლური სამყაროს მხრიდან საუდის არაბეთის მისამართით“.

ოზკანი მიიჩნევს, რომ კოალიცია „იმიჯზე მუშაობის“ გამოვლინებაა. ამასთანავე, **არარეალურია ვარაუდი, რომ საუდის არაბეთი, რომელსაც ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება ავღანეთში, სირიაში, ერაყსა და ლიბიაში სამოქალაქო ომების გაჩაღებაზე, ახლა მის მიერვე შექმნილი პრობლემების გადაწყვეტას შეუდგება.** ეს სტრატეგიული სვლაა. უფრო მეტიც, კოალიციის შემადგენლობაში არ შედის ირანი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამგვარი მანევრით საუდის არაბეთი, ერთი მხრივ, ანტიირანულ ბლოკს ქმნის, მეორეს მხრივ კი, ღიად აჩვენებს, რომ ისლამური სამყაროს ლიდერია. აშშ და ევროპის ქვეყნები უდავოდ მხარს დაუჭერენ მის ამ ნაბიჯს.

მაგრამ **საუდის არაბეთი ყოველმხრივ განასახიერებს იმ კრიზისს, რომელშიც ამჟამად იმყოფება ისლამური სამყარო და მისი მხარდაჭერით დასავლელი ლიდერები არსებულ პრობლემებს კიდევ უფრო გააღრმავებენ.**

რა ღირებულებებს წარმოადგენს ამჟამად საუდის არაბეთი? რა პოლიტიკური წესრიგი შეიძლება დამყარდეს სირიაში, ერაყსა და ლიბიაში საუდის არაბეთის ხელმძღვანელობით? გადაწყვეტის ცენტრში საუდის არაბეთის ტოტალიტარული რეჟიმის დაყენება თავის მოტყუებაა.

მეორე პრობლემა არის ის, რომ საუდის არაბეთს გაჰყვა მსოფლიოს 30-ზე მეტი ისლამური სახელმწიფო. 1960-იან წლებში ამაზე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო. **რა შეიძლება მისცეს მსოფლიოს ამ კორუფციაში ჩაძირულმა სამეფომ?**

რუსეთის ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნულ საკითხზე ფრთხილი პოზიცია შეინიშნება. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესმდივანმა **დიმიტრი პესკოვმა** „ისლამური ანტიტერორისტული კოალიციის“ შექმნაზე ასეთი კომენტარი გააკეთა: „ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ძალისხმევათა გაერთიანება პოზიტიურია, მაგრამ რუსეთის ფედერაციას კიდევ დასჭირდება გარკვეული დრო მიზნებისა და მონაწილეთა შემადგენლობის დეტალების გასაანალიზებლად. ჩვენ კიდევ გარკვეული დრო დაგვჭირდება, რათა გავაანალიზოთ მიღებული გადაწყვეტილება, ცხადია, იმ დეტალური ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც გვჭირდება — ანუ ვინ შევიდა ამ კოალიციაში, რა საერთო მიზნების დეკლარირებას ახდენენ, ექსტრემიზმისათვის რა სახის წინააღმდეგობაზეა საუბარი“.

აშშ კი უმალ მიესალმა ახალი კოალიციის შექმნას. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა **ეშტონ კარტერმა** განაცხადა: „ახალი კავშირი შეესაბამება იმას, რისკენაც გარკვეული დროის მანძილზე მოვუწოდებდით — სუნიტების უფრო აქტიურ მონაწილეობას ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში“. კარტერმა, გააკეთა რა განცხადება ინჯირლიკის ბაზაზე, ასევე აღნიშნა: „მოუთმენლად ველით დეტალებს, თუ რას გულისხმობს საუდის არაბეთი ამ კოალიციის შექმნისას“. შეგახსენებთ, რომ კოალიცია იბრძოლებს იმ „შეიარაღებული ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც ქმნიან არეულობებს, თესენ შიშსა და სიკვდილს, მიუხედავად მათი სახეობისა და სახელწოდებისა“.

**Birgun**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სოციალური „ჰარმონიის“ შენარჩუნების ამგვარი სტრატეგია XXI საუკუნეში შოკისმომგვრელად გამოიყურება. ამგვარი მეთოდები უფრო შეესაბამება „ისლამურ სახელმწიფოს“, ვიდრე დემოკრატიულ ქვეყანას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამერიკის მოქალაქეთა შორის სისხლიანი მსხვერპლი თეთრი სახლის პოლიტიკის მხოლოდ ერთი მხარეა. ამერიკა, უკვე დიდი ხანია, არ ერიდება სხვა ქვეყნებში მის მიერ გავლილი გზების თავის ძალებით მოფენას.**

# აშშ-ში მეორე სამოქალაქო ომია

**როგორც ბრიტანული გაზეთი The Guardian-ი წერს, 2015 წლის 9 დეკემბერს აშშ-ში გაიმართა აქცია, რომელზეც პატივი მიაგეს მასობრივი მკვლელობების მსხვერპლთ. ბოლო სამი წლის განმავლობაში ამერიკაში ცეცხლსასროლი იარაღით დაახლოებით 90 000 ადამიანი მოკლეს და 220 000 დაჭრეს. სტატისტიკის თანახმად, აშშ-ში ყოველდღიურად 12-13 ადამიანი კვდება. მასობრივია ხოცვა-ჟლეტა, თუკი მოკლულია, სულ ცოტა, ოთხი ადამიანი, ანუ ერთი ინციდენტის დროს ერთიდან სამამდე მოკლული ადამიანი ამ სტატისტიკაში გათვალისწინებული არ არის, ასევე არაა გათვალისწინებული ცივი იარაღითა და სხვა საშუალებებით ჩადენილი მკვლელობები.**



**2010 წელს პორტალ «ვიკილიქსზე» გამოქვეყნდა ვიდეოჩანაწერი, რომელიც ერაყში ამერიკელი სამხედროების მიერ საომარი ოპერაციის ჩატარებისას გაკეთდა. მასზე ჩანს, თუ როგორ ცივსისხლიანად ხვრეტენ მშვიდობიან ერაყელებს, მათ შორის ბავშვებით სავსე მიკროავტობუსს, ამერიკელი «მშვიდობისმყოფელები»**

ბუნებრივია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც მმართველი ელიტისა და მსხვილი ამერიკული კორპორაციების ინტერესებს ემსახურებიან, ამ ყველაფერზე ყურადღებას არ ამახვილებენ. რაღაც თვალსაზრისით, ამერიკული ხელისუფლება მარგინალური ელემენტების ხელით სტაბილურად და გეგმაზომიერად იშორებს თავიდან ყველას, ვინც კი საფრთხეს უქმნის ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ წყობას. როგორც ჩანს, **ვაშინგტონი მიიჩნევს, რომ ლიბერალურ ერბოკვერცხს ვერ მოამზადებს, თუ კვერცხი არ გატეხა. ადამიანური მსხვერპლი, აგრეთვე, დახოცილებისა და დაჭრილების ოჯახების მწუხარება მხოლოდ თანამდევი დანაკარგებია. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო, რომელიც ყველანაირად ცდილობს, თავი წარმოაჩინოს ჰუმანიზმისა და დემოკრატიის მაგალითად, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომს აწარმოებს თავისივე მოქალაქეების წინააღმდეგ.**

შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო რადიკალებისგან აცრას იკეთებს. მარგინალური ფენები წარმოადგენენ იმ ძალას, რომელსაც ძალადობა სწყურია და განსაკუთრებული პრობლემების გარეშეც ექვემდებარება კონტროლს.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სხვადასხვა მაგალითის საფუძველზე **კაპიტალისტი პოლიტოლოგები მიხვდნენ, ოფისების თანამშრომლები და უნივერსიტეტების ინტელიგენცია გაცილებით უფრო ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენენ, ვიდრე კარგად მომზადებული ექსტრემისტების თუნდაც მცირერიცხოვანი ჯგუფი.** შტატებს არ სჭირდება თავისი „მემარჯვენე სექტორი“, რომელსაც შეუძლია, გარეშე ძალების ხელმძღვანელობის შედეგად ქვეყანაში ქაოსის მექანიზმის ამუშავება. ამერიკული სისტემის გადარჩენად, **რაც უნდა პარადოქსული იყოს, იქცა ცეცხლსასროლი იარღის ხელმისაწვდომობა იმ სოციალური ელემენტებისათვის, რომლებიც ასეთ შემთხვევაში, დიდი ალბათობით, ორთქლს გამოუშვებენ სკოლებსა და ტაძრებში და არ დაიწყებენ რაღაც ზეფასეული იდეის ძებნასა და კოლექტიური ურთიერთქმედების შესწავლას.**

იარაღზე კონტროლის გამკაცრების მომხრეები მიიჩნევენ, რომ ცეცხლსასროლი იარაღის ხელმისაწვდომობის შემცირება ხელს შეუწყობს მასობრივი მკვლელობების შემცირებას, მაგრამ იარაღისადმი წვდომის სირთულეები, მისი შენახვისთვის პასუხისმგებლობის საფრთხე და სხვა ხელისშემშლელი ფაქტორები, შესაძლოა, რადიკალებისთვის იქცეს საბაბად, დაიწყონ უფრო ორგანიზებული და გააზრებული მოქმედებები. როგორც ჩანს, ვაშინგტონი ნაკლებ ბოროტებად მიიჩნევს პერიოდულად საკუთარი მოქალაქეების მსხვერპლად შეწირვას ამისათვის სპეციალურად დაწესებულ ადგილებში. თავისთავად ცხადია, ბუნტის ნებისმიერი მცდელობა ჩანასახშივე იხშობა, ორთქლის გამომშვები ფანატიკოსები კი გარდაუვალ სასჯელს იღებენ.

**სოციალური „ჰარმონიის“ შენარჩუნების ამგვარი სტრატეგია XXI საუკუნეში შოკისმომგვრელად გამოიყურება. ამგვარი მეთოდები უფრო შეესაბამება „ისლამურ სახელმწიფოს“, ვიდრე დემოკრატიულ ქვეყანას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამერიკის მოქალაქეთა შორის სისხლიანი მსხვერპლი თეთრი სახლის პოლიტიკის მხოლოდ ერთი მხარეა. ამერიკა, უკვე დიდი ხანია, არ ერიდება სხვა ქვეყნებში მის მიერ გავლილი გზების თავის ძალებით მოფენას.**

აშშ მიჩვეულია ამერიკული კორპორაციების ინტერესებთან თანხვედრი თავისი ნაციონალური ინტერესების სხვადასხვა მეთოდებით ▶

# აღმოსავლეთი ევროპა ავტორიტარიზმისკენ მიცოცავს

**გაჩნდა საგანგაშო ნიშნები იმისა, რომ ნატოს ზოგიერთი წევრი უარყოფს ალიანსის დემოკრატიულ საფუძვლებს. ყველაზე ცუდად თურქეთის საქმეა. რეჯეფ თაიფ ერდოღანის ხელისუფლება არა მხოლოდ ავლენს საარაკო დიქტატორულ მიდრეკილებებს, არამედ მისი საგარეო პოლიტიკა (მათ შორის, „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ფლირტიც) თვალთმაქცობის თვალსაჩინო მაგალითია. მაგრამ ნატოს შიგნით ავტორიტარიზმის სიმსივნე მხოლოდ თურქეთით არ შემოიფარგლება. საგანგაშო სიმპტომები ვლინდა მის, სულ მცირე, კიდევ ორ წევრ ქვეყანაში — უნგრეთსა და პოლონეთში.**



უნგრეთის პრემიერმინისტრმა **ვიქტორ ორბანმა** უკვე გამოიმუშავა იმ ხელმძღვანელის რეპუტაცია, რომელიც მკაცრად გამოდის მის ქვეყანაში იმიგრანტების ჩასვლის წინააღმდეგ. მას ისეთი ექსტრემისტული მოსაზრებები აქვს, რომ ევროკავშირის კრიტიკოსები ქსენოფობად მოიხსენიებენ.

მაგრამ განგაშის სიგნალი კიდევ უფრო ხმამაღლა გაისმა იმის გამო, როგორ ექცეოდა ორბანი თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. მისი ხელისუფლება უფლებადამცველი ორგანიზაციების წინააღმდეგ რეპრესიებს ანხორციელებს. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ორბანის მმართველობის პირობებში მატულობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა, სამოქალაქო საზოგადოებებისა და ხელისუფლების მიმართ სხვა კრიტიკულად განწყობილთა დევნა. თავის გამოსვლებში **ორბანი ირწმუნება, რომ ეს ორგანიზაციები შედგება მოსყიდული პოლიტიკური აქტივისტებისგან, რომლებიც ცდილობენ, უნგრეთში უცხოური ინტერესები გაატარონ.** პრემიერმინისტრი იქამდე მივიდა, რომ დაიწყო ავტოკრატიების მაგალითების მოყვანა და ამგვარ ქვეყნებს სავსებით წარმატებულებად და უნგრეთისთვის სამაგალითოდ ასახელებს.

ბუდაპეშტის ავტორიტარულმა დრეიფმა შეაშფოთა არა მხოლოდ ნატოს სხვა ქვეყნების ხელმძღვანელობები, არამედ პროდასავლური ძალები უნგრეთში. ეს შეშფოთება გამოვლინდა 2015 წლის თებერვალში, როდესაც ბუდაპეშტის ქუჩებში ათასობით დემონსტრანტი გამოვიდა ორბანის პოლიტიკისადმი პროტესტის გამოსახატავად და მათ ქვეყანაში ჩასული გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელისაგან იმის მოსათხოვად, რომ ორბანის რეჟიმისთვის პატივისცემა არ გამოეხატა.

მაგრამ მას შემდეგ მდგომარეობა მხოლოდ გაუარესდა. ივლისში ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია უნგრეთში „შემაშფოთებელ მოვლენებსა“ და დემოკრატიული ნორმების შესუსტებაზე. მიმდინარე თვეში კი ევროპარლამენტმა მიიღო კიდევ ერთი რეზოლუცია, რომელშიც ევროკომისიას მოუწოდებს, უნგრეთი მონიტორინგის პროცედურას დაუქვემდებაროს მისი სახელმწიფო მმართველობის პრაქტიკის შემოწმების მიზნით. ახლა შესაძლოა, ბუდაპეშტი დასაჯონ და დროებით ჩამოართვან ხმის უფლება ევროკავშირის ინსტიტუტებში.

**პოლონეთიც** იმ ქვეყნების სიაში აღმოჩნდა, რომლებიც ავტოკრატიისკენ იხრებიან. ოქტომბრის არჩევნებზე მემარჯვენე პარტიის „კანონისა და სამართლიანობის“ გამარჯვებით ამ ქვეყანაში შემაშფოთებელი მოვლენები დაიწყო. ახალმა ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ შეიწყალა პოლონური სპეცსამსახურების სკანდალურად ცნობილი ხელმძღვანელი, რომელიც ციხეში უფლებამოსილებათა ბოროტად გამოყენების გამო აღმოჩნდა. მაგრამ ყველაზე შემაშფოთებელი მოვლენები დაიწყო მაშინ, როდესაც ახალმა ხელისუფლებამ არად ჩააგდო პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მთელი რიგ დადგენილებებისა. ამ დადგენილებებიდან ერთ-ერთით უკანონოდ იქნა მიჩნეული ხელისუფლების მცდელობები, შეეცვალა ხუთი მოსამართლე ახალდანიშნულებით. პრემიერმინისტრმა და მისმა კოლეგებმა არ შეასრულეს სასამართლოს დადგენილება და მაინც დანიშნეს ახალი მოსამართლეები. ეს საარაკო მანევრი იყო, რომლითაც პოლონეთის ხელისუფლებამ აჯობა ▶

**რესპუბლიკელების ოფიციალური კანდიდატი დამტკიცდება ეროვნულ ყრილობაზე კლივლენდში 2016 წლის 18-21 ივლისს. გამოკითხვების თანახმად, ყველაზე მეტი მხარდაჭერით დონალდ ტრამპი სარგებლობს. მისი რეიტინგი 40%-ს აღწევს. დემოკრატიული პარტიის რიგებში კი თითქმის უალტერნატივო კანდიდატად გამოიყურება აშშ-ის ექსსახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




◀ დაცვას. და ცხადია, ადამიანთა მსხვერპლს ამერიკა ამ საქმეში არასდროს შეუფერხებია. ყველაზე ნათელ და ნიშანდობლივ საშუალებად შეიძლება გავიხსენოთ ამერიკული ჰუმანიზმის გამოვლინება — ორი ბირთვული ბომბის ჩამოგდება **ჰიროსიმასა და ნაგასაკიში 1945-ში.** კიდევ ერთი ოდნავ უფრო დაფარული ნათელი მაგალითია 1973 წელს **აუგუსტო პინოჩეტის** ხელმძღვანელობით სამხედრო გადატრიალების მოწყობა **ჩილეში**, რომელსაც აშშ-მა დაუჭირა მხარი.

უნდა აღინიშნოს, ასევე, ამერიკელების დამოკიდებულება საჭირო მსხვერპლთან. **2010 წელს პორტალ „ვიკილიქსზე“ გამოქვეყნდა ვიდეოჩანაწერი, რომელიც ერაყში ამერიკელი სამხედროების მიერ საომარი ოპერაციის ჩატარებისას გაკეთდა. მასზე ჩანს, თუ როგორ ცივსისხლიანად ხვრეტენ მშვიდობიან ერაყელებს, მათ შორის ბავშვებით სავსე მიკროავტობუსს ამერიკელი „მშვიდობისმყოფელები“.** ბუნებრივია, ხელმისაწვდომი მტკიცებულებების გაჩენის შემდეგაც კი არავინ დასჯილა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ სამხედრო მოსამსახურეებს ჩადენილი დანაშაულების მიმართ ცინიკურ-იუმორული დამოკიდებულება აქვთ. მაგალითად, ერთმა მფრინავმა მეორეს უთხრა: „შეხედე ამ დახოცილ ნაძირალებს“, მეორემ კი უპასუხა: „მშვენიერია“. შეიტყო რა, რომ სროლის შედეგად ბავშვები დაიხოცნენ, დემოკრატიის ერთ-ერთმა დამცველმა განაცხადა, რომ ეს მათი ბრალია, ვინც ბავშვები იქ მიიყვანა.

ამერიკელების მიერ სხვა ქვეყნებში ჩადენილი დანაშაულებზე დიდხანს შეიძლება საუბარი. მაგალითად, **შეიძლება გავიხსენოთ უკრაინაში ნაცისტური ფორმირებების ღია მხარდაჭერა ან სირიის ხელისუფლებისთვის პრობლემების შექმნა ისლამისტებთან ბრძოლაში.** მაგრამ უკვე ჩამოთვლილი მაგალითებიც საკმარისია, მივხვდეთ, რომ **აშშ-ის ხელისუფლება არ გაჩერდება არაფრის წინაშე, მათ შორის, არც საკუთარი მოქალაქეების მსხვერპლად შეწირვის, ოღონდაც „თავისი“ მარგინალები დაამშვიდოს.** შესაძლოა, ოდესმე ვაშინგტონმა იპოვოს რაღაც მეთოდი საკუთარ ტერიტორიაზე რადიკალების წინააღმდეგ საბრძოლველად, მანამდე კი ეკლესიის მრევლის ნებისმიერი წარმომადგენელი, ნებისმიერი პაციენტი და სკოლისა თუ უნივერსიტეტის მოსწავლე შეიძლება გახდეს „ამერიკული სტაბილურობის“ მორიგი მსხვერპლი“.

cont.ws

◀ თვით ამერიკის პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტს და სასამართლოების გაფართოების მის სკანდალურ სქემას. ამგვარი ქმედებების გამო მკაცრი პოლიტიკური თამაშების ეს დიდი მოყვარული პრეზიდენტიც კი გაწითლდებოდა.

პოლონურმა ძალოვანმა ილეთებმა შეაშფოთა როგორც ქვეყნის შიგნით კრიტიკოსები, ასევე ევროკავშირის ხელმძღვანელობაც. ახლახან ვარშავის ქუჩებში გამოვიდა დაახლოებით 50 000 ადამიანი, რათა დაეცვათ დემოკრატია, საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი პრეზიდენტი **ანჯეი ზოლი** კი ამბობდა, რომ პოლონეთში მეოთხედსაუკუნოვანი დემოკრატიული პერიოდი დასასრულს უახლოვდება. ევროპარლამენტის თავმჯდომარემ მარტინ შულცმა პოლონეთის ხელისუფლების ქმედებებს „გადატრიალება“ უწოდა.

ეს შემაშფოთებელი ტენდენციებია, მაგრამ გასაკვირი არავისთვის უნდა იყოს. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კომუნისტური რეჟიმების მმართველობის ქვეშ რჩებოდნენ, შესაბამისად, მათ საზოგადოებებში დემოკრატიამ არც ისე დიდი ხნის წინათ გაიდგა ფესვები და არც თუ ისე ღრმად. ავტორიტარიზმის მემკვიდ-



ვიქტორ ორბანი

რეობა უფრო დიდხანს გრძელდება, ვიდრე კომუნისტური ეპოქა. ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში ამ რეგიონის მხოლოდ ერთ ქვეყანაში, ჩეხოსლოვაკიაში, იყო სტაბილური დემოკრატიული სისტემა, სხვებს კი კონსრვატიულ-ავტორიტარულიდან ღიად ფაშისტურამდე შინაარსის რეჟიმები მართავდნენ. ოპტიმისტური იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ ყველა ეს ქვეყანა წინააღმდეგობის გარეშე და მშვიდად გადავიდოდა დასავლური ტიპის დემოკრატიაზე.

**ტედ გალენ კარპენტერი,**
**კატონის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და National Interest-ის მწერალი რედაქტორი, ათეულობით წიგნისა და საერთაშორისო საქმეებზე 600-ზე მეტი სტატიის ავტორი.**

National Interest

აშშ-ის სენატორი:

# თუკი ასადს ჩამოაგდებენ, სირიას ტერორისტები დაიპყრობენ

**აშშ-ის პრეზიდენტობის რესპუბლიკელი კანდიდატები აცხადებენ, რომ საჭიროა „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაზე კონცენტრირება და არა ახლო აღმოსავლეთის არასასურველი რეჟიმების დამხობაზე მოცდენა. ნევადის შტატში, ლას-ვეგასში რამდენიმე დღის წინათ გამართულ დებატებზე, რომელიც 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკური პარტიიდან წარდგენილი კანდიდატებისთვის გაიმართა, ნაციონალური უსაფრთხოებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებმა ცენტრალური ადგილი დაიკავა.**



ამგვარი აქცენტი გასაკვირი არცაა. NBC/Wall Street Journal-ის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის უკანასკნელი კვლევის შედეგების თანახმად, სან-ბერნარდინოში მომხდარი იმ ტერაქტის შემდეგ, რომელსაც 14 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ამერიკელთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ხელისუფლებისთვის სწორედ ეს თემები უნდა იყოს პრიორიტეტული. კანდიდატები ერთხმად ირწმუნებოდნენ, რომ ბარაკ ობამას არ შესწევს უნარი, უზრუნველყოს უსაფრთხოება ამერიკელებისთვის და „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლის საკუთარ რეცეპტებს ახმოვანებდნენ.

ნიუ-ჯერსის გუბერნატორი **კრის კრისტი** თვლის, რომ ტერორიზმის საფრთხე და მასობრივი მკვლელობები ობამას პერიოდში ამერიკისთვის ახალ ნორმად იქცა. „ვფიქრობ, თუკი ვინმეს ესაჭიროება მესამე მსოფლიო ომი, მათ თავიანთი კანდიდატი იპოვეს, — განაცხადა ამ გამონათქვამზე კენტუკის სენატორმა **რენდ პოლმა**, — მოგვწონს ჩვენ ეს თუ არა, რუსეთის ავიაცია უკვე ახორციელებს გაფრენებს და ამას ერაყისა და სირიის ხელისუფლებების მიწვევით აკეთებს. არასაფრენი ზონა კატასტროფა იქნება. ჩვენ დიალოგი უნდა ვაწარმოოთ ძალის პოზიციიდან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩავიდინოთ უგუნური ქმედებები, რომლებსაც შესაძლოა, ომი მოჰყვეს“.

ბიზნესმენმა **დონალდ ტრამპმა** უკუაგდო სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის დამხობის კონცეფცია: **„ის ცუდი ბიჭია, მაგრამ აშშ-მა თავადაც არ იცის, ვის უჭერს მხარს სირიაში. ჩვენ არ შეგვიძლია, ერთდროულად ვიბრძოლოთ ასადის წინააღმდეგაც და „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგაც... რუსეთი, ირანი და სირიის ხელისუფლება „ისლამურ სახელმწიფოს“ ებრძვიან. ეს არის მთავარი მიზანი, რომელზეც უნდა მოხდეს**

**დონალდ ტრამპმა უკუაგდო სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის დამხობის კონცეფცია: «ის ცუდი ბიჭია, მაგრამ აშშ-მა თავადაც არ იცის, ვის უჭერს მხარს სირიაში. ჩვენ არ შეგვიძლია, ერთდროულად ვიბრძოლოთ ასადის და «ისლამური სახელმწიფოს» წინააღმდეგ... რუსეთი, ირანი და სირიის ხელისუფლება «ისლამურ სახელმწიფოს» ებრძვიან. ეს არის მთავარი მიზანი, რომელზეც უნდა მოხდეს კონცენტრირება»**



ბაშარ ასადი

წიფო“ აქტიურად იყენებს ინტერნეტკომუნიკაციებს ახალი რეკრუტების გადაბირებისა და რადიკალური იდეების გავრცელების საქმეში.

ტეხასის სენატორმა **ტედ კრუზმა** გააკრიტიკა ადმინისტრაციის სტრატეგია და აღნიშნა: **„ეგრეთ წოდებული ზომიერი ოპოზიცია სირიაში ისეთივე მითია, როგორიც იისფერი მარტორქა. ისინი ჯიჰადისტები არიან“.** არასასურველი რეჟიმების დამხობის პოლიტიკას მან მცდარი უწოდა და მაგალითად მოიყვანა ლიბიაში ტერორისტების მიერ მართული ზონის ჩამოყალიბება და ეგვიპტის ხელისუფლებაში „ძმები მუსლიმანების“ მოსვლა. მან ამ ქვეყნების დამხობილ ლიდერებს — **მოამარ კადაფისა და ჰოსნი მუბარაქს** უწოდა „ცუდი ადამიანები, რომლებმაც დაარღვიეს ადამიანთა უფლებები“, მაგრამ აღნიშნა, რომ ისინი რადიკალი ისლამისტების წინააღმდეგ იბრძოდნენ. **„საჭიროა შეცდომებზე სწავლა, — განაცხადა კრუზმა. — ბაშარ ასადის დამხობას მოჰყვება მთელი სირიის დაპყრობა „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკების მიერ, რაც საფრთხეს შეუქმნის აშშ-ის ეროვნულ უსაფრთხოებას“.**

რუსეთთან დიალოგში წარმატების ყველაზე ქორული რეცეპტი წარმოადგინა ერთადერთმა კანდიდატმა ქალმა რესპუბლიკელთა რიგებში **კარლი ფიორინამ.** მისი აზრით, ეს დიალოგი ძალის პოზიციიდან უნდა წარიმართოს და ამ პოზიციას უზრუნველყოფდა სირიაში არასაფრენი ზონის შემოღება, ხმელთაშუა ზღვაში აშშ-ის VI ფლოტის გამაგრება, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის განთავსება პოლონეთში და რიგი სამხედრო სწავლებების ჩატარება აღმოსავლეთ ევროპაში.

ამ მიდგომას ნაწილობრივ დაეთანხმა ფლორიდის შტატის ყოფილი გუბერნატორი **ჯებ ბუში**, რომელიც დარწმუნებულია, რომ ძლიერი შეიარაღებული ძალები მსოფლიოში ამერიკული ლიდერობის საწინდარია, თუმცა ამ კონტექსტში პირდაპირ რუსეთზედა მას არაფერი უთქვამს.

ფლორიდელი სენატორი **მარკო რუბიო** გამოვიდა იდეით, რომ კვლავ გაუხსნან ხელები სპეცსამსახურებს ტელეფონებისა და სხვა საკომუნიკაციო არხების კონტროლის მიმართულებით. ტედ კრუზი და რენდ პოლი საწინააღმდეგო აზრს იზიარებენ, რადგან, როგორც პოლმა აღნიშნა, ინფორმაციის უზარმაზარი რაოდენობა მათ ტერორისტების კომუნიკაციებზე კონცენტრირების საშუალებას არ აძლევდა.

**რესპუბლიკელების ოფიციალური კანდიდატი დამტკიცდება ეროვნულ ყრილობაზე კლივლენდში 2016 წლის 18-21 ივლისს. გამოკითხვების თანახმად, ყველაზე მეტი მხარდაჭერით დონალდ ტრამპი სარგებლობს. მისი რეიტინგი 40%-ს აღწევს. დემოკრატიული პარტიის რიგებში კი თითქმის უალტერნატივო კანდიდატად გამოიყურება აშშ-ის ექსსახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი.**

cont.ws

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მისი უგანათლებულესობის მეფისა და მისი ხალხებისადმი მონარქის განსაკუთრებული მოწყალების დასამტკიცებლად და ამ ერთმორწმუნე ხალხების რუსეთთან უმეტესად შეერთებისთვის მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ინებებს, რომ მათი კათოლიკოსი ანუ უფროსი მთავარეპისკოპოსი რუსეთის იერარქების რიცხვში შედიოდეს მერვე ხარისხში, სახელდობრ ტობოლსკელის შემდეგ, და ყოვლადმოწყალედ უბოძებს მას სამარადისოდ უწმინდესი სინოდის წევრის წოდებას; ხოლო საქართველოს ეკლესიის მმართველობისა და იმ ურთიერთობის შესახებ, რომელშიც უნდა იყოს იგი რუსეთის სინოდთან, შედგენილ იქნება განსაკუთრებული არტიკული“.**

# გეორგიევსკის ტრაქტატი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №41-46 (323-328)



## — რა ისტორიულ-პოლიტიკურმა მიზეზებმა უბიძგა საქართველოს, ეძებნა მოკავშირე რუსეთის სახით

### გეორგიევსკის ტრაქტატის დადების 230 წლისთავისთვის

## საქართველოზე რუსეთის იმპერიის მფარველობის ხელშეკრულება

**ქართული ტექსტის გაგების სირთულის გამო ვაქვეყნებთ რუსული პირის თარგმანს თანამედროვე ქართულ ენაზე. ამასთანავე, ზოგიერთი ტერმინი და გამონათქვამი გადმოტანილია 1783 წლის დოკუმენტის ქართული დედნიდან.**

„სახელითა ღმრთისა ყოვლისა შემძლებელისა ერთისა სამწმინდაობასა შინა დიდებულისათა:

**უძველესი დროიდან სრულიად რუსეთის იმპერია ქართველ ხალხთან ერთმორწმუნეობით წარმოადგენდა დაცვას, დახმარებასა და თავშესაფარს ამ ხალხისა და მისი უგანათლებულესი მფლობელებისთვის იმ ტანჯვათაგან, რომლებსაც ისინი განიცდიდნენ თავიანთი მეზობლებისგან.** სრულიად რუსეთის თვითმპყრობელების მიერ, ქართველი მეფეებისთვის, მათი საგვარეულოსა და ქვეშევრდომებისთვის ბოძებულმა მფარველობამ წარმოქმნა უკანასკნელთაის დამოკიდებულება პირველებზე, რომელიც ყველაზე უფრო სრულად ჩანს თავად რუსეთის საიმპერატორო ტიტულიდან. მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ, აწ ბედნიერად მმეფობმა, საკმარისი სახითა და ნათლად გამოაცხადა ამ ხალხისადი თავისი მონარქიული კეთილგანწყობა და მისი სიკეთისათვის თავისი დიდსულოვანი განგებულების შესახებ თავისი ძლიერი მცდელობებით, რომლებიც გამოყენებულ იქნა ამ ხალხის გამოხსნისთვის მონობის უღლისგან და ჭაბუკებითა და ქალწულებით გადასახდელი საყვედრებელი ხარკისგან, რომლებსაც ერთი ნაწილი ქართველებისა სავალდებულოდ იხდიდა, და ასევე განაცხადა თავისი მონარქიული მზრუნველობის შესახებ მათი მფლობელების მიმართ. ამ განწყობილებით ყურად ილორა სიმდაბლით მისი ტახტისადმი წარდგენლი თხოვნა ქართლისა და კახეთის უგანათლებულესი მეფის ერეკლე თეიმურაზის ძისა, მთელი მისი მემკვიდრეებითა და მენაცვალეებით, მთელი მისი სამეფოებითა და მხარეებით მისი უდიდებულესობისა და მის მაღალ მემკვიდრეთა და მენაცვალეთა მონარქიული მფარველობის ქვეშ მიღების შესახებ, სრულიად რუსეთის იმპერატორების ქართლისა და კახეთის მეფეებზე უმაღლესი ხელისუფლების აღიარებით, ყოვლად მოწყალედ ისურვა დაადგინოს და დადოს მოხსენიებულ უგანათლებულეს მეფესთან სამეგობრო ხელშეკრულება, რომლის მეშვეობითაც, ერთის მხრივ, მისი უგანათლებულესობა თავისი სახელითა და თავის მენაცვალეთა სახელით აღიარებდა რა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისა და მის მაღალ მენაცვალეთა უმაღლეს ხელისუფლებასა და მფარველობას ქართლისა და კახეთის სამეფოების მფლობელებსა და ხალხებზე, აგრეთვე მათ მფლობელობაში მყოფ სხვა ხალხებზეც, აღნიშნავდა საზეიმოდ და ზუსტად თავის ვალდებულებებს სრულიად რუსეთის იმპერიისადმი; ხოლო მეორეს მხრივ — მის იმპერატორობით უდიდებულესობას ასევე შეეძლებოდა საზეიმოდ აღნიშვნა იმისა, თუ რა უპირატესობებსა და სარგებელს უბოძებდა იგი თავისი გულუხვი და ძლიერი ხელით მოხსენიებულ ხალხებსა და მათ უგანათლებულეს მფლობელებს“.

შემდეგ შესავალში ნათქვამია, რომ ტრაქტატზე ხელმოსაწერად რუსეთის მხრიდან დადგენილ იქნა რომის იმპერიის უგანათლებულესი მთავარი, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ჯარების გენერალ-ანშეფი, რეგულარული და არარეგულარული მსუბუქი ცხენოსანი ჯარებისა და სხვა ბევრი სამხედრო ძალის მბრძანებელი, სენატორი, სახელმწიფო სამხედრო კოლეგიის ვიცე-პრეზიდენტი, ხელმწიფის მენაცვალე ასტრახანის, სარატოვის, აზოვისა და ნოვოროსიისკის მხარეებში, მისი უდიდებულესობის გენერალ-ადიუტანტი და ნამდვილი კამერჰერი... **გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტიომკინი,** რომელმაც, თავის მხრივ, ამ უფლებებით აღჭურვა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის...არმიის გენერალ-პორუტჩიკი, ასტრახანის გუბერნიის ჯარების სარდალი, მისი უდიდებულესობის ნამდვილი კამერჰერი... **პავლე პოტიომკინი**; საქართველოს მხრიდან ტრაქტატზე ხელმოსაწერად არჩეულ იქნენ მათი ბრწყინვალებანი მარცხენა ხელის ჯარების სარდალი (ქართული ტერმინოლოგიით — მემარცხენე სპასპეტი) თავადი **იოანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონი** (მუხრანბატონი) და ერეკლე მეფის მანდატურთუხუცესი (რუსული ტერმინოლოგიით — გენერალ-ადიუტანტი) და ყაზახის სამთავროს ზედამხედველითავადი გარსევან რევაზის ძე ჭავჭავაძე.

„ხსენებულმა სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა, შეუდგნენ რა ღუთის შეწევნით საქმეს და გაცვალეს რა ურთიერთშორის თავიანთი უფლებამოსილებანი, მათი ძალით დაადგინეს, დაასკვნეს და ხელი მოაწერეს შემდეგ არტიკულებს.

### არტიკული პირველი

უგანათლებულესობა მისი, მეფე ქართლისა და კახეთისა სახელითა თვისითა, თავისი მემკვიდრეებისა და მენაცვალეთა სახელით საზეიმოდ სამარადისოდ უარს ამბობს ყოველგვარ ვასალობაზე, ან სხვა რაიმე წოდებით ყველანაირ დამოკიდებულებაზე სპარსეთის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოსგან; და ამით აცხადებს მთელი მსოფლიოს წინაშე, რომ იგი არ აღიარებს თავის თავზე ან თავის მენაცვალეთა თავზე სხვა თვითმპყრობელობას თვინიერ სრულიად რუსეთის საიმპერატორო ტახტის და მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისა და მისი მაღალი მემკვიდრეებისა და მენაცვალეთა უმაღლესი ხელისუფლების და მფარველობისა, ჰპირდება რა ამ ტახტს ერთგულებასა და მზადყოფნას შეეწეოდეს სახელმწიფოს სარგებელს ყველა შემთხვევაში, სადაც კი ამას მისგან მოითხოვენ.

### არტიკული მეორე

მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა, ღებულობს რა მისი უგანათლებულესობის მხრიდან ასეთ გულწრფელ დაპირებას, მის თანაბრად ჰპირდება და თავისი იმპერატორობითი სიტყვით აიმედებს თავისგან და თავის მენაცვალეთაგან, რომ მათი წყალობა და მფარველობა ქართლისა და კახეთის უგანათლებულეს მეფეებს არასოდეს წაერთმევათ. რის დასამტკიცებლადაც მისი უდიდებულესობა აძლევს თავის იმპერატორობით თავდებობას მისი უგანათლებულესობის მეფე **ერეკლე თეიმურაზის ძის ახლანდელი** სამფლობელოიების მთლიანობის შენარჩუნებაზე, ვარაუდობს რა ასეთი თავდებობის გავრცელებას იმ სამფლობელოებზეც, რომლებიც დროთა განმავლობაში გარემოებების გამო შეძენილი და მტკიცედ მისდამი დაქვემდებარებული იქნება.

### არტიკული მესამე

იმ გულწრფელობის გამოსახატავად, რომლითაც მისი უგანათლებულესობა ქართლისა და კახეთის მეფე აღიარებს სრულიად რუსეთის იმპერატორთა უმაღლეს ხელისუფლებასა და მფარველობას, დადგენილია, ხსენებული მეფეები მეფობაზე მემკვიდრეობით შედგომისას მაშინვე უნდა ატყობინებდნენ ამის შესახებ რუსეთის საიმპერატორო კარს, მოითხოვენ რა თავისი წარგზავნილების მეშვეობით იმპერატორის მიერ მეფობაზე დამტკიცებას ინვესტიტურით, რომელშიც იქნება სიგელი, დროშა სრულიად რუსეთის იმპერიის ღერბით, რომელსაც შიგნით ექნება მოხსენიებული სამეფოს ღერბი, ხმალი, მბრძანებლობის კვერთხი და მანტია, ანუ ყარყუმის მოსასხამი. ამ ნიშნებს ან მეფის მიერ წარგზავნილებს ჩააბარებენ, ან კიდევ სასაზღვრო უფროსობის მეშვეობით ჩაუტანენ მეფეს, რომელმაც მათი მიღებისას რუსეთის მინისტრის თანდასწრებით საზეიმოდ უნდა დადოს ფიცი რუსეთის იმპერიის ერთგულებასა და მისდამი გულმოდგინებაზე და მფარველობის აღიარებაზე იმ ფორმით, რომელიც თან ერთვის ამ ტრაქტატს.

### არტიკული მეოთხე

იმის დასამტკიცებლად, რომ მისი უგანათლებულესობის განზრახვა სრულიად რუსეთის იმპერიასთან მის ასე მჭიდროდ შეერთებასა და ამ იმპერიის ყოვლადუგანათლებულესი მფლობელების უმაღლესი ხელისუფლებისა და მფარველობის აღიარებაში ყოვლად უზაკველია, მისი უგანათლებულესობა პირობას დებს, რომ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მთავარ მოსაზღვრე უფროსთან და თავის კარზე აკრედიტებულ მინისტრთან წი-

**«უგანათლებულესობა მისი, მეფე ქართლისა და კახეთისა სახელითა თვისითა, თავისი მემკვიდრეებისა და მენაცვალეთა სახელით საზეიმოდ სამარადისოდ უარს ამბობს ყოველგვარ ვასალობაზე ან სხვა რაიმე წოდებით ყველანაირ დამოკიდებულებაზე სპარსეთის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოსგან; და ამით აცხადებს მთელი მსოფლიოს წინაშე, რომ იგი არ აღიარებს თავის თავზე ან თავის მენაცვალეთა თავზე სხვა თვითმპყრობელობას თვინიერ სრულიად რუსეთის საიმპერატორო ტახტის და მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისა და მისი მაღალი მემკვიდრეებისა და მენაცვალეთა უმაღლესი ხელისუფლების და მფარველობისა, ჰპირდება რა ამ ტახტს ერთგულებასა და მზადყოფნას შეეწეოდეს სახელმწიფოს სარგებელს ყველა შემთხვევაში, სადაც კი ამას მისგან მოითხოვენ»**

„ვადგენთ, რომ ქართლისა და კახეთის ყველა მოსახლეს შეუძლია სახლდებოდეს რუსეთში, ჩადიოდეს იქ და მერე უკან ბრუნდებოდეს დაუბრკოლებლად; ტყვეებს კი, თუკი მათ იარაღით ან მოლაპარაკებებით თურქებისგან ან სპარსელებისგან გაანთავისუფლებენ, გაუშვებენ თავიანთ სახლებში სურვილისამებრ, მხოლოდ ეს უკანასკნელნი დააბრუნებენ მათი გამოსყიდვისა და გამოყვანის ხარჯებს; მისი უგანათლებულესობა მეფეც ამის წმინდად შესრულებას ჰპირდება რუსეთის ქვეშევრდომების მიმართ, რომლებიც მეზობლებთან ტყვეობაში ჩავარდებიან“

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**«მისი უგანათლებულესობა მეფე ერეკლე, ღებულობს რა სათანადო მადლიერებით მისი უდიდებულესობის დიდსულოვან მზრუნველობას ერთიანი წარმოშობისა და კანონის მქონე ხალხებს შორის მეგობრობის დასაცავად და მის უმაღლეს თავდებობას, ამით აღიარებს, რომ უგანათლებულეს მეფე სოლომონთან მათ ურთიერთ საქმეებში აწ და მომავალშიც აღიარებს მის იმპერატორობით უდიდებულესობას სრულ არბიტრად, დაუქვემდებარებს რა ამ ორ მფლობელს შორის სრულიად მოულოდნელად წარმოქმნილ უთანხმოებებსა და გაუგებრობებს მის უმაღლეს გადაწყვეტას»**

ნასწარი შეთანხმების გარეშე არ ექნება ურთიერთობები მის გარემომცველ მეზობლებთან. ხოლო როდესაც მათგან მოვლენ წარმოგზავნილები ან ჩამოტანილ იქნება წერილები, მათი მიღებისას რჩევები იქონიოს მთავარ მოსაზღვრე უფროსთან და მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მინისტრთან ასეთი წარმოგზანილების უკან გასტუმრებისა და მათი მფლობელებისთვის შესაფერისი სტყვის მიგების საკითხებში.

## არტიკული მეხუთე

რათა უფრო მოხერხებულად ჰქონდეს საჭირო ურთიერთობა და თანხმობა რუსეთის საიმპერატორო კართან, მის უგანათლებულესობა მეფეს სურს, იყოლიოს მის კარზე თავისი მინისტრი ან რეზიდენტი, ხოლო მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა, მოწყალედ ღებულობს რა ამას, ჰპირდება, რომ ამ პირს მის კარზე მიიღებენ მისი თანასწორი მდგომარეობის მქონე სხვა მფლობელი მთავრების მინისტრების თანაბრად, და მასთან ერთად სურვილს გამოთქვამს თავის მხრივ შეინახოს მისი უგანათლებულესობის კარზე რუსეთის მინისტრი ან რეზიდენტი.

## არტიკული მეექვსე

მისი იმპერატორობითი უდიდებლესობა, ღებულობს რა წყალობით ქართლისა და საქართველოს სამეფოებზე მისი უმაღლესი ხელისუფლებისა და მფარველობის აღიარებას, თავისი სახელითა და თავის მენაცვალეთა სახელით ჰპირდება: 1. იმ სამეფოთა ხალხები მიაჩნდეს მჭიდრო კავშირსა და სრულ თანხმობაში მყოფად მის იმპერიასთან და, აქედან გამომდინარე, მათ მტრებს შერაცხდეს საკუთარ მტრებად; რისთვისაც ოტომანის პორტასთან, ან სპარსეთთან, ან სხვა სახელმწიფოსა და სამფლობელოსთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება უნდა ვრცელდებოდეს მისი უდიდებულესობის მფარველობაში მყოფ ამ ხალხებზეც. 2. უგანათლებულეს მეფეს ერეკლე თეიმურაზის ძეს და მისი სახლის მემკვიდრეებსა და შთამომავლებს უეჭველად ინარჩუნებდეს ქართლისა და კახეთის სამეფო ტახტზე. 3. შინაგან მმართველობასთან შეუღლებულ ხელისუფლებას, მსჯავრსა და სამართალს და გადასახადების აკრეფას მისცემს მის უგანათლებულესობას მეფეს „სრულსა შინა ნებასა და სარგებლობასა მისსა“, აუკრძალავს რა თავის სამხედრო და სამოქალაქო უფროსებს ამ მხრივ რაიმე განკარგულებების გაცემას.

## არტიკული მეშვიდე

მისი უგანათლებულესობა მეფე, ღებულობს რა სათანადო კრძალულებით მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მხრიდან ასეთ მოწყალე დაიმედებას, თავისი და თავისი შთამომავლების სახელით ჰპირდება: 1. ყოველთვის მზად იყოს თავისი ჯარებით მისი უდიდებულესობის სამსახურისთვის. 2. რუსეთის უფროს მოხელეებს მიმართავდეს ყოველთვის ყველა საქმეში, რომლებიც შეეხება მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სამსახურს, აკმაყოფილებდეს მათ მოთხოვნებს და მისი უდიდებულესობის ქვეშევრდომებს იცავდეს ყველანაირი წყენისა და შევიწროვებისგან. 3. თანამდებობეზე პირების დანიშვნისა და მათი დაწინაურებისას საგანგებო პატივს მიაგებდეს სრულიად რუსეთის იმპერიის წინაშე მათ დამსახურებას, რომლის მფარველობაზეც არის დამოკიდებული ქართლისა და კახეთის სამეფოების სიმშვიდე და კეთილდღეობა.

## არტიკული მერვე

მისი უგანათლებულესობის მეფისა და მისი ხალხებისადმი მონარქის განსაკუთრებული მოწყალების დასამტკიცებლად და ამ ერთმორწმუნე ხალხების რუსეთთან უმეტესად შეერთებისთვის მისი იმპერატორობითი უდიდებლესობა ინებებს, რომ მათი კათოლიკოსი ანუ უფროსი მთავარეპისკოპოსი რუსეთის იერარქების რიცხვში შედიოდეს მერვე ხარისხში, სახელდობრ ტობოლსკელის შემდეგ, და ყოვლადმოწყალედ უბოძებს მას სამარადისოდ უწმინდესი სინოდის წევრის წოდებას; ხოლო საქართველოს ეკლესიის მმართველობისა და იმ ურთიერთობის შესახებ, რომელშიც უნდა იყოს იგი რუსეთის სინოდთან, შედგენილ იქნება განსაკუთრებული არტიკული.

## არტიკული მეცხრე

განფენს რა თავის წყალობას მისი უგანათლებულესობის მეფის ქვეშევრდომ თავადებსა და აზნაურებზე, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ადგენს, რომ ისინი სრულიად რუსეთის იმპერიაში ისარგებლებენ ყველა იმ უპირატესობითა და სარგებლით, რომლებიც მინიჭებული აქვთ რუსეთის კეთილშობილებს; ხოლო მისი უგანათლებულესობა, ღებულობს რა მადლიერებით მისი ქვეშევრდომებისადმი ასეთ მოწყალე დამოკიდებულებას, ვალდებულებას იღებს გაგზავნოს მისი უდიდებულესობის კარზე ყველა კეთლშობილი გვარების სიები, რათა მათი მიხედვით შესაძლებელი იქნას იმის ზუსტად ცოდნა, თუ ვის ეკუთვნის ასეთი განსხვავებული უფლება.



## არტიკული მეათე

ვადგენთ, რომ ქართლისა და კახეთის ყველა მოსახლეს შეუძლია სახლდებოდეს რუსეთში, ჩადიოდეს იქ და მერე უკან ბრუნდებოდეს დაუბრკოლებლად; ტყვეებს კი, თუკი მათ იარაღით ან მოლაპარაკებებით თურქებისგან ან სპარსელებისგან გაანთავისუფლებენ, გაუშვებენ თავიანთ სახლებში სურვილისამებრ, მხოლოდ ეს უკანასკნელნი დააბრუნებენ მათი გამოსყიდვისა და გამოყვანის ხარჯებს; მისი უგანათლებულესობა მეფეც ამის წმინდად შესრულებას ჰპირდება რუსეთის ქვეშევრდომების მიმართ, რომლებიც მეზობლებთან ტყვეობაში ჩავარდებიან.

## არტიკული მეთერთმეტე

ქართლისა და კახეთის ვაჭართა წოდებას შეუძლია თავისუფლად ეწეოდეს ვაჭრობას რუსეთში, ისარგებლებს რა იმავე უფლებებითა და უპირატესობებით, რომლებითაც რუსეთის ბუნებრივი ქვეშევრდომები სარგებლობენ; ასევე მეფე ჰპირდება მთავარ მოსაზღვრე უფროსთან ან მისი უდიდებულესობის მინისტრთან ერთად დაადგინოს რუსეთის ვაჭართა წოდებისთვის ვაჭრობაში ყოველმხრივი ხელის შეწყობა მის მხარეებში ან კიდევ სავაჭროდ მგზავრობისას სხვა ქვეყნებისკენ, ვინაიდან ასეთი ზუსტი დადგენილების გარეშე რუსეთის ვაჭრობის სარგებლიანობას ადგილი ვერ ექნება.

## არტიკული მეთორმეტე

ეს ხელშეკრულება იდება სამარადისოდ; მაგრამ თუკი რაიმეს შეცვლას ან მიმატებას ჩათვლიან საჭიროდ ურთიერთ სარგებლიანობისთვის, ასეთ რამეს ადგილი ექნება ორმხრივი შეთანხმებით.

## არტიკული მეცამეტე

რატიფიკაციები მოცემულ ტრაქტატზე გაცვლილი უნდა იქნას ექვს თვეში მისი ხელმოწერიდან ან უფრო ადრეც, თუკი ეს შესაძლებელი იქნება

რის დასადასტურებლადაც ქვემორე ხელისმომწერმა სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა, მათი სრული უფლების ძალით, ხელი მოაწერეს ამ არტიკულებს და დაუსვეს მათ თავიანთი ბეჭდები წმ. გიორგის ციხესიმაგრეში 1783 წლის 24 ივლისს.

**დედანზე ხელს აწერენ:**
**პავლე პოტიომკინი**
**თავადი იოანე ბაგრატიონი**
**თავადი გარსევან ჭავჭავაძე**

## სეპარატული არტიკულები

### არტიკული სეპარატული პირველი

მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მტკიცე განზრახვაა, რომ მისი ერთმორწმუნე ხალხები, მის იმპერიასთან ასე მჭიდრო კავშირებით შეერთებულნი, იმყოფებოდნენ ურთიერთშორის მეგობრობასა და სრულ თანხმობაში, მათი მოშურნე მეზობლებისთვის შიშის მომგვრელად და შეერთებული ძალებით მათ თავისუფლებაზე, სიმშვიდესა და კეთილდღეობაზე ამხედრებული მტრების მოგერიებისთვის მზადმყოფად, ახალისებს და უბიძგებს მის უდიდებულესობას მისცეს მის უგანათლებულესობას ქართლისა და კახეთის მეფეს **ერეკლე თეიმურაზის ძეს** მეგობრული რჩევები და დარიგებები მეგობრობისა და კეთილი თანხმობის შენარჩუნებაზე იმერეთის უგანათლებულეს მეფესთან **სოლომონთან** და ყოველივე იმის დადგენის შესახებ, რაც შესაძლებელია მხოლოდ უწყობდეს ხელს სხვადასხვანაირი უთანხმოებების აღკვეთასა და ყველანაირი გაუგებრობების თავიდან აცილებას, ჰპირდება რა თავისი საიმპერატორო სიტყვით არა მხოლოდ ხელს უწყობდეს თავისი მონდომებითა და მცდელობებით ამ მეტად სასარგებლო საქმის აღსრულებას, არამედ ასეთ თანხმობასა და მშვიდობაზე თავისი თავდებობის მიცემასაც.

მისი უგანათლებულესობა მეფე ერეკლე, ღებულობს რა სათანადო მადლიერებით მისი უდიდებულესობის დიდსულოვან მზრუნველობას ერთიანი წარმოშობისა და კანონის მქონე ხალხებს შორის მეგობრობის დასაცავად და მის უმაღლეს თავდებობას, ამით აღიარებს, რომ უგანათლებულეს მეფე სოლომონთან მათ ურთიერთ საქმეებში აწ და მომავალშიც აღიარებს მის იმპერატორობით უდიდებულესობას სრულ არბიტრად, დაუქვემდებარებს რა ამ ორ მფლობელს შორის სრულიად მოულოდნელად წარმოქმნილ უთანხმოებებსა და გაუგებრობებს მის უმაღლეს გადაწყვეტას.

### არტიკული სეპარატული მეორე

ქართლისა და კახეთის სამფლობელოების მეზობელთა მხრიდან ყოველგვარი შემოჭრისგან დასაცავად და მისი უგანათლებულესობის მეფის ჯარების თავდაცვის გასაძლიერებლად მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ჰპირდება მის (მისი უგანათლებულესობის მეფის) მხარეებში ინახავდეს ქვეითი ჯარის ორ სრულ ბატალიონს ოთხი ზარბაზნით, რომლებსაც შტატებით დადგენილ პროვიანტსა და ფურაჟს მიაწვდიან ნატურით იმ მხარეებიდან მისი უგანათლებულესობის შეთანხმების მიხედვით მთავარ მოსაზღვრე უფროსთან შტატებით დადგენილი ფასის შესაბამისად.

### არტიკული სეპარატული მესამე

ომის შემთხვევისთვის მთავარი მოსაზღვრე უფროსი მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მხრიდან უფლებამოსილი უნდა იყოს მის უგანათლებულესობასთან ქართლისა და კახეთის მეფესთან შეთანხმებასა და ზომების მიღებაზე აღნიშნული მიწების დაცვისა და მოწინააღმდეგის წინააღმდეგ მოქმედებების თაობაზე, რომელიც სხვანაირად არ შეიძლება იქნას მიჩნეული, თუ არა საერთო მტრად. ამასთან მხარეები ადგენენ, რომ თუ კი ქართლისა და კახეთის ჯარების ნაწილი გამოყენებული იქნება მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სამსახურში მათი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მაშინ მათ უნდა მიეცეთ სრული ანაზღაურება მისი უდიდებულესობის სხვა ჯარების თანაბრად.

### არტიკული სეპარატული მეოთხე

მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ჰპირდება ომის შემხთვევაში მიმართოს ყველანაირ მცდელობას იარაღით დახმარებისთვის, ხოლო მშვიდობიანობის დროს აყენებდეს მოთხოვნებს იმ მიწებისა და ადგილების დასაბრუნებლად, რომლებიც უძველესი დროიდან ქართლისა და კახეთის სამეფოს ეკუთვნოდა, რომლებიც დარჩება კიდეც იქაური მეფეების მფლობელობაში სრულიად რუსეთის იმპერატორების მათზე მფარველობისა და უმაღლესი ხელისუფლების შესახებ დადებული ტრაქტატის საფუძველზე.

ამ სეპარატულ არტიკულებს ექნებათ ისეთივე ძალა, როგორც რომ ისინი სიტყვასიტყვით თავად ტექსტში ყოფილიყო შეტანილი; რის გამოც რატიფიცირებაც მათზე იმავე ვადაში უნდა იქნას გაცვლილი.

რის დასადასტურებლადაც ქვემორე ხელის მომწერმა სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ამ არტიკულებს და დაუსვეს მათ თავიანთი ბეჭდები წმ. გიორგის სახელობის ციხესიმაგრეში 1783 წლის 24 ივლისს.

მედიცინა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ულტრათანამედროვე აპარატურით აღჭურვილ ლაბორატორიაში საქართველოში პირველად შესაძლებელი გახდა განისაზღვროს პრაქტიკულად ყველა ძირითადი გენეტიკური მუტაცია, რომელიც პასუხისმგებელია სხვადასხვა სახის ავთვისებიანი სიმსივნის განვითარებაზე, დადგინდეს ადამიანის წინასწარგანწყობა ავთვისებიანი სიმსივნეების, ამასთანავე, დიაბეტის, გულსისხლძარღვთა დაავადებების, თრომბოფილიის, ჰიპერქოლესტერინემიისა და ბევრი სხვა დაავადების მიმართ, რომლებიც მემკვიდრეობით გადაეცემა“.**

# თოდუას ინსტიტუტში კიდევ ერთი სიახლე დაინერგა

**კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა (აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკამ) კიდევ ერთი სიახლე შესთავაზა საზოგადოებას — ინსტიტუტის ბაზაზე გაიხსნა მოლეკულური დიაგნოსტიკისა და ონკოლოგიური გენეტიკის ლაბორატორია. მედიცინის ამ დარგის განვითარებას უდიდესი როლი ენიჭება პოპულაციის გენეტიკური თავისებურებების შესწავლაში, ამასთანავე, ძალზე მნიშვნელოვანია ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობის პერსონიფიცირებული მიდგომის განვითარებისთვის. ასეთი დონის ლაბორატორია არა მხოლოდ პრესტიჟია ნებისმიერი ქვეყნისთვის, არამედ მედიცინის მეცნიერების განვითარების მნიშვნელოვანი საწინდარია.**
**დღეს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას და ამ ლაბორატორიის ხელმძღვანელ დოდო აგლაძეს ვესაუბრებით.**


ფრიდონ თოდუა

**— ბატონო ფრიდონ, ონკოგენეტიკის ლაბორატორიის მწყობრში ჩადგომის შემდეგ შეგიძლიათ თქვათ, რომ თქვენს ინსტიტუტში უკვე ყველა პირობაა შექმნილი ავადმყოფებისთვის სრულყოფილი ონკოლოგიური სერვისის მისაღებად?**

— ყოველთვის მხოლოდ საზოგადოებისა და პაციენტის მოთხოვნა განსაზღვრავდა და განსაზღვრავს ჩვენს კლინიკაში სიახლეების დანერგვისა და განვითარებისკენ სწრაფვას. დღეს ონკოლოგია კომპლექსური, მულტიპროფილური დარგია, რომელიც აერთიანებს კლინიცისტებსა და ფუნდამენტურ მეცნიერებათა წარმომადგენლებს; ეს არის გუნდი, რომლის ძირითადი მიზანია ონკოლოგიური კონტინგენტის სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ **არც ერთ სხვა დაწესებულებაში საქართველოში არ არის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ისეთი შესაძლებლობა, როგორიც ჩვენს ინსტიტუტშია. ამან ისე გაგვითქვა სახელი, რომ უამრავი პაციენტი უკვე სხვა ქვეყნებიდან ჩამოდის ჩვენთან სამკურნალოდ...**

ვმუშაობთ კიდევ რამდენიმე ახალ პროექტზე, მათ შორის, ერთ-ერთი საინტრესო ონკოგენეტიკის ლაბორატორიაა, რომლის გარეშეც დღეს წარმოუდგენელია თანამედროვე ქიმიოთერაპიული მკურნალობა.

ინსტიტუტი დინამიკური განახლების პროცესშია, გვინდა, შევქმნათ ისეთი ძლიერი ონკოლოგიური სამსახური, რომ არც ერთ ონკოლოგიურ პაციენტს არ მოუწიოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის საქართველოს საზღვრებს გარეთ გამგზავრება. გვინდა, ჩამოვაყალიბოთ მკაცრი კრიტერიუმი, რომლის მიხედვით ონკოლოგიურ პაციენტებს გავუწევთ საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულ მკურნალობას.

ონკოლოგია, მოგეხსენებათ, ძალზე სპეციფიკური და რთული დარგია, ყველა დაწესებულებას არ შეუძლია ამ სირთულეებთან შეჭიდება. ჩვენ კი ამისთვის საჭირო ყველა ინტელექტუალური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი გაგვაჩნია. ალბათ, მიაქციეთ ყურადღება, კიდევ ერთი ახალი კორპუსის მშენებლობა დავიწყეთ — 2016 წლის შემოდგომაზე აქ განთავსდება PET/CT და ბრაქითერაპიის ახალი აპარატი.

დღეს მოლეკულურ გენეტიკაზე ვიწყებთ საუბარს, წინ ბირთვული მედიცინა და კიდევ ბევრი საინტერესო სიახლეა. ყოველი ახალი განხორციელებული პროექტი ენთუზიაზმით ავსებს ადამიანს, — ასე მგონია მე, პირადად, და სწორედ ეს არის, ალბათ, ჩემი ენერგიის წყაროც. ძალიან ბევრი დადებითი ემოცია მოდის, როცა დასახულ მიზანს მიაღწევ. აუცილებელია, ეს მიზნები სალად და რეალურად გათვალო, ფეხი აუწყო და არ ჩამორჩე დროს, თორემ ხომ ხედავთ, თანამედროვე ცხოვრება ისეთი ტემპით ვითარდება, რომ ერთი წუთითაც არ იძლევა მოდუნების საშუალებას.

**— რა კონკრეტული შესაძლებლობები აქვს ახალ ლაბორატორიას?**

**— ულტრათანამედროვე აპარატურით აღჭურვილ ლაბორატორიაში საქართველოში პირველად შესაძლებელი გახდა, განისაზღვროს პრაქტიკულად ყველა ძირითადი გენეტიკური მუტაცია, რომელიც პასუხისმგებელია სხვადასხვა სახის ავთვისებიანი სიმსივნის განვითარებაზე, დადგინდეს ადამიანის წინასწარგანწყობა ავთვისებიანი სიმსივნეების, ამასთანავე, დიაბეტის, გულსისხლძარღვთა დაავადებების, თრომბოფილიის, ჰიპერქოლესტერინემიისა და ბევრი სხვა დაავადების მიმართ, რომლებიც მემკვიდრეობით გადაეცემა.**

ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევაა, რომლის მეშვეობითაც შეიძლება დადგინდეს, აქვს თუ არა კონკრეტულ ადამიანს კიბოს განვითარების რისკი. ხომ გახსოვთ, მსოფლიოს ერთ-ერთი კინოვარსკვლავის გენეტიკური კვლევით გაირკვა, რომ მას ჰქონდა ძალიან კიბოს განვითარების საფრთხე, ამიტომ მან, ამ გამოჩენილმა მსახიობმა, გაიკეთა პროფილაქტიკური ოპერაცია, რითაც მსოფლიოს დაანახა, რომ თურმე შეიძლება სიმსივნის თავიდან აცილება.

**— დღემდე ასეთი კვლევებისთვის ექიმები პაციენტებს საზღვარგარეთ გზავნიდნენ...**

— მართალია. ხშირად ჩვენთან გენეტიკური კვლევები ან საერთოდ არ კეთდებოდა და მკურნალობა, შეიძლება ითქვას, ინიშნებოდა ბრმად, ან პაციენტებს უწევდათ ანალიზის გერმანიაში, თურქეთში და სხვა ქვეყნებში გაგზავნა.

**«მუტაციის მქონე ადამიანს აქვს შანსი, გადასცეს თავის შთამომავლობის 50%-ს ეს მუტაცია, ამიტომ ყველა ადამიანს, რომელსაც პირველი რიგის ნათესავებში აქვს ერთზე მეტი სიმსივნის დიაგნოზის შემთხვევა, ვურჩევთ, გამოიკვლიოს საკუთარი გენეტიკა, განსაკუთრებით, ადრეულ ასაკში»**

თანამედროვე ქიმიოთერაპია მოლეკულური ბიოლოგიისა და ონკოგენეტიკის გარეშე უკვე წარმოუდგენელია. გენეტიკურ კვლევას შეუძლია, წინასწარ განსაზღვროს მთელი რიგი ავთვისებიანი სიმსივნეების ქიმიოთერაპიული მკურნალობის ეფექტიანობა. როგორც გითხარით, ეს ანალიზი ექიმებს შესაძლებლობას აძლევს, გამოიყენონ კონკრეტული მუტაციების წინააღმდეგ შექმნილი თანამედროვე, მოცემული შემთხვევისთვის ზუსტად განკუთვნილი პრეპარატები.

**— მოლეკულურმა ონკოგენეტიკამ გასცა პასუხი აქამდე გაურკვეველ საკითხებს, მათ შორის, ისეთ გადამწყვეტს, როგორიცაა მკურნალობის სწორი მეთოდის შერჩევა, ანუ რომელი პრეპარატები შეიძლება ჩაითვალოს მთავარ, მიზანმიმართულად მოქმედ პრეპარატებად, რომლები — არა.**

— ჩემი აზრით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან კიბოს საიდუმლოების ამოცნობასთან ყველაზე ახლოს სწორედ გენეტიკა მივიდა, რადგან მან შეძლო ადამიანის დნმ-ის ინფორმაციული სტრუქტურის შესწავლა.

ამ საკითხებზე საუბარი სპეციალისტთან იქნება უმჯობესი.

**— ქალბატონო დოდო, რა არის ონკოგენეტიკა და რას ემსახურება ეს დარგი?**

— ონკოგენეტიკა არის დარგი, რომელიც შეისწავლის როგორც სხვადასხვა სახის კიბოს მემკვიდრულობას, ასევე, კიბოს უჯრედებში არსებული გენეტიკური მასალის ცვლილებებს. ეს ახალგაზრდა დარგი ჩამოყალიბდა ბოლო 2 ათწლეულის განმავლობაში, რასაც ხელი შეუწყო მოლეკულური დიაგნოსტიკის განვითარებამ, რომლის საფუძველზე მოხდა ადამიანის დნმ-ის ჯაჭვის სრული გაშიფვრა. ონკოგენეტიკა ემსახურება მემკვიდრული სიმსივნეების დროულ დიაგნოსტიკას და შესაბამისი პროფილაქტიკური ზომების განხორციელებას.


დოდო აგლაძე

ონკოგენეტიკური კვლევები ტარდება მოლეკულური დიაგნოსტიკის მეთოდით, რომელიც ჩვენი კლინიკის უახლესი, უნიკალური აპარატურით გახდა შესაძლებელი.

**— რას ნიშნავს მემკვიდრულობა? მემკვიდრული წინასწარგანწყობა?**

— მემკვიდრულობა არის ყველაფერი, რაც მშობლებისგან გადაეცემათ შვილებს გენეტიკური მასალის მეშვეობით. მათ შორის არის კონკრეტული დაავადებები ან დაავადებების განვითარების მიმართ წინასწარგანწყობა. კიბოს განვითარების მიმართ წინასწარგანწყობაც ზუსტად მემკვიდრული გზით გადაცემული წინასწარგანწყობათა სიაშია.

დადგენილია, რომ კონკრეტული გენი აგებს პასუხს კონკრეტული სიმსივნის განვითარებაზე, მეტიც, გაირკვა, რომ ეს მუტაციები ხშირად გადაეცემა მემკვიდრული გზით, როცა მშობლებს და შვილებს აღმოაჩნდებათ იდენტური მუტაციები.

**— ესე იგი, ყველა კიბო მემკვიდრულია? ეგებ უთხრათ ჩვენს მკითხველებს, კიბოს რომელი სახეობა მიეკუთვნება ამ სიას?**

— ყველა, რა თქმა უნდა, არა. ჯერ საკმარისი კვლევები არ ჩატარებულა იმისთვის, რომ ასეთი ხმამაღალი განცხადება გავაკეთოთ. თუმცა, **დღეს საკმაოდ ბევრი სახის ავთვისებიანი სიმსივნის მემკვიდრულობა დამტკიცებულია: უპირველესად, ეს არის სარძევე ჯირკვლისა და საკვერცხეების კიბო, სწორი ნაწლავის პოლიპოზური და არაპოლიპოზური კიბო, ფარისებრი ჯირკვლის მედულარული სიმსივნეები, პროსტატის ადენოკარცინომა, კუჭის, პანკრეასის სიმსივნეები, მელანომა და სხვა.** მემკვიდრული სიმსივნეები ძირითადად 50 წლამდე ვლინდება.

**— ანუ კვლევები გრძელდება?**

— დიახ, კვლევები ძალიან ინტენსიურად მიმდინარეობს და ნელ-ნელა იკვეთება სხვადასხვა გენების პასუხისმგებლობა მუცლის ღრუს, თავის ტვინის და სხვა სიმსივნეების მიმართ. არა მარტო სიმსივნე გადაეცემა მემკვიდრეობით. დადგინდა, რომ დიაბეტს, გულსისხძარღვთა დაავადებებს, თრომბოფილიას (თრომბის განვითარებისადმი მიდრეკილებას), ჰიპერქოლესტერინემიას თავისი პასუხისმგებელი გენები აქვს და მიდრეკილება ამ დაავადებების მიმართ ასევე მემკვიდრულად გადაეცემა.

**— მინდა, დავაზუსტო, წინასწარგანწყობა ნიშნავს აუცილებლად სიმსივნის განვითარებას?**

— საინტერესო შეკითხვაა. კვლევებმა გვიჩვენა, რომ ადამიანებს, რომლებიც ატარებენ გარკვეულ მუტაციებს, 90%-ში 50-60 წლამდე შეიძლება განუვითარდეთ სიმსივნე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ციფრი 100% არაა, რისკი მაინც ძალიან დიდია. ამის გამო ადამიანებს, რომელთაც დაუმტკიცდებათ ასეთი გენის მტარებლობა, ექიმები ურჩევენ მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნას. მუტაციის მქონე ადამიანს აქვს შანსი გადასცეს თავის შთამომავლობის 50%-ს ეს მუტაცია.

ამიტომ **ყველა ადამიანს, ვისაც პირველი რიგის ნათესავებში აქვს ერთზე მეტი სიმსივნის დიაგნოზის შემთხვევა, ვურჩევთ, გამოიკვლიოს საკუთარი გენეტიკა, განსაკუთრებით, ადრეულ ასაკში.**

ჩვენს ინსტიტუტში ამ სახის კვლევები ტარდება ულტრათანამედროვე აპარატურით და შესაბამისი ხარისხის რეაქტივებით. ჩვენს ლაბორატორიას კი მინიჭებული აქვს ამ ტიპის ანალიზების ჩატარებისთვის საჭირო ლიცენზია. მოლეკულური დიაგნოსტიკის და ონკოგენეტიკის დეპარტამენტში მუშაობენ კვალიფიციური კადრები, რომელთაც გავლილი აქვთ შესაბამისი კურსები საზღვარგარეთ.

**— თუ მუტაცია არ დამიდგინდა, შემიძლია მშვიდად ვიყო? ანუ კიბო არასდროს დამემართება?**

— მინდა, კარგად ესმოდეს საზოგადოებას, რომ რაიმე მემკვიდრულ წინასწარგანწყობაზე პასუხისმგებელი გენის მუტაციის არარსებობა არ გამორიცხავს სიმსივნის განვითარების რისკს. სამწუხაროდ, ყველა ადამიანს მაინც აქვს 4% რისკი იმისა, რომ ცხოვრების რომელიმე ეტაპზე განუვითარდება რაიმე სახის ავთვისებიანი პროცესი. აქ საუბარია იმაზე, რომ ადამიანებში, რომლებიც არიან კონკრეტული მუტაციების მატარებლები, ეს რისკი 90%-მდე იზრდება.

**— როგორც ბატონმა ფრიდონმა აღნიშნა, გენეტიკურ ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს ქიმიოთერაპიული მკურნალობის ტაქტიკის შერჩევაში...**

— როგორც გითხარით, სიმსივნურ უჯრედებს აქვს თავისი გენეტიკური მასალა. ამ მასალაშიც შეიძლება იყოს ცვლილებები და ამ ცვლილებების აღმოჩენას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქიმიოთერაპიის კურსისთვის. ზოგიერთი მუტაციის შემცველი სიმსივნე არ რეაგირებს განსაზღვრული ჯგუფის პრეპარატებზე. არასამედიცინო ენით რომ ვთქვათ, **ასეთი პრეპარატებით მკურნალობა არ არის ეფექტიანი. არადა, ქიმიოთერაპია თავისთავად ძალზე მძიმე პროცედურაა და ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ზიანი მოაქვს პაციენტისთვის.** ამ ყველაფრის შესახებ მსოფლიომ სულ რამდენიმე წლის წინათ შეიტყო და საგრძნობლად განავითარა ალტერნატიული პრეპარატების წარმოება. ასეთი ტიპის მკურნალობას ტარგეტული ეწოდება. სიტყვა „ტარგეტი“ ქართულად „სამიზნეს“ ნიშნავს. შესაბამისად, გენეტიკური ანალიზის საფუძველზე, პრეპარატი შეირჩევა გამიზნულად, კონკრეტული სიმსივნური უჯრედის გენოტიპის გათვალისწინებით. რასაკვირველია, ასეთი პრეპარატებით მკურნალობა გაცილებით შედეგიანია.

**— მკითხველს, ალბათ, დააინტერესებს, რა ღირს ასეთი ტიპის კვლევები, რომლებიც ევროპაშიც და ამერიკაშიც ძალიან ძვირია.**

— ჩვენთან გაცილებით იაფია, შეღავათიანია. **ფასი მერყეობს იმის მიხედვით, თუ რომელი ტიპის კვლევას ჩათვლის ექიმი საჭიროდ, რომელ კონკრეტულ გენებსა თუ მუტაციებზე, მაგრამ მინდა, აღვნიშნო, რომ ასეთი ტიპის გამოკვლევები გადამოწმებას აღარ საჭიროებს. უფრო თვალსაჩინოდ რომ აგიხსნათ, ეს საპასპორტო მონაცემივითაა — როგორც სისხლის ჯგუფი და რეზუსი არასოდეს შეიცვლება, ასევეა მუტაცია, ის ან არის, ან — არა.**

**ვალერიან ალექსიშვილი**

ყოველ წუთს ისინი უდიდეს აღმოჩენებს აკეთებენ და თავის ყოფაში რევოლუციებს ახორციელებენ. მეც გავაკეთე ჩემი აღმოჩენა: უნდა შემოვიარო მსოფლიო და ვუამბო ყველას, როგორ მოხდა ყველაფერი. ორ მილიარდ-ნახევარი ადამიანი გაიგებს ჩემს ხმას — ისტორიაში არგაგონილი მკვლელობის მხილველისა და თანამონაწილის ხმას.

ნახევარდაშლის პერიოდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ატომური პილოტი



იური ანოხინი

აშშ-მა ატომური ომის დოქტრინა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე შეიმუშავა, რომელიც აისახა აშშ-ისა და ნატოს ოფიციალურ სტრატეგიულ კონცეფციებში და ითვალისწინებდა ატომური იარაღით შეტევას მოწინააღმდეგეზე.

სსრკ-ისა და მოგვიანებით სხვა სახელმწიფოების მიერ ატომური ბომბის შექმნის შემდეგ კი ცხადი გახდა, რომ ატომური იარაღის გამოყენება საპასუხო დარტყმას გამოიწვევდა და კატასტროფის წინაშე დააყენებდა დედამიწას, გაანადგურებდა კაცობრიობას.

ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც თავს დემოკრატიის შუქურად მიიჩნევს, სინამდვილეში სხვა ქვეყნებში დემოკრატიის გავრცელების საბაბით ინტერვენციებს ახორციელებს და ცდილობს, მსოფლიოზე იბატონოს, ერთადერთი სახელმწიფოა, რომელმაც ატომური იარაღი გამოიყენა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

აშშ-მა 70 წლის წინათ, 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს, როცა იაპონია უკვე თითქმის დამარცხებული იყო, ატომური ბომბები ჩამოყარა იაპონიის ქალაქებში — ჰიროსიმასა და ნაგასაკიში. შედეგად აფეთქების ეპიცენტრთან ახლოს მყოფი ადამიანები მყისვე დაიღუპნენ — მათი სხეულები ნახშირად იქცა, რადიაციულმა გამოსხივებამ მხოლოდ ადამიანების სილუეტები დატოვა შენობების კედლებზე. აფეთქების ტალღამ ეპიცენტრის გარშემო ყველა შენობა გაანადგურა. აფეთქების მომენტში დაიღუპა 80 ათასი ადამიანი, 1945 წლის ბოლოს რადიოაქტიური დასხივების ზემოქმედების შედეგად მსხვერპლის რაოდენობა 166 ათასამდე გაიზარდა.

სულ კი, 2013 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, ატომური ბომბების ჩამოგდების შედეგად 450 ათასი ადამიანი დაიღუპა: 286,8 ათასი — ჰიროსიმაში და 162 ათასი — ნაგასაკიში.

სწორედ ამ საშინელ ტრაგედიაზე, ამერიკელთა მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე მოგვითხრობს რუსი ჟურნალისტის, იური ანოხინის, წიგნი „ატომური პილოტი“, რომელსაც „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ.

წიგნში მოთხრობილია ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის მაიორ კლოდ იზერლის — ჰიროსიმისა და ნაგასაკის ბარბაროსული ატომური დაბომბვის ერთ-ერთი მონაწილის — ტრაგიკული ბედის შესახებ.

კლოდ იზერლის ისტორია არა მხოლოდ ადამიანური ტრაგედიაა, იგი მოწოდებაა კეთილი ნების ყველა ადამიანისადმი, გააკეთონ ყველაფერი, რაც მათზეა დამოკიდებული, ბირთვული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მასობრივი მოსპობის საშუალებებით გამალებული შეიარაღების შესაჩერებლად.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №33-46 (315-328)

ხუთი ადამიანის მკვლელობამ (როჩესტერელი სტუდენტი ბრევერმენი, ცოლ-ქმარი ჯორჯ და ფლორენს ბლუმბერგები კინეივილიდან და ჰარშეთ ჰოსმანი და მისი მეგობარი გოგო — აგნეს ბისტონი სპრინვოლენიდან) ფრედს მოუტანა... 58 დოლარი.

მადლობა ღმერთს, აირინი ართმევს ლუსის კომიქსებს!

სიწყნარეა.

აპარატები წყნარად ზუზუნებს.

ოთახში ალვის კვირტების სურნელი დგას.

ეს აპარატებისგანაა.

ნეტავ, აყვავდა ძველი ალვა ფერმაში? ზაფხულობით აირინის მოხუცები მის ძირში პატარა მაგიდას დგამენ და ჰაერზე საუზმობენ. ასე რომ, ბიფშტექსს ალვის ხის ღინღლთან ერთად მიირთმევდნენ.

შტატის სასამართლოში თუ გამიმართლებს, კიდევ ვიხილავ ალვის ხეს და მის ქვეშ ჩამოვჯდები.

რაზე ფიქრობდა ოპენჰეიმერი სასამართლოს წინ?

მოგვიანებით მან განაცხადა:

„ჩვენ ეშმაკის საქმეს ვაკეთებდით, მაგრამ ახლა ნამდვილ სამუშაოს ვუბრუნდებით... მძიმე დროება გიდგებათ, მაგრამ ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ მშვენიერების გრძნობა, უნარი — შევქმნათ და აღმოვაჩინოთ იგი შორეულ, წარმოუდგენელ და უცნობ ადგილებში“.

ხვალ პარასკევია.

## 12.

როცა სამყარო ინგრევა, კოსმოსური მტვერი ვარსკვლავთაშორის სივრცეში მიმოიფანტება და კიდევ დიდხანს უნათებს სხვა პლანეტების მცხოვრებთ, იდუმალებისაკენ მიმავალ გზას უთითებს მათ.

როცა მთები ინგრევა, ადამიანები მოდიან და ქვასა და ღორღს აგროვებენ საკუთარი სახლებისთვის, რომლებშიაც ჩვეულებრივი მიწიერი საქმეები აღესრულება.

როცა იმედი იმსხვრევა, ადამიანს აღარაფერი რჩება.

სიცარიელეა.

— რაც შემეძლო ყველაფერი გავაკეთე, — ამბობს მაკკორმაკი, — მაგრამ თავს ზევით ძალა არა მაქვს. მოსამართლეები უკვე თქვენს წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი. მე მათ დავუნახე გაზეთები თქვენი ანტიატომური სტატიებით. არც კი ღირდა, დაგვეყოლიებინა ისინი ადრინდელი გადაწყვეტილების გადასინჯვაზე.

ჩვენ შეხვედრათა დარბაზში ვზივართ. პოლკოვნიკმა ჰაუსტონმა ნება დაგვრთო, ათი წუთით განმარტოებით გვესაუბრა. ფრედმა აუხსნა, რაშიც იყო საქმე. გორდონი ედავებოდა, მაგრამ ჰაუსტონმა იგი ეშმაკთან გაგზავნა.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ მე მშვიდადა ვარ. ალბათ, ეს სიმშვიდე ქარიშხალს მოასწავებს. თითქოს გვერდიდან მესმის ჩემი არაბუნებრივად მშვიდი ხმა.

— როგორ მოხდა ეს?

ფრედი ნელა იწმენდს ხელებს ცხვირსახოცით.

— უბრალოდ, — მეუბნება იგი, — მათ ვერ იპოვეს საფუძველი განაჩენის შესაცვლელად. მე იმაზე მივუთითე, რომ უეიკოში თქვენ ფსიქიკურად ნორმალურად გაღიარეს. პროკურორმა პროტესტი განაცხადა და იგი მიიღეს... აი, ყველაფერი...

— გმადლობთ, ფრედ.

ათი წუთი ჯერ არ ამოწურულა, მაგრამ ჩვენ უკვე აღარაფერი გვაქვს სალაპარაკო. შტატის სასამართლომ გადაჭრა იმედების, რწმენისა და მისწრაფებათა გორდიას კვანძი. უმაღლესმა ორგანომ, კანონებს რომ ადგენს, უკანონობა განამტკიცა.

წასასვლელად ვტრიალდები, მაგრამ ვჩერდები, რადგან ფრედის სახეზე დაბნეულ ღიმილს ვიჭერ.

— მაპატიეთ, ფრედ, — ვამბობ და ხელს ვუწვდი, — ნუ მიბრაზდებით: ახლა რაღაც ცუდად ვაზროვნებ. ყოველ შემთხვევაში, გმადლობთ. და ნუ მისწერთ ჯერჯერობით აირინს.

მაკკორმაკი წამოენთო.

— იგი აქ არის, კლოდ — ქუჩაში, მანქანაში. ის ჩამოვიდა. გუშინ დავურეკე; სხვანაირად არ შემეძლო — იგი მთხოვდა... მან ეს გადმოგცათ, კლოდ...

პატარა ცისფერი კონვერტი და საბავშვო სათამაშო — ყვითელი ბაჭია — ჩამოხეული ყურით. იგი ჩემთან ერთად მიფრინავდა ხიროსიმაზე და აირინმა შეინახა. ოჯახური თილისმა და ამასთან ერთად დანაშაულის მოწმე. ბარათში ერთი სტრიქონია: „კლოდ! ჩვენ კიდევ ვიქნებით ბედნიერნი!“

ვედრებაა თუ ფიცი?

ლარიმ მომაკითხა.

გასვლისას ზურგზე ფრედის მზერას ვგრძნობ.

— ხვალამდის, კლოდ!

კარი ყრუდ იხურება; გასაღები საკეტში ღრჭიალით ტრიალდება და კვლავ შევდივარ სამყოფელში, რომელშიც მისჯილი მაქვს ვიცხოვრო, მოვხუცდე და მოვკვდე.

პალატის თბილი სიმყრალე, დერეფანში უმიზნოდ მოყიალე ავადმყოფების დაძაბული სახეები. იზოლატორში დამწყვდეული ჯოს ბუტბუტი.

ბარკერის დაშაქრული ფიზიონომია.

— არ გაგიმართლა, ემრიჩ?

— არამზადა! — გარკვევით ამბობს ლარი და ხელკავს მიყრის, — წავედით, ძმობილო...

პალატა.

კონოლის მხიარული ხარხარი.

— კლოდ, მე „როლს-როისი“ ვიყიდე...

ვწვები, თვალს ვხუჭავ. ლარი, კონოლი, ბარკერი, სიცილი და მყრალი სუნი — ყველაფერი ქრება. დარჩა სიბნელე და თავის ტკივილი. სიბნელეში იჭრება თვალისმომჭრელი მზის შუქი და მე ვხვდები, რომ ეს აირინი მიწვდის ხელს შორეთიდან.

...მისმინე, აირინ! არ იფიქრო, გეთაყვა, რომ ყურები ჩამოვყარე. რა თქმა უნდა, მიჭირს, მაგრამ მე კაცი ვარ... მე იდეალისტი ვიყავი, ვიღიმებოდი, როგორც ამას ინსტრუქტორები მასწავლიდნენ სამხედრო ზანაკში. ახლა აღარ ვიღიმები. „გალეულმა“ ნამსხვრევებად აქცია ჩემი იდეალები, წამართვა სიმღერის, ყვავილების სიყვარულის, სიმშვიდით დატკბობის უნარი. **იმ დღეს დაღუპულმა იაპონელებმა თან გაიყოლეს ჩემი სული და მიანდერძეს, აჰასფერის მსგავსად, დანაშაულის გამოსასყიდად მეხეტიალა ამ ქვეყანაზე... მე თავისუფალი ვარ. კედლებმა შებოჭეს ჩემი სხეული, მაგრამ ჩემი აზრები ვერა.** ჯერ არ დაბადებულა იგი, ვისაც უწერია წაართვას ადამიანს ფიქრის უნარი. ფიქრობენ ისინიც კი, ვინც საზოგადოების აზრით გონებადაკარგულია, — კონოლი, ასტორი, კანდინსკი. **ყოველ წუთს ისინი უდიდეს აღმოჩენებს აკეთებენ და თავის ყოფაში რევოლუციებს ახორციელებენ. მეც გავაკეთე ჩემი აღმოჩენა: უნდა შემოვიარო მსოფლიო და ვუამბო ყველას, როგორ მოხდა ყველაფერი. ორ მილიარდ-ნახევარი ადამიანი გაიგებს ჩემს ხმას — ისტორიაში არგაგონილი მკვლელობის მხილველისა და თანამონაწილის ხმას.**

მიმძიმს, ძალიან მიმძიმს, აირინ!

მაგრამ ცხოვრება გრძელდება.

ფანჯრის იქით გაზაფხულია. შეყვარებულებისა და პირველი ფოთლების გაშლის ხანა. იგი ჯერ კიდევ არ მოასწავებს არც ივლისს ალამოგორდოში, არც აგვისტოს — ჰიროსიმაში. მაგრამ ვინ არის თავდები, რომ არ განმეორდება ივლისი და აგვისტო?

ქრისტიანებს სწამთ სამსახოვანი ღმერთი.

წარმართებს — მზის ღმერთი.

მუსულმანებს — მუჰამედი.

ჩვენ, რაციონალური საუკუნის ადამიანებს, უნდა გვჯეროდეს გონებისა. ბომბს მანქანა აგდებს, მანქანას კი ადამიანი მართავს.

ადამიანი ყოველთვის გაუგებს ადამიანს.

საჭიროა მხოლოდ მოინდომო.

უნდა შეგვეძლოს გაგება.

მისმინე, აირინ! ჯერ კიდევ ყველაფერი არ მითქვამს შენთვის. ჩვენ გვყავს ლუსი — სასაცილო ქმნილება, ნაადრევად რომ წაართვეს ბავშვური გულუბრყვილობა, მაგრამ მაინც ძალიან ნორჩი და სუსტი. მე ვერ მოვასწარი მისთვის რაიმეს სწავლება. მე ცუდი მამა ვიყავი. თავის ერთ ბეწო გამოცდილებას იგი ჩვენგან არ იძენს. ადრე თუ გვიან, ის გაიგებს, რომ ფასეულობანი შედარებითია. მე მსურს, ეს ადრე მოხდეს. გზაზე, გულგრილობის გათელილ გზაზე, რომელიც მას და შენ გელით, ისე ადვილია დაღლა, ნუ მისცემ მას ამის საშუალებას, გესმის, აირინ! შენ დაგეხმარებიან. ჩვენ გვყავს ფრედი და მისი მეგობრები: არ მკითხო. რომელი წმინდანები სწამთ მათ — იარე მათთან ერთად.

მე მშვიდად ვარ.

ჩვენ ბედნიერი ვიქნებით, აირინ!

# ნაწილი II

## და დაემხობიან მდუმარე კედლები...

**„ჩვენ უცილოგლად მიგვაჩნია შემდეგი ჭეშმარიტებანი: ყველა ადამიანი დაბადებით თანასწორია და ყველა მათგანს გამჩენმა მიანიჭა ხელშეუვალი უფლებები. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან: სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა“.**

**„დამოუკიდებლობის დეკლარაცია“**

## 1.

1964 წლის 6 ივლისი. ჰალვესტონი. ტეხასის შტატი.

ადრიანი დილა პატარა ქალაქში, რომელიც არაფრით გამოირჩევა. მილზის ღამის ბარი მალე დაიკეტება; აქაურობა ჭუჭყიანია და ბოლითაა სავსე; ბარმენმა დიდი ხანია თეთრი ქურთუკი გაიხადა და აჭიმით გადაჯვარედინებული პერანგით მუშაობს. როცა ის შეიკერს ანჯღრევს, იღლიებში ოფლის ლაქები მოუჩანს. სალაროში 6000 დოლარია — სასმელის 12000 ულუფის ღირებულება, ღამის ჩვეულებრივი ნორმა.

დაიკეტება მილზის ბარი და ტოლჩას ჩახუტებული სარეკლამო ეშმაკუნა აინთება კუკისა და მაკკლოსკის ბარების თავზე, მოკრივისმხრებიანი ბარმენები სუფთა ქურთუკებს ჩაიცვამენ, სალაროები მელოდიურ წკრიალს გამოსცემენ პირველი დოლარების ყლაპვისას.

ჰალვესტონში 144 ბარია.

ხალხი ქალაქში ზომიერად სვამს; ნაკლებს, ვიდრე, ვთქვათ, ნიუ-იორკის ან ლოს-ანჟელოსის მცხოვრებლები. დღე-ღამის მანძილზე ბარებში რჩება 50000-60000 დოლარი. არც ისე ბევრია, თუკი ხარჯებსაც გავითვალისწინებთ.

მილზი კოპებს იკრავს და მრისხანებით კვნეტს სიგარას. ნამდვილი ძარცვაა! საარჩევნო კამპანიისათვის პარტიის საოლქო ლიდერის სასარგებლოდ გადარიცხვები; ყოველთვიური შესატანი — რაკეტი — შუშების ხელშეუხებლობისა და მოახლის წესიერი ყოფაქცევის გარანტიაა; სამასი დოლარი პოლიციის ინსპექტორს აზარტულ თამაშებთან ბრძოლის განყოფილებიდან; ამდენივე მის კოლეგას ნარკოტიკებთან ბრძოლის ბიუროდან. სულ ექვსასი. გარდა ამისა, კეთილი ინებე და გადაუხადე მოსამართლეს ლმობიერებისათვის, თუ არადა, ჯარიმები გაგაკოტრებს. რა რჩება კიდევ? — ყოველდღე ხუთი დოლარი მორიგე კონსტებლს.

ყველა ეს ხარჯი გარდუვალია და მილზის ცხოვრებაში სიგარასთან, ჰარპერსის ყოველკვირეულთან და დილის აბაზანასთან ერთად შედის. და მაინც, ხანდახან ის ცოფდება. დაბადებით თავისუფალი ადამიანი ჩვევებისა და პირობითობების მონა გახდა. ვთქვათ, სიგარის სახეობის შეცვლა მას კიდევ შეუძლია, მაგრამ განა შეიძლება არ გადაუხადოს პარტიას, პოლიციასა და ბანდიტებს. შესატანი იცავს მილზის მშვიდი ძილისა და საკუთარი თავის პატივისცემის უფლებას.

(გაგრძელება იქნება)

**ფანჯრის იქით გაზაფხულია. შეყვარებულებისა და პირველი ფოთლების გაშლის ხანა. იგი ჯერ კიდევ არ მოასწავებს არც ივლისს ალამოგორდოში, არც აგვისტოს — ჰიროსიმაში, მაგრამ ვინ არის თავდები, რომ არ განმეორდება ივლისი და აგვისტო?**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კბილის პასტა, რომელიც იაპონელმა მეცნიერმა კასუო იომაგაშიმ გამოიგონა, მსოფლიოს გაოცების საგნად იქცა. ეს კბილის პასტა უნდა წაისვათ კბილის ღრმულებსა და ბზარებზე, სამი წუთის შემდეგ კი ის ბუნებრივი მინანქრის სტრუქტურის გახდება; ის, ამასთანავე, არის კარგი ანტიბაქტერიული საშუალება და განსხვავებას ხელოვნურსა და ბუნებრივ მინანქარს შორის მიკროსკოპის ქვეშაც კი ვერ შეამჩნევთ.**




# წონის კლების ფაქტორი

**ამერიკელმა ფსიქოლოგებმა დაასახელეს ძირითადი ფაქტორი, რომელიც უმეტეს შემთხვევებში ადამიანებს წონას აკლებინებს.**

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ საჭმლისადმი ემოციური მიჯაჭვულობა დაკავშირებულია ოჯახური და კულტურული ტრადიციების აღქმასთან და არა სტრესული სიტუაციის შემდეგ თავის დაჯილდოებასთან.

ფსიქოლოგები გვირჩევენ პირადი დღიურის წარმოებას, რომელშიც აღირიცხება მიღებული საკვების რაოდენობა და ხარისხი, აგრეთვე, სხვა ხასიათის ცვლილებები. ასევე, სპეციალისტები გვირჩევენ, მოვერიდოთ ისეთ საკვებს, რომელიც სასიამოვნო განცდებს აღძრავს.

მეცნიერები გვირჩევენ იმ ფსიქოლოგიური პრობლემების გამორკვევას, რომლებიც ადამიანს ხშირი ჭამისკენ უბიძგებს.

ამის შემსუბუქება ფსიქოლოგებს და მხარდამჭერ ჯგუფებს შეუძლიათ.

გამოკითხვის თანახმად, ამერიკელების 31 პროცენტი თვლის, რომ ფიზიკური დატვირთვის არქონის გამო ვერ იკლებს წონას; 26 პროცენტი თვლის, რომ მიზეზი არასწორი დიეტაა; 17 პროცენტი ცხოვრების არაჯანსაღ სტილს აბრალებს სიმსუქნეს; 12 პროცენტი — დროის არქონას; ხოლო 10 პროცენტი — ფსიქოლოგიურ ფაქტორებს.



# ვენერა დედამიწის ფონზე

**იაპონურმა კოსმოსურმა ზონდმა „აკაცუკიმ“ ვენერას ახალი ფოტოები გადაიღო. ვენერა დედამიწის განათებული ზედაპირის ფონზეა გადაღებული. ფოტო იაპონური აეროკოსმოსური სააგენტოს ასტრონავტმა კიმია იუიმ 5 დეკემბერს გადაიღო. პლანეტა ვენერას ახალი ფოტო ნასას ოფიციალურ ვებგვერდზეა გამოქვეყნებული.** 7 დეკემბერს იაპონურმა კოსმოსურმა ზონდმა „აკაცუკიმ“ მოახერხა ვენერის ორბიტაზე გასვლა. სწორედ მაშინ გადაიღეს ვენერა კოსმოსური აპარატიდან, რომელიც პლანეტის ორბიტაზე იმყოფებოდა და ნელ-ნელა უახლოვდებოდა მას ატმოსფეროს გამოსაკვლევად.

„აკაცუკი“ ვენერას ატმოსფეროს გამოსაკვლევად შეიქმნა. ის 2010 წლის 21 მაისს გაუშვეს კოსმოსურ სადგურ ტანგასიმადან.

# კბილის პლომბი საჭირო აღარ იქნება

**სტომატოლოგია მედიცინის ის დარგია, რომელიც შეისწავლის კბილების აგებულებას, კბილების, ენის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, ყბების, სახისა და კისრის რბილი ქსოვილოების დაავადებათა გამომწვევ მიზეზებს, მკურნალობასა და პროფილაქტიკას. სტომატოლოგიის ამოცანებში შედის, აგრეთვე, კბილის დასაბჟენი ახალი მასალის შემუშავება და კბილების პროთეზირება.**



კბილის მკურნალობა, რომლის ისტორია შორეული წარსულიდან იწყება, მედიცინისგან დამოუკიდებლად, ხელოსნურად ვითარდებოდა. სტომატოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, ჩამოყალიბებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ფრანგ ექიმს — **პიერ ფოშარს**; მისი ნაშრომი „კბილების ქირურგიისა და მკურნალობის სახელმძღვანელო“, რომელშიც პირველად იყო მოცემული კბილებისა და კბილის ირგვლივ ქსოვილების დაავადებათა კლასიფიკაცია, მკურნალობის მეთოდები, კბილის დაბჟენის ტექნიკა და სხვ., საფუძვლად დაედო კბილის მკურნალობის მეცნიერულ განვითარებას როგორც საფრანგეთში, ისე ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში.



კბილის პასტა, რომელიც იაპონელმა მეცნიერმა **კასუო იომაგაშიმ** გამოიგონა, მსოფლიოს გაოცების საგნად იქცა. ჰიდროქსილის აპატიტის ექსპერიმენტების შედეგად კასუომ მოახერხა, მიეგნო ამ საოცარი პასტისთვის, რომლის შემადგენლობაშია, ასევე, ბუნებრივი მინანქრის ელემენტები. ეს კბილის პასტა უნდა წაისვათ კბილის ღრმულებსა და ბზარებზე, სამი წუთის შემდეგ კი ის ბუნებრივი მინანქრის სტრუქტურის გახდება; ის, ამასთანავე, არის კარგი ანტიბაქტერიული საშუალება და განსხვავებას ხელოვნურსა და ბუნებრივ მინანქარს შორის მიკროსკოპის ქვეშაც კი ვერ შეამჩნევთ.

მრავალი ტესტირების შემდეგ იაპონიაში ეს კბილის პასტა ადამიანებზე გამოცადეს. დადგინდა, რომ ის საკმაოდ ეფექტიანია და სამკურნალო ღირებულებებით გამოირჩევა. მიიჩნევენ, რომ მსოფლიოს მასშტაბით ძალიან მალე დაინერგება პრაქტიკაში და პლომბი საჭირო აღარ გახდება.

# როგორ დავიცვათ თვალები კომპიუტერისგან

**თითოეული ჩვენგანი ყოველდღიურად დიდ დროს ვატარებთ კომპიუტერთან. იმისთვის, რომ თავიდან ავირიდოთ თვალების წვა, ტკივილი და გამოშრობა, საკმარისია, შემდეგი რჩევები გავითვალისწინოთ.**



* ყველაზე მარტივია ფანჯრის პრობლემის გადაჭრა — შეაბრუნეთ მონიტორი ფანჯრის პერპენდიკულარულად. დაკიდეთ ფანჯრებზე ჟალუზი, რომელიც დაიცავს თვალებს და მონიტორს კაშკაშა შუქისგან.

* თუ საჭირო ფერები (რუხი, ცისფერი, მწვანე, ღია ყვითელი) არ არის ინტერიერში, მონიტორზე დააყენეთ ეს ფერები. დროდადრო თვალები დაასვენეთ, დააყენეთ, მაგალითად, მწვანე მდელო ყვითელი ყვავილებით. ეს თვალებს დააწყნარებს. მაგიდაზე დადეთ ყვავილი და ხანდახან მასზე გადაიტანეთ მზერა.

* მონიტორზე დააბალანსეთ ეკრანის განათება, რომ კომფორტული შუქი ჰქონდეს. ყოველთვის მოუმატეთ შრიფტის ზომას, გაადიდეთ სურათი, თუ გსურთ მისი დათვალიერება.

* მონიტორის სწორი სიმაღლეა, როდესაც თვალები ზუსტად ცენტრში უყურებს მას. წელში გამართული უნდა იყოთ. მონიტორისგან 50-70 სანტიმეტრით უნდა იყოთ დაშორებული. დაარეგულირეთ სკამის სიმაღლე, რომ თვალებისთვის კომფორტული გახდეს მონიტორის ცქერა.

* შეიძინეთ სპეციალური ჰაერის დამატენიანებელი და თერმული წყლით დაიბანეთ პირი.

# პროფესიები, რომლებზეც ყველაზე დიდი იქნება მოთხოვნა მომავალ წელს

**„ბიზნეს ინსაიდერი“ 2016 წლის ყველაზე საჭირო სამუშაო ადგილებს ასახელებს. გამოცემამ შესაბამისი სარეიტინგო სია Career Builder-ისა და Economic Modeling Specialists Intl-ის მონაცემებზე დაყრდნობით შეადგინა და ამისთვის მოთხოვნის, მიწოდებისა და ანაზღაურების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია გამოიყენა. Career Builder-ის აღმასრულებელი დირექტორის — მეტ ფერგიუსონის ცნობით, ყველაზე სამუშაო ადგილებზე ყველაზე მეტი მოთხოვნა ძირითადად, ტექნოლოგიებისა და ჯანდაცვის სფეროდანაა. ასევე დასაქმების მსურველთათვის პოპულარულია მარკეტინგის, გაყიდვებისა და ტრანსპორტის სფეროებიც.**

careerbuilder

იმ სამუშაო ადგილებს შორის, რომლებზეც ყველაზე დიდია მოთხოვნა, „ბიზნეს ინსაიდერი“ **კომპიუტერული სისტემების მენეჯერს** ასახელებს, რომლის საათობრივი ანაზღაურება ყველაზე მაღალი — 61,37 დოლარია. 2010-დან 2015 წლამდე აღნიშნული პოზიციის რაოდენობა აშშ-ის მასშტაბით 42 942-ით გაიზარდა.

სიაში მეორე ადგილს **მარკეტინგის მენეჯერი** იკავებს, რომლის საშუალო საათობრივი ანაზღაურება 61,12 დოლარს შეადგენს. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კი ამ პოზიციის რაოდენობა აშშ-ში 23 692-ით გაიზარდა. მესამე ადგილზეა **ფარმაცევტი**. 2010-დან 2015 წლამდე ფარმაცევტის პოზიციის რაოდენობამ 14 591-ით იმატა.



სარეიტინგო სიაში **ფინანსური მენეჯერი, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, გაყიდვების მენეჯერი, ვებდეველოპერი, ინფორმაციული უსაფრთხოების ანალიტიკოსი, თერაპევტი** და **ინჟინერიც** მოხვდნენ.

ტიბეტელი ბერები ცნობილი მკურნალები იყვნენ უხსოვარი დროიდან, ისინი საუკუნეების განმავლობაში კურნავდნენ მრავალ დაავადებას ბალახების მეშვეობით და რეცეპტებს თაობებიდან თაობებს გადასცემდნენ. ძირითად სამკურნალო პროცედურას კი სისხლის გაწმენდა წარმოადგენდა, რაც ხელს უწყობდა პაციენტის მალე გამოჯანმრთელებას და ითვლებოდა სხვადასხვა დაავადების პრევენციად.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტიბეტელი ბერების საიდუმლოს ფარდა აეხადა

**მედიცინა მეცნიერებისა და პრაქტიკული საქმიანობის დარგია, რომელიც მიმართულია ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის, დაავადებების თავიდან აცილებისა და მკურნალობის, სიცოცხლის გახანგრძლივებისკენ. საუკუნეების განმავლობაში ადამიანთა გამოცდილებით დაგროვდა სამკურნალო საშუალებები და მეთოდები, რომლებიც შემონახულ იქნა, მათ შორის, ხალხურ მედიცინაშიც და რომლებიც მოგვიანებით მეცნიერული მედიცინის ნაწილი გახდა.**





ჯანმრთელობის ფასი არაფერია. სამედიცინო ისტორია დღემდე ინახავს რიგი დაავადებების მკურნალობის მეთოდებს. მიუხედავად ექიმების კეთილშობილური და გულწრფელი სურვილისა, ჰუმანური გზით განეკურნათ ესა თუ ის პაციენტი, ზოგიერთი სამედიცინო პროცედურა უფრო საშიში აღმოჩნდა, ვიდრე დაავადება. თუმცა, ძველ სამედიცინო ტრაქტატებში ეგრეთ წოდებულ **ლურჯ ბერილს** ენიჭება მნიშვნელოვანი როლი, იქ კი ძირითად სამკურნალო საშუალებას ბალახები წარმოადგენდა.

**ტიბეტელი ბერები ცნობილი მკურნალები იყვნენ უხსოვარი დროიდან, ისინი საუკუნეების განმავლობაში კურნავდნენ მრავალ დაავადებას ბალახების მეშვეობით და რეცეპტებს თაობებიდან თაობებს გადასცემდნენ. ძირითად სამკურნალო პროცედურას კი სისხლის გაწმენდა წარმოადგენდა, რაც ხელს უწყობდა პაციენტის მალე გამოჯანმრთელებას და ითვლებოდა სხვადასხვა დაავადების პრევენციად.**

მრავალი წლის განმავლობაში დაკარგულად ითვლებოდა ტიბეტელი ბერების სამკურნალო რეცეპტები და მხოლოდ უახლოეს წარსულში გახდა მათი კვლავ მოპოვება შესაძლებელი.

ცნობილია ტიბეტელი ბერების სისხლისა და სისხლძარღვების გამწმენდი სამი მეტად ეფექტიანი რეცეპტი. რა თქმა უნდა, მასში შემავალ თითოეულ პროდუქტს აქვს უკუჩვენება, ამიტომ ორსულებმა და კუჭ-ნაწლავის პრობლემების მქონე პაციენტებმა მხოლოდ ექიმთან კონსულტაციის შემდეგ უნდა ჩაიტარონ მკურნალობის კურსი.

**ქრისტესისხლას** სამკურნალო და საკმაოდ ეფექტიან თვისებებზე მხოლოდ ტიბეტელი ბერებისგან როდი ვიცით, მას ხშირად მოიხმარდნენ ჩვენი წინაპრებიც ხალხურ მედიცინაში. მისი ნაყენი ხელს უწყობს ლიმფური სისტემის ფუნქციის გაუმჯობესებას და წმენდს ორგანიზმს ჭარბი პათოგენური ბალასტისგან.

**ნაყენის მოსამზადებლად ქრისტესისხლას მცენარე დაჩეჩქვეთ, გამოადინეთ წვენი და 10 წვეთი გააზავეთ 70 მილიგრამ სამედიცინო სპირტთან. ნაყენი ყოველთვის შეინახეთ მაცივარში. დილის საუზმის წინ მიიღეთ 1 წვეთი, სადილის წინ — 2 წვეთი, სამხარის წინ — 3 წვეთი. მომდევნო დღეს თითეულ მიღებას მოუმატეთ თითო წვეთი — დილის საუზმის წინ დალიეთ 2 წვეთი, სადილის წინ — 3 წვეთი, სამხრის წინ — 4 წვეთი. როდესაც ახვალთ 15 წვეთამდე ყოველ დღე 1 წვეთის მატებით, შემდეგი დღიდან დაიწყეთ მომდევნო დოზის შემცირება ანალოგიური სქემით, თითო წვეთით.**

არანაკლებ სასარგებლოა **კოჭას** ნაყენი (იმბირი, ჯანჯაფილი). კოჭას აქვს უნიკალური უნარი, ორგანიზმიდან გამოდევნოს ყველა ტოქსინი — ქიმიური, საკვების და რადიაციული, რითაც ასუფთავებს სისხლს. მისი ხშირი მოხმარება ასევე სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, ამარცხებს ჭარბ წონას და აუმჯობესებს თმასა და კანს.

**ნაყენის მოსამზადებლად 10-20 გრამ ნედლ კოჭას ან 1 ჩაის კოვზ კოჭას ფხვნილს** (რომელსაც მოიპოვებთ) დაასხით ერთი ჭიქა ადუღებული წყალი, გააჩერეთ 10 წუთის განმავლობაში და გემოვნების მიხედვით დაამატეთ თითო ჩაის კოვზი ლიმონის წვენი და თაფლი. **მიღებული 1 ჭიქა ნაყენის ნახევარი დალიეთ დილით უზმოზე, საუზმემდე ნახევარი საათით ადრე, ხოლო მეორე ნახევარი** ასევე ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, დღის ნებისმიერ მონაკვეთში.

**ნიორი სიცოცხლის გასახანგრძლივებელი ელექსირია. მისი სადეზინფექციო და ანტიბაქტერიული თვისებები ყველასთვის ცნობილია. ის ძალიან სწრაფად აძლიერებს იმუნურ სისტემას, ზრდის მეტაბოლიზმს და კლავს პარაზიტებს. ტიბეტელი ბერები კი გვთავაზობენ ნიორის მეშვეობით სისხლისა და სისხლძარღვების გამწმენდ ელექსირს.**

40 გრამი დაქუცმაცებული ნიორი მოათავსეთ მინის კონტეინერში და დაასხით 100 გრამი სპირტი ან არაყი. ნარევი შეინახეთ გრილ და ბნელ ადგილას 10 დღის განმავლობაში. ჭამამდე ნახევარი საათით ადრე მიიღეთ ნაყენის 10 წვეთი, დღეში 2-3-ჯერ. კურსი ჩაიტარეთ 10 დღის განმავლობაში, დასაშვებია 1 თვემდე.

## ნიორი სიცოცხლის გასახანგრძლივებელი ელექსირია. მისი სადეზინფექციო და ანტიბაქტერიული თვისებები ყველასთვის ცნობილია. ის ძალიან სწრაფად აძლიერებს იმუნურ სისტემას, ზრდის მეტაბოლიზმს და კლავს პარაზიტებს. ტიბეტელი ბერები კი გვთავაზობენ ნიორის მეშვეობით სისხლისა და სისხლძარღვების გამწმენდ ელექსირს

# რატომ იზრდება ალასკაზე გიგანტური ზომის ბოსტნეული



**აშშ-ის რიგით 49-ე შტატი ალასკა არის ადგილი, სადაც ხშირად შეხვდებით დათვს და მხოლოდ ერთსართულიან ხის სახლებს. ეს ის მიწაა, რომელიც 140 წლის წინათ 7.2 მილიონ დოლარად მიჰყიდა რუსეთმა აშშ-ს.**

ალასკა ყველაზე მეჩხრად დასახლებული შტატია და, ბოლო ოთხი წლის მონაცემებით, იქ სულ 740 000-მდე ადამიანი ცხოვრობს. მათი დაახლოებით 10% რუსული ფესვებისაა და რუსულ სულს ინარჩუნებს, რისი აღმოფხვრაც ვერ მოახერხა ამერიკამ. ალასკა უამრავ ტურისტს იზიდავდა, თუმცა 1964 წლის მარტში თავს დამტყდარი 9-ბალიანი მიწისძვრის გამო მიწასთან გასწორდა ყველაფერი, ამიტომ მას შემდეგ მოსახლეობა მხოლოდ მყარ და დაბალ ნაგებობებს აგებს.





ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ **ალასკაზე ყოველგვარი სასუქის გარეშე გიგანტური ბოსტნეული მოდის და, მაგალითად, კომბოსტოს წონამ შეიძლება 100 კგ-ს, ნესვისა და ბროკოლისამ კი — 30 კგ-ს მიაღწიოს. მიზეზი მარტივია — ეს ყოველივე მზის გავლენაა.**

ალასკაზე ძალზე ხანმოკლე სასოფლო-სამეურნეო სეზონია — მხოლოდ 105 დღე, თუმცა ღამე მოკლეა, რადგან ის ჩრდილოეთ პოლუსთანაა ახლოს და დღე კი — გრძელი, მზე 19 საათის განმავლობაში ანათებს, რაც ხელს უწყობს ბოსტნეულის სტაბილურ და მუდმივ ზრდას. **ალასკის ბოსტნეული მსოფლიოში ყველაზე დიდი, გემრიელი და ტკბილია. იქ ძალიან კარგად იზრდება სტაფილო, კომბოსტო, ბროკოლი, ყვავილოვანი კომბოსტო, ბრიუსელის კომბოსტო, ბოლოკი, თალგამი, კარტოფილი, ჭარხალი, სტაფილო, ისპანახი და სალათი.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



***1933 წლის 4 იანვარს** დაიბადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა, უწმიდესი და უნეტარესი **ილია II** (ერისკაცობაში ირაკლი გიორგის ძე ღუდუშაური-შიოლაშვილი).

# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები კაცობრიობის ისტორიაში

რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და გამოჩენილი ადამიანების დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებზე.



***1863 წლის 5 იანვარს დაიბადა მელიტონ ბალანჩივაძე** (1863-1937) — ქართველი კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე, ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებელი.



***1961 წლის 17 იანვარს დაიბადა მაია ჩიბურდანიძე** — ქართველი მოჭადრაკე, დიდოსტატი მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონი.

***1832 წლის 23 იანვარს დაიბადა ედუარდ მანე** (1832-1883) — ფრანგი მხატვარი, იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი.



***1828 წლის 8 თებერვალს დაიბადა ჟიულ ვერნი** (1828-1905) — ფრანგი მწერალი, სამეცნიერო ფანტასტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი.



***1897 წლის 8 იანვარს დაიბადა გიორგი ლეონიძე** (1897-1959) — ქართველი მწერალი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე. საქართველოს სახალხო პოეტი (1959), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

*** 1920 წლის 20 იანვარს დაიბადა სახელგანთქმული** იტალიელი კინორეჟისორი **ფედერიკო ფელინი** (1920 — 1993).



*** 1933 წლის 26 იანვარს დაიბადა ელდარ შენგელაია** — ქართველი კინორეჟისორი, რეჟისორი ფილმებისა: „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“ „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“ და სხვ.



***1905 წლის 10 მარტს დაიბადა ლევან გოთუა** — ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.



***1904 წლის 22 იანვარს დაიბადა ჯორჯ ბალანჩინი** (გიორგი მელიტონის ძე ბალანჩივაძე 1904–1983) — ქართული წარმოშობის ამერიკელი ბალეტმაისტერი. ამერიკის კლასიკური ბალეტის ფუძემდებელი, მელიტონ ბალანჩივაძის შვილი.

***1936 წლის 10 იანვარს დაიბადა ჯანსუღ კახიძე** (1936-2002) — ქართველი დირიჟორი და კომპოზიტორი.



*** 1917 წლის 14 იანვარს დაიბადა ლადო ასათიანი (1917-1943)** — ქართველი პოეტი.

***1921 წლის 25 თებერვალს** საქართველოში ბოლშევიკური წითელი არმია შემოიჭრა და შეიქმნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

***1928 წლის 28 თებერვალს დაიბადა რამაზ ჩხიკვაძე (1928-2011)** — ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი.

***1445 წლის 1 მარტს დაიბადა სანდრო ბოტიჩელი** (1445-1510) — იტალიელი ფერმწერი.



***1928 წლის 6 მარტს დაიბადა გაბრიელ გარსია მარკესი** — კოლუმბიელი მწერალი, ჟურნალისტი, პროზაიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე, ნობელის პრემიის ლაურეატი.



*** 1918 წლის 26 იანვარს დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.**

***1887 წლის 26 თებერვალს დაიბადა აკაკი შანიძე** (1887-1987) — ქართველი ენათმეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანადამფუძნებელი და აკადემიკოსი (1941), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1939), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1943).



*** 1879 წლის 14 მარტს დაიბადა ალბერტ აინშტაინი** (1879-1955) — თანამედროვე თეორიული ფიზიკის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ფარდობითობის თეორიის ავტორი.

*** 1804 წლის 14 მარტს დაიბადა იოჰან შტრაუსი** (უფროსი) — ავსტრიელი კომპოზიტორი, მევიოლინე და დირიჟორი, შტრაუსების მუსიკალური დინასტიის ფუძემდებელი.



***1948 წლის 15 მარტს დაიბადა ლევან თედიაშვილი** — ქართველი მოჭიდავე (თავისუფალი სტილი). ოლიმპიური თამაშების 2-გზის ჩემპიონი (1972, 1976) ჭიდაობაში, მსოფლიოს 4-გზის (1971, 1973, 1974, 1975) და ევროპის 3-გზის ჩემპიონი (1974, 1976, 1978). მსოფლიო ჩემპიონი სამბოში (1973).

***1853 წლის 30 მარტს დაიბადა ვინსენტ ვან გოგი** (1853-1890) — ჰოლანდიელი მხატვარი-პოსტიმპრესიონისტი.

***1933 წლის 20 მარტს დაიბადა ოთარ ჭილაძე** (1933-2009) — ქართველი მწერალი, პროზაიკოსი, პოეტი, დრამატურგი, 1998 წელს ნომინირებული იყო ნობელის პრემიაზე ლიტერატურის დარგში.

***1910 წლის 23 მარტს დაიბადა აკირა კუროსავა** (1910-1998 ) — იაპონელი კინორეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერი, კინოს ისტორიაში ერთ-ერთ გავლენიანი კინორეჟისორი.



***1917 წლის 25 მარტს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღადგინა ავტოკეფალია.**

*** 1896 წლის 30 მარტს დაიბადა ლადო გუდიაშვილი** (1896-1980) — ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი.



***1939 წლის 26 მარტს დაიბადა გურამ დოჩანაშვილი** — თანამედროვე ქართველი კლასიკოსი მწერალი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ქართველი შემოქმედი.



***1939 წლის 31 მარტს დაიბადა ზვიად გამსახურდია** (1939-1993 წლის 31 დეკემბერი) — მეცნიერი-ფილოლოგი, მწერალი, მთარგმნელი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი (1991-1993).



***1929 წლის 12 აპრილს დაიბადა მუხრან მაჭავარიანი** (1929-2010) — ქართველი პოეტი.

***1452 წლის 15 აპრილს დაიბადა ლეონარდო და ვინჩი** (1452-1519) — იტალიელი მხატვარი, მწერალი, მოქანდაკე, არქიტექტორი, მეცნიერი, ინჟინერი.



***1889 წლის 16 აპრილს დაიბადა ჩარლი ჩაპლინი** (1889-1977) — ინგლისელი და ამერიკელი მსახიობი, რეჟისორი, სცენარისტი და კომპოზიტორი.

***1564 წლის 23 აპრილს დაიბადა უილიამ შექსპირი** (1564-1616) — ინგლისელი პოეტი და დრამატურგი.

***1840 წლის 7 მაისს დაიბადა პეტრე ჩაიკოვსკი** (1840-1893) — გამოჩენილი რუსი კომპოზიტორი, დირიჟორი და პედაგოგი.



*** 1966 წლის 11 იანვარს გაიხსნა თბილისის მეტროპოლიტენი.**

ქრონოგრაფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*** 1040 წლის წინათ, 975 წელს, ტახტზე ავიდა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III ბაგრატიონი (961-1014),** რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ფეოდალურ მონარქიას და სახელმწიფო საქართველოს. ბაგრატ III მეფობის პერიოდში აიგო მრავალი არქიტექტურული შედევრი, მათგან აღსანიშნავია ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, ნიკორწმინდის ტაძარი და ბედიის მონასტერი, სადაც დაკრძალულია.



***1912 წლის 15 აპრილს აისბერგთან შეჯახების შედეგად ჩაიძირა სამგზავრო საზღვაო ხომალდი „ტიტანიკი“.** დაიღუპა 1513-ზე მეტი ადამიანი.



***1941 წლის 3 მაისს დაიბადა ნონა გაფრინდაშვილი** — ქართველი მოჭადრაკე, ქალთა შორის მსოფლიოს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი.



***1893 წლის 3 მაისს (15 მაისს) დაიბადა კონსტანტინე გამსახურდია** (1893-1975) — ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

***1937 წლის 11 მაისს დაიბადა გიორგი შენგელაია** — ქართველი კინორეჟისორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი.

***1048 წლის 18 მაისს დაიბადა ომარ ხაიამი** (1048-1122) — სპარსი პოეტი, მათემატიკოსი, ფილოსოფოსი, ასტრონომი და ასტროლოგი.

***1848 წლის 7 ივნისს დაიბადა პოლ გოგენი (1848-1903) —** ფრანგი ფერმწერი, გრაფიკოსი, მოქანდაკე და პოსტიმპრესიონისტი.

***1872 წლის 9 ივნისს დაიბადა კონსტანტინე მარჯანიშვილი** (1872-1933) — ქართველი რეჟისორი.

*** 1929 წლის 10 ივნისს დაიბადა მერაბ ბერძენიშვილი —** ქართველი მოქანდაკე, ფერმწერი და გრაფიკოსი.



***1904 წლის 14 ივნისს დაიბადა ნატო ვაჩნაძე** (1904-1953) — საბჭოთა პერიოდის ქართველი კინომსახიობი, 1920-30-იან წლებში საბჭოთა ეკრანის მეგავარსკვლავი.



*** 1840 წლის 21 ივნისს დაიბადა აკაკი წერეთელი** (1840-1915) — ქართველი პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.

*** 1936 წლის 23 ივნისს დაიბადა რეზო გაბრიაძე** — ქართველი მხატვარი, თეატრისა და კინოს რეჟისორი და მწერალი.



***1909 წლის 1 ივლისს დაიბადა სერგო ზაქარიაძე (1909-1971)** — ქართველი მსახიობი.

*** 1921 წლის 10 ივლისს დაიბადა რევაზ ლაღიძე** (1921-1981) — ქართველი კომპოზიტორი.

***1861 წლის 14 ივლისს დაიბადა ვაჟა ფშაველა (1861-1915)** — ქართველი პოეტი და მწერალი.



*** 1928 წლის 14 ივლისს დაიბადა ნოდარ დუმბაძე** (1928-1984) — ქართველი მწერალი.

***1899 წლის 21 ივლისს დაიბადა ერნესტ ჰემინგუეი** (1899-1961) — ამერიკელი მწერალი, ჟურნალისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

***1783 წლის 24 ივლისს რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის ხელი მოეწერა გეორგიევსკის ტრაქტატს.**



**1905 წლის 27 მარტს გაიხსნა თბილისის ფუნიკულიორი.**

***1871 წლის 4 აგვისტოს დაიბადა ზაქარია ფალიაშვილი** (1871-1933) — ქართველი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. ქართული ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი, კლასიკოსი.

*** 980 წლის 16 აგვისტოს დაიბადა იბნ სინა (ავიცენა)** — შუასაუკუნეების სპარსი ფილოსოფოსი, ექიმი, პოეტი.

*** 1889 წლის 20 აგვისტოს დაიბადა დავით კაკაბაძე** (1889-1952) — ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ხელოვნების მკვლევარი, გამომგონებელი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

*** 1930 წლის 25 აგვისტოს დაიბადა გიორგი დანელია** — რუსეთში მოღვაწე ქართველი რეჟისორი, მსახიობი და სცენარისტი.

***1862 წლის 11 სექტემბერს დაიბადა ო. ჰენრი** (ნამდვილი სახელი უილიამ სიდნი პორტერი) — ამერიკელი მწერალი.

***1675 წლის 15 სექტემბერს დაიბადა ვახტანგ VI** (1675-1737) — საქართველოს მეფე, მისი მეფობის ხანა გამორჩეულია საქართველოს ლიტერატურული და ინტელექტუალური აღორძინების დაწყებით. სულხან-საბა ორბელიანისა და ანტონ კათოლიკოსთან ერთად ვახტანგი ითვლება ახალი ქართული ლიტერატურის სულისჩამდგმელად.

***1880 წლის 29 სექტემბერს დაიბადა ნიკოლოზ ლორთქიფანიძე** (1880-1944) — ქართველი მწერალი.

***1840 წლის 27 ოქტომბერს დაიბადა იაკობ გოგებაშვილი** (1840-1912) — ქართველი პედაგოგი, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, პუბლიცისტი, საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

*** 1600 წლის 17 თებერვალს** ინკვიზიციური სასამართლოს გადაწყვეტილებით კოცონზე დაწვეს იტალიელი დომინიკელი ბერი, მექანიკოსი, ფილოსოფოსი და პოეტი **ჯორდანო ბრუნო.**

*** 1991 წლის 25 დეკემბერს სსრკ დაშლილად გამოცხადდა.**

*** 1961 წლის 12 აპრილს** ადამიანი პირველი გაფრინდა კოსმოსში. რუსმა კოსმონავტმა **იური გაგარინმა** კოსმოსური ხომალდ „ვოსტოკით“ პლანეტას შემოუარა.

*** 1953 წლის 29 მაისს** ახალზელანდიელმა ედმუნდ ჰილარიმ და შერპმა ნორგეი ტენცინგმა კაცობრიობის ისტორიაში პირველად დაიპყრეს ევერესტი (8848 მ).

*** 1896 წლის 6 აპრილს** ათენში (საბერძნეთი) გაიმართა პირველი თანამედროვე ოლიმპიური თამაშები, დასრულდა 15 აპრილს.

*** 1945 წლის 4-11 თებერვალს იალტაში გაიმართა კონფერენცია** სსრკ-ის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მონაწილეობით. ეს იყო ანტიჰიტლერული ქვეყნების ლიდერთა — სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის — ბოლო შეხვედრა.

*** 1945 წლის 26 ივნისს შეიქმნა წესდება,ხოლო 1945 წლის 24 ოქტომბერს ოფიციალურად ამუშავდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.**

*** 1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა სსრკ-ს. დაიწყო დიდი სამამულო ომი,** რომელმაც 30 მლნ-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა

1945 წლის 7 მაისს კაპიტულაციის აქტზე ხელმოწერით გერმანიამ აღიარა მეორე მსოფლიო ომში დამარცხება. სსრკ-მა კი დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღედ 9 მაისი გამოაცხადა.

*** 1492 წლის 12 ოქტომბერს** იტალიური წარმოშობის ესპანელმა ზღვაოსანმა ქრისტეფორე კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა.

*** 1869 წლის 17 თებერვალს (1 მარტს) რუსმა მეცნიერმა დიმიტრი მენდელეევმა ქიმიური ელემენტების პერიოდულობის სისტემა აღმოაჩინა.**



***1572 წლის 24 აგვისტო — ბართლომეს ღამე. ჰუგენოტების** (ფრანგი პროტესტანტები) მასობრივი ხოცვა-ჟლეტა პარიზში, რომელიც ფრანგმა კათოლიკებმდაიწყეს. დაიღუპა 30 ათასი ადამიანი.



***1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ბრძოლაში ქართულმა არმიამ დავით აღმაშენებლის (1073-1125) მეთაურობით გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხა თურქსელჩუკთა კოალიციურ ლაშქარი დიდგორის ველზე (მანგლისის მახლობლად, თბილისის მისადგომებთან).**



*** 1914 წლის 28 ივლისს დაიწყო და 1918 წლის 11 ნოემბერს დასრულდა ერთ-ერთი სისხლისღვრელი დაპირისპირება კაცობრიობის ისტორიაში — I მსოფლიო ომი,** რომლის დამთავრების შემდეგ არსებობა შეწყვიტა 4 იმპერიამ — რუსეთის, ავსტრია-უნგრეთის, ოსმალეთისა და გერმანიის. ამ ომში, რომელიც 1914 წლის 28 ივლისს დაიწყო და 9 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 38 სახელმწიფო მონაწილეობდა.

*** 325 წელს** ქართლის სამეფოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

*** 1945 წლის აგვისტოს** ამერიკელებმა ატომური ბომბი ჩამოაგდეს იაპონიის ქალაქ ჰიროსიმაში, შემდეგ, 9 აგვისტოს — ნაგასაკიში. დაიღუპა ასი ათასობით ადამიანი.

*** 1837 წლის 8 ნოემბერს** ყვარელში დაიბადა ქართველი მწერალი პუბლიცისტი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე **ილია ჭავჭავაძე**, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდა ილია მართლის სახელით წმინდანად არის შერაცხილი.

*** 1881 წლის 25 ოქტომბერს ესპანეთის ქალაქ მალაგაში დაიბადა დიდი მხატვარი, სკულპტორი, გრაფიკოსი, კერამიკოსი და დიზაინერი პაბლო პიკასო** (სრული სახელი — პაბლო დიეგო ხოსე ფრანსისკო დე პაულა ხუან ნეპომუსენო მარია დე ლოს რემედიოს სიპრიანო დე ლა სანტისიმა ტრინიდად მარტირ პატრისიო რუის ი პიკასო).

*** 1891 წლის 17 ნოემბერს** ვანთან ახლოს, სოფელ ჭყვიშში დაიბადა გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე **გალაკტიონ ტაბიძე.**

*** 1921 წლის 18 ნოემბერს** თბილისში დაიბადა გამოჩენილი ქართველი მწერალი, XX საუკუნის ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, ქართული პენცენტრის ერთ-ერთი დამაარსებელი, ნობელის პრემიის ნომინანტი (1996; 1999) **ჭაბუა** (მზექაბუკ) **ამირეჯიბი.**

*** 1963 წლის 22 ნოემბერს** ქალაქ დალასში (ტეხასის შტატი, აშშ) მოკლეს აშშ-ის 35-ე პრეზიდენტი (1961-63) ჯონ ფიტცჯერალდ კენედი.

*** 1862 წლის 21 ნოემბერს თბილისში დაიბადა ქართველი ფერმწერი, ახალი ქართული რეალისტური მხატვრობის ფუძემდებელი გიორგი (გიგო) გაბაშვილი.**

*** 1770 წლის 17 დეკემბერს** ბონში (გერმანია) დაიბადა გამოჩენილი გერმანელი კომპოზიტორი და პიანისტი, „ვენის კლასიკური სკოლის“ წარმომადგენელი **ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი.**



*** 1879 წლის 21 დეკემბერს** გორში დაიბადა სსრკ-ის გამოჩენილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიოს პოლიტიკაზე, იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი).

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ცეცხლოვანი (წითელი) მაიმუნის წელიწადი ზოდიაქოს ყველა ნიშნისთვის სიურპრიზებით აღსავსე და საკმაოდ რთული იქნება. გაუმართლებს მას, ვინც იაქტიურებს, მუხლჩაუხრელად იშრომებს და დასახული მიზნებისკენ მიმავალ გზას არ გადაუხვევს. კარგი პერიოდია მაიმუნის წელს (1932, 1944, 1956, 1968, 1980, 1992, 2004, 2016), აგრეთვე, ცეცხლისა (ვერძი, ლომი, მშვილდოსანი) და ჰაერის (ტყუპი, სასწორი, მერწყული) ნიშნებით დაბადებულთათვის.**

# რას გვიქადიან ვარსკვლავები 2016 წელს

## ვერძი 21 მარტი – 20 აპრილი

ვერძების ცხოვრებაში კარდინალური ცვლილებები დაიწყება. ზოგიერთ სფეროში სტარტს ნულიდან აიღებთ. ოღონდ იმპულსურობა და მოუთმენლობა კარგს არაფერს მოგიტანთ. თქვენთვის აუცილებელია, მკაფიოდ დაინახოთ მიზნები, რომლებისკენაც ძალისხმევა უნდა მიმართოთ. **გაზაფხულზე** ცვლილებები დაიწყება და ამ პერიოდში საბოლოოდ ჩამოგიყალიბდებათ თვალსაზრისი ფასეულობებსა და პრინციპებზე. **ზაფხულის** ბოლოს კი დაიწყება დაძაბული პერიოდი, რომელიც ოქტომბრამდე გაგრძელდება და, რომელიც თავშეკავებით, აუღელვებლად და მუხლჩაუხრელი მუშაობით უნდა განვლოთ. **ნოემბრიდან** კი დაიწყება პერიოდი, რომელიც საფუძველს ჩაუყრის 2017 წლის წარმატებებს.

შესაძლოა, ვერძებმა შეწყვიტონ ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან და ახალი ურთიერთობა წამოიწყონ. მარტოხელა ვერძები კი, ბოლოს და ბოლოს, უნდა დაფიქრდნენ ოჯახის შექმნაზე.

დაძაბული პერიოდის გამო ვერძები ხშირად იქნებიან სტრესულ სიტუაციაში, ამიტომ უნდა გაუფრთხილდნენ ჯანმრთელობას. კარგი იქნება, თუ სპორტის რომელიმე სახეობით დაკავდებით.

## კურო 21 აპრილი – 21 მაისი

**წლის დასაწყისი** მნიშვნელოვანი პერიოდი იქნება — უნდა შეძლოთ იმ პოზიციების შენარჩუნება და გამყარება, რომლებსაც მიაღწიეთ. თავიდან მოიშორეთ ყველაფერი, რაც წინსვლაში ხელს გიშლით — ეს ეხება როგორც საგნებსა და იდეებს, ისე ურთიერთობებსაც. გამოიყენეთ ყველა შანსი, რომლებიც ცვლილებების შედეგად მოგეცემათ — მხოლოდ ასე მიაღწევთ წარმატებას.

**ზაფხულის** ბოლოს დაგჭირდებათ ძალების მობილიზება ახალი იდეების განსახორციელებლად. შეეცადეთ, მოიპოვოთ გავლენიანი ადამიანების მხარდაჭერა. **შემოდგომაზე,** თუ სხვა ადამიანების მანიპულირებას მოისურვებთ და ამპარტავნობას გამოავლენთ, კონფლიქტში გაეხვევით და რეპუტაცია შეგელახებათ. 2016 წელის კუროებმა უარი უნდა თქვან საეჭვო ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობაზე, რადგან დიდია წარუმატებლობის ალბათობა.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა სტაბილურად წარიმართება, თუ მას მეტისმეტ მოთხოვნებს არ წაუყენებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია კინკლაობა და უთანხმოებები.

კუროებს 2016 წლის ჯანმრთელობის მხრივ მნიშვნელოვანი პრობლემები არ შეექმნებათ, მაგრამ, თუ თავს შეუძლოდ იგრძნობენ, თვითმკურნალობა არ უნდა დაიწყონ.

## ტყუპი 22 მაისი–21 ივნისი

გაზაფხულამდე მნიშვნელოვანი ცვლილებები, თქვენი აქტიურობის მიუხედავად, მოსალოდნელი არ არის. **მარტიდან** კი დაიწყება დაძაბული, მაგრამ საინტერესო პერიოდი და შეძლებთ პოტენციალის სრულად გამოვლენას, შედეგად ხორცს შეასხამთ კარგა ხნის წინათ ჩაფიქრებულ პროექტებს. **ზაფხულში** მოიმატებს თქვენი მოთხოვნები გარშემო მყოფთა მიმართ და პატარ-პატარა უთანხმოებებს თავიდან ვერ აიცილებთ. **შემოდგომაზე** შეგიძლიათ, თამამად ჩაატაროთ ექსპერიმენტები როგორც სამსახურში, ისე ურთიერთობებში.

**წლის ბოლოს** კი საქმიანობის შედეგებს მოიმკით.

სამსახურში შეინარჩუნეთ კეთილგანწყობილი ურთიერთობა კოლეგებთან და ისინიც მხარში ამოგიდგებიან. თქვენი მონდომება ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება და არ არის გამორიცხული, დაგაწინაურონ, რაც თქვენს ბიუჯეტზეც აისახება. თუ სამუშაო ადგილის გამოცვლას დააპირებთ, ამისათვის ყველაზე კარგი პერიოდი 2016 წლის სექტემბერია.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას ნუ მიიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებით, განსაკუთრებით — დაქორწინებული ტყუპები.

ორგანიზმის გასაკაჟებლად კი ფიზიკურად დაიტვირთეთ — ივარჯიშეთ და მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში.

## კირჩხიბი 22 ივნისი–22 ივლისი

არასტაბილური პერიოდია. ვერც სიფრთხილე და ვერც წინდახედულება კარდინალური ცვლილებებისგან თავის არიდებაში ვერ დაგეხმარებათ. აუცილებელია ყურადღების კონცენტრაცია მთავარ პრობლემებზე, წვრილმანებზე დროის ხარჯვა კი კარგს არაფერს მოგიტანთ. საერთოდ კი, დასახული მიზნებისკენ გაბედულად იარეთ და ყველა დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ.

უკვე **იანვარში** დაიწყება ცვლილებები ურთიერთობებსა და კავშირებში. შეხვდებით დიდი ხნის უნახავ ადამიანებს, რომლებიც დაგეხმარებიან პროექტების განხორციელებაში.

**ზაფხულში** ელოდეთ მოულოდნელ ცვლილებებს, რომლებიც სიხარულს მოგგვრით. **წლის ბოლოს** კი არჩევანის წინაშე დადგებით: ან დაიცავით თქვენი პოზიციები, ან სხვის ნებას დაემორჩილეთ და გააკეთეთ ის, რასაც გეტყვიან. სჯობს, პრინციპულობა გამოიჩინოთ.

კირჩხიბებმა, რომლებიც სამსახურის გამოცვლას მოისურვებენ, უნდა გაითვალისწინონ, რომ ახალი სამუშაო ადგილი ისეთი შემოსავლიანი არ იქნება, როგორიც წინა და შეიძლება ფინანსური პრობლემის წინაშე დადგნენ. ფინანსური შემოსავლები **შემოდგომის მიწურულს** მოიმატებს.

2016 წელს მარტოხელა კირჩხიბებს ელით რომანტიკული თავგადასავლები, განსაკუთრებით — გაზაფხულზე, მაგრამ ურთიერთობის გაღრმავება მოსალოდნელი არ არის — ეს თვითონ კირჩხიბების ეჭვიანობის გამო მოხდება.

2016 წელს კირჩხიბებს შეიძლება შეექმნათ შარდსასქესო სისტემის პრობლემები.

## ლომი 23 ივლისი –22 აგვისტო

2016 წელს ლომები ბევრი რამის შეცვლას მოისურვებენ, მიუხედავად იმისა, რომ ადრე არჩეული გეზის სისწორეში იყვნენ დარწმუნებულნი. შეეცადეთ, ფული ეკონომიურად ხარჯოთ და ვალებში არ ჩაეფლოთ.

**წლის დასაწყისში** მოგიწევთ ძველი საქმეების დასრულება და 2015 წელს გაცემული დაპირებების შესრულება. იანვარ-თებერვალი საუკეთესო პერიოდია დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად და სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად. **გაზაფხულზე** მოსალოდნელია ძლიერი კონკურენცია, რომელშიც მხოლოდ თანამოაზრეების დახმარებით თუ შეძლებთ გამარჯვებას.

**ზაფხულში** შეიძლება მიიღოთ მოულოდნელი გადაწყვეტილება, რომელიც დიდწილად შეცვლის თქვენს ცხოვრებას — არა მხოლოდ პირადს, არამედ სამსახურებრივსაც.

**შემოდგომაზე** შეძლებთ ჩაფიქრებული პროექტების დაწყებას, რომელიც შედეგს 2017 წელს გამოიღებს. **დეკემბერში** შეიძლება დაუშვათ შეცდომა, რომელსაც ძალიან ინანებთ, ამიტომ ყველა საქციელი თუ მოქმედება კარგად აწონ-დაწონეთ.

თავი შეიკავეთ საყვარელი ადამიანის გაკრიტიკებისგან, თქვენმა გაუწონასწორებელმა საქციელმა და ემოციების ამოფრქვევამ, რომელიც თქვენი წარუმატებლობით იქნება გამოწვეული, შეიძლება მწვავე კონფლიქტამდე მიგიყვანოთ, რომელსაც ველარ მოაგვარებთ.

გადაღლა და უძილო ღამეები თქვენი ჯანმრთელობის მთავარი მტერი იქნება, ამიტომ შეეცადეთ, დრო სრულფასოვანი დასკვნებისთვისაც გამონახოთ.

## ქალწული 23 აგვ. –23 სექტემბ.

2016 წელს ქალწულებისთვის მთავარი პრობლემა ფულის ეკონომიურად ხარჯვა იქნება. სჯობს, დანაზოგი, რომლის დაგროვებასაც შეძლებთ, პერსპექტიულ საქმეში დააბანდოთ და არა ბანკში.

**წლის დასაწყისში** კარგად გააანალიზეთ წარსულში დაშვებული შეცდომები და გათვალეთ შესაძლებლობები. გაგიჩნდებათ ბევრი იდეა, მაგრამ მათ განხორციელებას ხელს შეუშლის ინტერესთა კონფლიქტი პარტნიორებთან.

**გაზაფხულის** ბოლოს მოგეცემათ დაგეგმილი პროექტების გადახედვისა და მათში ცვლილებების შეტანის შანსი.

**ზაფხულში** მოსალოდნელია კარდინალური ცვლილებები, განსაკუთრებით — აგვისტოში. **შემოდგომაზე** შეეცადეთ, არ გადაიღალოთ და დასახული მიზნებისკენ სავალ ახალ გზებზე იფიქროთ.

**წლის მიწურულს** კი მშვიდად დაიწყეთ საფუძვლის ჩაყრა იმ ახალი პროექტებისთვის, რომელთა განხორციელებაც 2017 წელში აპირებთ.

2016 წელს მოსალოდნელია ცვლილებები კარიერაში, შესაძლოა დაგაწინაურონ, რაც თქვენს შემოსავლებზე სასიკეთოდ აისახება.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა არასტაბილურად წარიმართება. კამათსა და უთანხმოებას, რომელიც თქვენი პედანტურობითა მეტისმეტი მოთხოვნებით იქნება გამოწვეული. თუ წვრილმანებზე გამოდევნებასა და კრიტიკას თავს არ დაანებეთ, 2017 წელს შეიძლება მარტო შეხვდეთ.

შეიძლება შეგექმნათ იმუნური სისტემის პრობლემა, ამიტომ მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები.



**აღმოსავლური ჰოროსკოპის მიხედვით, 2016 წელი ცეცხლოვანი (წითელი) მაიმუნის წელია. ეს არის მოგზაურობის, ავანტიურების, ზოგჯერ დაუფიქრებელი საქციელის, აქტიურობის, ინტუიციური გადაწყვეტილებებისა და ბედნიერების ძიების წელიწადი, რომელიც, აღმოსავლური (ჩინური) კალენდრით, 2016 წლის 8 თებერვალს 18 საათიდან და 38 წუთიდან დაიწყება და 2017 წლის 27 იანვარს დასრულდება.**

ბედნიერი ციფრები: 4 და 9
ქვები: მთის ბროლი, აკვამარინი, ქრიზოლითი
ყვავილი: ქრიზანთემა
ფერები: თეთრი, ოქროსფერი, წითელი

### წლის ნიშნები: ცეცხლი და ლითონი

საქართველოში 2016 წელს ბევრი მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილება მოხდება. საპარლამენტო არჩევნებამდე და მის შემდგომაც არ შეწყდება გააფთრებული იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული ომი. სოციალურ-ეკონომიურ სფეროში ავანტიურისტულმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება რადიკალური ცვლილებები გამოიწვიოს. არ არის გამორიცხული ძალისმიერი მეთოდების გამოყენება. მოვლენების განვითარებაში დიდ როლს ითამაშებს პიროვნება.

სოციალური და ეკონომიკური პრობლემები შეექმნებათ ისეთ ქვეყნებს, როგორიც არის პორტუგალია და

საქართველოში 2016 წელს ბევრი მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილება მოხდება. საპარლამენტო არჩევნებამდე და მის შემდგომაც არ შეწყდება გააფთრებული იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული ომი. სოციალურ-ეკონომიურ სფეროში ავანტიურისტულმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება რადიკალური ცვლილებები გამოიწვიოს. არ არის გამორიცხული ძალისმიერი მეთოდების გამოყენება. მოვლენების განვითარებაში დიდ როლს ითამაშებს პიროვნება.

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები 2016 წელს

## სასწორი 24 სექტ. — 23 ოქტ.

წარმატებული წელიწადია, რომელიც დატვირთული იქნება სასიამოვნო სიურპრიზებით, განსაკუთრებით — ურთიერთობების სფეროში.

თუ ახალი საქმის დაწყებას აპირებთ, ამისათვის საუკეთესო პერიოდია **გაზაფხული**. შესაძლოა, თქვენთვის საჭირო და პატივსაცემი ადამიანები ოპოზიციაში ჩაგიდგნენ, მაგრამ სწორედ ეს მოგცემთ საშუალებას, ბევრი რამ შეიტყოთ როგორც საკუთა თავზე, ისე ამ ადამიანებზე. **ზაფხულში** კარგი იქნება, თუ საკუთარ თავზე იმუშავებთ, გაიღრმავებთ ცოდნას და აიმაღლებთ კვალიფიკაციას.

**ოქტომბერში** გაგიჩნდებათ უფრო მეტის მიღწევის სურვილი და ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად გამოიყენეთ თქვენი ყველაზე „მრისხანე" იარაღი — მომხიბვლელობა.

**წლის ბოლოს**, ყველა საქმის წარმატებით დასრულების შემდეგ, თქვენი ყურადღება მხოლოდ ოჯახისკენ იქნება მიპყრობილი და საყვარელ ადამიანთან ერთად შეეცდებით 2017 წლის საზეიმოდ აღნიშვნას.

2016 წელი შესანიშნავი პერიოდია კარიერაში წინსვლისთვის. იაქტიურეთ პროფესიულ ასპარეზზე და თქვენი მუხლჩაუხრელი შრომა შეუმჩნეველი არ დარჩება.

დაქორწინებული სასწორებისთვის 2016 წელი ოჯახური ჰარმონიის პერიოდი იქნება, თუმცა, თუ თავს ვერ შეიკავებთ და უცნობ ადამიანთან ფლირტის გაბმას შეეცდებით, მეუღლესთან კონფლიქტს თავიდან ვერ აიცილებთ. გაზაფხულზე მაღალია ნივთიერებათა ცვლის დარღვევის ალბათობა, — ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

## მორიელი 24 ოქტ. — 22 ნოემბ.

ახალი წლის პირველ დღეებშივე დაფიქრდით მომავალზე, დაიწყეთ წარსულის გაანალიზება და სამომავლო გეგმების დაწყობა. მოგვარება პრობლემებისა, რომელთა წინაშეც **წლის დასაწყისში** აღმოჩნდებით, თქვენგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ეძებეთ ამ პრობლემების ახალი მეთოდები და მიზანს იოლად მიაღწევთ.

**გაზაფხულზე** თქვენი ცხოვრების რიტმი კიდევ უფრო აჩქარდება, ამიტომ შეეცადეთ, საქმეები ისე დაგეგმოთ, რომ შედეგები სწრაფად მოიმკათ.

**ზაფხულში** თქვენს ცხოვრებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი დაიწყება და მოულოდნელად აღმოჩნდებით ახალი ამოცანების წინაშე. ამ პერიოდში თვითდინებაზე ნუ მიუშვებთ საქმეებს, შეეცადეთ გულმოდგინედ აკონტროლოთ!

**შემოდგომა** შესანიშნავი პერიოდია ახალი პროექტების დასაწყებად და ახალი მეგობრების შესაძენად, რომლებიც ხელს შეგიწყობენ იდეების განხორციელებაში. **წლის ბოლოს,** გაკეთებული საქმეების გაანალიზების შემდეგ, კმაყოფილი დაიწყებთ საახალწლო სამზადისს.

2016 წელს მარტოხელა მორიელებს ცხოვრების თანამგზავრების პოვნის შანსი მიეცემათ — შესაძლოა, გაიცნონ ადამიანი, რომელთან ურთიერთობა მგზნებარე რომანში გადაიზრდება.

2016 წელს მორიელებმა მკაცრად უნდა დაიცვან კვების რეჟიმი. რაციონიდან ამოიღონ ცხარე, მარილიანი და შებოლილი საკვები, აგრეთვე, ალკოჰოლური სასმელები, რადგან დიდია კუჭ-ნაწლავთა სისტემის ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

## მშვილდოსანი 23 ნოემ. — 21 დეკ.

2016 წელს მშვილდოსნებს წარმატების მიღწევის ბევრი შესაძლებლობა გაუჩნდებათ, განსაკუთრებით — წლის მეორე ნახევარში, როდესაც მათ ცხოვრებაში ცვლილებები დაიწყება. მიღწეულით არ დაკმაყოფილდეთ და შეეცადეთ, ყოველთვის წინ იაროთ.

**წლის დასაწყისში** ყურადღება გაამახვილეთ მიღებულ ინფორმაციაზე, რადგან ის შეიძლება უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდეს კარიერაში წინსვლისთვის. **გაზაფხულზე,** თქვენი სიჯიუტის გამო, შესაძლოა, თავიდან ვერ აირიდოთ უთანხმოება ახლობლებთან.

**ზაფხულში** არ არის გამორიცხული, შეიცვალოთ სამუშაო ადგილი ან გაწყვიტოთ ურთიერთობები ძველ პარტნიორებთან.

**შემოდგომაზე** თავს შეგახსენებთ ძველი პრობლემები, მაგრამ წარმატებით შეძლებთ მათ მოგვარებას. **წლის ბოლოს** შეძლებთ, თავს უფლება მისცეთ, დაკავდეთ იმით, რაც ყველაზე ძალიან მოგწონთ — იმოგზაუროთ უცხოეთში და დაათვალიეროთ ღირსშესანიშნაობები.

დაქორწინებული მშვილდოსნების საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა სტაბილური არ იქნება — უთანხმოებას კი მოვალეობების განაწილება და საოჯახო ბიუჯეტის ხარჯვა გამოიწვევს.

მაღალია კუჭ-ნაწლავთა სისტემის ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

## თხის რქა 22 დეკემ. — 20 იან.

ბევრი იდეა გაგიჩნდებათ, რომლებიც რთული არჩევანის წინაშე დაგაყენებთ. განსაკუთრებით დაძაბული იქნება წლის მეორე ნახევარი, ამიტომ შეეცადეთ, ივლისის დასაწყისამდე დაასრულოთ ძველი საქმეები. **იანვარ-თებერვალში** გამართული მოლაპარაკებებისას ან ხელშეკრულების გაფორმებისას ყურადღებით გაანალიზეთ დეტალები, რადგან შესაძლოა, თაღლითობის მსხვერპლი აღმოჩნდეთ. **გაზაფხული** მშვიდი იქნება, თუ არ აჩქარდებით და დაწყებულ საქმეებს დაასრულებთ. **ზაფხული** აღსავსე იქნება სიურპრიზებით როგორც პირად ცხოვრებაში, ისე პროფესიულ საქმიანობაში. მთავარია, დრო სწორად გაანაწილოთ და ყურადღება არ მოაკლოთ არც ოჯახს და არც სამსახურს. **შემოდგომაზე** საქმე თავზე საყრელად გექნებათ, ამიტომ დახმარება კოლეგებს სთხოვეთ. თქვენი დახმარება კი შეიძლება, ახლო ნათესავს დასჭირდეს. **დეკემბრის ბოლოს** დადგება 2016 წელს გაკეთებული საქმეების განალიზების დრო. წლის პირველ ნახევარში თქვენი ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელო იქნება, მაგრამ ნელნელა გამოსწორდება შემოდგომიდან.

საყვარელ ადამიანთან თუ ეგოიზმს გამოიჩენთ და მხოლოდ საკუთარ თავზე იფიქრებთ, შესაძლოა, უთანხმოება ურთიერთობის შეწყვეტით დასრულდეს.

მაღალია ენდოკრინული სისტემის დაავადების გამწვავების ალბათობა.

## მერწყული 21 იან. — 19 თებ.

მოულოდნელობებით აღსავსე წელია. **იანვარ-თებერვალში** უამრავი პრობლემა შეგექმნებათ როგორც პირად ცხოვრებაში, ისე სამსახურში, მაგრამ ნუ ინერვიულებთ — გამოავლინეთ მოქნილობა და შეეცადეთ, შექმნილი ვითარებიდან ცოტაოდენი სარგებელი მაინც მიიღოთ.

**გაზაფხულზე** დაიწყება ცვლილებები და გაგიჩნდებათ ახალი მიზნები. შესაძლოა, შეიცვალოთ სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილი.

**ზაფხულში** შეძლებთ დაწყებული საქმეების წარმატებით განვითარებას, თუმცა ამისთვის დიდი ძალისხმევის გამოჩენა დაგჭირდებათ.

**შემოდგომის** დასაწყისში მოსალოდნელია შეფერხება, მაგრამ ოქტომბრის ბოლოდან მეორე სუნთქვა გაგეხსნებათ და საინტერესო პროექტის დაწყებას შეძლებთ. **დეკემბერში** გაანალიზეთ განვლილი წელი და დასახეთ სამომავლო გეგმები. სიფრთხილე გამოიჩინეთ იურიდიული დოკუმენტების გაფორმებისას.

მერწყულებს 2016 წელს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ბევრი შესაძლებლობა ექნებათ. გაზაფხულზე გაუჩნდებათ საკუთარი საქმის დაწყების შანსი, რომელიც ხელიდან არ უნდა გაუშვან. ამის გარდა, მოსალოდნელია დამატებითი შემოსავლებიც.

საყვარელ ადამიანს ბევრ მოთხოვნებს ნუ წაუყენებთ, დაკმაყოფილდით იმ ურთიერთობით, რომელიც უკვე გაქვთ, და იზრუნეთ მის შენარჩუნებაზე.

თქვენმა უაზრო სიჯიუტემ, შეუძლოდ ყოფნისას არ მიმართოთ ექიმს, შეიძლება საწოლს კარგა ხნით მიგაჯაჭვოთ, ნუ მიიყვანთ საქმეს აქამდე.

## თევზები 20 თებ. — 20 მარტი

2016 წელს თევზებს ბევრი სასიამოვნო სიურპრიზი ელით. ისინი გაიცნობენ გავლენიან ადამიანებს, რომლებიც იდეების განხორციელებაში დაეხმარებიან.

**წლის დასაწყისში** შეეცადეთ, არ გაიმეოროთ წარსულში დაშვებული შეცდომები, ამას კი ყველა დეტალის გაანალიზებითა და აუჩქარებელი მოქმედებებით შეძლებთ.

**გაზაფხულზე** მოგიწევთ ვალების გასტუმრება, რასაც იოლად შეძლებთ, რადგან მიიღებთ დამატებით შემოსავალს.

**ზაფხულში** გაგიჩნდებათ ახალი პროექტის დაწყების სურვილი, რომელიც შედეგს, სავარაუდოდ, წლის ბოლოს მოგიტანთ.

**შემოდგომაზე** შესაძლოა, აღმოჩნდეთ პრობლემის წინაშე, რომელიც დაკავშირებული იქნება უძრავ ქონებასთან. არ არის გამორიცხული ქონებრივი დავა, თუმცა ყველაფერი თქვენ სასარგებლოდ გადაწყდება. **წლის ბოლოს** აუცილებლად უნდა დაასრულოთ დაწყებული საქმეები. გაითვალისწინეთ, რომ პრობლემის მოგვარებაში არავინ დაგეხმარებათ და მხოლოდ საკუთარი თავს იმედი უნდა იქონიოთ.

ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეძიეთ ახალი წყაროები, ოღონდ აზარტულ თამაშებს თავი აარიდეთ — „იოლი ფული" თქვენი საქმე არ არის, პირიქით — შეიძლება ისიც კი დაკარგოთ, რაც დიდი შრომით გამოიმუშავეთ.

დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო თევზებს, შესაძლოა, ჯანმრთელობა სერიოზულად შეერყეთ. მაღალია კუჭქვეშა ჯირკვლის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

იტალია, არ არის გამორიცხული, ევროკავშირი დატოვოს დიდმა ბრიტანეთმა და, საერთოდ, დიდია ალბათობა, რომ ეს ევროგაერთიანება უკვე 2016 წლის ბოლოს დაიშალოს, სახარბიელო ბედი არც ფულად ერთეულს — ევროს ელის, რაც გააღრმავებს 2015 წელს დაწყებულ ფინანსურ კრიზისს ევროპაში.

მნიშვნელოვნად მოიმატებს ჩინეთის ეკონომიური პოტენციალი და პოლიტიკური გავლენა მსოფლიოზე.

არ არის გამორიცხული კონფლიქტი, როგორც პოლიტიკური, ისე შეიარაღებული, ირანსა და თურქეთს შორის, რომელშიც სხვა სახელმწიფოებიც ჩაებმებიან, რათა თავიდან აიცილონ გლობალური კატასტროფა. გაძლიერდება რუსეთის გავლენა. რუსეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობების მკვეთრი გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის. შემცირდება აშშ-ის გავლენა მსოფლიოზე. ამ ქვეყანაში, შესაძლოა, დაიწყოს სოციალური აფეთქებები.

2016 წელს კვლავ ყურადღების ცენტრში იქნება ახლო აღმოსავლეთი, კერძოდ, სირია, სადაც კიდევ უფრო გააქტიურდებიან ტერორისტული ორგანიზაციები. საზოგადოდ კი, ევროპაში მოსალოდნელია ტერორისტული აქტების ტალღა. რთული პერიოდია ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა გერმანია, ნორვეგია, ერაყი, ინდოეთი.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



# არ გათეთრდება ყორანი...

**აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (ენ-დი-აი) საქართველოს ოფისმა რამდენიმე დღის წინათ გამოაქვეყნა 17 ნოემბრიდან 7 დეკემბრის პერიოდში ჩატარებული კვლევის შედეგები, რომელთა მიხედვითაც, „ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, მონაწილეობას მიიღებდა გამოკითხულთა 64%, მათგან ხმას „ქართულ ოცნებას“ მისცემდა 16%, „ნაციონალურ მოძრაობას“ — 10%, „თავისუფალ დემოკრატებს“ — 7%.**

აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ოფისს, როგორც ჩანს, დირექტორის შეცვლამ ვერაფერი უშველა და ვერც უშველის, რადგან ეს ორგანიზაცია, რომელსაც ადრე დირექტორობდა ქართველი საზოგადოების ნერვებმომშლელი **ლუის ნავარო**, წლების განმავლობაში მხარს უჭერდა აშშ-ის „ძაღლიშვილებს“, ანუ ქართველი ხალხის სისხლში ხელგასვრილ „ნაციონალურ მოძრაობას“, მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, და აშშ-ის ინტერესების დასაცავად შავზე თეთრს ამბობდა და პირიქით.




ვითარება არც ნავაროს წასვლისა და მის ადგილას **ლორა ტორნტონის** მოსვლის შემდეგ შეცვლილა. ამა წლის მაისში, ენ-დი-აის მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, „ნაციონალურ მოძრაობას“ მხარს უჭერდა 13%, ხოლო „ქართულ ოცნებას“ — 11% (?!), ევრაზიულ კავშირში საქართველოს გაერთიანებას კი — 31%. ახლა კი ენ-დი-აიმ ფირფიტა ნახევრად გადმოაბრუნა და „ნაცმოძრაობას“ (ამერიკელთა აზრით, მთავარ ოპოზიციურ ძალას) 10% დაუწერა, „ქართულ ოცნებას“ კი — 16%. აი, დასავლეთისთვის ყველაზე მტკივნეულ საკითხზე კი — ევრაზიული კავშირი თუ ევროკავშირი? — მონაცემი 4%-ით შეამცირა...

**სახელგატეხილი ენ-დი-აის კვლევებს ქართველი საზოგადოება, დიდი ხანია, აღარ ენდობა. ამ ე.წ. ორგანიზაციის მიკერძოებულობა ნათლად გამოჩნდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, როდესაც ნავაროს ოფისმა 42%-იანი მხარდაჭერა უწინასწარმეტყველა სააკაშვილის „ნაცმოძრაობას“, „ქართულ ოცნებას“ კი — 10%-იანი. არჩევნების შედეგები კი ყველას კარგად გვახსოვს: მიუხედავად იმისა, რომ ენ-დი-აის წარმომადგენლები ამბობდნენ, ჩვენს კვლევებში ცდომილება მხოლოდ პლუს-მინუს 3 პროცენტიაო, 2012 წლის არჩევნებში ეს ცდომილება 50% იყო.**

ალბათ, ასეა დღესაც, მაგრამ რა ქნას ამ ე.წ. ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა — აშშ-ის ინტერესების დასაცავად და თავიანთი „ძაღლისშვილის“ მხარდასაჭერად შავზე თეთრიაო, ხომ უნდა თქვას?!

ასეა, არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა!

**ნიკა კორინთელი**



### ვლადიმერ პუტინი:
## მზად ვართ, საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გავაუქმოთ

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, რომელმაც მოსკოვში წლის შემაჯამებელი პრესკონფერენცია გამართა, განაცხადა, რომ 2008 წელს, მიხეილ სააკაშვილის წყალობით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა, რამაც შემდეგ თბილისისა და მოსკოვის ურთიერთობებზე უარყოფითად იმოქმედა.**

პუტინმა ასევე აღნიშნა, რომ ქართველი, ოსი და აფხაზი ხალხის მომავალი სწორედ ამ ერებზეა დამოკიდებული და რუსეთისთვის ამ მხრივ „ნებისმიერი გადაწყვეტილება მისაღებია“. „აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან საქართველომ ურთიერთობები თავად უნდა მოაგვაროს“, — განაცხადა პუტინმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ რუსეთი მზად არის, საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გააუქმოს.

რაც შეეხება ოდესის გუბერნატორად საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის დანიშვნას, ამას პუტინმა „უკრაინელი ხალხისთვის სახეში შეფურთხება“ და იმის დადასტურება უწოდა, რომ ეს ქვეყანა გარედან იმართება.


## ფიტოთერაპიული კაბინეტი

ცნობილი ქართველი ექიმი, ქართული ფიტოთერაპიის შემქმნელი და დამაარსებელი იური ბურდილაძე ფარმაკოლოგ დავით იაკობიძესთან ერთად მცენარეული პრეპარატებითა და ნანოტექნოლოგიით შექმნილი პრეპარატებით სრული განკურნების გარანტიით მკურნალობს შემდეგ დაავადებებს: ნეფრიტი, პიელონეფრიტი, გლომერულონეფრიტი, თირკმლისა და ნაღვლის კენჭოვანი დაავადებები, ცისტიტი, პროსტატიტი, პროსტატის ადენომა, ქოლეცისტიტი, ცხიმოვანი ჰეპატიტი, ალკოჰოლური ციროზი, პანკრეატიტი, დიაბეტის საწყისი ფორმა, კუჭ-ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები, ართრიტი, ართროზი, კოქსართროზი, ასთმა, ბრონქიტი, ჰაიმორიტი, შებერილობა, შეკრულობა, დიარეა, სისხლის დაავადებები, მხედველობის პრობლემები, ყრუმუნჯთა რეაბილიტაცია ბავშვთა ასაკში, ნებისმიერი ლოკალიზაციის ქსოვილოვანი წარმონაქმნი, ქრონიკული ალკოჰოლიზმი. უშვილობა, ქიმიოთერაპიის შემდგომი რეაბილიტაცია.

**ტელ.: 551-10-59-74 — იური ბურდილაძე, 597-00-12-77 — დავით იაკობიძე მისამართი: მოსკოვის პროსპექტი №44 (საქართველოს ბანკის გვერდით)**




## სლოვენიამ უარი თქვა ერთნაირსქესიანთა ქორწინებაზე

**სლოვენიაში ჩატარდა რეფერენდუმი ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაშვების საკითხზე. თუ მოსახლეობის უმრავლესობა ამ კითხვაზე დადებით პასუხს გასცემდა, სლოვენია პირველი პოსტსაბჭოთა სახელმწიფო იქნებოდა, რომელშიც გეიკავშირები ოფიციალურად დაკანონდებოდა.**

რეფერენდუმზე ამომრჩეველთა 63,4%-მა უარი თქვა ერთნაირსქესიანთა ქორწინებისა და ამ წყვილების მიერ შვილად აყვანის უფლების დაკანონებაზე. ამრიგად, პარლამენტის მიერ მარტში მიღებული კანონი ძალაში შესვლამდე გაუქმდა.


## ს ი ა ხ ლ ე !
## ტიბეტური მედიცინით მკურნალობა

ლიცენზია N 035121



- გასტრიტი, წყლული, კოლიტი, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი, ბუასილი, ჭიებით ინვაზია
- იმპოტენცია, პროსტატიტი, გახშირებული შარდვა, შარდ-კენჭოვანი დაავადება.
- ფიბრომა, მენსტრუალური ციკლის მოშლა, უშვილობა, მასტოპათია, გართულებული კლიმაქსი.
- უძილობა, მეხსიერების და შრომის უნარის დაქვეითება, ნევროზი, შიშები, დეპრესია.
- თავის, ხერხემლის, წელის ტკივილები, ოსტეოპოროზი, ართროზები, სკოლიოზი.
- წონაში დაკლება, სიმაღლეში ზრდა
- ალერგია
- ათეროსკლეროზი, ჰიპერტონია
- ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.

მკურნალობის შერჩევა ინდივიდუალურად გენეტიკის, სისხლის ჯგუფის, ცხოვრების წესის და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით.

☎ 599-54-18-30, 0790-98-63-33

## სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი «კელპი» გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე:

1. შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენარეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2. პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქტიული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3. ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4. ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5. ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები, კონსულტაცია უფასოა.

**ტელ: 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი) მის: ალმაშენებლის 154 «მწვანე ოფისი»**

## სიმაღლეში მომატება!

### გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?



დარეკეთ ახლავე!

574 47 39 04
0790 30 94 35

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83 მის.: წერეთლის №142, I სართ. კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო — ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894